პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება

დოქტორი სტივენ გიბსონი

shepherds
GLOBAL CLASSROOM

Copyright · 2021 Shepherds Global Classroom
პირველი გამოცემა [ქართული] ISBN: [_____]

ყველა უფლება დაცულია. ტესტებისთვის განკუთვნილი გვერდების გარდა, ამ წიგნის სხვა, ნებისმიერი ნაწილის ხელახალი გამოცემა ან გადაცემა ელექტრონულად, მექანიკურად, ქსეროასლით, ჩანაწერით ან სხვა ნებისმიერი ფორმით დაუშვებელია - "შეპერდს გლობალ კლასრუმ"-ის (SGC-ის) წერილობითი ნებართვის გარეშე. SGC-ს ინგლისურენოვანი სასწავლო გეგმის ყოველი შენაძენი, საშუალებას გვაძლევს ვთარგმნოთ და შემდეგ გავუზიაროთ იგივე სასწავლო პროგრამა ქრისტიან ლიდერებს მთელს მსოფლიოში. SGC-სთან დასაკავშირებლად ან ამ საინტერესო ხედვისთვის შესაწირავის გასაგზავნად, გადადით ShepherdsGlobalClassroom.org - ზე.

დაბეჭდილია: _____-მიერ

სარჩევი

მითითებები კლასის ლიდერთათვის.....4

(1) ქრისტიანული სიწმინდე, ანუ სიმართლე.....7

(2) ღვთისადმი მორჩილების პრაქტიკაში გატარება 23

(3) მუშაობა.....35

(4) ურთიერთობები 47

(5) ღმერთის წინამძღოლობა.....59

(6) ქორწინების ბიბლიური კონცეფცია.....71

(7) ქორწინების სიწმინდე 83

(8) ქრისტიანული ეკოლოგია.....99

(9) ფული 107

(10) გულწრფელობა/სიმართლე 121

(11) ადამიანის ფასეულობა.....133

(12) მთავრობა.....147

(13) ქრისტიანის სხეული 157

რეკომენდებული რესურსები.....168

დავალებების ჩაწერა 170

მითითებები კლასის ლიდერთათვის

თითოეული გაკვეთილის მითითებები იბეჭდება მთელი გაკვეთილის განმავლობაში დახრილად (დახრილი შრიფტით).

სიმბოლო ► გვხვდება სადისკუსიო კითხვის წინ. კლასის ხელმძღვანელმა უნდა დაუსვას შეკითხვა და მისცეს მოსწავლეებს დრო პასუხის განსახილველად. თუ ძირითადად ერთი და იგივე სტუდენტი პასუხობს, ან თუ ზოგი სტუდენტი არ ერთვება დისკუსიაში, ლიდერს შეუძლია შეკითხვა დაუსვას სახელდობრ: „გიორგი, შენ როგორ უპასუხებდი ამ კითხვას?"

კურსი გამოყენებულია მრავალი მონაკვეთი წმინდა წერილიდან. ყოველთვის, როდესაც კლასმა ერთად უნდა წაიკითხოს მონაკვეთი, ამის შესახებ მითითებებში იქნება ნათქვამი. მაგალითად: მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ჯგუფისთვის რომაელების მე-6 თავი. ყველა მოსწავლემ თვალი უნდა ადევნოს წაკითხულ მონაკვეთს. სხვა შემთხვევებში, წმიდა წერილების მითითებები მოცემულია ტექსტში ფრჩხილებში. მაგალითად: (1 კორინთელთა 12:15). ეს ცნობები მხარს უჭერს ტექსტში მოცემულ განცხადებებს. არ არის აუცილებელი ყოველთვის წაიკითხოთ ფრჩხილებში მოცემული მონაკვეთები.

თითოეულ გაკვეთილს აქვს დავალებები, რომლებიც განთავსებულია ბოლოში. დავალებები უნდა დასრულდეს გაკვეთილის დასრულების შემდეგ და ეცნობოს კლასის ხელმძღვანელს მომდევნო გაკვეთილის დროს. თუ სტუდენტი ვერ დაასრულებს გაკვეთილს და მის დავალებებს, მას შეუძლია დაასრულოს ის მოგვიანებით. ამასთან, ლიდერმა უნდა წაახალისოს სტუდენტები დაიცვან გრაფიკი, რათა მათ მეტი ისწავლონ გაკვეთილიდან. კურსის ბოლოს მოცემულია სქემა, სტუდენტის მიერ შესრულებული დავალებების ჩასაწერად.

კურსის ერთ - ერთი მიზანია სტუდენტების მომზადება მასწავლებლობისთვის. კლასის ლიდერმა უნდა მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა, რომ განავითარონ თავისში სწავლების უნარები. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელმა დროდადრო უნდა მისცეს საშუალება სტუდენტს გაკვეთილის მოკლე მონაკვეთი ასწავლოს კლასს.

ყოველი გაკვეთილის ბოლოს არის განყოფილება, სადაც მოცემულია ჯგუფების გაზიარების ინსტრუქცია. კლასის ხელმძღვანელს შეუძლია გადაწყვიტოს რამდენი

დრო დაუთმოს დისკუსიას. მასალის შესწავლისას ბევრ გაკვეთილს ბევრი დისკუსია ექნება.

ასევე ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოცემულია მოკლე ლოცვა, რომელშიც თხოვნაა ღვთისადმი, გამოიყენოს ჭეშმარიტება მოსწავლეთა ცხოვრებაში. კლასის ხელმძღვანელს შეუძლია სთხოვოს სტუდენტს წარმოთქვას ლოცვა კლასისთვის.

გაკვეთილი 1
ქრისტიანული სიწმინდე, ანუ სიმართლე

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გაიგოს რას გულისხმობს ბიბლია, როდესაც საუბარია „ქვეყნიერებაზე."
(2) გააცნობიეროს ის სფეროები, სადაც ქვეყნიერების ღირებულებებმა გავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე.
(3) აღწეროს, როგორ და რატომ უნდა განსხვავდებოდეს ქრისტიანის აზროვნება ცოდვილისგან.
(4) ახსნას რას ნიშნავს ქრისტიანისთვის კეთილსინდისიერი ცხოვრება.
(5) აჩვენოს, რომ ქრისტიანული ჭეშმარიტება უნდა იქნას გამოყენებული ცხოვრებისეულ ყველა დეტალში.

იოანე ოქროპირი, სიწმინდის მქადაგებელი

იოანე ოქროპირი (370 წ.წ.), იყო ღვთისმოსავი პასტორი, რომელიც ცნობილი გახდა როგორც "ოქროს პირი" მისი ძლიერი და ორატორული ქადაგების გამო. ის ძალიან უყვარდა უბრალო ხალხს და გახდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ყველაზე ცნობილი მქადაგებელი. ის 398 წელს "გაიტაცეს" და წაიყვანეს დედაქალაქ კონსტანტინოპოლში (ახლანდელი სტამბოლი, თურქეთი), რათა ემსახურა როგორც პასტორს და პატრიარქს, 100 000 წევრიან ეროვნულ ეკლესიაში.

იოანე ცნობილი იყო თავისი უკომპრომისო ხასიათით. ის იყენებდა თავის თანამდებობას მთელი ქალაქის და არა მხოლოდ მდიდრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ის კვებავდა ღარიბებს, აშენებდა საავადმყოფოებს და მხარს უჭერდა ქვრივებს. ის დაუპირისპირდა მცირე აზიის ეპისკოპოსებს კორუფციისა და ფინანსების არასწორი მართვის გამო და ქადაგებდა მათი გულგრილობისა და უზნეობის წინააღმდეგ. ის აფრთხილებდა კონსტანტინოპოლის მაღალ ფენებს, რომ თეატრში სიარული მათ გაანადგურებდა. მან თეატრის მონახულება შეადარა სასიკვდილო ვირუსის ზემოქმედებას. იოანემ თქვა,

> თუ თეატრში ხედავთ უსირცხვილო ქალს, რომელიც სცენაზე გამოდის თავშიშველი და გაბედული დამოკიდებულებით, ჩაცმული ოქროთი მორთული სამოსით, გამოირჩევა მისი რბილი მგრძნობიარეობით, მღერის

> უზნეო სიმღერებს, ცეკვავს კიდურების მიმოქნევით და ამბობს უსირცხვილო გამონათქვამებს... გაბედავთ იმის თქმას, რომ მაშინ ადამიანური არაფერი ხდება თქვენს თავს? ... კიდევ დიდი ხანი, მას შემდეგ როდესაც თეატრი დაიხურა და როდესაც ყველა წავიდა, ეს სურათები თქვენს თვალწინ კვლავ ტრიალებს თქვენს გონებაში, მათი სიტყვები, მათი ქცევა, მათი გარეგნობა, მათი სიარული, მათი მდგომარეობა... მათი უწმინდური კიდურები - და შენ ათასი ჭრილობით მიდიხარ სახლში! მაგრამ არ ხარ მარტო - მეძავი მოდის შენთან ერთად - თუმცა არა ღიად და ხილულად ... არამედ შენს გულში და შენს სინდისში და იქ შენს შიგნით ის აანთებს ბაბილონის ღუმელს ... რომელშიც დაიწვება თქვენი სახლის სიმშვიდე, თქვენი გულის სიწმინდე, თქვენი ქორწინების ბედნიერება!

მდიდარ მოქალაქეებს იოანემ გაფრთხილება მისცა,

> უგუნურება და სოციალური სიგიჟეა გაავსოთ კარადები ტანსაცმლით და დაუშვათ ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილი ადამიანები, შიშვლები იდგნენ და სიცივისგან კანკალებდნენ, ისე რომ ძნელად ახერხებდნენ გამართულად დგომას... თქვენ ხართ უზარმაზარნი და მსუქანნი, ატარებთ წვეულებებს გვიან ღამემდე და იძინებთ თბილ, რბილ საწოლში. და არ გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორ უნდა ჩააბაროთ ანგარიში ღვთის საჩუქრების ბოროტად გამოყენების გამო .... ჩვენი ფული ეკუთვნის უფალს, არ აქვს მნიშვნელობა როგორ მოვიპოვებთ მას. ამიტომაც უფალმა მოგცათ საშუალება გქონდეთ მეტი; არა იმისთვის, რომ გაფლანგოთ ... არამედ გაუნაწილოთ გაჭირვებულებს.

იოანე ოქროპირი საბოლოოდ გააძევეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, მაგრამ გარდაიცვალა მოგზაურობაში (ახ. წ. 407 წ.). მისი ბოლო სიტყვები იყო: „დიდება ღმერთს ყველაფერში. ამინ.”

ქვეყნიერების ბიბლიური გაგება

იოანეს მე -17 თავი არის იესოს ლოცვა, თავისი მოწაფეებისთვის, ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე. ის გადმოგვცემს იესოს დიდ სიყვარულს და ზრუნვას თავისი მოწაფეების მიმართ. მან თქვა, რომ ის ასევე ლოცულობს მათთვის, ვინც ირწმუნებს მოციქულთა მოწმობას (მე-20 მუხლი), ამაში ჩვენი დროის მორწმუნეებიც იგულისხმებიან.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იოანეს 17:14-18.

რას გულისხმობდა იესო, როდესაც თქვა, რომ ის არ იყო ქვეყნიერების? ჩვენ ვიცით, რომ ის არ წარმოიშვა ამ სამყაროში; ის არის ძე ღვთისა, რომელიც მოვიდა ზეციდან დედამიწაზე. თუმცა, როდესაც მან განაცხადა, რომ ის არ იყო ქვეყნიერების, ის არ გულისხმობდა იმ ფაქტს, რომ ის რაღაც, სხვა სამყაროდან მოვიდა. მან თქვა, რომ მოწაფეებიც არ არიან ქვეყნიერებისანი, ისევე როგორც ის არ არის. იესო საუბრობდა კაცებზე, რომლებიც დაიბადნენ დედამიწაზე, დაიბადნენ ადამიანი მშობლებისგან და გაიზარდნენ როგორც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები.

მაშ რას გულისხმობდა იესო, როდესაც თქვა, რომ მისი მოწაფეები არ იყვნენ ქვეყნიერებისანი? ჩვენ უნდა გავიგოთ, რაზე საუბრობს ბიბლია, როდესაც ის ეხება ქვეყნიერებას.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ეფესელთა 2:1-3.

ეს მუხლები გვაჩვენებს, რომ იცხოვრო ისე, როგორც ქვეყნიერება ცხოვრობს, იგივეა, რაც მიჰყვე სატანის მითითებებს. ჩვენ ასევე ვხედავთ, რომ ქვეყნიერების ხალხი მიჰყვება თავის ცოდვილ სურვილებს და ისინი დაიტეხენ ღვთის რისხვას. მორწმუნეებმა მიიღეს ახალი სიცოცხლე და აღარ ცხოვრობენ ისე, როგორც ქვეყნიერება.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 იოანეს 2:15-17.

ქვეყნიერება 1 იოანეში მოხსენიებულია, როგორც ბოროტი რამ. ის არ უნდა შევიყვაროთ და არც არაფერი, რაც მასშია. არასწორი სურვილები და მოტივები დამახასიათებელია ქვეყნიერებისთვის. ცოდვილ სურვილებს უწოდებენ ქვეყნიერების სურვილებს.

სატანას უწოდებენ ამ ქვეყნიერების მმართველს (იოანე 16:11). ეს არ ნიშნავს რომ ქვეყნიერება მას სამართლიანად ეკუთვნის; ის არის ღვთის წინააღმდეგ აჯანყების ლიდერი და ქვეყნიერების ხალხი მისდევს მას. ის უკვე მსჯავრდადებულია და ის ადამიანებიც, ვინც ჯიუტად მისდევენ მას, ასევე დაისჯებიან.

ქვეყნიერების მეგობრობა ნიშნავს ღვთის მტრობას (იაკობის 4: 4).

ქვეყნიერება შედგება მილიონობით დაცემული ადამიანისგან, რომლებიც არიან განდგომილნი ღმერთისგან და გაერთიანებულნი იმით, რაც მათ საერთო აქვთ. **პირველ რიგში, მათ აქვთ არასწორი გრძნობები და სურვილები**. მათ უყვართ ის, რაც ქვეყნიერებაზეა მეტად, ვიდრე სამყაროს შემოქმედი. 1 იოანეს 2:15,16-ში ნათქვამია: „ნუ შეიყვარებთ ქვეყნიერებას... ვინაიდან ყოველივე, რაც

ქვეყნიერებაზეა - ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ამაო დიდება ცხოვრებისა - მამისაგან კი არა, ქვეყნიერებისაგან არის."

მეორე, მათი არასწორი დამოკიდებულება იწვევს არასწორ ქცევას; ცხოვრების წესს, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი თავის დაკმაყოფილებაზე, ხშირად სამართლიანობისა და წყალობის ხარჯზე (ამოსის 5:11-15; 21-24). ისინი მიდიან თავიანთი გზით, ითხოვენ იმას, რაც უნდათ და თავად განსაზღვრავენ რა არის სწორი და რა არასწორი მათთვის. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ რელიგიის მრავალი ფორმა, ყველა ის, ვინც ქვეყნიერების ნაწილია, საკუთარ თავს (ადამიანურ ინტელექტს, ადამიანურ სიბრძნეს, ადამიანურ მადას, ადამიანურ სიკეთეს, ადამიანურ ძალას) აქცევს თაყვანისცემის ცენტრად (რომაელთა 1:25). მათ აღიზიანებთ ღმერთის ძალაუფლება და სჯერათ ცხოვრებისეული ფილოსოფიის, რომელიც ამართლებს მათ გადაწყვეტილებებს. ისინი არ ცდილობენ შეიმეცნონ რა არის სწორი და იმოქმედონ შესაბამისად. ისინი აკეთებენ იმას, რაც სურთ, შემდეგ ეძებენ გზას იმის ასახსნელად, რომ ეს სწორია.

ამქვეყნიური, არაქრისტიანი ფსიქოლოგები და მრჩევლები ცდილობენ დაეხმარონ ადამიანებს დანაშაულის გრძნობის მოხსნაში, მონანიებისა და ღვთის პატიების მოძებნის გარეშე. ამქვეყნიური ფილოსოფოსები ცდილობენ აღწერონ ცხოვრების მიზანი, რომელიც არ არის დაკავშირებული ღმერთთან. ამქვეყნიური მეცნიერები ცდილობენ ახსნან ყველაფრის წარმოშობა შემოქმედის უარყოფით. ამქვეყნიური პოლიტიკოსები და სოციალური მუშაკები ცდილობენ იპოვონ გზები ცოდვის ბუნებრივი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ამასთან უარყოფენ, რომ ცოდვაა რეალური პრობლემა. ამქვეყნიური მოდის დიზაინერები მუშაობენ სექსუალური და ყურადღების მიმზიდველი ტანსაცმლის წარმოებაზე. ქვეყნიერების გასართობ სფეროში მომუშავე ადამიანები ცოდვის, ზნეობისა და რელიგიის შესახებ ხუმრობენ. ამქვეყნიურ პასტორებს სწამთ ღმერთის, რომელიც ითმენს ცოდვას და ყველაზე მეტად ზრუნავს იმაზე, რომ თქვენ იყოთ მდიდარი, ბედნიერი და გქონდეთ კარგი თვითშეფასება.

კოლასელთა 2:8 გვაფრთხილებს, რომ არავინ დაგვატყვევოს ფილოსოფიით და ცარიელი ცდუნებით, ქვეყნიერების სტიქიათა მიხედვით. თაღლითი ძარცვავს ვიღაცას, ყალბი იდეის მიყიდვით. მცდარ წარმოდგენებში ხალხის დარწმუნებით, ქვეყნიურება ართმევს ადამიანებს ღმერთთან ურთიერთობას, სულიერ სიკეთეებს და სამოთხეს.

ამქვეყნიური ფილოსოფია და მომმართველი მოტივაცია აჩვენებს იმ ადამიანების ცხოვრების წესს, რომლებიც ეკუთვნიან ქვეყნიერებას. ქვეყნიური მეტყველება,

დამოკიდებულება, ჩაცმულობა, გართობა და ქცევა, მათი ცოდვით სავსე გულების გამოხატულებაა.

ქრისტიანები არ უნდა მიყვებოდნენ თავიანთი საზოგადოების ზნეობას. ქრისტიანები უნდა განსხვავდებოდნენ თავიანთი საზოგადოებისგან.

კულტურები ჩამოყალიბებულია ამ ობიექტის მიერ, რომელსაც ბიბლია უწოდებს ქვეყნიურებას. ხალხის თაობები, ადგილებზე ქმნიდნენ კულტურას. მათ სურთ ბევრი კარგი რამ, როგორიცაა უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სტაბილური ოჯახები, მაგრამ ისინი იღწვიან ამ ყველაფრის მისაღწევად ამქვეყნიური ფილოსოფიით და გადაწყვეტილებით, მიაღწიონ ამას ღვთის სიტყვისადმი მორჩილების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანებს არ შეუძლიათ სრულად დაიცვან საკუთარი კულტურა. ზოგი კულტურა უფრო მეტად არის ბიბლიური პრინციპების გავლენის ქვეშ, ვიდრე სხვა, მაგრამ არც ერთი ერის კულტურა არ არის მთლიანად ქრისტიანული.

► იქიდან გამომდინარე, რაც აქამდე შევისწავლეთ, რას ნიშნავს ის, რომ იესოს მოწაფეები არ არიან „ ქვეყნიერებისანი”?

ქრისტიანები არ მისდევენ ცოდვილ სურვილებს და ამბიციებს. მათ ყველაზე მეტად სურთ, რომ ღმერთს აამონ. მათი სიყვარული უფრო და უფრო იზრდება (ფილიპელთა 1:9-11). ღვთის რჯული მათ გულებზეა დაწერილი (იერემიას 31:33). ღმერთის მცნებები არ არის მძიმე ქრისტიანებისთვის, არამედ სასიამოვნოა (1 იოანეს 5:1-3; ფსალმუნის 18:7-11). ქრისტიანებს აქვთ მარადიული პრიორიტეტები (მათეს 6:33). მათი ქცევა აჩვენებს, რომ მათ სურთ გაუძლონ ცდუნებას და იცხოვრონ ცოდვაზე გამარჯვებულებმა.

ამქვეყნიური ხალხი ფიქრობს, რომ ქრისტიანები უცნაურები არიან, რადგან მათ არ აინტერესებთ ისეთი რაღაცეები, რაც მათ (1 პეტრეს 4: 4). იესომ თქვა, რომ სამყაროს სძულს სულიერად განსხვავებული ადამიანები (იოანეს 17:14). ქვეყნიერება ეწინააღმდეგება მათ, ვინც მას არ ეკუთვნის. მათ არ ესმით, ეზიზღებათ სიმართლე და მსჯავრდადებულნი არიან თავიანთი ცოდვის გამო. ამიტომაც თქვა იესომ: „ქვეყნიერებაზე გასაჭირი გექნებათ” (იოანეს 16:33). პავლე მოციქულმა თქვა: "ასევე იქნება დევნილი ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსავად იცხოვროს ქრისტე იესოში" (2 ტიმოთეს 3:12).

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 2 კორინთელთა 6:14-18.

ბიბლია მოუწოდებს მორწმუნეებს, გამოირჩეოდნენ ქვეყნიერებისგან. ეს გამორჩეულობა იწყება პიროვნების დამოკიდებულებით, როგორც ეს ასწავლა იესომ მთაზე ქადაგებისას. აქ მან აღწერა ქრისტიანის დამოკიდებულება, როგორც თავმდაბალი, ცოდვის გამო წუხილის, თვინიერების, სიმართლის, წყალობის, გულის სიწმინდის, მშვიდობისა და დევნის გაძლების მზადყოფნის დამოკიდებულება. გამორჩეული *დამოკიდებულება* გამოიწვევს განსხვავებულ *ქცევას*. მაგალითად, ქრისტიანებს არ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ პარტნიორული დამოკიდებულება, რომელიც მათგან არასწორი ქმედების ჩადენას მოითხოვს. ღმერთი გვპირდება, იყოს მამა მათთვის, ვინც გამოირჩევა და განსხვავდება ქვეყნიერებისგან. გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვნახეთ მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ქვეყნიერების მეგობარი არის ღვთის მტერი (იაკობის 4: 4).

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს მათეს 5:13-16.

ქვეყნიერებისგან განსხვავებული და განცალკევება არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანები უნდა გამოეყონ საზოგადოებას და შექმნან საკუთარი თემები. იესომ თქვა, არ გევედრები, რომ ქვეყნიერებიდან წაიყვანო მოწაფეები (იოანეს 17:15). მან ასევე თქვა, რომ მისი მოწაფეები არიან მარილი და ნათელი ქვეყნიერებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა იყვნენ საზოგადოებაში და უნდა იყვნენ ხილულად. ქრისტიანი უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილეობა მოითხოვს მისგან რაიმე არასწორი საქციელის ჩადენას.

ჯერალდ სიტცერი მოგვითხრობს, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს ადრეულ ქრისტიანობაში:

> არისტიდესმა, ათენელმა ფილოსოფოსმა, რომელიც ... ცხოვრობდა მეორე საუკუნეში, ჩამოთვალა რიგი ატრიბუტები, რომლებიც განასხვავებს ქრისტიანებს დანარჩენი მოსახლეობისგან. მან აღნიშნა, რომ ქრისტიანები განასახიერებენ ერთგულებას, სიმართლეს, კმაყოფილებას, მშობლების პატივისცემას, მოყვასისადმი სიყვარულს, სიწმინდეს, დევნის წინაშე მოთმინებას და სიკეთეს უცხო ადამიანების მიმართ. ისინი ზრუნავენ ქვრივებზე და ობლებზე. ისინი მონებსაც უჩვეულო სიკეთით ეპყრობიან. "ნებისმიერი მონა, კაცია თუ ქალი ... მათ არწმუნებენ, რომ გახდნენ ქრისტიანები სიყვარულის გამო, რომელსაც ავლენენ მათდამი. თუ ისინი

გახდებიან ქრისტიანები, ისინი გახდებიან ძმები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე."[1]

ნამდვილი (წრფელი) რწმენა

იაკობის წერილი ხაზს უსვამს იმას, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა ვლინდება ცხოვრებაში. იაკობმა თქვა, რომ ადამიანი, ვინც ისმენს ღვთის სიტყვას და არ ასრულებს მას, თავს იტყუებს (1:22). ზოგი ფიქრობს, რომ სხვებზე უკეთესია, რადგან მათ უფრო მეტი ქრისტიანული ჭეშმარიტება იციან - თუმცაღა არ ემორჩილებიან მას - მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

იაკობმა თქვა, რომ ზოგი ადამიანი რელიგიურია, მაგრამ მათი რელიგია არაფრის მომცემია. ღმერთს ესიამოვნება იმ ადამიანის რელიგია, რომელიც აკმაყოფილებს სხვების საჭიროებებს და თავს ინახავს სუფთად და შეურყვნელად ქვეყნიერებისაგან (1:27).

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იაკობის 2:14-26.

არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ რადგან ხსნა მიიღება რწმენით და არა საქმით, ჩვენს ქცევას მნიშვნელობა არ აქვს. ისინი თვლიან, რომ შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს გადამრჩენი რწმენა მაშინაც კი, თუ მისი დამოკიდებულება და ცხოვრების წესი ურწმუნოსას ჰგავს. იაკობის წერილში მოცემული მონაკვეთი საუბრობს ასეთ ადამიანებზე.

იაკობი ამბობს, რომ *რწმენა* არ არის საკმარისი; დემონებსაც კი აქვთ რწმენა, მაგრამ ისინი არ არიან სწორ ურთიერთობაში ღმერთთან (მე-19 მუხლი). ადამიანი, რომელსაც სწამს ღმერთი, მაგრამ არ ემორჩილება მას, ჰგავს ადამიანს, რომელიც ისმენს სახარებას, მაგრამ არ ინანიებს.

მნიშვნელოვანია აიხსნას 21 და 24 მუხლები. ისინი ამბობენ, რომ აბრაამი გამართლდა საქმეებით და რომ ადამიანი გამართლებულია საქმეებითა და რწმენით ერთად. როგორც ჩანს, ეს ეწინააღმდეგება სხვა წერილებს, რომლებიც ხაზს უსვამენ იმას, რომ ადამიანი გადარჩება მხოლოდ მადლით და არა საქმით.[2] ტერმინში - *გამართლებული*, იაკობი არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი გადარჩება რწმენით და საქმეებით, არამედ რომ ადამიანი ნაჩვენებია გადარჩენილად, რწმენითა და საქმეებით. ის არ იქნება გადარჩენილი საქმეებით, მაგრამ თუ ის არ ცხოვრობს როგორც ქრისტიანი, არც მას აქვს გადამრჩენელი რწმენა. იაკობი ამბობს, რომ

[1] იქვე, 54
[2] ეფესელთა 2:8-9, გალატელთა 2:16, რომაელთა 3:28

ადამიანის რწმენა მკვდარია, თუ მისი სიცოცხლე არ ემთხვევა მის რწმენას (26-ე მუხლი).

იაკობმა თქვა, რომ როგორც შეუძლებელია ერთმა ხემ გამოიღოს ორი სახეობის ნაყოფი, და ერთ წყაროს არ შეუძლია ორი სახის წყლის მიცემა, ასევე ადამიანს არ უნდა შეეძლოს წარმოთქვას ერთი და იმავე პირიდან კურთხევაც და წყევლაც (3:9-12). ადამიანის ქცევა მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს მის ქრისტიანულ რწმენას.

სისრულის/ სრულყოფილების/ მთლიანობის კონცეფცია

რომაელთა 2:21-24-ში პავლე მიმართავს ებრაელებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ისინი წარმართებზე მაღლა იდგნენ, რადგან მათ წმინდა წერილი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ემორჩილებოდნენ მას. მან იკითხა: „თქვენ, ვინც ამბობთ, რომ ადამიანმა არ უნდა მოიპაროსო; იპარავთ?" მან თქვა: "ამაყობთ იმით, რომ გაქვთ რჯული, მაგრამ შეურაცხყოფთ ღმერთს მისი დარღვევით." იმ ფაქტმა, რომ ისინი განადიდებდნენ საკუთარ თავებს, როგორც რელიგიური ადამიანები, მაგრამ არ ჰქონდათ კარგი რეპუტაცია, განაპირობა წარმართების მიერ ღმერთის და წმინდა წერილის გმობა.

ინგლისური სიტყვა (integrity) ითარგმნება, როგორც *სისრულე, სრულყოფილება, მთლიანობა*, მოდის სიტყვიდან *ინტეგრირება*. ინტეგრირება ნიშნავს, რომ რაღაც თანმიმდევრული იყოს მთელ სისტემაში. მაგალითად, ადამიანი, რომელიც არის პატიოსანი, ინტეგრირებს პატიოსნებას მთელს თავის ქცევასა და მეტყველებაში. ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ არის პატიოსანი, მაგრამ აკეთებს რაღაც არაკეთილსინდისიერს, არ აქვს სისრულე, მთლიანობა.

ტერმინი მთლიანობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის ხასიათის მიმართ. ზოგიერთ ენაზე ტერმინი ასევე გამოიყენება სხვა საგნების აღსაწერად, როგორიცაა შენობის სტრუქტურა.

► როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს შენობის სტრუქტურის მთლიანობა?

ის მნიშვნელოვანია შენობის მდგრადობისთვის. მან უნდა გაუძლოს საკუთარ წონას და ნებისმიერი მოქმედების წონას, რომელიც ხდება მის შიგნით. ჩამონგრევის შემთხვევაში, ადამიანები და ქონება შეიძლება დაზარალდეს და შენობის ღირებულება დაეცემა. შენობის მთლიანობა ნიშნავს იმას, რომ ძლიერი კონსტრუქციის პრინციპები გამოიყენება მთელ სტრუქტურაში.

ის ასევე აუცილებელია იმისთვის, რომ შენობა დიდხანს იდგეს. ადამიანს, რომელიც აშენებს სახლს, იმედი აქვს, რომ ის მთელი მისი ცხოვრება გაძლებს და

იდგება. სამთავრობო ან მსხვილი ბიზნესისათვის განკუთვნილი შენობები მოითხოვს დიდ ინვესტიციებს და შეიძლება რამდენიმე თაობას გაუძლოს.

თუ შენობა იწყებს დახრას ან დანგრევას, ეს იმიტომ ხდება, რომ მას არ გააჩნია მთლიანობა. ზოგჯერ შენობა დაზიანებულია მიწისძვრის შედეგად და მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ დგას, ის არ არის უსაფრთხო. მას არ გააჩნია, ან დარღვეული აქვს მთლიანობა.

სანამ მნიშვნელოვანი შენობის მშენებლობა დაიწყება, არის გეგმა - ნახაზი დეტალებით. ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალებია ის, თუ როგორ უნდა იყოს შენობა საკმარისად ძლიერი, რომ მყარად იდგეს. შენობის ნაწილები უნდა იყოს დაკავშირებული და დაყრდნობილი ერთმანეთზე.

მშენებლისთვის მნიშვნელოვანია მიჰყვეს გეგმას, როდესაც ის აშენებს. თუ ის შეამცირებს ხარჯებს კოსტრუქციისთვის აუცილებელი ნაწილების მოკლებით, შენობა არ იქნება უსაფრთხო.

► რას ნიშნავს ადამიანისთვის მთლიანობა?

იესომ გამოიყენა შენობის მთლიანობის მაგალითი. მისი თქმით, ადამიანი, რომელიც ისმენს და ემორჩილება ღმერთს, ჰგავს ადამიანს, რომელიც აშენებს თავის სახლს კლდეზე. ეს სახლი გაუძლებს, როდესაც ქარიშხალი მოვა. ადამიანი, რომელიც არ ემორჩილება ღმერთს, ჰგავს ადამიანს, რომელიც აშენებს თავის სახლს ქვიშაზე. არ არის საკმარისი ჭეშმარიტების მხოლოდ მოსმენა და ცოდნა.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იაკობის 1:22-25.

იაკობი ამბობს, ადამიანი თავს იტყუებს, თუ ისმენს ღვთის სიტყვას, მაგრამ არ ასრულებს მას. ის გულისხმობს ადამიანს, რომელიც თვლის, რომ კარგი პიროვნებაა, რადგან იცის ბიბლიური ჭეშმარიტება, თუმცა ყოველთვის არ ხელმძღვანელობს მისით. ამ ადამიანს არ აქვს მთლიანობა.

იაკობი ამბობს, რომ როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ღვთის სიტყვას, ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ ადამიანს, რომელიც სარკეში იყურება, მაგრამ არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რას ხედავს იქ. ღვთის ჭეშმარიტება გარდამქმნელია. როდესაც ჩვენ ვუყურებთ ღვთის სიტყვას, ჩვენ ვხედავთ ჩვენს ნაკლოვანებებს და ჩვენ უნდა მივცეთ უფლება ღმერთს შეცვალოს ჩვენი ხასიათი და ქცევა, რათა შეესაბამებოდეს ღვთის ჭეშმარიტებას.

მთლიანობა ვლინდება ცხოვრების სტილში. ადამიანი ვერ უნდა იყოს კმაყოფილი საკუთარი თავით, როდესაც ხვდება, რომ მისი დამოკიდებულება ან ქცევა, არ შეესაბამება ღმერთის ჭეშმარიტებას.

ნაყოფით გამოცდა

იესომ თქვა, რომ ბევრი ცრუ წინასწარმეტყველი იქნება. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც სურთ რელიგიური ხელმძღვანელობის სტატუსი ან სურთ მსახურების საქმიანობა, მაგრამ მათ არ აქვთ ქრისტიანული ხასიათი. მან თქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია მათი ამოცნობა მათი ნაყოფით (მათეს 7:15-18). ნაყოფი არ ნიშნავს წარმატებას. *ნაყოფი არის ხის ბუნების ბუნებრივი გამოხატულება*. ადამიანის ნაყოფი არის მისი შინაგანი ხასიათის გამოხატვა თავისი ცხოვრებით. თუ ადამიანს არ აქვს სულის ნაყოფები (გალატელთა 5:22-23; 1 კორინთელთა 13), ან ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობს, მას აქვს ცოდვილი ხასიათი და არ არის ჭეშმარიტი სულიერი ლიდერი (1 კორინთელთა 6:9-10; 2 კორინთელთა 11:13-15).

პეტრე მოციქულმა თქვა, რომ მორწმუნეებს არ უნდა აკონტროლებდეს თავიანთი ძველი სურვილები, არამედ იყვნენ წმინდანი ყველაფერში, რასაც აკეთებენ (1 პეტრეს 1:14-15).

კარგი ნაყოფი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ესმის როგორ გამოიყენოს სრულყოფილად, ყველა ქრისტიანული პრინციპი მის ქცევაში. ჩვენ ყველანი ვართ ღვთის ჭეშმარიტების შესწავლის პროცესში. ბაღში მომუშავე ბავშვმა შეიძლება შეცდომით არასწორი მცენარე მოწყვიტოს. ღმერთი არ გვსჯის გულწრფელი შეცდომების გამო. თუმცა, მადლი არ პატიობს ადამიანს, თუ ის უარს ამბობს ცოდვის მონანიებაზე. მოციქული იოანე გვეუბნება, რომ ადამიანი განიწმინდება, როდესაც ის „ნათელში დადის" და ცხოვრობს ჭეშმარიტების მიხედვით (1 იოანეს 1:7).

მთლიანობა ლიდერობაში

ლიდერები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სხვებმა არ უნდა მიიღონ. ლიდერის პასუხისმგებლობა და შესაძლებლობები ქმნის ბევრ შესაძლებლობას ცდუნებისთვის. ლიდერის გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გავლენას ახდენენ ბევრ სხვა ადამიანზე.

მსახურების ლიდერს უნდა ახსოვდეს, რომ ის, იესოს მაგალითის შესაბამისად, მოწოდებულია ემსახუროს ღმერთს და ხალხს. მისი მიზანი არ უნდა იყოს გახდეს სახელგანთქმული ადამიანი, რომელსაც სხვები აქებენ და ემსახურებიან.

თუ მრევლში უამრავი ადამიანია, რომლებიც არ არიან ღვთის გულწრფელი თაყვანისმცემლები, ისინი ცდილობენ თაყვანისცემიდან შესრულებაზე გადაიტანონ ყურადღება. ეს ადამიანები ნიჭზე უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე სულიერებაზე. მათ სურთ შემსრულებლები, რომ წარმართონ თაყვანისცემის მსახურება და არა ჭეშმარიტი სულიერი ლიდერები. მათ ართობთ მგრძნობიარე შესრულება. ისინი მზად არიან დაიქირაონ მოუქცეველი მუსიკოსები, რომლებიც ასევე, გამოდიან და უკრავენ დისკოთეკებზე და შეუფერებელნი არიან თაყვანისცემაში მონაწილეობისთვის. პასტორმა უნდა დაიცვას ეკლესიის თაყვანისცემა ისე, რომ ის იზიდავდეს და ემსახურებოდეს ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს.[3]

► თუ ადამიანი კვირა დილით ეწვევა ეკლესიას და დაინახავს იმავე მუსიკოსებს, რომლებიც შაბათს საღამოს დისკოთეკაზე ნახა, რას იფიქრებს ეკლესიაზე?

ლიდერს შეიძლება ჰქონდეს ცდუნება, ჩათვალოს თავი მორალის ჩვეულებრივი წესებისგან გათავისუფლებულად. ზოგიერთ პასტორს არასათანადო ურთიერთობა აქვს მათ მრევლში მყოფ ქალებთან ან მამაკაცებთან, ისეთივე როგორც ამქვეყნიურ ლიდერებს აქვთ მათ კულტურაში. ზოგიერთი ეკლესია დაუმსახურებლად იტანს პასტორთა ამორალურ საქციელს მათი სტატუსის გამო.

პასტორს შეიძლება ჰქონდეს ცდუნება სჯეროდეს, რომ ეკლესია მისი კუთვნილებაა. თუ ის ასე ფიქრობს, ის დააყენებს ადამიანებს პოზიციებზე, რადგან ისინი მისი ერთგულები არიან და არა იმიტომ, რომ ისინი საქმეს ასრულებენ კარგად. ამგვარი პასტორი უპირატესობას ნათესავებს ანიჭებს და სურს აირჩიოს, ვინ დაიმკვიდრებს ეკლესიას მის შემდეგ. ის ფარავს ეკლესიაში თავისი მიმდევრების ცოდვებს და შეცდომებს. ის ეკლესიის ფულსა და ქონებას ისე ექცევა, თითქოს მისი იყოს.

ეკლესიის მოწმე

ეკლესია შეიძლება გაირყნას, თუკი იქ არ იქნება მოთხოვნილი მთლიანობა. როდესაც მრევლი იზიარებს ქვეყნიერების სურვილებს, ისინი იღებენ ლიდერებს, რომლებიც ქვეყნიერებას ჰგვანან. ისინი ითმენენ თავიანთი რელიგიური წინამძღოლების ცოდვას. გულწრფელი ქრისტიანებიც კი შეიძლება მიჰყვნენ ცოდვილ ლიდერებს, რადგან მათ არ ესმით მთლიანობისა და კარგი ნაყოფის

[3] ქრისტიანული თაყვანისცემის სრულად შესასწავლად იხილეთ Shepherds Global Classroom კურსი შესავალი ქრისტიანული თაყვანისცემისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://www.shepherdsglobal.org/courses

აუცილებლობა. როდესაც ასე ხდება, ამქვეყნიური ხალხი აკონტროლებს ეკლესიას და ის კარგავს თავის მოწმობას.

პეტრე გვაფრთხილებს, რომ ცრუ სულიერი წინამძღოლები შეასრულებენ ეკლესიაში საქმეს (2 პეტრეს 2:3). როდესაც ეკლესია პოპულარული ხდება მის საზოგადოებაში, ამქვეყნიური ადამიანები ინტერესდებიან ეკლესიაში სტატუსის მოპოვებით. ისინი სწავლობენ თაყვანისცემის ფორმებს და რელიგიურ წინამძღოლობას ქრისტიანობის გარეშე. ეკლესია, რომელსაც არ გააჩნია კარგი მოძღვრება, ვერ ამოიცნობს მათ.[4]

იესომ მარილის მაგალითი გამოიყენა იმის ასახსნელად, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ეკლესია კარგავს თავის გამორჩეულობას (მათეს 5:13). მარილი, რომელიც კარგავს თავის მარილიანობას, არაფრით ჯობია ქვიშას ან ხრეშს.

როდესაც ეკლესია ემსგავსება საზოგადოებას, ის ვეღარ შეცვლის მას.

ქვეყნიერება დასცინის ეკლესიას, როდესაც ის მიჰყვება ქვეყნიერების მაგალითებს და არ მისდევს ბიბლიურ ჭეშმარიტებას.

წარმოადგენს ღმერთს

თეოლოგია არის ჩვენი ქრისტიანული შეხედულებების სისტემა, მათ შორის მოძღვრებები ღმერთის, კაცობრიობის, ცოდვის, ქრისტესა და ხსნის შესახებ. ჩვენი რწმენა ღმერთის შესახებ არის ყველა სხვა რწმენის საფუძველი.

როდესაც ღმერთმა დაიწყო საკუთარი თავის გამოვლენა, მისი გამოცხადების პირველი მიზანი იყო იმის ჩვენება, თუ როგორი ღმერთია ის. ღმერთმა თავისი თავი დაახასიათა უპირველესად როგორც *წმიდა*. ებრაული სიტყვა სიწმიდე (ქადოშ) ძველ აღთქმაში 600 -ზე მეტჯერ გვხვდება. მაგალითად, ესაიამ არაერთხელ მოიხსენია ღმერთი, როგორც „ისრაელის წმიდა." ღვთის სიწმიდე იყო თაყვანისცემის თემა (ფსალმუნის 98:3,5). ღვთის ხალხი თაყვანს სცემდა მას არა მხოლოდ მისი ძალაუფლების, არამედ მისი სიწმიდის გამო.

ღმერთმა ასევე გამოავლინა თავი *სიყვარულის* სახით. ძველ აღთქმაში უპირატესი მონაკვეთი, სადაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს და ისრაელს, არის გამოსვლის 34: 6-7. იქ ღმერთი აღწერს საკუთარ თავს, როგორც: „... შემბრალებელი და მოწყალე, სულგრძელი და დიდმადლიანი, და ჭეშმარიტი, შემნახავი წყალობისა ათასეულებისათვის, შემნდობი ბრალისა, დანაშაულისა და ცოდვისა. თუმცა ის

[4] 2 პეტრეს მე-2 თავი და იუდას წიგნი დაწერილია სულიერი ცრუ წინამძღოლების თემაზე.

დასასჯელს არ გაუშვებს დაუსჯელად...”[5] მნიშვნელოვანია განვიხილოთ ღვთის სიწმიდე და სიყვარული ერთად. ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება ღვთის ბუნების აღსაწერად არის „წმიდა სიყვარული.” რადგან ღმერთი წმიდაა, ის მოითხოვს სიწმიდეს ჩვენშიც; რადგან ღმერთი სიყვარულია, მან მოგვცა გზა, რომ გავხდეთ წმიდა, როგორც ის არის წმიდა.

ღმერთის სიწმიდემ აჩვენა, რომ ადამიანები არ არიან შესაფერისნი ემსახურონ და თაყვანი სცენ ღმერთს, მადლის მიერი გარდაქმნის გარეშე. წინასწარმეტყველმა ესაიამ დაინახა, რომ მას რაღაც საერთო ჰქონდა ცოდვილებთან, რომლებსაც ის უქადაგებდა - მას ჰქონდა უწმინდური გული (ესაიას 6:5). “უწმიდური ბაგეები” წარმოადგენს არასწორ სიტყვებს და მოქმედებებს, რომელიც მომდინარეობს უწმინდური გულიდან. ამ უწმინდურებამ ესაია გამოუსადეგარი გახადა ღვთის თანდასწრებისთვის. ესაია არ ცდილობდა თავისი მდგომარეობის გამართლებას და არც ღმერთი. ღმერთმა წინასწარმეტყველის აღსარებას მადლით უპასუხა; არა დაშვებული მადლით, არამედ განწმედილი და გარდაქმნილი მადლით (ესაიას 6:6-7).

ისრაელის ღმერთი განსხვავებული იყო ცრუ ღმერთებისგან და მოითხოვდა სხვა სახის თაყვანისცემას. 23-ე ფსალმუნში მეფე დავითმა დასვა კითხვა: "ვინ ავა უფლის მთაზე? ან ვინ დადგება მის წმიდა ადგილზე?" (მე-3 მუხლი). ის კითხულობს: „ვის ღებულობს ღმერთი თაყვანისმცემლად?” შემდეგ თავად პასუხობს: “ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სპეტაკი” (მე-4 მუხლი). ყველა არ არის მიღებული ღვთის თაყვანისმცემლად. თაყვანისმცემელი არ არის უბრალოდ ადამიანი, რომელსაც შეუძლია ხელების აპყრობა და ემოციების განცდა. ცოდვილი ადამიანი არ მიესადაგება.[6]

ღმერთმა თქვა, რომ მისი სიწმიდე არის მისი მოთხოვნის საფუძველი, რომ თაყვანისმცემლები იყვნენ წმიდანი. “იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე” (ლევიანების 11:44-45, 19:2, 20:26, 21:8). უფალი არ იყო, ისეთივე ღმერთი, როგორც ძველი აღმოსავლური ღვთაებები ან გვიანდელი ბერძნული და რომაული მითოლოგიის ღმერთები. მითები იმ ღმერთების შესახებ, აღწერდნენ მათ გარყვნილებად, მატყუარებად და სასტიკებად. ამ ღმერთებს ჰქონდათ ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელი ყველა ნაკლი. კედელზე ასახული ჩრდილების მსგავსად, ისინი წარმოადგენდნენ ადამიანის გადაჭარბებულ, დამახინჯებულ

[5] *ახალი საერთაშორისო ვერსია*

[6] ქრისტიანული თაყვანისცემის სრულად შესასწავლად იხილეთ Shepherds Global Classroom კურსი შესავალი ქრისტიანული თაყვანისცემისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://www.shepherdsglobal.org/courses

გამოსახულებას. ეს ღმერთები არ მოითხოვდნენ ზნეობრივ, ან ხასიათის სტანდარტებს და მათი თაყვანისმცემლები იყვნენ ბოროტები და სასტიკები.

ისრაელის ღმერთი არ არის ადამიანის გამოსახულების პროექცია. ის არ არის წარმოსახვითი, მან გამოუვლინა თავი ადამიანებს. ის განსხვავებულია და ამიტომ მისი თაყვანისმცემლებიც განსხვავებულები უნდა იყვნენ.

ღვთის სტანდარტი მეორდება ახალ აღთქმაშიც: „არამედ იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან წერია: „იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე "(1 პეტრეს 1:15-16). *საუბარი* არის სიტყვა, რომელიც ეხება დამოკიდებულებებს, მანერებს, ქცევას - ცხოვრების ყველა ნაწილში. ღმერთი არ ითხოვს, რომ მისი თაყვანისმცემლები მხოლოდ ფორმალურად იყვნენ წმიდები, ან ეწოდოთ "წმიდა" მაშინ, როდესაც სინამდვილეში არ არიან. ის ელოდება, რომ მისი თაყვანისმცემლები ნამდვილად წმინდა ცხოვრებით იცხოვრებენ.

ჩვენი დამოკიდებულება და ქცევა აჩვენებს რას ვფიქრობთ ღმერთზე და როგორი ურთიერთობა გვაქვს მასთან. მოციქულმა პავლემ თქვა, რომ ებრაელები, რომლებიც ამაყობდნენ ღვთის რჯულის დაცვით, შეურაცხყოფდნენ ღმერთს მისი დარღვევით. მათი საქციელის გამო, ადამიანები გმობდნენ მათ და მათ ღმერთს (რომაელთა 2:23-24).

როგორი ღმერთის წარმომადგენელი ხარ? რას ფიქრობენ ადამიანები, როგორია შენი ღმერთი? თუ გსურთ ხალხმა იცოდეს, რომ ღმერთი წმიდაა, ასევე მიმტევებელი და მოწყალე, მათ უნდა დაინახონ, რომ თქვენ ხართ ასეთი.

ეკლესიებს სჭირდებათ, რომ მათმა პასტორებმა ასწავლონ თანმიმდევრული და საფუძვლიანი მოძღვრება. პასტორმა არ უნდა უგულებელყოს ძირითადი მოძღვრება. ყველა თაობამ და ყველა ახალმოქცეულმა უნდა მოისმინოს ის. ზრდასრულ ქრისტიანებსაც კი ესაჭიროებათ შეხსენება. პასტორის ქადაგებები არ უნდა იყოს მხოლოდ ემოციური, დინამიური, ამაღელვებელი გამოსვლები. მან უნდა აღწეროს ღმერთი და აღწეროს, თუ როგორ უნდა შეესაბამებოდეს ქრისტიანული ცხოვრება ღვთის ბიბლიურ კონცეფციას ყოველ დეტალში.

ეკლესიამ უნდა შეცვალოს საზოგადოება და კულტურა, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ბიბლიური კონცეფცია ღვთის შესახებ, გამოყენებულ იქნება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► რა ცნებები იყო ამ გაკვეთილზე თქვენთვის ახალი? როგორ აპირებთ ქრისტიანული ცხოვრებისადმი თქვენი მიდგომის შეცვლას?

► როგორ ფიქრობთ, რა კონცეფციას უგულებელყოფენ თქვენი კულტურის ეკლესიებში? როგორ აუხსნით ამ ცნებას ნაცნობებს?

ლოცვა

ზეციერი მამა,

მინდა პატივი მოგაგო ჩემი ცხოვრებით, რომელიც შესაბამისი იქნება შენს ბუნებასთან. მე მინდა წარმოგადგენდე იმ სამყაროში, რომელიც არ გემორჩილება შენ.

გახადე ჩემი ცხოვრება შენი ჭეშმარიტების შესაბამისი. დამეხმარე, რომ მზად ვიყო შევცვალო ყველაფერი ის, რაც არ უნდა იყოს ქრისტიანის ცხოვრების ნაწილი.

მადლობა შენი გამამხნევებელი სულისა და გარდამქმნელი მადლისთვის.

ამინ

გაკვეთილი 1 დავალებები

(1) დაწერეთ აბზაცი ამქვეყნიური ღირებულების შესახებ, რომელმაც გავლენა მოახდინა თქვენს აზროვნებაზე ან ქცევაზე ახლო წარსულში. შემდეგ იპოვეთ ორი მონაკვეთი წმინდა წერილიდან, რომლებიც ეხება ცხოვრების ამ ნაწილს და ჩაწერეთ ისინი. დაწერეთ აბზაცი იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლიათ დაიწყოთ ცხოვრება ამ წმინდა წერილების მიმართ მორჩილებით.

(2) შეისწავლეთ ტიტეს 2:11-14. ამ მონაკვეთის საფუძველზე მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია ქრისტიანული მთლიანობის შესახებ. გამოიყენეთ ეს მონაკვეთი იმის ასახსნელად, თუ რატომ უნდა იქნას გამოყენებული ბიბლიური ჭეშმარიტება ცხოვრებისეულ დეტალებში. გაუზიარეთ ეს პრეზენტაცია მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში.

გაკვეთილი 2
ღვთისადმი მორჩილების პრაქტიკაში გატარება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) შეისწავლოს პრაქტიკული ურთიერთკავშირი ქრისტიანულ სიყვარულსა და ქრისტიანის პირად ცხოვრებას შორის.
(2) მოიფიქროს ათი სფერო, რომლებშიც მორწმუნეებმა უფრო მეტად უნდა შეათანხმონ თავიანთი ცხოვრება ბიბლიურ პრინციპებთან.
(3) ახსნას სულ მცირე ორი მიზეზი, რატომ აქვთ განსხვავებული აზრი ქრისტიანებს ბიბლიური პრინციპების პირად გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც ცხოვრების წესის საკითხებს ეხება.
(4) შეაჯამოს ცხრა პრინციპი (მოცემულია ტექსტში) ცხოვრების წესის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

მორჩილი ვაჟი

აფრიკელი დედა გარეთ გამოვიდა, რათა შეემოწმებინა თავისი პატარა ვაჟი, რომელიც ხის ქვეშ თამაშობდა. ის შეძრწუნდა, როდესაც დაინახა დიდი შხამიანი გველი, რომელიც ხეზე ეკიდა, პირდაპირ მისი ვაჟის თავზე. გველი, თითქოს კბენას უპირებდა ბიჭს. დედამ იცოდა, რომ თუ ის შეეცდებოდა შვილის გაფრთხილებას, ის მაღლა აიხედებოდა, ნაცვლად იმისა, რომ სწრაფად გაცლოდა ამ ხეს. ახსნის ნაცვლად, მან დაუძახა მას: „შვილო, ახლავე მიწაზე დაეშვი." ბიჭი დაიბნა, მაგრამ რადგან მას ასწავლეს მორჩილება, ის ასეც მოიქცა. შემდეგ დედამისმა უთხრა: „დარჩი დაბლა და ჩემსკენ გამოხოხდი." ის კვლავ დაემორჩილა და უსაფრთხოდ დააღწია გველს თავი.

რატომ დაემორჩილა ბიჭი ბრძანებას, მიზეზის გაგების გარეშე? ის პატივს სცემდა დედას, რადგან მას უკვე ასწავლეს მორჩილება და მას შეუსწორეს, როდესაც არ ემორჩილებოდა. ის ასევე ენდობოდა დედას, რადგან იცოდა, რომ დედას უყვარდა. ჩვენ სრულად უნდა დავემორჩილოთ ღმერთს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვეშინია მისი შესწორებების, არამედ იმიტომ, რომ ვიცით, რომ მას ვუყვარვართ.

სიყვარულის მოტივაცია

► რა იქნებოდა შედეგად, თუ ადამიანს ღმერთი უფრო მეტად ეყვარებოდა? თქვენ შეგიძლიათ აწონ-დაწონოთ კითხვა და მომდევნო განაცხადი დაასრულოთ: „მე რომ უფრო მეტად მიყვარდეს ღმერთი, მაშინ მე...”

ღვთისადმი მეტი სიყვარულის ერთ-ერთი შედეგი აღწერილია ფილიპელთა 1:9-11-ში:

> ამაზე ვლოცულობ, რომ უფრო და უფრო გაიზარდოს თქვენი სიყვარული შეცნობასა და ყველაფრის გაგებაში, რათა აირჩიოთ უმჯობესი და იყოთ წრფელნი და შეუბღალავნი ქრისტეს დღეს, სიმართლის ნაყოფით აღვსილნი იესო ქრისტეს მიერ ღმერთის სადიდებლად და საქებრად.

ეს მუხლები საუბრობს მორწმუნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესზე. მისი სიყვარული მუდმივად მზარდი უნდა იყოს. რაც უფრო იზრდება მისი სიყვარული ღმერთისადმი, მით უფრო ძლიერდება და ფართოვდება მისი უნარი ამოიცნოს რა არის საუკეთესო. როდესაც ის ხვდება რა არის საუკეთესო, ის ადაპტირებს მის ცხოვრებას, რათა კონცენტრირდეს იმაზე, რაც საუკეთესოა. ეს უნდა ხდებოდეს იმისთვის, რომ ქრისტიანი იყოს გულწრფელი და დანაშაულის გარეშე.

ისევე, როგორც ახალშობილ ბავშვს წინ აქვს მთელი ცხოვრება სწავლისთვის და განვითარებისთვის, ასევე ჩვენც, ზეციდან შობის შემდეგ, არ გვესმის მთელი ჭეშმარიტება, რომელიც უნდა წარმართავდეს ჩვენს ცხოვრებას. ზემოხსენებულ მუხლებში პავლე წერდა ადამიანებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია ქრისტიანები იყვნენ. თუმცა, პავლე ლოცულობდა, რომ მათ განეგრძოთ ღმერთის მეტად შეყვარება, რათა ამ სიყვარულის წყალობით უკეთ გაეგოთ ღვთის ნება და დამორჩილებოდნენ მას.

ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ მუდმივად გავაუმჯობესებთ ჩვენს ცხოვრებას, რადგან ღმერთი იძლევა გამჭრიახობას. ღმერთს სურს ჩვენი სრული მორჩილება ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში და არა მხოლოდ რელიგიურ აღმსარებლობაში.

ჩვენ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ უკვე ვიცით ყველაფერი, რაც უნდა ვიცოდეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვიცხოვროთ. ჩვენ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენ შევიტანეთ ყველა საჭირო ცვლილება ჩვენს ცხოვრებაში.

ზოგიერთი სფერო, სადაც მორწმუნე უნდა ისწრაფოდეს სრულყოფისკენ

(1) სიფრთხილე ზემოქმედებისას (იგავების 22:1; მათეს 5:14-16)

არის ისეთი რამ, რასაც შენ აკეთებ, მაგრამ არ გინდა რომ სხვებმა გააკეთონ? იმედგაცრუებული დარჩებით, რომ ნახოთ რომ თქვენი პასტორი აკეთებს იმას, რასაც თქვენ აკეთებთ?

(2) თვითკონტროლი (იგავების 16:32, 25:28; გალატელთა 5:22-23)

საკმარისად აკონტროლებთ თქვენს გრძნობებსა და სურვილებს იმის გასაკეთებლად, რაც საჭიროა რომ გააკეთოთ, თუ ხანდახან ნებას აძლევთ თქვენს გრძნობებს გაიძულონ მოიქცეთ ისე, როგორც ურწმუნო?

(3) ჯანმრთელობაზე ზრუნვა (1 კორინთელთა 6:19, 10:31)

ზრუნავთ თუ არა თქვენს სხეულზე, როგორც შეუცვლელი ინსტრუმენტების ერთობლიობაზე, რომელიც ეძღვნება ღმერთს სამოქმედოდ? ვინაიდან თქვენი სხეული ღმერთს ეკუთვნის, ის არ უნდა დაზიანდეს. თქვენ არ უნდა მოექცეთ მას უყურადღებოდ.

(4) გართობის არჩევანი (კოლასელთა 3:17; 1 კორინთელთა 6:12)

თქვენს გართობას ცდუნებასთან ბრძოლაში ხომ არ შეყავხართ, რის გამოც არასწორი აზრები ან დამოკიდებულებები გიჩნდებათ? მოერიდეთ ყველაფერს, რაც ცოდვას მიმზიდველად ან სასაცილოდ წარმოაჩენს.

(5) მანერები (ქცევა) (რომაელთა 13:9; კოლასელთა 3:19; 1 ტიმოთეს 2:8; 1 პეტრეს 3:2)

მოექეცით სხვებს პატივისცემით, რადგან ადამიანები ღვთის ხატად არიან შექმნილნი და აქვთ მარადიული ბედი. ადამიანებს აქვთ ჩვევები თავაზიანობის გამოვლენისთვის. თქვენ უნდა ისწავლოთ იყოთ თავაზიანი ისე, როგორც ხალხისთვისაა მისაღები. იყავით კეთილი მაშინაც კი, როდესაც ვინმე ამას არ იმსახურებს.

(6) საქმიანი ეთიკა (იგავების 20:23)

აბსოლუტურად გულწრფელი ხართ ყველა საქმიან ურთიერთობებში? თქვენ საგნებს ზუსტად ისე აღწერთ, როგორც არის, თუ აიძულებთ ვინმეს იფიქროს ის, რაც სიმართლეს არ შეესაბამება?

(7) პუნქტუალურობა (გალატელთა 5:14)

დრო არის ღირებული რესურსი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ღმერთისთვის. აფასებთ თქვენს დროს და სხვების დროს, განრიგის დაცვით, როდესაც ეს შესაძლებელია?

(8) ჩაცმულობა (1 ტიმოთეს 2:9; 1 პეტრეს 3:3-4)

თქვენი ჩაცმულობა გამოხატავს ამ ღირებულებებს?

- წესიერება - სხეულის საკმარისად დაფარვა
- თავმდაბლობა - ხომ არ ცდილობთ მიიპყროთ ზედმეტი ყურადღება, ან აღფრთოვანება იმით, რაც გაცვიათ?
- მომჭირნეობა - ნუ შეიძენთ უფრო ძვირ ტანსაცმელს, ვიდრე გჭირდებათ

(9) ენა (კოლასელთა 4:6, ეფესელთა 4:29)

არის თქვენი საუბარი სუფთა და ზრდილობიანი ღმერთისა და სხვების მიმართ? ბევრი სიტყვა, რომელსაც ქვეყნიერება იყენებს წამოძახილის სახით, მოდის უხამსობიდან ან ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინებიდან.

(10) საიმედოობა (ფსალმუნის 61:8; იგავების 20:6, 28:20)

იცავთ ვალდებულებებს? შეიძლება ხალხი ელოდოს, რომ თქვენ გააკეთებთ იმას, რასაც ამბობთ? ივიწყებთ თქვენს დაპირებებს, თუ ისინი ხელსაყრელი არ არის?

ბევრი ადამიანი სერიოზულად არ აღიქვამს გაუმჯობესების აუცილებლობას. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ მხოლოდ წმინდა წერილის ადვილად გასაგებ ბრძანებებზე, არ ესმით, რომ ამ მცნებებს ბევრნაირი გამოყენება აქვს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ გაუმჯობესება უკავშირდება ღმერთისადმი ჩვენი სიყვარულის ზრდას. ჩვენ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ იმ მუხლებზე, რომლებითაც ეს გაკვეთილი დავიწყეთ (ფილიპელთა 1:9-11). თუ ჩვენი სიყვარული იზრდება, ჩვენი გამჭრიახობა და სწორი ქცევის არჩევანი უნდა გაუმჯობესდეს.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► რა ცვლილების მაგალითი შეგიძლიათ მოიყვანოთ, რაც გააკეთეთ თქვენს ცხოვრებაში, როდესაც ღმერთმა მიგანიშნათ, რომ თქვენი დამოკიდებულება, ჩვევა ან მოქმედება არ იყო საუკეთესო?

► არის რაიმე თქვენს ცხოვრების სტილში, რაც იცით რომ უნდა შეცვალოთ? შეცვლით?

► აკეთებთ ისეთ რამეს, რაც, დარწმუნებულები არ ხარ, რომ ესიამოვნება ღმერთს?

► მზად ხართ ნება მისცეთ ღმერთს, რომ ლოცვაში გაჩვენოთ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც თქვენ უნდა შეიტანოთ თქვეს ცხოვრებაში?

მოდით შევთანხმდეთ, ვილოცოთ ამ კვირაში გახსნილი გულით, რათა ღმერთმა დაგვანახოს თავისი ღირებულებები და ნებისმიერი ცვლილება, რაც მას სურს ჩვენს ცხოვრებაში. იღებთ ამის გაკეთების ვალდებულებას? მომავალ კვირას გკითხავთ, გააკეთეთ თუ არა.

ბიბლიური პრინციპების პირადი გამოყენება

► ოდესმე შეგიმჩნევიათ განსხვავებები ქრისტიანებს შორის, განსაკუთრებით პრაქტიკულ საკითხებში რას აკეთებენ და რას არა? რატომ არის ეს განსხვავებები, როდესაც ისინი ხელმძღვანელობენ ერთი და იმავე ბიბლიით? ვინაიდან ქრისტიანებს შორის ბევრი განსხვავებაა, მართლა აქვს მნიშვნელობა რას ვაკეთებთ? რატომ?

ყველა ქრისტიანი არ ეთანხმება დეტალებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ბიბლიური პრინციპებით და ღირებულებებით. თუმცა, ქრისტიანი სერიოზულად უნდა მოეკიდოს იმას, რომ იცხოვროს იმის შესაბამისად, რისიც სწამს.

ქცევა, გართობისა და ჩაცმულობის არჩევანი მეტყველებს რაღაცას გულის მიდრეკილებებზე.

აქ მოყვანილია რამოდენიმე პრინციპი, რომელიც ყველა მორწმუნეს უნდა ახსოვდეს, როდესაც ცდილობს გაარკვიოს, რა არის საუკეთესო ცხოვრებისეულ, კონკრეტულ საკითხებში.

ცხოვრების წესის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პრინციპები

(1) ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ბიბლიის ყველა მცნებას ქრისტიანებისთვის.

იესომ თქვა მათეს 5:19 -ში,

> ამრიგად, ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში, ხოლო ვინც აღასრულებს და ასწავლის, დიდი დაერქმევა ცათა სასუფეველში.

ჩვენ არ შეგვიძლია უბრალოდ ავარჩიოთ ის პუნქტები, რომლებიც ჩვენ მიგვაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად. წმინდა წერილის არცერთი მცნება არ არის იმდენად

უმნიშვნელო, რომ მისი იგნორირება მოვახდინოთ.

(2) ღვთის მცნებები ჩვენს სასარგებლოდ არის.

მეორე რჯულის 10:12-13,

> და ახლა, ისრაელ, რას ითხოვს შენგან უფალი, შენი ღმერთი? თუ არა იმას, რომ გეშინოდეს უფლისა, შენი ღმერთისა, იარო მისი გზებით, გიყვარდეს ის, და ემსახურო უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით, დაიცვა მცნებანი უფლისა და მისი წესები, რომელთაც გიბრძანებ დღეს შენს სასიკეთოდ?

ფსალმუნის 83:11,

> რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი. მადლისა და ღირსების მომნიჭებელია უფალი, სიკეთეს არ მოაკლებს უბიწოდ მოარულთ.

ღმერთი არ გვიმალავს რაიმე კარგს და არ გვავალებს იმას, რაც ჩვენთვის საზიანოა. ჩვენ უკეთესი ვერ ვიქნებოდით მისი შეზღუდვების გარეშე. მისი მითითებების უარყოფა ნიშნავს, ეჭვის შეტანას მის სიბრძნესა და სიყვარულში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ნამდვილად გვწამს ღმერთის სიკეთისა და სიბრძნის, როდესაც ვემორჩილებით მისი სიტყვის მითითებებს და არ მივდევთ ადამიანურ იდეებს.

(3) ქრისტიანული თავისუფლება არ არის ღმერთისადმი მორჩილებისგან თავისუფლება.

პავლემ ეს მისწერა ქრისტიანებს, 1 კორინთელთა 9:21-ში:

> ურჯულოთათვის [მოსეს რჯულის გარეშე მყოფთათვის] გავხდი [ვცხოვრობდი] როგორც ურჯულო, თუმცა ღმერთის წინაშე არა ვარ ურჯულო, არამედ ქრისტეს რჯულის ქვეშ მყოფი, რათა ურჯულოები შემეძინა.

ჩვენ თავისუფალნი ვართ რჯულისგან, როგორც გამართლების საშუალებისგან, როგორც მოსეს სისტემის, ასევე ღვთის მორალური მოთხოვნების მხრივ, რადგან ჩვენ დახსნილნი ვართ მადლით და არა ღვთის მცნებების შესრულებით. ჩვენ ასევე გავთავისუფლდით რჯულის მსჯავრდადებისგან, რადგან ჩვენი ჩადენილი ცოდვები მიტევებულია.

თუმცა, ჩვენ არ ვართ განთავისუფლებულნი ღმერთისადმი მორჩილების მოთხოვნისგან ან სიყვარულის ვალდებულებისგან, "თქვენ თავისუფლებისათვის

ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ უნდა გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს "(გალატელთა 5:13).[7] როგორც 1 კორინთელთა 9:21 (ზემოთ) გვიჩვენებს, ჩვენ ღვთის ძალაუფლების ქვეშ ვართ. მისი ნება ჩვენთვის, ბიბლიაშია გამოვლენილი.

ლეგალიზმი (კანონიერება) არის სპეციალური ტერმინი, რომელსაც ადამიანები ზოგჯერ იყენებენ, როდესაც განიხილავენ ღმერთის მორჩილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მნიშვნელოვანია გვესმოდეს ამ სიტყვის სწორი განმარტება. ***ლეგალიზმი არის მცდარი რწმენა, რომ ადამიანი გადარჩება, ან სულიერ სიმწიფეს მიაღწევს, გარკვეული მოთხოვნების დაცვით და არა მხოლოდ მადლით.*** თუმცა, ეს არ არის ლეგალიზმი, რომ ადამიანმა გაიგოს, რომ ის უნდა დაემორჩილოს ღმერთს ცხოვრების ყველა დეტალში, რადგან მას სურს ღმერთს აამოს.

„ცოდვისაგან გათავისუფლებულნი სიმართლის მონები გახდით" (რომაელთა 6:18).

(4) თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი, გვსურს მისი ნების გაგება და არა მისი არიდება.

1 იოანეს 5:2-3-ში ნათქვამია

> ყველა, ვისაც სწამს, რომ იესო არის ქრისტე, ღმერთისგან არის შობილი; და ყველას, ვისაც მშობელი უყვარს, მისგან შობილიც უყვარს. ღმერთის შვილები რომ გვიყვარს, იმით ვიგებთ, რომ გვიყვარს ღმერთი და ვიცავთ მის მცნებებს.[8]

იერემიას 31:33-ში ნათქვამია: "რადგან ეს არის აღთქმა, რომელსაც დავუდებ ისრაელის სახლს... წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ ..."

ადამიანი, რომელსაც უყვარს ღმერთი, პირველ რიგში არ იკითხავს: „დამსჯის ამის გაკეთების გამო ღმერთი?" არამედ, "რა აამებდა ღმერთს ყველაზე მეტად?" ან, "რა არის ყველაზე საუკეთესო?" (ფილიპელთა 1:10; ტიტეს 3:8).

(5) წმინდა წერილი იძლევა საფუძველს ჩვენი ცხოვრების კონკრეტული წესების დამკვიდრებისთვის.

ბიბლია არ იძლევა მხოლოდ ზოგად პრინციპებს. მე -2 დავალებაში ჩამოთვლილი ზოგიერთი მონაკვეთი საფუძვლად უდევს გულმოდგინე ქრისტიანულ ცხოვრებას. ზოგიერთი მათგანი იძლევა კონკრეტულ მიმართულებებს ქრისტიანული ცხოვრების წესის შესახებ.

---

[7] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*
[8] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*

(6) ცხოვრების დეტალების შესახებ წესები, არ არის ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი რწმენა.

ფარისევლები შეცდომას უშვებდნენ, როდესაც მეორეხარისხოვან რამეებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მათეს 23:23 -ში იესომ უთხრა მათ

> ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით პიტნის, კამისა და ძირას მეათედს და მიატოვეთ, რაც უფრო მნიშვნელოვანია რჯულში – სამართალი, წყალობა და რწმენა. ესეც უნდა გაგეკეთებინათ და არც ის უნდა მიგეტოვებინათ.

ეს მუხლი არ ამბობს, რომ არსებობს რაიმე ჭეშმარიტება, რომელსაც არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ის ამბობს, რომ ზოგი რამ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები. ჩვენ მეტი უნდა ვისაუბროთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე.

(7) წესების დაცვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავამტკიცოთ ჩვენი მორჩილება ან სიყვარული ღმერთის მიმართ.

ფარისევლებთან იმავე კამათში იესომ თქვა (25-ე მუხლი),

> ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც გარედან ასუფთავებთ სასმისსა და ჯამს, შიგნით კი სავსენი ხართ მტაცებლობითა და თავაშვებულობით.

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ძალიან მკაცრი ცხოვრების წესი, მაგრამ არ უყვარდეს ღმერთი, ან სრულად არ ემორჩილებოდეს მას. მეორეს მხრივ, ადამიანს შეიძლება უყვარდეს ღმერთი მთელი გულით და მაინც ვერ დაინახოს გარკვეული სტანდარტების დაცვის მიზეზი. ამიტომ, უფრო მკაცრი ადამიანი სულაც არ არის მეტად სულიერი.

(8) სხვების დამოწმებისადმი ჩვენი ნდობა, არ არის დამოკიდებული მათი ცხოვრების წესის მცირე დეტალებზე.

რომაელთა 14:10-ში პავლემ ჰკითხა ქრისტიანებს

> შენ კი რად განიკითხავ შენს ძმას? ან რაღად შეურაცხყოფ მას? რადგანაც ყველანი წარვსდგებით ღვთის მსჯავრის წინაშე.

ეს მუხლი შეადგენს იმ მონაკვეთის ნაწილს, რომელშიც განხილულია ქრისტიანთა განსხვავებული შეხედულებები პრაქტიკულ საკითხებზე. არსებობს გულწრფელი

უთანხმოება იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს და რა არ უნდა გააკეთოს ქრისტიანმა.

სხვა მორწმუნე შეიძლება არ დაეთანხმოს წმინდა წერილის კონკრეტული მონაკვეთის ჩვენს ინტერპრეტაციას, ან ვერ დაინახოს იმაში ზიანი, რაც ჩვენ უარვყავით. შეიძლება ღმერთი მუშაობს მისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, ან რომ ღმერთმა ის სხვა კულტურულ კონტექსტში მოათავსა. ეს არ ნიშნავს რომ ადამიანი არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანი.

► რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე? "ღმერთი ყველას აჩვენებს ჭეშმარიტებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს; ამიტომ, ყველა ქრისტიანს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ინსტრუქცია."

ქრისტიანებს არასოდეს ჰქონიათ შეთანხმებული ცხოვრებისეულ ყველა პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ადამიანები, რომლებსაც უყვართ ღმერთი და ცხოვრობენ ღვთისმოსაობით, ყველა არ ეთანხმება მოძღვრების პრაქტიკასა და დეტალებს. ჩვენთვის არასწორია იმის თქმა, რომ სხვები არ არიან ქრისტიანები, რადგან ისინი განსხვავებულად განმარტავენ ან იყენებენ წმინდა წერილებს. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ისინი, როგორც გულწრფელი ქრისტიანები, თუმცა ვფიქრობთ, რომ მათი მოსაზრებები მცდარია. სულიწმიდის საქმიანობა არ მოუწოდებს ყველა ქრისტიანს, რომ ერთნაირი ცხოვრების წესი ჰქონდეთ.

ჩვენ ასევე მზად უნდა ვიყოთ, ვისწავლოთ სხვა ქრისტიანების თვალსაწიერიდან. სიამაყე გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ, ან ჩვენი ეკლესიაა ის, ვინც იდეალურად განმარტავს ან იყენებს წმინდა წერილებს. თავმდაბალი, სწავლებადი, მიმღები სული ამყარებს ქრისტიანულ ერთიანობას და აშენებს ქრისტეს სხეულს.

(9) განსხვავებული მოსაზრებების შემწყნარებლობა არ ამართლებს პირად დაუდევრობას.

„ყოველი კაცი თავისი გონებით იყოს სრული" (რომაელთა 14:5 ბ).

„ხოლო ვინც ჭამისას ეჭვობს, განიკითხება, რადგანაც რწმენით როდი ჭამს. ვინაიდან ყოველივე ის, რაც რწმენით არ არის, ცოდვაა" (რომაელთა 14:23).

არის კატასტროფული შედეგები, როდესაც ადამიანი არღვევს თავის სინდისს. თუ ადამიანი გადაწყვეტს გააკეთოს ის, რაც მისი აზრით არასწორია, ის დამნაშავეა ცოდვაში. არის კურთხევები, როდესაც ადამიანი დადის ნათელში, რომელიც ღმერთმა მისცა (1 იოანეს 1:7).

ჯგუფში გაზიარებისთვის

არ იქნება სირთულე ამ თემაზე დისკუსიის დაწყება. ზოგიერთმა სტუდენტმა შეიძლება ხაზი გაუსვას ეკლესიების საჭიროებას, მოითხოვოს ქცევის წესები. სხვებს შეუძლიათ ხაზი გაუსვან განსხვავებების არსებობის შესაძლებლობას.

შეეცადეთ სამართლიანად გაითვალისწინოთ ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა პრინციპი.

► როგორ ფიქრობთ, ამ პრინციპებიდან რომელი ავიწყდება ბევრს?

► ამ პრინციპებიდან რომელია, რაც დიდი ალბათობით დაგავიწყდებათ?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მინდა, რომ შენ მიმართ ჩემი სიყვარული, გამუდმებით იზრდებოდეს. მინდა უკეთ გავიგო შენი ნება ჩემს მიმართ.

დამეხმარე ვისწავლო იმის გარკვევა, რაც შენთვის ყველაზე სასიამოვნოა, ისე რომ შემეძლოს ვიცხოვრო სუფთა ცხოვრებით და არასოდეს დაგანაღვლიანო.

დამეხმარე დავინახო ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც უნდა შეიცვალოს და მივიღო ის ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც განგადიდებენ შენ.

მინდა ნაყოფიერი ვიყო, ღვთის სადიდებლად.

ამინ

გაკვეთილი 2 დავალებები

(1) შეისწავლეთ 1 კორინთელთა მე-13 თავი. ეს თავი აღწერს იმ ადამიანის ცხოვრებას, რომელსაც აქვს სიყვარული, რომელიც მას უნდა ჰქონდეს სხვების მიმართ. დაე ღმერთმა გაჩვენოთ, რა გზით სურს შეცგვალოთ, რათა თქვენი ცხოვრება უფრო თავსებადი იყოს სიყვარულთან. ჩამოთვალეთ რამოდენიმე ცვლილება, რომელიც გსურთ რომ ღმერთმა მოგცეთ საშუალება განახორციელოთ საკუთარ ცხოვრებაში.

(2) შეისწავლეთ წმინდა წერილის შემდეგი ადგილები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქრისტიანების ქცევას:

- 1 კორინთელთა 6:19-20
- 1 კორინთელთა 10:31
- 1 კორინთელთა 11:14-15

- 1 ტიმოთეს 2:9-10
- 1 პეტრეს 3:3-4
- ფსალმუნის 18:14
- ფსალმუნის 100:3

დაწერეთ თითოეული მონაკვეთის ძირითადი აზრი. აღწერეთ ცხოვრების წესის დეტალები, რომლებიც, თქვენი აზრით, უნდა გამოიყენოთ ამ წმინდა წერილების გამო.

გაკვეთილი 3
მუშაობა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) ახსნას რას გვასწავლის ბიბლია მუშაობის შესახებ.
(2) წარმოაჩინოს ქრისტიანული სამუშაო ეთიკის მახასიათებლები.

ძმა ლოურენსი, ღმერთის მუშაკი

ძმა ლოურენსი იყო უბრალო ბერი, რომელიც ცხოვრობდა მონასტერში 1600 -იან წლებში. ის ცნობილი გახდა ძალიან ჩვეულებრივი სამუშაოს შესრულებით - კარტოფილის გათლით, ჭურჭლის რეცხვით და ა.შ. — ღმერთის სიყვარულის გამო და იმის გამო, რომ არასოდეს აძლევდა უფლის თანდასწრებას, მისი გონებიდან შორს ყოფნის საშუალებას. ის მუდმივად აქცევდა ღმერთს ყურადღების ცენტრში მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში, მათ შორის მის საქმიანობაში.

ღვთის თანდასწრების პრაქტიკა არის ძალიან მოკლე წიგნი, რომელიც მილიონებმა წაიკითხეს. ის შეიცავს ძმა ლოურენსის ინტერვიუებსა და წერილებს. ის წერს: „ჩვენი განწმენდა არ არის დამოკიდებული ჩვენი სამუშაოების შეცვლაზე, არამედ იმის გაკეთებაზე ღვთის გულისთვის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვაკეთებთ საკუთარი თავისთვის."

► რა არის სამუშაო? არის თუ არა სამუშაო მხოლოდ *დასაქმება* - იყო დაქირავებული რაღაცის გასაკეთებლად?

სამუშაო მოიცავს დასაქმებას, მაგრამ ასევე მოიცავს საკუთარ თავზე და სხვებზე ზრუნვის ამოცანებს, მართვას იმისა, რაც გაგვაჩნია ნივთების წარმოებას, ბიზნესის კეთებას მოგებისთვის და სხვების გულუხვად დახმარებას.

► უნდა იმუშაოს ქრისტიანმა? რატომ?

ბევრი ფიქრობს, რომ მშვენიერი იქნებოდა იმდენი ფულის ქონა, რომ აღარ ჭირდებოდეთ მუშაობა. ისინი ფიქრობენ, რომ ყველაზე სასიამოვნო ცხოვრება იქნება დასვენება და უსაქმურობა.

მუშაობის ბიბლიური გაგება

დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, დასაწყისში. ის იყო სრულყოფილი. ის სრულყოფილი გარემო იყო პირველი ადამიანებისთვის, რომლებიც ღმერთმა შექმნა. ღმერთმა დავალება მისცა პირველ ადამიანებს. ღმერთს შეეძლო შეექმნა სამყარო სამუშაოს გარეშე ადამიანის ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ღმერთმა იცოდა, რომ ადამიანებისთვის საუკეთესო ცხოვრება მოიცავს სამუშაოს.

ღმერთმა დაგეგმა, რომ ჩვენი მუშაობა დაკავშირებული იყოს ჩვენს ურთიერთობებთან. ადამიანებმა უნდა ისწავლონ თანამშრომლობა, ერთმანეთზე დამოკიდებულება, იყვნენ ერთმანეთის საიმედოდ, გამოიყენონ ძლიერი მხარეები და დაეხმარონ სხვებს სუსტ მხარეებში, ერთად გაუმკლავდნენ გამოწვევებს, მოაგვარონ უთანხმოება, გამოასწორონ შეცდომები, გაიწაფონ და მოამზადონ სხვები.

ღმერთმა მისცა ხალხს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა დედამიწის სამართავად, რათა კონტროლის ქვეშ მოაქციონ ის და განავითარონ, მის სადიდებლად. ამ დავალებამ განაპირობა სოფლის მეურნეობის განვითარება, ცხოველების მოშენება, მინერალების მოპოვება დედამიწიდან და ტექნოლოგიის განვითარება.

ღმერთმა შეგვქმნა დანარჩენ ბუნებაზე მაღლა, რადგან ჩვენ გვაქვს რაღაც მისი ბუნებიდან ჩვენში. ფსალმუნის 8:5-8 ამბობს

> ბევრად არ დაგიმცირებია იგი (კაცობრიობა) ანგელოზებზე; დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად. გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მას დაუმორჩილე. ყველა პირუტყვი - წვრილფეხა და მსხვილფეხა, ასევე ნადირი ველისა; ფრინველი ცისა და თევზი ზღვისა, და წყლის ბილიკებით რომ მოძრაობენ.

ცოდვით დაცემის გამო, სამყარო შეიცვალა და ახლა მუშაობა შეიცავს ბევრ სირთულეს და იმედგაცრუებას, რაც არ ყოფილა ღვთის თავდაპირველ ჩანაფიქრში. თუმცა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღმერთმა შეგვქმნა ისეთებად, რომ გვჭირდება სამუშაო.

ჩვენი სამუშაო, ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის სამუშაოს მსგავსია. სამუშაო არის ადამიანის გარემოს შეცვლის საშუალება. შემოსავლის გამომუშავება არ არის მხოლოდ, სამუშაოს მიზანი. ადამიანებს აქვთ თავისი გარემოს შეცვლის ინსტინქტი. ისინი ცდილობენ გაუმჯობესონ თავიანთი სახლები. ისინი ცდილობენ ნაგვის

მოშორებას. ადამიანმა, რომელსაც მუშაობა აღარ სურს, უარი თქვა გარემოს შეცვლის სურვილსა და უნარზე. ის იმ ნაწილზე ამბობს უარს, რაც ნიშნავს ადამიანად ყოფნას.

► რას ფიქრობთ, როდესაც ხედავთ სახლს ან ეზოს, რომელიც არ არის კარგად მოვლილი?

ადამიანის ორიენტირებულობა შემოქმედებაზე, დაგეგმვაზე, ორგანიზებასა და წარმოებაზე - სამუშაო, არის ადამიანში ღმერთის ხატების ნაწილი. ამიტომ ქრისტიანებისთვის ყველა სამუშაო წმიდაა. ყველა სამუშაო არის თაყვანისცემა, როდესაც ის კეთდება უფლის საამებლად (კოლასელთა 3:17, 23). იესომ თქვა, რომ მისი მამა მუშაობდა და ამიტომ ისიც მუშაობდა (იოანეს 5:17).

თქვენ არ უნდა იფიქროთ სამსახურზე, როგორც უსიამოვნო აუცილებლობაზე, როგორც მედიკამენტების მიღებაზე ავადმყოფობისას. სამუშაო არ არის მხოლოდ ის, რაც აუცილებელია გადარჩენისთვის. ეს არის ღვთის განზრახვის ნაწილი კაცობრიობის მიმართ.

2 თესალონიკელთა 3:10 -ში ნათქვამია, რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ: „ვინაიდან თქვენთან ყოფნისას ამას გისახავდით მცნებად: ვისაც შრომა არ სურს, მაშინ ნურც ჭამს." რა უნდა გავაკეთოთ, თუ ჩვენი სამუშაო უმნიშვნელოდ გვეჩვენება? მაჰათმა განდიმ თქვა: "რასაც აკეთებ, შეიძლება უმნიშვნელო ჩანდეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ შენ ამას აკეთებ." წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც დაქირავებულია იატაკის მოსაწმენდად. ეს სამუშაო შეიძლება უმნიშვნელოდ ჩანდეს, მაგრამ ის მნიშვნელოვან არჩევანს აკეთებს. როდესაც ის ყოველდღიურად მიდის სამსახურში, ის ირჩევს ამის გაკეთებას, იმის ნაცვლად, რომ დრო უსაქმურად გაატაროს და არავის აქცევს ყურადღებას. ის ირჩევს აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად, ვიდრე ოჯახის ან მეგობრების კისერზე იჯდეს. ის ზრუნავს მათზე, ვინც მასზეა დამოკიდებული, შეიძლება ცოლ -შვილზე, იმის ნაცვლად, რომ აიძულოს ისინი, თვითონ ეძებონ დახმარება. ყველა ეს მოსაზრება გვეხმარება გავაცნობიეროთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავად სამუშაო უმნიშვნელო ჩანს, მნიშვნელოვანია, რომ მან არჩიოს ამის გაკეთება.

ბევრი ადამიანია, ვისაც ნამდვილად არ შეუძლია მუშაობა? არა. მაშინაც კი, თუ ადამიანი ვერ იქნება დასაქმებული ხელფასიან სამუშაოზე, მას ალბათ შეუძლია გააკეთოს რაღაც, სხვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ქრისტიანი უნდა მუშაობდეს, რადგან მას აქვს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და სხვებზე. ადამიანი არ უნდა ელოდოს, რომ სხვები უზრუნველყოფენ მის მოთხოვნილებებს, თუ ის არ არის მზად გააკეთოს ის, რაც შეუძლია.

მორწმუნე პირველ რიგში პასუხისმგებელია ოჯახზე. „ხოლო, ვინც არ ზრუნავს თავის ახლობლებზე, უფრო მეტად კი თავისი ოჯახის წევრებზე, იგი განუდგა რწმენას და ურწმუნოზე უარესია“ (1 ტიმოთეს 5:8).

წმინდა წერილი მორწმუნეს უბრძანებს იმუშაოს, რათა შეძლოს სხვების საჭიროებების დაკმაყოფილება. "მომპარავი ნუღარ მოიპარავს, არამედ იშრომოს და თავისი ხელით აკეთოს სიკეთე, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისთვის მისაცემი" (ეფესელთა 4:28). მიაქციეთ ყურადღება კონტრასტს მათ შორის, ვინც იპარავს, იღებს რაღაცას მუქთად; და ვინც მუშაობს, რომ გასცეს. ქრისტიანი არ არის მხოლოდ ის, ვინც არ იპარავს, არამედ ის, ვინც მუშაობს იმისთვის, რომ გასცეს.

თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ სამუშაო, მაშინაც კი, თუ არავინ დაგიქირავათ. მოძებნეთ გზები, რომ იყოთ სასარგებლო და დააკმაყოფილოთ სხვების საჭიროებები. სჯობს ასე იცხოვროთ, ვიდრე არაფერი გააკეთოთ და მხოლოდ იწუწუნოთ, რომ არავინ გეხმარებათ.

მორწმუნე უნდა მუშაობდეს იმისთვის, რომ უზრუნველყოს საკუთარი თავი და მისი ოჯახი და შეეძლოს მისცეს სხვას, ვისაც აქვს საჭიროება.

ღმერთის ჩვეული გზა ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად

► რას ეტყოდით ადამიანს, ვინც ამბობს, რომ ის არ იმუშავებს, რადგან ღმერთზეა დამოკიდებული, რომ მან დააკმაყოფილოს მისი საჭიროებები?

წარმოიდგინეთ, რომ ერთი ზაფხულის ბოლოს, შედიხართ თქვენს ბაღში და აღმოაჩენთ, რომ მის დიდ ნაწილში მოყვანილია პომიდორი, სიმინდი, ლობიო და სხვა ბოსტნეული, და საკმარისია იმისთვის, რომ დიდხანს გეყოთ.

ეს იქნებოდა სასწაული? ეს ათასობით ადამიანს დაემართა გასულ ზაფხულს. ისინი შევიდნენ თავიანთ ბაღებში და აღმოაჩინეს მთელი ეს მოსავალი და კიდევ უფრო მეტიც. მაგრამ ისინი არ გაოცებულან და არც კი გაუკვირდათ, რადგან რამდენიმე თვის წინ მათ დაამუშავეს მიწა, შემდეგ დათესეს თესლი, შემდეგ თვეების განმავლობაში ზრუნავდნენ მასზე, რწყავდნენ და მარგლავდნენ. ასე რომ, როდესაც მათ აღმოაჩინეს, რომ მოსავალი იზრდებოდა, ეს იყო ზუსტად ის, რასაც ელოდნენ.

თქვენ შეიძლება გამოეხმაუროთ: "მაშინ ეს საერთოდ არ იყო სასწაული". მაგრამ ღმერთმა შექმნა მილიონობით მცენარე, ხოლო ადამიანს არასოდეს, არცერთი შეუქმნია. ფსალმუნის 103:14 -ში ნათქვამია: „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისთვის და მცენარეულობას [ბოსტნეულს] ადამიანისთვის, რომ ისაზრდოოს მიწისგან.”

ღმერთი აკეთებს ამას, მაგრამ ადამიანი ამზადებს მას ნიადაგის დამუშავებით, თესლის დათესვით და საჭიროებისამებრ მორწყვით.

ბევრი ფიქრობს, რომ ღვთის ქმედება არის რაღაც ზებუნებრივი, გამონაკლისი ბუნების კანონებისგან, მაგალითად, როდესაც იესო კურნავდა, ან როცა მზე გაჩერდა. ამ თვალსაზრისით, მცენარეების ზრდა სასწაული არ არის, რადგან ის ჩვეულებრივია.

სასწაულის მოლოდინში ჩვენ ძალიან ხშირად იგნორირებას ვუკეთებთ ღვთის ჩვეულებრივ ცხოვრების წესს. მილიონობით ადამიანია, ვინც შედის თავის ბაღში და ვერ პოულობს ვერაფერს აღმოცენებულს, რისი ჭამაც შეუძლია. ისინი არ ჩაერთნენ ღვთის მიერ დადგენილ, საკვების წარმოების პროცესში. საკვების ზრდის პროცესი მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი მაგალითია იმისა, თუ როგორ მუშაობს ღმერთი. მაგალითად, ღმერთის ჩვეულებრივი გზა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად არის ადამიანის შრომა. იგავების 14:23 გვასწავლის, რომ "ყოველგვარ შრომას მოგება მოაქვს ..." ხოლო იგავების 19:15 გვაფრთხილებს, რომ "... უქნარა კაცი იშიმშილებს."

არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ღმერთისგან რაღაცის მიღება, მაგრამ ისინი უარყოფენ მუშაობის შესაძლებლობას, რადგან ეს შესაძლებლობა არ არის ის, რისი კეთებაც მათ სურთ.

რა მოხდება, თუ თქვენ მზად ხართ იმუშაოთ, მაგრამ ვერ ნახეთ ის ვიღაც, ვინც სამსახურში მიგიღებთ? არის სამუშაო, რომლის გაკეთებაც შეგიძლია სხვების დასახმარებლად და ამ საქმის საშუალებით შეგეძლება შენი ზოგიერთი საჭიროების დაკმაყოფილებაც. თუ უმუშევარი ხარ, გაქვს დრო. ხომ შეგიძლია მიმოიხედო გარშემო და ნახო, რისი გაკეთება შეგიძლია სხვის დასახმარებლად?

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც უმუშევარია და ყოველდღე საათებს ატარებს ჯდომაში და არაფრის კეთებაში. მართლა არაფერი აქვს მას გასაკეთებელი? მის სამეზობლოში არიან ადამიანები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. მის ეზოში და ქუჩაში არის ნაგავი, რომელიც უნდა გაიწმინდოს. არსებობს ნიადაგი, რომელიც შეიძლება დამუშავდეს საკვების მოსაპოვებლად. არის წიგნები მისთვის ხელმისაწვდომი, რომ წაიკითხოს და გაზარდოს თავისი ცოდნა. არის ვინმე, ვისთვისაც შეუძლია ლოცვა. ადამიანს, რომელიც ზის და არაფერს აკეთებს, ჰყავს ერთი თანამშრომელი, თვითონ, და ეს თანამშრომელი არც არაფერს ქმნის და არც ვითარდება. ის თვითონ არ არის კარგი დამსაქმებელი, ასე რომ, ის ალბათ ვერ შეძლებს სხვების მართვას.

ხშირ შემთხვევაში და სხვადასხვა ადგილას, ადამიანების უმეტესობას არ იღებენ სამსახურში. ისინი აწარმოებენ რაღაცას გადასაცვლელად, ან სთავაზობენ მომსახურებას სხვებს. ეს არის ყველა ის გზა, რასაც ღმერთი გვაძლევს.

ბიბლიური პრინციპები ქრისტიანული დასაქმებისთვის

პასუხისმგებლობისა და პატიოსნების პრინციპები საშუალებას აძლევს ქრისტიანებს გამოიყენონ ეთიკური სტანდარტები თავიანთ საქმიანობაში.

► როგორ უნდა გამოიყენოს ქრისტიანმა ბიბლიური პრინციპები, დამსაქმებელთან მუშაობისას?

ახალი აღთქმა იძლევა მითითებებს მუშაკებისთვის. იმ დროს, როდესაც დაიწერა ახალი აღთქმის წიგნები, ბევრი მუშაკი იყო მონა. დღეს, დასაქმებული განსხვავდება მონისგან იმით, რომ მას შეიძლება ჰქონდეს შესაძლებლობა გადავიდეს სხვადასხვა სამსახურში. ეს თავისუფლება აძლევს მათ შესაძლებლობას, მიიღონ ან უარყონ დასაქმების პირობები. თუმცა, თუ ისინი დათანხმდებიან იმუშაონ გარკვეული სარგებელისთვის, წმინდა წერილი მოითხოვს მათგან, რომ იყვნენ კარგი თანამშრომლები, სანამ დარჩებიან დამსაქმებელთან.

თქვენ შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, როდესაც თავისუფლად ვერ აირჩევთ სამუშაოს, რომლის გაკეთებაც გსურთ. შესაძლოა იძულებული გახდეთ რთულ სიტუაციაში იმუშაოთ. თქვენ მაინც უნდა გქონდეთ ქრისტიანული დამოკიდებულება. ზოგი ადამიანი ნელა და ცუდად მუშაობს, როდესაც აიძულებენ, რადგან მათ უნდათ აჩვენონ, რომ არ *სურთ* მუშაობა. როდესაც ადამიანი ამას აკეთებს, ის აჩვენებს, რომ ის არ არის თავისუფალი. თუ გსურთ თავისუფლად იმოქმედოთ, უნდა იმუშაოთ მხიარულად და კარგად შეასრულოთ სამუშაო. როდესაც ასე მუშაობთ, თავისუფლად მოქმედებთ, რადგან ვერავინ დაგაძალებთ ამის გაკეთებას.

თუ არავის დაუქირავებიხართ, თქვენ ხართ თქვენი თავის უფროსი. როგორი თანამშრომელი იყავით საკუთარი თავისთვის?

ეფესელთა 6:5-8 - პასუხისმგებლობის პრინციპი

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ეფესელთა 6:5-8.

► განიხილეთ ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, შემდეგ გადახედეთ ქვემოთ მოყვანილ ჩამონათვალს, რომ დაამატოთ თქვენი დაკვირვებები.

ზოგიერთი განაცხადი ეფესელთა 6:5-8-დან:

(1) მუშაკი უნდა დაემორჩილოს თავის დამსაქმებელს არა მხოლოდ ზედამხედველობის ქვეშ, არამედ ყოველთვის. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ მან არ უნდა უგულებელყოს დეტალები, რომლებიც, მისი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გადამოწმდეს ("... არა თვალის ასახვევად ...”).

(2) მუშაკმა უნდა შეინარჩუნოს თავისი მუშაობის ხარისხი და შრომისმოყვარეობა, თითქოს ღმერთისთვის მუშაობს ("... როგორც ქრისტეს მონები, რომლებიც გულით ასრულებენ ღვთის ნებას ...").

(3) ღმერთი აკურთხებს მუშაკს, საქმისადმი მისი ერთგულებისთვის („მასვე მიიღებს უფლისგან ...").

ტიტეს 2:9-10 - პატიოსნების პრინციპი

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ტიტეს 2:9-10.

► განიხილეთ ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, შემდეგ გადახედეთ ქვემოთ მოყვანილ ჩამონათვალს, რომ დაამატოთ თქვენი დაკვირვებები.

ზოგიერთი განაცხადი ტიტეს 2:9-10-დან:

(1) მუშაკი პატივისცემით უნდა მოეკიდოს დამსაქმებლის მითითებებს ("... არა მოკამათენი ..."). რა შედეგები შეიძლება მოყვეს, როდესაც მუშაკი უპატივცემულოდ საუბრობს თავის დამსაქმებელზე სხვა მუშაკებთან?

(2) მუშაკმა არ უნდა მოპაროს თავის დამსაქმებელს, მაშინაც კი, თუ მას მიაჩნია, რომ იმსახურებს მეტ ანაზღაურებას („... არაფერი მოიპარონ...").

(3) ერთგული შრომა სახარების დამოწმებაა; ორგულობა კი სახარების შეურაცხყოფა ("... რათა ყოველნაირად შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძღვრება ...").

► რა მაგალითებია იმისა, რომ ზოგი ადამიანი არაკეთილსინდისიერია თავის საქმიანობაში? აღწერეთ, რით უნდა განსხვავდებოდეს ქრისტიანი.

წმინდა წერილის ეს მონაკვეთები, ტიტეს და ეფესელთა წერილებიდან, საუბრობენ იმაზე, თუ როგორ უნდა იმუშაოს ადამიანმა, თუ ვინმე მას დაასაქმებს. იგივე პრინციპები ვრცელდება ადამიანზე, რომელიც დაქირავებულია რაღაცის ასაშენებლად ან გასარემონტებლად. მან უნდა შეასრულოს იგივე ხარისხის სამუშაო, როგორსაც ისურვებდა, ვინმეს მისთვის რომ გაეკეთებინა. ადამიანი, რომელიც ყიდის ნივთებს, არ უნდა მალავდეს დეფექტებს, რომ მყიდველებს არ აფიქრებინოს, რომ ისინი უკეთესს იღებენ.

დასაქმებისათვის სასურველი თვისებების განვითარება

რა თვისებები სურთ დამსაქმებლებს, რომ ჰქონდეს თანამშრომელს? კვლევები აჩვენებს, რომ დამსაქმებლებს სურთ ადამიანები, რომლებსაც აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ. მათ სჭირდებათ საიმედო და სწავლის მსურველი ადამიანები. ადამიანებს სამსახურში, მათი სამუშაოსთან დამოკიდებულების გამო უფრო იღებენ, ვიდრე მათი მომზადებისა და ნიჭის გამო. ასევე ღმერთიც ზრუნავს ჩვენს დამოკიდებულებაზე სამუშაოს მიმართ, როგორც უკვე ვნახეთ წმინდა წერილში.

განავითარეთ თქვენში ის თვისებები, რაც თქვენ ღირებულ თანამშრომლად გაქცევთ. მზად უნდა იყოთ ემსახუროთ. თქვენ უნდა იყოთ გულწრფელი, საიმედო და მომთმენი. ზოგიერთი უმუშევარი ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რაც მათ სჭირდებათ. დამსაქმებელი არ გასაქმებთ, რომ თქვენ დაგეხმაროთ; ის გასაქმებთ, რომ მას დაეხმაროთ. თქვენ უნდა იყოთ ისეთი ადამიანი, ვინც დამსაქმებლისთვის ღირებული იქნება.

ადამიანმა შეიძლება თქვას: "მე ვიქნებოდი მეგობრული, დამხმარე და პატიოსანი, თუ ამისთვის ხელფასს გადამიხდიდნენ", მაგრამ დამსაქმებლები არ იღებენ სამსახურში არამეგობრულ პიროვნებას და არ უხდიან მას, რომ მეგობრული გახდეს. ისინი არ იღებენ არაკეთილსინდისიერ ადამიანს და არ უხდიან მას, რომ პატიოსნად მოიქცეს. ისინი ეძებენ მეგობრულ, სასარგებლო და პატიოსან პიროვნებას.

ეკლესიაში ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩვენ არ ველოდებით ადამიანს, სანამ გაიღებს, ან მეგობრობას გამოავლენს, იმისთვის, რომ მზად ვიყოთ მის დასახმარებლათ. ღმერთი ასევე აღწევს თქვენამდე და გაკურთხებთ სანამ რაიმე კარგს გააკეთებთ. მაგრამ საკუთარი სარგებლისთვის, თქვენ უნდა დაიწყოთ მადლზე რეაგირება. ისწავლეთ გაცემა, მსახურება და ღიმილი.

განავითარეთ თქვენი თვისებები. ისწავლეთ და შეითვისეთ უნარები იმ ადამიანებთან მუშაობისას, რომლებსაც უკვე აქვთ ეს უნარები. იქნებ სხვებსაც შესთავაზოთ მომსახურება. იქნებ შეძლოთ გასაყიდი პროდუქტის დამზადება. იქნებ მოსავლის მოყვანა შეგიძლიათ. უპირველეს ყოვლისა, იქონიეთ სხვების მიმართ დამხმარე დამოკიდებულება, მაშინაც კი, როდესაც ამას მოგება არ მოაქვს. ღმერთი აკურთხებს თქვენს მსახურებას.

რას ნიშნავს ემსახურო? მსახურება ნიშნავს გამოიყენო შენი შესაძლებლობები, დრო და ენერგია სხვის სასარგებლოდ.

იმის მიუხედავად, მუშაობთ დამსაქმებელთან თუ არა, მომსახურება მოითხოვს, რომ უარი თქვათ თქვენს ზოგიერთ უფლებებზე და პრივილეგიებზე. მაგალითად, თუ თქვენ მუშაობთ სხვებზე, თქვენ ვერ შეძლებთ დილით დაიძინოთ იმდენი ხანი, რამდენიც გინდათ და ვერ გაატარებთ სამუშაო საათებს იმის კეთებაში, რაც გსურთ. თქვენ უქვემდებარებთ თქვენი ცხოვრების ასპექტებს იმ მიზნებს, რისთვისაც ხართ მიღებული სამსახურში. დასაქმება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იცვამთ და როგორ ექცევით სხვა ადამიანებს.

მსახურების მზაობას ბევრი სარგებელი მოაქვს:

(1) ის აყალიბებს ურთიერთობებს, რის შედეგადაც თქვენი ზოგიერთი საჭიროება დაკმაყოფილდება. ეს ხშირად ხდება არაპროგნოზირებადი გზებით, ასე რომ, ეს არ არის მხოლოდ იმ ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, რომლებსაც, თქვენი აზრით, შეუძლიათ რაღაც გააკეთონ თქვენთვისაც.

(2) ეს გაძლევთ ძვირფას ადგილს ეკლესიაში, ქრისტეს სხეულში.

(3) ამან შეიძლება გაგციოთ ისეთ პიროვნებად, ვისი დაქირავებაც სურთ.

შესაძლოა თქვენ შეძლოთ დაიწყოთ ახალი აზროვნების ჩამოყალიბება - მოძებნოთ გზები, რათა ემსახუროთ სხვებს. იესომ თქვა: „გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება“ (საქმეების 20:35). მართლა გჯერა ამის? ცხოვრობ ისე, როგორც გჯერა?

არსებობს სულიერი პრინციპი, რომ გაითვალისწინო სხვათა მოთხოვნილებები და მთლიანად არ ჩაიძირო საკუთარ საჭიროებებში (ფილიპელთა 2:4). ასევე არსებობს პრაქტიკული პრინციპი. გახსოვდეთ, ისინი, ვინც ასაქმებენ ადამიანებს, ჩვეულებრივ არ აკეთებენ ამას, მათ მიერ დასაქმებული ადამიანების დასახმარებლად. ისინი ასაქმებენ ვინმეს, რადგან ფიქრობენ, რომ ამ ადამიანს შეუძლია შეასრულოს მათი მოთხოვნები. ასე რომ, თუ ადამიანს შეუძლია იფიქროს მხოლოდ იმაზე, თუ რა სურს მას, ვინმემ მისთვის რომ გააკეთოს, მაშინ მისი დაქირავება არ ღირს.

რაღაც ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებს სურთ მუშაობა. ეს სარგებელი არის ის, რაც სასწაულებს ჰგავს, თუ ისინი მოულოდნელად მოხდება, მაგრამ ღმერთს აქვს ნორმალური გზა, რომ ეს სარგებელი თქვენს ცხოვრებაში მოიტანოს.

ეს ალბათ დროის ფუჭი კარგვაა, გქონდეთ იმედი, სურვილი, ან თუნდაც ილოცოთ იმის შესახებ, რომ ღმერთმა მოახდინოს სასწაული, თუ თქვენ არ გსურთ იმუშაოთ, რათა მიიღოთ დახმარება იმ გზით, როგორც ღმერთს სურს, მისი თქვენთვის მოცემა.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► ვინმეს შეუძლია გაგვიზიაროს ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შეუქმნა სახარების შესაძლებლობა კარგმა სამუშაომ დამსაქმებლის?

► ვინმეს შეუძლია გაგვიზიაროს ამბავი, თუ როგორ შეძლო მეზობლის დახმარებით, ქრისტიანული ზრუნვის კარგი გამოვლენა?

► ჯგუფმა უნდა გაუზიაროს იდეები იმ სამუშაო შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია უმუშევარი ადამიანისთვის.

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა იმ პრივილეგიისათვის, რომ მაქვს შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა. დამეხმარე დავინახო შესაძლებლობები სხვების დასახმარებლად. უზრუნველყავი ჩემი საჭიროებები, რადგან მე ვიღებ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე და სხვებზე.

მაკურთხე რესურსებით, რათა შევინახო ჩემი ოჯახი, შევწირო ეკლესიაში და დავეხმარო გაჭირვებულებს.

დამეხმარე ვიყო გულწრფელი და საიმედო ყველა ჩემს მოვალეობაში. მომამზადე უფრო დიდი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობებისთვის, თუ ეს შენი ნებაა. მადლობა, რომ ყოველთვის ჩემი ერთგული ხარ.

ამინ

გაკვეთილი 3 დავალებები

(1) შეისწავლეთ ეს მონაკვეთები იგავებიდან: 6:6-11, 10:4-5, 12:11, 12:24, 12:27, 13:4, 13:11, 14:23, 18:9, 20:13, 22:29, 24:30-34, და 26:13-16. დაწერეთ მითითებების და განაცხადების ერთი გვერდი, მუშაობისა და სიზარმაცის შესახებ ამ მონაკვეთებიდან.

(2) იმუშავეთ სხვა თანაკლასელთან ერთად, რათა მოამზადოთ მოკლე პრეზენტაცია ქვემოთ ჩამოთვლილ თემებზე. (კლასის ლიდერი თითოეულ გუნდს გადასცემს თემას.) გაუზიარეთ პრეზენტაცია მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში.

- სამსახური და ღვთის ხატება ადამიანში
- სამსახური და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და სხვებზე
- როგორ უნდა მუშაობდეს ქრისტიანი თანამშრომელი (ეს პრეზენტაცია ეფუძნება ეფესელთა 6:5-8 და ტიტეს 2:9-10.)
- გზა, რომლითაც ღმერთი ჩვეულებრივ უზრუნველყოფს ხალხის მოთხოვნილებებს
- სამსახური და ურთიერთობა სხვებთან

გაკვეთილი 4
ურთიერთობები

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გამოიყენოს სიყვარულის, მშვიდობისა და პატივისცემის პრინციპები სხვებთან ურთიერთობაში.
(2) დაიცვას ბიბლიის ცხრა წესი, რაც შესაძლებლობას მისცემს ქრისტიანის მეტყველებას, აკურთხოს სხვები და ადიდოს ღმერთი.

რობინზონ კრუზო, ურთიერთობით გაკვირვებული

გამოგონილ მოთხრობაში, "*რობინზონ კრუზო*", კაცი გადარჩა, ზღვაში გემის მსხვრევის შემდეგ და ცურვით მიაღწია კუნძულს. იქ ის თვეების განმავლობაში მარტო იყო. მან ააშენა თავშესაფარი, გაიკეთა ტანსაცმელი და ისწავლა საკვების პოვნა. ერთხელაც, ზღვის პირას სეირნობისას, ის შეაშფოთა, ქვიშაზე დანახულმა ადამიანის ნაკვალევმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იქ სხვა ადამიანიც იყო. მან არ იცოდა, ადამიანი მეგობარი იქნებოდა თუ მტერი. მან არაფერი იცოდა პიროვნების ხასიათის, ენის, ეთნიკური კუთვნილების ან იქ ყოფნის მიზეზის შესახებ. მან არ იცოდა როგორ შეცვლიდა ეს ადამიანი მის ცხოვრებას კუნძულზე. იმის გამო, რომ ურთიერთობები დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის ცხოვრებაზე, რობინზონმა განიცადა იმედიც და შიშიც, როდესაც ნახა ნაკვალევი.

ურთიერთობების მნიშვნელობა სულიერ განვითარებაში

პირველი საუკუნის ეკლესიას მოუწია მრავალი კონფლიქტის მოგვარება... ებრაელების და წარმართების... სოციალური კლასების... კულტურების... სქესთა შორის.... პავლე მოციქულმა უთხრა მათ: „მიიღეთ ერთმანეთი...“ (რომაელთა 15:7).

► წარმოიდგინეთ ადამიანი, მარტო კუნძულზე. შეუძლია მას ვინმეს მიმართ მომთმენი იყოს? შეუძლია ვინმეს აპატიოს?

თქვენ ვერ განავითარებთ და გამოავლენთ ქრისტიანობის დამახასიათებელ მოთმინებას, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე. თქვენ ვერ აპატიებდით სხვებს ან სხვებისგან ვერ მიიღებდით პატიებას, ურთიერთობების გარეშე.

► კიდევ რა ქრისტიანული თვისებები და საქმიანობა მოითხოვს სხვა ადამიანებთან ურთიერთობას?

ეს ხდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. თვისებების განვითარება და გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთობებში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებთან ჩვენი ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ განვითარებაზე.

ბიბლია იძლევა მითითებებს სხვადასხვა სახის ურთიერთობებისთვის. არსებობს კონკრეტული მიმართულებები ურთიერთობებისათვის, ცოლ-ქმარს, მშობლებს და შვილებს, დამსაქმებლებს და თანამშრომლებს, პასტორებსა და ეკლესიებს, ხანდაზმულებსა და ახალგაზრდებს შორის.

წმინდა წერილში არის, სულ მცირე, სამი პრინციპი, რომელიც ეხება ნებისმიერი სახის ადამიანურ ურთიერთობას: მშვიდობის, სიყვარულის და პატივისცემის პრინციპები.

მშვიდობის პრინციპი

„ეცადეთ მშვიდობა და სიწმიდე იქონიოთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს.” (ებრაელთა 12:14)

ეს მუხლი ძალიან ხაზგასმით აცხადებს ურთიერთობების მნიშვნელობას. სიწმიდე მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველას მიმართ მშვიდობის დამყარებასთან.

► რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხალხთან მშვიდობა გვქონდეს?

მშვიდობის მისაღწევად, ყველა პიროვნებას მოეპყარით ისე, როგორც გევალებათ. მიეცით ყველას, ვისიც რა გმართებთ-მადლიერება, პატივისცემა თუ მორჩილება. თუ არა, დამნაშავე ხართ კონფლიქტის გამოწვევაში. თუ თქვენ ვერ შეასრულებთ თქვენს მოვალეობებს, ან დანაპირებს ან არ გადაიხდით იმას, რაც სხვების გმართებთ, თქვენ არ მიისწრაფვით მშვიდობისკენ. როდესაც ხვდები, რომ არ შეგიძლია მისცე ის, რაც გევალება, უნდა ითხოვო პატიება და შეასრულო შენი ვალდებულებები, რამდენადაც შეგიძლია.

მაგრამ მშვიდობისკენ სწრაფვა უფრო *მეტს* მოითხოვს, ვიდრე იმის გაცემა, რაც გევალება. იგი მოიცავს სიყვარულისა და სიკეთის გაცემას, რომლის ვალშიც არ ხართ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ტიტეს 3:2-3.

ჩვენ უნდა ვიყოთ მომთმენნი და მიმტევებელნი, გვესმოდეს, რომ მოუქცეველ ადამიანებს აქვთ არასწორი დამოკიდებულება და მოტივები.

თუ გსურთ მშვიდობა, თქვენ მოძებნით შეთანხმებას, როდესაც კონფლიქტი წარმოიქმნება. თქვენ მზად იქნებით აპატიოთ. თქვენ არ იჩქარებთ დასკვნებში, რომ მშვიდობის აღდგენა შეუძლებელია. თქვენ ადვილად არ მიიღებთ მუდმივ განშორებას.

იესომ თქვა, რომ თქვენ უნდა მიხვიდეთ იმ ადამიანთან, ვინც არასწორად მოიქცა თქვენს წინააღმდეგ და აუხსნათ რა ჩაიდინა მან.[9] თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ საქმე ძალიან მცირეა დასაპირისპირებლად, მაშინ არ უნდა უთხრათ სხვებს ამის შესახებ და არ ჩაიდოთ გულში წყენა დამნაშავეზე.

ზოგჯერ ადამიანები ებრძვიან მიუტევებლობას სხვა ქრისტიანების მიმართ, რომლებმაც რაღაც არასწორი ჩაიდინეს მათ წინააღმდეგ. ჩვენ შეიძლება ველოდოთ ბოროტ მოპყრობას მოუქცეველი ადამიანების მხრიდან, მაგრამ ძნელი გასაგებია, როდესაც სხვა ქრისტიანები იქცევიან ცუდად ჩვენს წინააღმდეგ.

იესომ თქვა, რომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ პატიებისთვის სამოცდაათგზის შვიდჯერ.[10] გავრცელებული მიზეზი, რის გამოც ადამიანები ტოვებენ ეკლესიას და სულიერად ნებდებიან, ქრისტიანების მხრიდან არასათანადო მოპყრობით უკმაყოფილებაა. ხშირად წყენა ადრე მოდის, ვიდრე სხვა სახის სულიერი წარუმატებლობა.

როდესაც ადამიანი უარს ამბობს პატიებაზე, ის თავისი ცხოვრების ნაწილით ეწინააღმდეგება ღვთის ძალაუფლებას, რადგან ღმერთი ჩვენგან პატიებას ითხოვს. ეს სივრცე ხდება ტერიტორია, საიდანაც სატანას შეუძლია გავლენა მოახდინოს ცხოვრების სხვა ნაწილებზე. თუ ადამიანი უარს იტყვის პატიებაზე, ის მალე ვერ გაუძლებს ცდუნებებს, რომლებიც სრულიად დაუკავშირებელი ჩანს.

ყოველი პირადი დანაშაულის საფუძველი ჩვენი უფლებების ფასეულობაა. იმის გამო, რომ გვჯერა, რომ ვიმსახურებთ გარკვეულ მოპყრობას ან პატივისცემას, ჩვენ შეურაცხყოფილნი ვართ, როდესაც არ ვიღებთ მას. ჩვენ გვჯერა, რომ იმაზე მეტს ვიმსახურებთ, ვიდრე ვიღებთ.

სხვების პატიების გასაღები არის გამოსყიდვის გაგება. გამოსყიდვა ნიშნავს უკან ყიდვას. მას შემდეგ, რაც ღმერთმა გამოგვისყიდა, ჩვენ მას ვეკუთვნით და ჩვენი

[9] მათეს 18:15
[10] მათეს 18:21-22

უფლებები მას ეკუთვნის. ჩვენ შეგნებულად უნდა გადავცეთ ჩვენი უფლებები ღმერთს. თქენ შეგიძლიათ ილოცოთ: "უფალო, მე ვიცი, რომ ჩემი ყველა უფლება შენ გეკუთვნის. მინდა რომ შენ აიღო მათზე პასუხისმგებლობა და მომცე მხოლოდ ის, რაც ჩემთვის კარგია." მაშინ, როდესაც ადამიანები კარგად მოგექცევიან, შეგიძლიათ მადლობა გადაუხადოთ ღმერთს, რომ მან მოგანიჭათ ეს პრივილეგია. როდესაც ვინმე ცუდად მოგექცევათ, უნდა გახსოვდეთ, რომ ღმერთი პასუხისმგებელია თქვენს უფლებებზე და მან დაინახა, რომ შეგიძლიათ უკეთ განვითარდეთ ამ უფლების გარეშე.

სხვების მიტევებით, თქვენ ემორჩილებით ღმერთს და აძლევთ უფლებას, განგავითაროთ ისე, როგორც თავად ირჩევს. ეს პრინციპი, ღმერთზე თქვენი უფლებების ჩაბარების შესახებ, ვრცელდება ყველა ადამიანურ ურთიერთობაზე. (პატიების შესახებ სხვა მითითებები მოყვანილია კოლასელთა 3:13-ში, მათეს 6:15-ში და რომაელთა 12:19-ში.)

სიყვარულის პრინციპი

ადამიანს, რომელთანაც არ ვართ ვალში, მაინც სიყვარულით უნდა მოვექცეთ. რადგან ჩვენ მივიღეთ მადლი, ჩვენ ვალში ვართ ღმერთის წინაშე. ჩვენ არ შეგვიძლია მისთვის ვალის დაბრუნება. მას არაფერი სჭირდება, მაგრამ მან გვითხრა, რომ სხვებს მივცეთ დაუმსახურებელი სიყვარული, რომელიც ჩვენ მივიღეთ.

„არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა" (რომაელთა 13:8).

სიყვარულია იმის მტკიცებულება, რომ ადამიანი ნამდვილი ქრისტიანია.

„თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა; ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს!" (1 იოანეს 4:20).

ქრისტიან მორწმუნეებს შორის განსაკუთრებული სიყვარული არსებობს და იესო პირადად იღებს თქვენს ქმედებებს და დამოკიდებულებას სხვა მორწმუნეთა მიმართ. ის იტყვის განკითხვისას: "რაც ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ" (მათეს 25:40).

მაგრამ ქრისტიანული სიყვარული უნდა გამოიხატოს არა მხოლოდ სხვა ქრისტიანების მიმართ.

მათეს 5:44-45-ში იესო ამბობს,

> მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მაწყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით. რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსაც და უმართლოებსაც.

ზოგს უჭირს კეთილი იყოს მათ მიმართ, ვინც მათ აწყენინებს, მაგრამ უხეშობას გამართლება არ აქვს. ჩვენ არ უნდა მოვექცეთ ადამიანებს ისე, როგორც იმსახურებენ. ჩვენ მათ სიყვარულით და სიკეთით უნდა მოვექცეთ, იმის მიუხედავად, ისინი ამას იმსახურებენ თუ არა. უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც ცოდვილები ვიყავით, ჩვენ არ ვიმსახურებდით ღვთის სიყვარულს, მაგრამ მან მაინც შეგვიყვარა.[11]

პატივისცემის პრინციპი

► მე რომ შემოგთავაზო ასდოლარიანი უფასოდ, ბინძური და დახეული, მოინდომებდით მას? უარს იტყოდით, იმის გამო, რომ ის ბინძურია და დახეული?

თქვენ მიიღებდით მას, რადგან მას ღირებულება აქვს, რომელიც არ არის დამოკიდებული მის მდგომარეობაზე.

ყველა ადამიანი იმსახურებს პატივისცემას, რადგან კაცობრიობა შექმნილია ღვთის ხატად.[12] ღვთის ხატება აძლევს თითოეულ ადამიანს თანდაყოლილ ფასეულობას.

მაშინაც კი, თუ ადამიანს არ გააჩნია მაღალი ინტელექტი, ან აკლია უნარ-ჩვევები, სწავლება და სხვა ყველაფერი, რაც მას გახდის წარმატებულს ან გამოსადეგს ჩვეულებრივი სტანდარტებით, ის მაინც ფასეულია, რადგან ის არის ადამიანი, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად.

ადამიანის თანდაყოლილი ფასეულობა რჩება, მაშინაც კი, თუ მან სულელური არჩევანის გამო თავისი თავი, სხვა მხრივ ნაკლებად ღირებული გახადა. შეიძლება მან მიატოვა სკოლა, გაანადგურა თავისი ჯანმრთელობა და ჩამოიყალიბა ცუდი ჩვევები, მაგრამ ის ფასეულია, როგორც უკვდავი სულის მქონე, ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი.

ადამიანის ღვთის ხატების თანდაყოლილი ფასეულობის გამო, ხალხთან ყოველ კონტაქტში უნდა გამოიჩინოთ პატივისცემა. როგორც მინიმუმ, თავაზიანობა.

---

[11] ტიტეს 3:2-3
[12] დაბადების 1:17

მანიპულირება და მოტყუება არასწორია, რადგან ყველა ადამიანი აკეთებს არჩევანს მარადიული შედეგებით და უნდა იცოდეს გადაწყვეტილების რეალური ფაქტორები. არასწორი მიზეზით რაღაც გააკეთებინო ადამიანს სწორად, არ ნიშნავს წარმატებას, რადგან მას ჯერ კიდევ არ გაუკეთებია სწორი არჩევანი.

შეძლებისდაგვარად, ჩვენ პატივისცემით უნდა მოვექცეთ ადამიანს მაშინაც კი, როდესაც მისი საქციელი არასწორია. შეცდომების გამოსწორება და დანაშაულის გამო დასჯა (მათ მიერ, ვისაც ამის უფლება აქვს) ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უკვდავ არსებებთან, რომლებსაც შინაგანში ღვთის ბუნებისგან აქვთ რაღაც.

ჯგუფში გაზიარებისთვის

ამ პრინციპების გამოყენების უამრავი მაგალითი უნდა იყოს.

► გაუზიარეთ და ითხოვეთ მაგალითების მოყვანა იმის შესახებ, როდესაც ვინმე ცდილობდა დაეცვა მშვიდობა.

► გაუზიარეთ და სთხოვეთ მონაწილეებს აპატიონ მათ, ვის მიმართაც ისინი გრძნობენ წყენას.

► ჰკითხეთ სიტუაციაზე, როდესაც ადამიანს შეეძლო ვინმეს მიმართ მეტი სიყვარული გამოეჩინა, ვიდრე, შესაძლოა, ის იმსახურებდა.

► განიხილეთ, რას ნიშნავს პატივისცემით მოეპყროთ ადამიანს მაშინაც კი, როდესაც მისი საქციელი არასწორია.

საუბრის ბიბლიური პრინციპები

► არსებობს ძველი გამონათქვამი, რომელიც ამბობს: "კალამი უფრო ძლიერია ვიდრე ხმალი". რას ნიშნავს ეს?

არის ძალა იდეაში, დარწმუნებაში, კომუნიკაციაში. თქვენ შეგიძლიათ მიაღწიოთ უფრო მეტს ადამიანების მოტივირებით, ვიდრე მათი იძულებით. იდეა - კონცეფცია - შეიძლება გავრცელდეს და გავლენა იქონიოს ბევრ ადამიანზე.

ბიბლია საუბრობს სიტყვების ძალაზე, მოიტანოს სიკეთე ან ზიანი (იაკობის 3). ხსნის გეგმა სრულდება სახარების ძალით, რომელიც მინდობილია წარგზავნილ ადამიანებზე.

როგორ გამოვიყენოთ ჩვენი სიტყვები სიკეთის მისაღწევად და ზიანის თავიდან ასაცილებლად? ბიბლია იძლევა რამდენიმე პრინციპს.

(1) ნუ ილაპარაკებ ბევრს.

„მრავალსიტყვიანობს ბრიყვი ...” (ეკლესიასტეს 10:14).

„ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცოდვას ვერ ასცდება, თავისი ენის მომთოკველი კი ბრძენია“ (იგავების 10:19).

„მდუმარე ბრიყვიც კი ბრძნად ჩაითვლება, ხოლო პირმოკუმული - გონიერად“ (იგავების 17:28).

ასე რომ, ბევრს ნუ ილაპარაკებ. ზედმეტად მოლაპარაკე, სათანადოდ არ აფასებს არც საკუთარ და არც სხვის სიტყვებს. ის ამბობს იმას, რასაც სინამდვილეში არ გულისხმობს და თვლის, რომ იგივეს აკეთებენ სხვა ადამიანებიც. ის გამოთქვამს აზრს ცოდნის გარეშე. თქვენ არ უნდა გამოთქვათ აზრი იმაზე, რაც არ იცით; ყველა აზრი არ არის თანაბარი ღირებულების.

(2) ნუ ილაპარაკებ დაუფიქრებლად.

ნება არ მისცეთ თქვენს გრძნობებს გაგაკეთებინოთ ისეთი განცხადებები, რომლებზეც ინანებთ.

„ჰოდა, ჩემო საყვარელო ძმებო, ყოველი ადამიანი მოსმენაში იყოს მარდი, სიტყვაში - მძიმე და რისხვაში - ნელი“ (იაკობის 1:19)

„ბრიყვი მთელ თავის შინაგანს გადმოღვრის, ბრძენი კი - თავშეკავებულია" (იგავების 29:11).

„რისხვაში ნელი დიდად გონიერია, ფიცხი კი სიბრიყვეს ავლენს.” (იგავების 14:29).

(3) ნუ შეაფასებ სიტუაციას ერთი შეხედვით.

„მოსმენამდე პასუხის გაცემა სიბრიყვეა და სირცხვილი” (იგავების 18:13).

„თითქოს მართალია დავის წამომწყები, მაგრამ მოდის მისი მოსარჩლე და გამოიძიებს მას“ (იგავების 18:17).

კონფლიქტების უმეტესობას გაუგებრობები იწვევს. ჩვეულებრივ, დრო და მონდომება აგვარებს მათ. თუ პატიოსანი რეპუტაციის მქონე ადამიანი ამბობს იმას, რაც არასწორად გეჩვენებათ, ნუ იჩქარებთ მის განსჯას.

„გინდა ძაღლი ყურებით დაუჭერია კაცს და გინდა იმ ჩხუბში ჩარეულა, მას რომ არ ეხება" (იგავებიs 26:17).

(4) ფრთხილად იყავით იუმორთან.

სიტყვების გავლენის გამო, უკონტროლო იუმორი ჰგავს იარაღს გიჟის ხელში.

„რაღა ცეცხლის, ისრებისა და სიკვდილის მფრქვეველი გიჟი და რაღა ის, ვინც თავის მოყვასს ატყუებს და თან ეუბნება, გეხუმრეო" (იგავების 26:18-19).

ნუ აიძულებთ ხალხს, სერიოზული შეცდომები დაუშვან, თქვენი ხუმრობის დაჯერების გამო. არ უთხრა მათ, რომ სერიოზულად ამბობთ, როდესაც არ არის ასე - ისინი აღარ დაგიჯერებენ. ნუ დასცინებთ იმ დეფექტებს, რომლებსაც ხალხი ვერ შველის. ნუ იხუმრებთ ვიღაცის წარუმატებლობაზე. არ თქვათ ხუმრობები, რომლებიც ცოდვას უმნიშვნელოდ, წვრილმანებად წარმოაჩენს.

► კიდევ როგორ შეიძლება, არასწორად იქნეს გამოყენებული იუმორი?

(5) არ უთხრა ეს, არასწორ ადამიანს.

„ამბისტანია ამჟღავნებს საიდუმლოს, ერთგული სული კი ინახავს სიტყვას" (იგავების 11:13).

„შეშის გარეშე ცეცხლი ჩაქრება, ჭორიკანას გარეშე დავა ჩაცხრება” (იგავების 26:20).

შეიძლება რაღაცის თქმა იყოს საჭირო, მაგრამ შენ არ ხარ ის პიროვნება, ვინც ეს უნდა თქვას. თქვენ არ შეგიძლიათ თქვათ ეს, იმ უფლებამოსილი პირის ნაცვლად, რომელმაც უნდა თქვას ეს.

არ გაავრცელოთ ინფორმაცია ადამიანების შეცდომების შესახებ.

ადამიანები არ განდობენ თავის პირადულს, თუკი იფიქრებენ, რომ თქვენ სხვებს ეტყვით.

„იდავე მოყვასთან შენს საქმეზე, მაგრამ სხვის საიდუმლოს ნუ გაამჟღავნებ" (იგავების 25:9).

მშიშარა ეუბნება თავის საქმეს არასწორ ადამიანებს, იმის ნაცვლად, რომ დაიცვას მათეს 18:15-17-ში მოყვანილი წესები.

(6) ფრთხილად იყავით გაკრიტიკებასთან.

არის კრიტიკისთვის შესაფერისი დრო და მეთოდი.

„აშკარა მხილება სჯობს დაფარულ სიყვარულს. მეგობრისგან ჭრილობა ერთგულების ნიშანია ...” (იგავების 27: 5-6).

დარწმუნდით, რომ თქვენი კრიტიკა მიზნად ისახავს აშენებას და არა განადგურებას. თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ თქვენ ზრუნავთ მათზე და გსურთ დახმარება. როგორც წესი, აუცილებელია ჯანსაღი ურთიერთობა, სანამ თქვენს კრაიტიკას შედეგი მოჰყვება.

(7) არ იცრუო.

„ნუ იცრუებთ ერთიმეორის მიმართ, რადგან შემოძარცული გაქვთ ძველი კაცი მის საქმეებთან ერთად" (კოლასელთა 3:9).

მოტყუება შესაფერისია ცოდვილი ცხოვრებისთვის და არა ქრისტიანული.

„ცრუ ბაგეები სიბილწეა უფლის წინაშე, ერთგულნი კი ახარებენ მას" (იგავების 12:22).

(8) დაიცავით თქვენი მეტყველება წმინდად.

„...არ შეგფერით ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი და დაცინვა, არამედ, პირიქით, მადლიერება" (ეფესელთა 5:4).

ნუ მოყვებით წარსულის ან ახლანდელი სკანდალების შესახებ, გარდა შემთხვევისა, როდესაც მიზანშეწონილია სიტუაციის ოფიციალურად მოგვარება. არ თქვათ ხუმრობები, რომლებიც ფარულად არის სათქმელი. ქვეყნიერული ხალხი ჩვეულებრივ იყენებს სექსუალურ ტერმინებს ან სხეულის ცალკეული ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინებს წამოძახილებში, მაგრამ ეს არ არის შესაფერისი ქრისტიანისთვის. შეურაცხმყოფელია სტრესის დროს ღმერთის ან იესოს მოხსენიების წამოძახილების გამოყენება, თუ გულწრფელად არ თხოვთ ღმერთს დახმარებას.

(9) ნუ გაყოფ ხალხს შენი სიტყვებით.

„უკუღმართი კაცი განხეთქილებას თესავს, ცილისმწამებელი მეგობრებს აშორებს" (იგავების 16:28).

„ექვსი რამ სძულს უფალს და შვიდი რამ ეზიზღება...[მეშვიდე] ძმათა შორის განხეთქილების მთესველი" (იგავების 6:16, 19).

ნუ ეცდებით სხვების ხარჯზე უკეთესად გამოიყურებოდეთ. ნუ გამოიწვევთ კონფლიქტს სხვებს შორის. არ ავნოთ ვინმეს მსახურების ეფექტურობას ჭორებით.

სანამდე რამეს იტყოდეთ, დაფიქრდით არა მხოლოდ იმაზე "ეს მართალია?" არამედ "რატომ უნდა ვთქვა ეს?"

დასკვნა

ქრისტიანი მზად უნდა იყოს ბოდიში მოიხადოს, თუ მიხვდება, რომ თავისი სიტყვებით ზიანი მოიტანა. ის მზად უნდა იყოს შეასწოროს ყველაფერი, რაც თქვა, თუ მიხვდება, რომ ეს არასწორია.

სხვების მავნე და შეურაცხმყოფელი სიტყვები არ ამართლებს თქვენგან არასწორ სიტყვებს.

მეტყველებაში არის შეცდომები, რომელთა თანდათან გაუმჯობესება შეგიძლიათ. მაგალითად, შეგიძლიათ ისწავლოთ დაფიქრება საუბრის დაწყებამდე. არსებობს სხვა შეცდომებიც, რომლებიც აჩენს პრობლემას გულში, როგორიცაა სურვილი ვინმეს ავნო შენი სიტყვებით. თუ თქვენ დამნაშავე ხართ ამგვარ საუბარში, უნდა სთხოვოთ ღმერთს, რომ გაპატიოთ და გაწმინდოს თქვენი გული ასეთი მიდრეკილებისგან.

თქვენი მეტყველება ბევრს ამბობს თქვენს გულზე. არ დააზიანოთ თქვენი ქრისტიანული მოწმობა, იმგვარი საუბრით, რაც არ შეეფერება ქრისტიანულ ღირებულებებს.

თქვენს სიტყვას შეუძლია აკურთხოს გარშემომყოფები. მსახურების უმეტეს ნაწილს შეადგენს ურთიერთობა. თქვენს მიერ ნათქვამი სიტყვების ეფექტი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, თუ დაიცავთ ბიბლიურ პრინციპებს.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► ადამიანების უმეტესობა ხედავს ხარვეზებს სხვის მეტყველებაში, მაგრამ არა საკუთარს. ლიდერს შეუძლია გაუზიაროს იმ შემთხვევის მაგალითი, როდესაც მან ვერ შეასრულა ერთ-ერთი ამ პრინციპიდან, ან შეუძლია აღიაროს, რომელ მათგანში არის ყველაზე სუსტი.

► სთხოვეთ წევრებს გამოყონ ის პრინციპი, რომელშიც ისინი სუსტები არიან და ვალდებულებას იღებენ გაუმჯობესონ, ღმერთის დახმარებით.

ლოცვა

ზეციერო მამა,

დამეხმარე ვიცხოვრო მშვიდობის, სიყვარულის და პატივისცემის ბიბლიური პრინციპებით, ყველა ჩემს ურთიერთობაში.

მინდა ვაპატიო მათ, ვინც ჩემს წინააღმდეგ ბოროტებას სჩადის. დამეხმარე შერიგების გზების მოძებნაში მათთან, ვინც ჩემთან კონფლიქტშია.

დამეხმარე, რომ პატივი ვცე თითოეულ ადამიანს, როგორც შენს ხატად შექმნილ ქმნილებას. დამეხმარე მახსოვდეს ის შედეგები, რაც შეიძლება ჰქონდეს ჩემს საუბარს და ავიღო პასუხისმგებლობა ჩემს სიტყვებზე. მინდა, რომ ჩემმა სიტყვებმა მოიტანოს სიკეთე და არა ზიანი.

მინდა, რომ ჩემი დამოწმებით პატივი მოგაგო.

მადლობა შენი ჭეშმარიტების გადმოცემის პრივილეგიისთვის.

ამინ

გაკვეთილი 4 დავალებები

(1) წაიკითხეთ იაკობის მე-3 თავი. დააკვირდით აქ აღწერილი საუბრის დიდ პოტენციალს. 13-18 მუხლებში აღნიშნეთ, თუ როგორ ბუნებრივად მიედინება მეტყველება ადამიანის სულიერი მდგომარეობიდან. წაიკითხეთ ეფესელთა 4:25-32. დაწერეთ ლოცვის აბზაცი წმინდა წერილის ამ მონაკვეთის საპასუხოდ.

(2) შეისწავლეთ ეფესელთა 5:22–6:9. ჩამოთვალეთ და ახსენით ქცევის კონკრეტული მიმართულებები სხვადასხვა ურთიერთობებში. დაწერეთ ახსნა, თუ როგორ უკავშირდება ეს მიმართულებები სიყვარულის, მშვიდობისა და პატივისცემის პრინციპებს, რაც განვიხილეთ ამ გაკვეთილზე.

(3) შეარჩიეთ სამი ქვემოთ მოყვანილი კითვებიდან. დაწერეთ აბზაცი, რომელიც პასუხობს თითოეულ მათგანს:

- რა პრაქტიკული შედეგებია იმაში, რომ ღმერთმა მოგვიწოდა მშვიდობის საძიებლად ჩვენს ურთიერთობებში?
- რატომ არის სხვისი პატიება აუცილებელი ადამიანისთვის, ხსნის შესანარჩუნებლად?
- რას ნიშნავს ადამიანისთვის, თავისი უფლებების ღმერთისთვის გადაცემა?

- რა არის ჩვენი სიყვარულის მოტივაცია სხვების მიმართ, რომლებიც შეიძლება არც იმსახურებდნენ მას?
- როგორ უნდა იმოქმედოს იმ ფაქტმა, რომ ყველა ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი, ჩვენს ურთიერთობებზე მათთან?

გაკვეთილი 5
ღმერთის წინამძღოლობა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გაიგოს, როგორ გვეხმარება ღმერთი გადაწყვეტილებების მიღებაში.
(2) იცოდეს, როგორ მოემზადოს ღვთის ნების გასაგებად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.
(3) თავიდან აიცილოს შეცდომები, მიმართულების ძიებისას.

ცუნამი პალუში, კომუნიკაციის უკმარისობა

2018 წლის სექტემბერში, მიწისძვრამ კუნძულის ქვეშ გამოიწვია ცუნამი (გიგანტური ტალღა) ინდონეზიის ქალაქ პალუს მიმართულებით. კაცმა, მაღალი შენობის სახურავიდან დაინახა, რომ ტალღა მოდიოდა. ის ყვიროდა და აფრთხილებდა ხალხს ქუჩაში, მაგრამ უმეტესობამ ყურადღება არ მიაქცია მას. 4000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 10 000 დაშავდა.

ათი წლით ადრე (2008 წ.), მთავრობამ ოკეანეში განათავსა 22 ტივტივა ელექტრონული სენსორებით, რომლებიც შექმნილი იყო ცუნამის წარმოქმნის შემთხვევაში გაფრთხილების სიგნალის გასაგზავნად. თუმცა, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, ტივტივები არ იყო მომსახურებული და ყველა გამოვიდა მწყობრიდან. არცერთ მათგანს გაუგზავნია გაფრთხილების სიგნალი ცუნამის შესახებ 2018 წელს.

ურთიერთობა ჩვენს მეთაურთან

► რა არის დამონტაჟებული ყველა სამხედრო მანქანაში?

ყველა ტანკს, ჯიპს, თვითმფრინავს და ა.შ აქვს რადიო. ეს არ არის რადიო ჯარისკაცებისთვის, რომ მოუსმინონ თავიანთ საყვარელ მუსიკალურ სადგურს, არამედ რადიოა კომუნიკაციისთვის.

კომუნიკაცია აუცილებელია ბრძოლაში გამარჯვებისთვის. ჯარისკაცები ბრძოლაში ვერ ხედავენ მოქმედების მთელ არეალს. მათ შეიძლება არ იცოდნენ სად არიან მათი მეგობრები და სად არიან მტრები. მათ არ იციან რა მიმართულებით უნდა ისროლონ და რომელი მიმართულებით გადაადგილდნენ, თუკი არ აქვთ მეთაურთან კავშირი.

არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ჯარისკაცები დაიღუპნენ "მეგობრული ცეცხლის" შედეგად, არასწორი მიმართულებით ნასროლი ტყვიებით, მათი თანამებრძოლებისგან. იყო შემთხვევები, როდესაც რაკეტები და ბომბები, მტრის ნაცვლად მეგობრებს დაუშინეს, ცუდი კომუნიკაციის გამო.

თანამედროვე ომებში ეს ჩვეულებრივი სტრატეგიაა, რომ მტრის საკომუნიკაციო ცენტრის განადგურებას შეეცადო. მხარე, რომელიც ამაში წარმატებას მიაღწევს, დიდი ალბათობით, მოიგებს ბრძოლას.

ჩვენ სულიერ ომში ვართ. ეშმაკი გვაცდუნებს და ცდილობს მოგვატყუოს. ქვეყნიერება ცდილობს მიგვიზიდოს თავისი ცხოვრების წესით და ღირებულებებით. ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები, ხანდახან ხელს გვიშლიან და ცდილობენ გადაგვაფიქრებინონ ღმერთისთვის ცხოვრება. ჩვენ ვგავართ ჯარისკაცებს მტრულად განწყობილ ქვეყანაში, გვყავს მხოლოდ რამდენიმე მეგობარი და ბევრი მტერი.

ღმერთს სურს, რომ ჩვენ მოვიგოთ სულიერი ომი. ლოცვა არის, მეთაურთან ჩვენი კომუნიკაციის საშუალება.

წარმოიდგინეთ ჯარისკაცი ბრძოლაში, რომელმაც გადაწყვიტა უგულებელყო მისი ბრძანებები და წასულიყო თავისით. მან შესაძლოა ზიანი უფრო მოიტანოს, ვიდრე სიკეთე; ის ვერ დაეხმარება მათ, ვინც მასზეა დამოკიდებული; და მას, დიდი ალბათობით, მოკლავენ ან დაატყვევებენ.

„ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით და ამაზე იფხიზლეთ მთელი დაჟინებით და ლოცვით ყველა წმიდასთვის" (ეფესელთა 6:18).

ეს მუხლი მონაკვეთის ბოლოშია, სადაც პავლემ აღწერა და შეადარა ქრისტიანის სულიერი საჭურველი, თავისი ეპოქის სამხედრო საჭურველს. მან თქვა, რომ ჩვენი მტრები არ არიან ფიზიკური, არამედ სულიერი.

შესაძლოა, იმ დროს ჯარისკაცებისთვის რადიოგადამცემები რომ ყოფილიყო ხელმისაწვდომი, პავლე მათ გამოიყენებდა სულიერი ჯარისკაცის აღჭურვილობის სხვა ნაწილის საილუსტრაციოდ, როგორიცაა ლოცვა. საჭურველის აღწერის შემდეგ პავლემ თქვა, რომ ლოცვა სულიერ ჯავშანთან ერთად უნდა იქნას გამოყენებული.

სანამ სულიერი ბოროტების წინააღმდეგ ვიბრძვით, ჩვენ უნდა ვილოცოთ და ვიყოთ კომუნიკაციაში ჩვენს მეთაურთან. ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიყოთ ფხიზლად ლოცვაში, ვიყოთ ყურადღებიანი და დაჟინებული.

ღმერთი დაპირდა ხელმძღვანელობას მათ, ვინც მოუსმენს.

„მთელი შენი გულით მიენდე უფალს და შენს გონიერებას ნუ დაეყრდნობი. ყოველ შენს გზაზე შეიცანი უფალი და ის მოგისწორებს ბილიკებს” (იგავების 3:5-6).

„უფლის მიერ წარიმართება კაცის ნაბიჯები და განამტკიცებს მას, ვისი გზებიც მოსწონს" (ფსალმუნის 36:23).

ქრისტიანი ისე არ იღებს გადაწყვეტილებებს, როგორც ამქვეყნიური ხალხი. ზოგი ადამიანი ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი სურვილებით და ამბიციებით. ისინი ამბობენ: “მე ის უნდა გავაკეთო, რასაც სწორად ჩავთვლი ჩემთვის.” ისინი გულისხმობენ, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ საკუთარი სურვილები და არ მისცენ სხვა ადამიანებს მათი გაკონტროლების უფლება. მათ მიაჩნიათ, რომ თავისუფლება ნიშნავს საკუთარ თავზე ორიენტირებას. ქრისტიანი განსხვავებულია, რადგან მას სურს ასიამოვნოს ღმერთს და აკურთხოს სხვები თავისი სიცოცხლით.

ზოგი გვირჩევს, საკუთარ თავში ვეძებოთ ყველა პასუხი. მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენი გრძნობები და ინსტინქტები საკმარისი მითითებაა გადაწყვეტილებებისთვის. ისინი ახალგაზრდებს მოუწოდებენ უგულებელყონ ტრადიციები და უფროსების რჩევები. მათ სძულთ რელიგიური მორალი. ამგვარი რჩევა პოპულარულია თანამედროვე ჰოლივუდურ გართობაში. ისინი მოგვითხრობენ ახალგაზრდაზე, რომელიც ავტორიტეტისა და ტრადიციის წინააღმდეგ აჯანყებული, აღწევს წარმატებას და მისდევს თავის ოცნებას. ისინი არ აჩვენებენ სიმართლეს, რომ ასეთი გადაწყვეტილებები იწვევს მწუხარებას და უბედურებას.

ზოგიერთ კულტურაში ინდივიდუალური გადაწყვეტილებები შეზღუდულია, გაფართოებული ოჯახის ან ტომის ან კლანის მიერ. არ არის მოსალოდნელი, რომ ინდივიდები დატოვებენ რეგიონს, შეიცვლიან პროფესიას, მიიღებენ უმაღლეს განათლებას ან დაქორწინდებიან, ჯგუფის თანხმობის გარეშე. ამ გარემოში უმძიმესი ცვლილებაა ადამიანმა შეცვალოს თავისი რელიგია. თუ ადამიანი გახდება ქრისტიანი და ხელმძღვანელობს პრინციპებით, რაც მის ხალხს არ ესმის, მან შესაძლოა დევნა განიცადოს. ასეთ სიტუაციაში მყოფმა ქრისტიანმა უნდა ილოცოს სიბრძნისა და ხელმძღვანელობისთვის.

ჩვენ ყოველთვის გვჭირდება ღვთის ხელმძღვანელობა და მას მივყავართ ისეთ გზებზე, რომლებსაც ყოველთვის ვერც კი ვიაზრებთ. მას არასოდეს ვავიწყდებით, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ არ ვფიქრობთ მასზე. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება მისი ხელმძღვანელობის ძებნა და ვთხოვთ მას, დაგვეხმაროს დავინახოთ არჩევანი ისე, როგორიც არის ის სინამდვილეში. ღმერთმა შეიძლება მოინდომოს, ჩვენი კურსის მოულოდნელად შეცვლა.

► რა შემთხვევებში გვჭირდება ღვთისგან განსაკუთრებული მითითებების მიღება?

ჩვენ უნდა ვეძიოთ ღმერთისგან მითითებები...

(1) ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისას: ქორწინება, პროფესია, განათლება, ადგილობრივი ეკლესიისადმი ვალდებულება

(2) პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას: სამუშაო შესაძლებლობები, სად ვიცხოვროთ, დიდი შესყიდვები

(3) როდესაც გეგმავთ და მსახურობთ:[13] პირის პირადი მოწოდება, სად და ვისთან ერთად უნდა იმსახუროს, თემები ქადაგებისა და სწავლებისთვის

(4) როდესაც მონაწილეობთ ეკლესიის ცხოვრებაში:[14] როგორ ვიმსახუროთ, რა ვისწავლოთ, რა გავცეთ, როგორ ვიყოთ ქრისტეს სხეულის ნაწილი დედამიწაზე

როგორ გავიგოთ უკეთ, ღვთის მმართველობა

(1) მიუახლოვდით ღმერთს ლოცვაში. თუ თქვენი ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებთ ღმერთთან საუბრის გარეშე, თქვენ მიჰყვებით საკუთარ მიდრეკილებებს და შეზღუდულ წარმოდგენებს.

(2) ნუ ენდობით საკუთარ მსჯელობას უფრო მეტად, ვიდრე ბიბლიურ ჭეშმარიტებას. როგორც ქვემოთ მოყვანილი მუხლი ამბობს, "... შენს გონიერებას ნუ დაეყრდნობი" (იგავების 3:5).

(3) ყოველთვის დაემორჩილეთ იმას, რაც დარწმუნებით იცით, რომ ღვთის ნებაა. ეს გააუმჯობესებს თქვენს აღქმას. ადამიანს, რომელიც არ ემორჩილება ღვთის სიტყვას, ნამდვილად არ სურს ღვთის ნება, რადგან ღმერთი გამოხატავს მის ნებას წმინდა წერილის საშუალებით. თუ თქვენ დაემორჩილებით მხოლოდ იმ ნაწილს, რაც იცით ღვთის ნების შესახებ თქვენზე, კიდევ უფრო მეტად დაიბნევით -სინათლე სიბნელედ იქცა (ლუკას 11:35).

[13] საქმეების 16:6-9 მოგვითხრობს, სულიწმიდის განსაკუთრებულ მმართველობაზე, რომელიც პავლეს და სილას, მისიონერული მოგზაურობის დროს ქონდათ.

[14] ადრეულმა ეკლესიამ იცოდა, რომ სულიწმიდა ხელმძღვანელობდა მათ მსახურებას, იცავდა მათ მოძღვრებას, ხელმძღვანელობდა მათ პრობლემების გადაჭრაში და აძლიერებდა მათ გზავნილს. იხილეთ საქმეების 15:28, 5:3-5 და 6:10.

ვიცით, რომ ღვთის ნებაა, რომ ჩვენ უნდა:

- ავიღოთ ჩვენი ჯვარი ყოველდღიურად და მივყვეთ იესოს (ლუკას 9:23)
- მოვიქცეთ სწორად და ვთქვათ ჭეშმარიტება ჩვენს გულებში (ფსალმუნის 14:2)
- პატივი ვცეთ ერთგულ სულიერ ლიდერებს
- ვიხაროთ მარადჟამს
- ვილოცოთ განუწყვეტლივ
- ვიყოთ მადლიერნი ყველა სიტუაციაში
- არ ჩავაქროთ სული
- არ შევურაცხყოთ წინასწარმეტყველებები
- გამოვიკვლიოთ ყველაფერი
- მტკიცედ ჩავეჭიდოთ იმას, რაც კეთილია
- თავი შევიკავოთ ყოველგვარი ბოროტებისგან
- ვიყოთ სრულიად განწმენდილნი (1 თესალონიკელთა 5:12-23).

და არსებობს მრავალი სხვა ბრძანება, რომელიც შეიძლება შეჯამდეს ერთ სიტყვაში: სიყვარული! (რომაელთა 13:8-10). როდესაც ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც ვიცით, რომ ღვთის ნებაა, ბევრი ჩვენი ნაკლებად სასიცოცხლო გადაწყვეტილება ბუნებრივად განვითარდება.

(4) იყავით მომთმენნი. შეიძლება დიდხანს დაგჭირდეთ ლოდინი, სანამ ღმერთი გახსნის კარებებს და მოგიმზადებთ სიტუაციებს. ნუ მიიღებ ნაადრევ გადაწყვეტილებებს, მოუთმენლობის გამო. „დაემორჩილე უფალს და მოთმინებით დაელოდე მას" (ფსალმუნის 37:7). არასოდეს გააკეთო ის, რაც იცი რომ არასწორია, დაჟინებულობის გრძნობის გამო.

(5) ყური უგდეთ კარგ რჩევებს, „რადგან ბრძნული მითითებით წარმართავს ომს და მრავალი მრჩევლის წყალობით ექნება გამარჯვება" (იგავების 24:6).[15] როდესაც ღმერთს სურს, რომ თქვენ მიიღოთ დიდი გადაწყვეტილება, ის ამას ხშირად აჩვენებს თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანებს, თქვენს ცხოვრებაში. თუ არსებობენ ღვთისმოსავი, ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც გიცნობენ და ზრუნავენ თქვენზე, მაშინ მარტივად არ უნდა გადაწყვიტოთ იმის გაკეთება, რაც მათი აზრით შეცდომაა.

[15] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*

ჯგუფში გაზიარებისთვის

► მოიყვანეთ იმ გადაწყვეტილების მაგალითი, რომელიც იცით, რომ ღმერთის მითითებით მიიღეთ. როგორ დაგანახათ ღმერთმა, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო?

► სასარგებლო იქნება ასევე, თქვენი არასწორი გადაწყვეტილების მაგალითის გაზიარებაც. თქვენ არ დაიცავით ოთხი პრინციპიდან ერთ -ერთი, რათა ღმერთის მიერ უკეთ მომართული ყოფილიყავით?

მიეცით საშუალება სხვებსაც, გაუზიარონ იგივე.

► შეიძლება ვიღაც ახლა ცდილობს მიიღოს რაღაც გადაწყვეტილება, რომლის განხილვაც სურს ჯგუფთან.

შეცდომები, რომლებსაც უნდა მოვერიდოთ ღვთის წინამძღოლობის ძიებისას

ამბავში მოთხრობილია, რომ ერთ-ერთ დილას მქადაგებელი ჩარლზ სტალკერი ლოცულობდა, რა დროსაც ღმერთი დაელაპარაკა მას და უთხრა: „მე მსურს, რომ შენ ჩინეთში წახვიდე." სტალკერი გაოგნებული იყო, რადგან მას არ ჰქონდა არც კონტაქტები, არც ფული წასასვლელად. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩემოდანი ჩაალაგა და სადგურისკენ წავიდა, სადაც ასეთი მოგზაურობა უნდა დაწყებულიყო. იქ უცნობი მივიდა და ჰკითხა: „თქვენ ხართ ჩარლზ სტალკერი?" შემდეგ განაგრძო: ”მე გამომგზავნეს აქ ბილეთით, რათა გაგამგზავროთ ჩინეთში."

► ჩვეულებრივ ასე უნდა ველოდოთ ღმერთისგან, მისი ნების ჩვენებას?

შეექმნება პრობლემა იმ ადამიანს, რომელიც ამ გზით ელოდება თავის გადაწყვეტილებებში ღვთის ნების პოვნას?

ზოგი ელოდება ზებუნებრივ მითითებებს, თითოეული გადაწყვეტილებისთვის, რასაც იღებს. ისინი უგულებელყოფენ ნორმალურ მსჯელობას და გარემოებებს, რადგან თვლიან, რომ ღვთის ნება შეიძლება იყოს ყველა მსჯელობისა და გარემოების საპირისპირო.

არასწორია იმის დაჟინება, რომ ღმერთმა უნდა მოგვცეს ზებუნებრივი გამოცხადება ჩვენი გადაწყვეტილებებისთვის, რადგან ის ხშირად არ გამოხატავს თავის ნებას ამ გზით. თუ ადამიანი იგნორირებას უკეთებს მსჯელობას და გარემოებებს, მას შეუძლია იფიქროს, რომ ის ღებულობს ღმერთისგან, როდესაც ის მიჰყვება საკუთარ ემოციებს ან წარმოსახვას.

ყოველთვის, როდესაც რაიმე, ნათლად არის წმიდა წერილით ნაბრძანები, ან აკრძალული, ჩვენ ვიცით ღვთის ნება. თუმცა, არსებობს ბევრი გადაწყვეტილება ცხოვრებაში, სადაც ჩვენ გვაქვს ალტერნატივები, რომლებიც პირდაპირ არ არის ნაბრძანები ან აკრძალული. საიდან უნდა იცოდეს ადამიანმა, სად უნდა იცხოვროს, რა სამუშაო ჰქონდეს და რაში დახარჯოს თავისი ფული?

► განსაკუთრებული გამოცხადების გარეშე, საიდან უნდა იცოდეს ადამიანმა ღვთის ნება იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც წმინდა წერილში არ არის კონკრეტულად მითითებული? ზოგიერთი ადამიანი, რადგან ის ელის, რომ ღვთის ნება ზებუნებრივად უნდა გამოვლინდეს, მსჯელობისა და გარემოებების გარეშე, პოულობს არარაციონალურ მეთოდს, რომელსაც, მისი აზრით, ღმერთი გამოიყენებს, მათთვის მითითებების მისაცემად. მათ შეიძლება ღმერთს სთხოვონ, რომ გარკვეული ნიშანი მისცეს, თავისი ნების საჩვენებლად. ან შესაძლოა, მათ ბიბლია გადაშალონ და იპოვნონ შემთხვევითი მუხლი, რომელსაც თავიანთ სიტუაციას მიუსადაგებენ.

დამატებითი პრაქტიკული რჩევები სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად

ჯონ უესლიმ რამდენიმე პრაქტიკული მითითება დატოვა, იმის შესახებ, თუ როგორ გავიგოთ ღვთის ნება. მან თქვა, რომ ჩვენ ვიცით, რომ ღვთის ზოგადი ნება ჩვენთვის, რომელიც ბიბლიაშია ნათქვამი, არის ის, რომ ვიყოთ წმიდები და ვაკეთოთ სიკეთე. **ამიტომ, კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა გავითვალისწინოთ, რომელი ვარიანტი მოგვცემს, ყველაზე მეტად საშუალებას, ვიყოთ წმიდანი და მივაღწიოთ უფრო მეტ სიკეთეს.**

ჩვენ საკუთარი გამოცდილებიდან ვსწავლობთ, რომელი გარემოებებია ჩვენთვის სულიერად მომგებიანი და რომელი საშიში. ზოგიერთი გარემოება სულიერად საშიშია ნებისმიერი ადამიანისთვის; სხვები საშიშია ზოგიერთისთვის, მაგრამ არა ყველასთვის. რამდენადაც შეგვიძლია, ჩვენ თვითონ უნდა დავდგეთ იმ გარემოებებში, რომლებიც დაგვეხმარება სულიერად გაძლიერებაში და თავიდან ავიცილოთ სიტუაციები, რომლებიც ცდუნებას მოგვიტანს (1 კორინთელთა 10:12-13).

კეთილგონიერებითა და გამოცდილებით, ასევე სხვების რჩევით, ჩვენ ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ რომელი ვარიანტი მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ უფრო მეტ სიკეთეს.

როგორც წესი, ღმერთი არ აჩვენებს თავის ნებას სპეციალური გამოცხადებით. **ის მოელის, რომ ჩვენ გამოვიყენებთ ბიბლიურ პრინციპებს, ყურადღებით**

დავაკვირდებით და შევისწავლით გარემოებებს. სულიწმიდა მიგვიძღვება მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ამას ვერც ვაცნობიერებთ. უმეტესი გადაწყვეტილებების მისაღებად ჩვენ არ უნდა ველოდოთ გამოცხადებას, მაგრამ უნდა ვილოცოთ სიბრძნისა და გაგების მისაღებად.

ადამიანები, რომლებიც ღვთისგან განსაკუთრებული მიმართულების მიღებაზე აცხადებენ პრეტენზიას, ზოგჯერ უარს ამბობენ სხვა ადამიანების მოსმენაზე (იგავების 12:15). ისინი შეიძლება გაბრაზდნენ, როდესაც ხალხი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მათ გადაწყვეტილებებს. ისინი ავლენენ სიამაყეს და სიჯიუტეს და არა თავმდაბლობას.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 პეტრეს 5:5-6.

იშვიათი შემთხვევების გარდა, უმჯობესია ადამიანმა არ განაცხადოს, რომ ღმერთმა უთხრა მას, ზუსტად რა უნდა გაეკეთებინა. როდესაც ადამიანი ასე ამბობს, ძნელია მას ვინმემ რჩევა მისცეს, ან აზრი გაუზიაროს. მისთვის უკეთესი იქნებოდა ეთქვა, რომ ის ცდილობს მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილება, ღვთის დახმარებით.

უესლის მიერ გამოკვეთილი პრინციპების გარდა, როდესაც ფიქრობთ თქვენს ვარიანტებზე, დაფიქრდით:

(1) შეესაბამება ეს, გამოკვეთილ ბიბლიურ მითითებებს? ღმერთს არასდროს სურს, რომ თქვენ მის სიტყვას არ ემორჩილებოდეთ.

(2) შეესაბამება ეს ბიბლიურ პრიორიტეტებს? ბიბლია გვაჩვენებს იმ რამეებს, რაც ღმერთისთვის მნიშვნელოვანია. თქვენს გადაწყვეტილებაში უკავია პირველი ადგილი იმას, რაც მნიშვნელოვანია?

(3) შეესაბამება ეს, გარემოებების რეალისტურ ხედვას? თქვენ უნდა დაინახოთ, როგორ მოამზადა ღმერთმა თქვენი მდგომარეობა ამ გადაწყვეტილებისთვის.

(4) არის ეს გონივრული? ხანდახან ღმერთს შეუძლია გიბიძგოთ ისეთი რამის გაკეთებისკენ, რაც არ ჩანს გონივრული, მაგრამ თუ ასეა, ის გაგიცხადებთ თავის ნებას. არასოდეს უარყოთ გონება, როგორც ღვთის ნების გამოვლენის საშუალება.

(5) ეს ქრისტიანული საქციელია? ნუ იფიქრებთ, რომ ნებისმიერი სიტუაცია იმდენად გამონაკლისია, რომ თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივ, არ იქნება სასიამოვნო ღმერთისთვის.

(6) შეესაბამება ეს, სხვების მიმართ ისეთ სიყვარულს, რაც საკუთარი თავის მიმართ გვაქვს? ეგოისტური მოტივები დამახინჯებს თქვენს გამჭრიახობას.

(7) ექნება ამას კარგი გავლენა? რა მოხდება, თუ სხვებიც ისე მოიქცევიან, როგორც თქვენ? ეს კარგი იქნება?

(8) დამტკიცებულია ეს ღვთისმოსავი მრჩევლების მიერ? ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ ვიპოვოთ მეგობრები, რომლებიც დაგვეთანხმებიან, მაგრამ რას იტყვიან ადამიანები, რომლებიც ყველაზე სულიერი და ბრძენი გეჩვენებათ, თქვენს გადაწყვეტილებაზე?

როდესაც ღვთის ნება არის რაღაც ძალიან განსაკუთრებული, მას შეუძლია გაგაგებინოთ ის ეჭვებს მიღმა. ანგელოზმა, თუ ხილვამ, თუ აალებულმა ბუჩქნარმა, დარწმუნებულობა მისცა ზოგიერთ ადამიანს წარსულში. ღმერთს შეუძლია უბრალოდ მისცეს შინაგანი დარწმუნებულობა, რომელიც ეჭვს არ იწვევს. მაგრამ როდესაც ღმერთისგან მკაფიო გზავნილი არ გაქვთ მიღებული, თქვენ უნდა დაიცვათ უტყუარი პრინციპები სწორი ვარიანტის გასარჩევად. ნუ ელოდებით, რომ მიიღებთ განსაკუთრებულ გამოცხადებას ყოველი გადაწყვეტილებისთვის. თუ გულწრფელად და ლოცვით მსჯელობთ სწორ პრიორიტეტებზე, ღმერთი ერთგული იქნება თქვენი გადაწყვეტილების წარმართვაში.

რომაელთა 12:1-2-ში პავლე წერდა,

> ამიტომ, გევედრებით ძმებო, ღვთიური თანაგრძნობის მეშვეობით წარუდგინეთ თქვენი სხეულები ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად, ანუ თქვენი გონივრული მსახურება. და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება - კეთილი, სასურველი და სრულყოფილი.

ეს მუხლი გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის სულიერი მდგომარეობა მის გადაწყვეტილებებზე. ღვთის ნება რომ გავიგოთ, პირველ რიგში, თავი მთლიანად ღმერთს უნდა მივუძღვნათ. ქრისტიანის გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება ქვეყნიერების გადაწყვეტილებებს, რადგან ის არ არის „ქვეყნიერებას მორგებული", არამედ გარდაიქმნა და იღებს გადაწყვეტილებებს „განახლებული გონებით."

მოტივები არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ღვთის მითითებების გამოსაცნობად. ადამიანი, რომელიც ეძებს ღვთის ნებას მხოლოდ იმისთვის, რომ გადაწყვიტოს, გააკეთოს თუ არა ესა თუ ის რაღაც, ალბათ დაიბნევა. თუ ადამიანი ეძებს ღვთის ნებას ბიბლიური და გონივრული საშუალებების შესაბამისად, და მისი შესრულების გულწრფელი მონდომებით, ის არ ასცდება ღვთის ნებას.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► განიხილეთ უესლის პრინციპის გამოყენების ზოგიერთი გზა. ზოგიერთი მაგალითი შეიძლება იყოს მეგობრების არჩევა დროის გასატარებლად, დასაქმების ვარიანტები ან გაცნობითი ურთიერთობა (თუ დასაოჯახებელი ხართ). აწონ-დაწონეთ, რომელი სიტუაცია დაგეხმარებათ, იყოთ წმინდა და მოიმოქმედოთ მეტი სიკეთე?

► ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია შეინარჩუნოს ქრისტიანული იდენტობა, როდესაც ისინი იმყოფებიან გარკვეული ტიპის ადამიანებთან ან გარკვეულ ადგილებში. განვიხილოთ მაგალითები.

სხვა შესაძლო კითხვები განსახილველად:

► მოტივაციის როლი გადაწყვეტილების მიღებაში.

► ნიშნის ლოდინის შეცდომა.

► შინაგანი გრძნობებისადმი გადამეტებული ნდობის საშიშროება.

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა, რომ დაგეგმე კარგი საქმეები ჩემთვის. ვიცი, რომ შენ უფრო მეტად წარმართავ ჩემს ნაბიჯებს, ვიდრე ამას მე ვხედავ.

დამეხმარე, ლოცვაში შენთან ახლოს ვიყო. დამეხმარე მივაქციო ყურადღება იმ ჭეშმარიტებას, რასაც შენ მაჩვენებ.

მინდა ვიყო წმინდა და მოვიმოქმედო რაც შეიძლება მეტი სიკეთე შენს სადიდებლად.

გახადე ჩემი მოტივები წმინდა, ისეთი რომ არ გადამახვევინონ შენი ნებიდან. მმართე იმ ბრძენი მრჩევლების მეშვეობით, რომლებიც შენ მოახვედრე ამ ცხოვრებაში ჩემს გვერდით.

მინდა გენდობოდე ყველა გადაწყვეტილებისას. მინდა შენს ნებას მივყვებოდე, მთელი ჩემი მორჩილი გულით.

მადლობა, რომ ჩემთვის საუკეთესო გინდა.

ამინ

გაკვეთილი 5 დავალებები

(1) შეისწავლეთ იგავების 3:1-12. დაწერეთ აქ აღწერილი პრიორიტეტების, დამოკიდებულებებისა და ხასიათის შესახებ. დაწერეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლიათ პირადად განავითაროთ ეს მახასიათებლები. (სულ უნდა დაწეროთ 1-2 გვერდი.)

(2) გამოიკვლიეთ იაკობის 4:13-17. დააკვირდი ღვთის უზენაესობას გარემოებებზე. რა არის ბოროტება - "ამპარტავნება", რაც მოხსენიებულია მე -16 მუხლში? დაწერეთ აბზაცი, სადაც განმარტავთ რას გვეუბნება ეს მონაკვეთი მომავლის დაგეგმვის შესახებ.

(3) დაწერეთ ორი აბზაცი, რომლებშიც განმარტავთ ურთიერთდამოკიდებულებას ლოცვასა და გადაწყვეტილების მიღებას შორის. უპასუხეთ ამ კითხვებს:

- როგორ უნდა იმოქმედოს ლოცვამ ჩვენს გადაწყვეტილების მიღებაზე?
- რა შეცდომები უნდა ავიცილოთ თავიდან ლოცვასთან და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით?

გაკვეთილი 6
ქორწინების ბიბლიური კონცეფცია

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გაითვალისწინოს ღვთის ჩანაფიქრი და მიზნები ქორწინებისთვის.
(2) გაიაზროს რა მნიშვნელობას ანიჭებს ღმერთი ქალებს.
(3) დაემორჩილოს ღვთის პრინციპებისადმი, ქრისტიანულ ქორწინებაში.

ერნანდო კორტესი: ერთგული ადამიანი

ერნანდო კორტესი არ არის მაგალითი, რომელსაც უნდა მივყვეთ, მის ხასიათსა და ამბიციებში. თუმცა, მისმა ერთმა ქმედებამ აჩვენა მისი მიზნებისადმი სრული ერთგულება. 1519 წლის გაზაფხულზე, ერნანდო კორტესი სათავეში ჩაუდგა ექსპედიციას იმ ტერიტორიის დასაპყრობად, რომელსაც დღეს მექსიკა ეწოდება. ესპანეთის გუბერნატორმა გამოყო ამ ექსპედიციისთვის თერთმეტი გემი და შვიდასი კაცი. ზღვაში გატარებული რამდენიმე თვის შემდეგ, კორტესმა და მისმა ხალხმა საბოლოოდ მიაღწიეს მექსიკის სანაპიროებს. შემდეგი გამოწვევა იყო დედაქალაქისკენ მისასვლელი გზის გავლა. კორტესმა იცოდა, რომ ხმელეთზე მგზავრობა რთული და საშიში იქნებოდა. მას სურდა, რომ მის ხალხს გაეცნობიერებინათ, რომ უკან დახევა მიუღებელი იყო, ამიტომ მან ყველა გემი დაწვა. მან ესპანეთში დაბრუნება შეუძლებელი გახადა და ამავდროულად შექმნა წარმატების მოტივაცია. ანალოგიურად, ყველა ადამიანი, ვინც შედის ქორწინებაში, უნდა იყოს აბსოლუტურად ერთგული, გააცნობიეროს, რომ როდესაც ის ქორწინებაშია, სხვა არჩევანი არ არსებობს.

შესავალი

ბიბლიური ქორწინება მშვენიერი რამაა.[16] მაგრამ წყვილებმა, რომელთაც სურთ განიცადონ მისი სილამაზე და დააგემოვნონ მისი სიკეთე, უნდა შეისწავლონ რას გვასწავლის წმინდა წერილი ამის შესახებ და შემდეგ *მორჩილად* მიყვნენ ნასწავლს. კმაყოფილების მომცემი ქორწინება მოითხოვს ძალისხმევას და მსხვერპლს.

იმისათვის, რომ გავიგოთ რა არის ქორწინება, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ მის დასაბამს - დაბადებას. შექმნის ისტორია გვასწავლის ქორწინების შესახებ.

[16] ეს გაკვეთილი დაიწერა ტიმ კიპის მიერ.

► ვინმეს სურს გაუზიაროს, როგორ შევიდა ის ქორწინებაში სარგებლის მოლოდინში, მაგრამ ვერ აცნობიერებდა აუცილებელ ვალდებულებას?

ბიბლიური ქორწინება

(1) ბიბლიური ქორწინება გაერთიანებისთვისაა.

„თქვა უფალმა ღმერთმა: "არ არის კარგი, კაცის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე" (დაბადების 2:18).

ისევე, როგორც ღმერთი არის მამა, ძე და სულიწმიდა თანაზიარებაში, ღმერთმა შეგვქმნა, რომ ვიყოთ სოციალურები. ჩვენ ვართ შექმნილნი, რათა ვისაუბროდ. ჩვენ შექმნილნი ვართ სიახლოვისა და ურთიერთობისთვის. ღმერთმა თქვა, რომ მარტო ყოფნა არ არის კარგი!

დაბადების მოვლენების აღწერილობის ყველა ნაწილი, ღირსებას ანიჭებს ქორწინებას. ღმერთმა აიღო კაცისგან ნეკნი, შექმნა მისგან მშვენიერი ასლი და ის „განსაკუთრებული პატივით წარუდგინა კაცს, როგორც შემოქმედის უკანასკნელი და ყველაზე სრულყოფილი ნამუშევარი. ამ აღწერილობის ყოველი ნაბიჯი და ეტაპი განკუთვნილია ქორწინების გასაკეთილშობილებლად."[17] "სიტყვა ("წარუდგინა ის") გულისხმობს მის საზეიმო წარდგენას ქორწინების აღთქმის კავშირში, რომელსაც ამიტომ უწოდებენ ღვთის აღთქმას (იგავების 2:17)."[18]

ქორწინება უნდა იყოს სიხარულის მომტანი კავშირი.

როდესაც ადამმა თქვა: "ეს არის ძვალი ჩემი ძვალთაგანი..." (2:23) ის გამოხატავდა პატივისცემას და აღფრთოვანებას. ადამს არ უთქვამს: "როგორც იქნა, მონა! ახლა მე მყავს ის, ვინც დამირეცხავს, საჭმელს მომიმზადებს, ზურგის მასაჟს გამიკეთებს და ჩემს სამუშაოებს შეასრულებს!" არა, ადამმა თქვა: "როგორც იქნა, *ჩემი შესაფერისი*!"

ქორწინება უნდა იყოს თანასწორთა კავშირი.

"... შესაფერისი შემწე (სრულყოფილი ასლი)" (2:18).

მეთიუ ჰენრი გვახსენებს: „ქალი ადამის გვერდიდან გამოღებული ნეკნისგან იყო შექმნილი; არა მისი თავისგან, რათა არ მართავდეს მას, არც მისი ფეხისგან, რათა მის მიერ არ იყოს გათელილი, არამედ მისი გვერდიდან, რათა იყოს თანაბარი

---

[17] *ელიკოტის კომენტარი ინგლისურენოვანი მკითხველისათვის (შენიშვნები დაბადების 2:22) მოძიებულია.* https://biblehub.com/genesis/2-22.htm 29 დეკემბერი, 2020 წ.

[18] *ამბიონის კომენტარი (ჩანაწერები დაბადების 2:22). მოძიებულია* https://biblehub.com/genesis/2-22.htm 29 დეკემბერი, 2020 წ.

მასთან, მისი ხელის ქვეშიდან, რათა იყოს დაცული და მისი გულის სიახლოვიდან, რათა იყოს სიყვარულის ობიექტი."[19] ადამ კლარკი აცხადებს: "ის უნდა ყოფილიყო მამაკაცის სრულყოფილი მსგავსება, რომელსაც არ ექნებოდა არც არასრულფასოვნება და არც უპირატესობა, არამედ ყოფილიყო ყველაფერში მისი მსგავსი და თანასწორი."[20]

ქორწინება უნდა იყოს აღთქმის კავშირი.

„ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და დედას, მიეკრობა (მიეწებება) თავის დედაკაცს და გახდებიან ისინი ერთხორცად" (2:24). ძლიერი ქორწინება არ ემყარება რომანტიკას (რომანტიკული გრძნობები მოდის და მიდის), სიამოვნებას (თუმცა ჯანსაღ ქორწინებას მოაქვს სიხარული) ან პირად კმაყოფილებას (თუმცა ძლიერ ქორწინებას ნამდვილად მოაქვს კმაყოფილება). ქორწინების მშვენიერი უპირატესობები *არ იწვევს* ძლიერ ქორწინებას; ისინი ძლიერი ქორწინების *შედეგია*. ქორწინება დამყარებულია აღთქმის ურყევ საფუძველზე - ერთი მამაკაცი და ერთი ქალი მთლიანად არიან ერთიმეორისადმი მიძღვნილნი, მთელი ცხოვრება.

ქორწინება უნდა იყოს გამჭვირვალე, სანდო, მიმღები ურთიერთობა - "ორივენი შიშვლები იყვნენ, ადამი და მისი დედაკაცი და არ რცხვენოდათ" (2:25). იმის გამო, რომ ცოდვას ჯერ არ ჰქონდა გაფუჭებული პირველი წყვილის უდანაშაულობა, მათი ქორწინება განკითხვის, სირცხვილისა და შიშის გარეშე მოხდა. ახალი აღთქმა გვეუბნება: „ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი, სარეცელი - შეუბილწავი..." (ებრაელთა 13:4).

ძლიერი ქორწინება არ არსებობს იქ, სადაც არის დაუცველობა, უნდობლობა, ეჭვი ან შიში; სადაც წყვილი არ არის დარწმუნებული ერთმანეთის ვალდებულებაში ქორწინების მიმართ. ძლიერი ქორწინება მოითხოვს მტკიცე დაპირებას: „სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს!"

ხატოვანი ინგლისური გამოთქმაა "დაწვა ხიდი შენს უკან", რაც იმას ნიშნავს, რომ შენი ვალდებულების განხორციელება, უკან დაბრუნებას შეუძლებელს ხდის.

წარმატებული ქორწინება წვავს ყველა ხიდს და ყველა გემს. განქორწინება ან განშორება მიუღებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება სასტიკად მოპყრობა ან ღალატი. მაშინაც კი, როდესაც ეს ხდება, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად ღმერთს შეუძლია გამოსყიდვა.

---

[19] *მეთიუ ჰენრის კომენტარი მთელ ბიბლიაზე*

[20] ადამ კლარკი. ადამ კლარკის კომენტარი ბიბლიაზე

აღთქმის მიერი სიყვარული არის საკუთარი თავის მიძღვნა, პატივისცემა და ურთიერთობის გალამაზება, მაშინაც კი, როდესაც ის რთულია (1 კორინთელთა 13). სუსტი ერთგულება იწვევს ყოყმანს ძალისხმევაში, ემოციურ გათიშვას, განშორებას და ცდუნებას.

ქმარი ცხოვრობს აღთქმის მიერი სიყვარულით, როდესაც ის *არასოდეს იტყვის უარს* თავის პატარძალზე მაშინაც კი, როდესაც ის არ პასუხობს, ან უხეშია, ან ავად არის. ცოლი ცხოვრობს აღთქმის მიერი სიყვარულით, როდესაც ირჩევს ქმრის პატივისცემას და მორჩილებას ქრისტეს გულისთვის, მაშინაც კი, როდესაც ქმარს არ უყვარს ის.

ქმრის სიყვარული იძენს ცოლის პატივისცემას და ცოლის პატივისცემა მოიპოვებს ქმრის სიყვარულს. და ისინი აგრძელებენ ზრდას!

► რა პრობლემები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები ქორწინებისას ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება მოგვიანებით, თუ ისინი უკმაყოფილონი იქნებიან ქორწინებით? რატომ არის მნიშვნელოვანი ერთგულება - როდესაც მამაკაცს სჯერა, რომ მისი ქორწინება მუდმივია?

(2) ბიბლიური ქორწინება არის შექმნის ადგილი: შთამომავლობა.

„აჰა, შვილები - მემკვიდრეობა უფლისგან, მუცლის ნაყოფი - მისი საზღაური" (ფსალმუნის 126: 3).[21]

ბავშვები ღვთის საჩუქარია, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ისინი ასევე არიან მშობლების საჩუქარი ღმერთისთვის. "განა ერთ სხეულად არ გქმნათ უფალმა? სულიც და სხეულიც მას ეკუთვნის; რატომ გქმნათ ერთ სხეულად და რას ითხოვს კაცი? შთამომავლობას ღვთისგან. ამიტომ გაუფრთხილდით თქვენს სულებს და ნუ უღალატებთ სიჭაბუკის ცოლს" (მალაქიას 2:15).[22]

ზოგი ირჩევს იცხოვროს ისეთი ცხოვრებით, რომელშიც არ მოიაზრებიან ბავშვები, მაგრამ ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთისთვის სასიამოვნოა, როდესაც მშობლებს ჰყავთ ღვთისმოსავი შვილები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ღმერთს არ სურს მხოლოდ გამრავლება, არამედ ღმერთმა მშობლებს მოუწოდა, ასწავლონ შვილებს ქრისტეს მიმდევრობა.

---

[21] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*

[22] *ახალი ცხოვრების ვერსია, დამატებულია აქცენტი.*

(3) ბიბლიური ქორწინება ქრისტესთვის.

ეფესელთა 5:30-32-ში სულიწმიდა ამხელს ქორწინების უფრო ღრმა მნიშვნელობას, რომელიც დაფარულია იესოს მოსვლამდე. ქორწინება არის მიწიერი სურათი, რომელიც ასახავს იესო ქრისტესა და მის ეკლესიას შორის ურთიერთობას.

პავლე ამ ნაწილს იწყებს ქრისტიანების მიმართ მოწოდებით: „აღივსენით სულით" (ეფესელთა 5:18). სწორედ ამ კონტექსტში გვთავაზობს ის შემდგომ მითითებებს ქორწინების შესახებ:

სულით სავსე პატარძალი *დაემორჩილება* თავის საქმროს (მის „თავს"), „უფალში", ისევე, როგორც ქრისტიანები ემორჩილებიან იესოს (ეფესელთა 5:24, 32; იხ. ასევე 1 პეტრე 3:1), ამრიგად ის იესოს, ასევე მისი ქმრის მიმართ გამოხატავს მოწიწებას (*პატივისცემას).*

თითოეული ცოლისთვის მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს „უფალი," მის მორჩილებაში. ეს მორჩილება მისთვისაა და მისდამი, და არა მხოლოდ ქმრისადმი. მისი მზერა იესოსკენ არის მიმართული, მხოლოდ ის არის უდანაშაულო. ცოლის ქმრისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება, იესოს თაყვანისცემაა.

ბიბლიური მორჩილება, ისევე როგორც სიყვარული, არ შეიძლება იძულებითი იყოს. ბიბლიური მორჩილება არის საჩუქარი, რომელსაც ცოლები სთავაზობენ თავიანთ ქმრებს, ქრისტესადმი თაყვანისცემის გამო (ეფესელთა 5:33). მორჩილება "ყველაფერში" (გარდა იმისა, რაც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას ან ზიანს აყენებს მის ურთიერთობას იესოსთან), არის იესოს თაყვანისცემა.

ქმრისადმი ცოლის მორჩილება, მის მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა (მუხლი 33), როგორც სულით სავსე ცხოვრების ნაწილის (5:18-21). ეს პატივისცემა მომდინარეობს „ფაქიზი და მშვიდი სულიდან", რაც ესოდენ ძვირფასია ღმერთის წინაშე (1 პეტრეს 3:4).

სულით სავსე საქმრომ უნდა შეიყვაროს თავისი პატარძალი, როგორც იესოს უყვარს თავისი ეკლესია (ეფესელთა 5:25). საქმროს უნდა უყვარდეს ის, როგორც საკუთარი სხეული უყვარს (მუხლები 28-29). მან უნდა გამოავლინოს იგივე სულით სავსე თავგანწირვა, როგორც იესომ გამოხატა თავისი ეკლესიის მიმართ, როდესაც „თავი გასწირა მისთვის". ეს არის მისი „მორჩილების" აქტი (ეფესელთა 5:21). ერთმა კომენტატორმა ასე თქვა:

> ისევე როგორც მან (იესომ) თავი გაიღო ჯვარზე ტანჯვისთვის, რათა ეკლესია გადარჩენილიყო, ჩვენც მზად უნდა ვიყოთ ვუარყოთ საკუთარი თავი და

> ავიტანოთ შრომა და განსაცდელი, ჩვენი ცოლის გასაბედნიერებლად. ქმრის მოვალეობაა იშრომოს მისი მხარდაჭერისთვის; დააკმაყოფილოს მისი საჭიროებები; უარი თქვას დასვენებაზე და სიმშვიდეზე, თუ საჭიროება იდგება, რათა დაეხმაროთ მას ავადმყოფობის დროს; შევიდეს მასზე წინ საფრთხეში; დაიცავით ის, თუ მას საფრთხე ემუქრება; გაუძლოს მას, როდესაც ის გაღიზიანებულია; ჩაეჭიდოს მას, როდესაც ის მას ხელს კრავს; ილოცოს მასთან ერთად, როდესაც ის სულიერ გასაჭირშია; და მზად იყოს სიკვდილისთვის, მის გადასარჩენად. ეს ესე რატომ არ უნდა იყოს? თუ მათი გემი დაიმსხვრა და ერთი ფიცარია დარჩენილი, რომელზეც შეიძლება უსაფრთხოდ ყოფნა, განა ის არ მოისურვებდა მის მოთავსებას მასზე, რათა ის ჯანმრთელად და უსაფრთხოდ იყოს, საკუთარი თავისთვის ნებისმიერი საფრთხის მიუხედავად? უფრო მეტიც ... ქმარმა უნდა იგრძნოს, რომ მისი ცხოვრების მთავარი მიზანი უნდა იყოს ცოლის ხსნა. მან უნდა უზრუნველყოს ის ყველაფრით, რაც მას შეიძლება დასჭირდეს მისი სიცოცხლისთვის... და მან უნდა მისცეს მაგალითი; მისცეს რჩევა, თუ მას ეს სჭირდება; და შეუმსუბუქოს მას ხსნის გზა, რათა რაც შეიძლება ადვილი იყოს მისთვის. თუ ქმარს აქვს მაცხოვრის სული და თავგანწირვა, ის არ მიიჩნევს არც ერთ მსხვერპლს ძალიან დიდად, თუ მას შეუძლია ხელი შეუწყოს თავისი ოჯახის ხსნას.[23]

საქმრო უნდა იღწვოდეს თავისი პატარძლის სიწმინდისთვის, როგორც ქრისტე წმენდს მის პატარძალს, ეკლესიას, „... რათა წმიდაეყო იგი და განეწმიდა... და ასე წარედგინა თავისთვის დიდებულ (ბრწყინვალე) ეკლესიად, რომელსაც არა აქვს ლაქა, არც მანკი, ან რაიმე მსგავსი... (ეფესელთა 5:26-27).

ძველ დროში, მონარქების პატარძლები ფიზიკურად იწმინდებოდნენ ძვირადღირებული კოსმეტიკური საშუალებებით - „ექვსი თვე მურის ზეთით ზელდნენ და ექვსი თვე _ სურნელებებით და ქალთა ნელსაცხებლებით" (იხ. ესთერი 2:12 და შემდეგ). ამგვარად ემზადებოდა ქალწული ქმართან შესახვედრად.

სულიერი გაგებით, ქმარმა უნდა უზრუნველყოს ცოლის კეთილდღეობისთვის აუცილებელი ყველა საშუალება - ერთგულება, უპირობო სიყვარული, გაგება, ლოცვა, რჩევა, სწავლება და სიკეთე.

როდესაც ქმარი ცოლს ასეთი სიყვარულით ექცევა, მას უკან ბედნიერებად დაუბრუნდება. პავლე ამბობს: „ვისაც თავისი ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი

[23] ალბერტ ბარნსი, კომენტარი ეფესელთა მიმართ წერილიდან, (მეხუთე თავი)

უყვარს" (ეფესელთა 5:28). ქმრები, რომლებსაც უყვართ თავიანთი ცოლები ასეთი თავდაუზოგავი სახით, უფრო მეტად დაჯილდოვდებიან უფლის მიერ და, სავარაუდოდ, მისი ცოლის პატივისცემით, სიყვარულით და ერთგულებითაც.

► რა განსაკუთრებული რამ უნდა გააკეთოს ქმარმა, მეუღლის სულიერი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად?

გზები, რომლითაც წყვილებს შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი ქორწინება

(1) მათ უნდა იზეიმონ ღვთის თავდაპირველი განზრახვის გამო და დააფასონ თავიანთი უნიკალური როლი ქორწინებაში.

ქმრებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ცოლები არიან ღმერთის საჩუქარი და „სრულყოფილი პარტნიორი" და მზად უნდა იყვნენ სიცოცხლე გაიღონ მისი უსაფრთხოების, სულიერი, ემოციური და ფიზიკური კეთილდღეობისთვის. მან უნდა აირჩიოს, იყოს მისთვის მადლიერი და შეიყვაროს ის მაშინაც კი, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად იმსახურებს, ხვდება რა, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეცვალოს ის, რაც შესაცვლელია მასში. ღმერთი დააფასებს მის მორჩილებას და რწმენას.

ცოლმა უნდა პატივი სცეს იმას, რომ ღმერთმა აირჩია ქმარი მის თავად, პატივი უნდა სცეს მას ყოველმხრივ და დააფასოს მისი ხელმძღვანელობა. მან უნდა აირჩიოს მორჩილება და პატივისცემა მაშინაც კი, როდესაც ქმარი შეცდომებს უშვებს და ყველაზე ნაკლებად იმსახურებს, ილოცოს, რომ ღმერთმა შეცვალოს ის, რაც შესაცვლელია მასში. ღმერთი დააფასებს მის მორჩილებას და რწმენას.

(2) დაქორწინებულმა წყვილებმა უნდა განავითარონ ნამდვილი სულიერი და ფიზიკური სიახლოვე.

მათ უნდა შეეცადონ გაიცნონ ერთმანეთი შიშის, კრიტიკის, სხვებთან შედარების, შეურაცხყოფის, გულისთქმის, თვითდაკმაყოფილების ან დამცირების გარეშე. მათ უნდა იცხოვრონ გახსნილად და გულწრფელად ღმერთისა და ერთმანეთის წინაშე.

(3) დაქორწინებულმა წყვილებმა უნდა მისდიონ ღვთის მადლის მაგალითს, როდესაც ისინი კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ.

როდესაც ადამი და ევა ცოდვაში ჩავარდნენ და სირცხვილი და სინანული იგრძნეს, ღმერთმა გამოავლინა თავისი ძალა, რათა გამოესყიდა ისინი წარუმატებლობებისგან. ღმერთმა მსხვერპლად ცხოველი გაიღო, რათა ადამისა და ევასთვის ტყავის სამოსელი გაემზადებინა, მათი სიშიშვლის დასაფარად (დაბადების 3:21). ღვთის

ეს მოსიყვარულე მოქმედება იყო მადლის გამოხატულება და ღვთის დაპირება ქრისტეს მეშვეობით გამოსყიდვის შესახებ. ღმერთის სამოსმა ქრისტეს მეშვეობით, საშუალება მისცა მათ და ჩვენც მივიღოთ პატიება და აღდგენა. ქრისტეს მეშვეობით, დაქორწინებულ წყვილებს შეუძლიათ დამარცხების შემდეგაც კი დაუბრუნდნენ ინტიმურ ურთიერთობას, სირცხვილის გარეშე.

იესოს მაგალითი ქალთა პატივისცემისა

I საუკუნის რომაულ სამყაროში და იუდაიზმში ქალები მამაკაცებზე დაბალ დონეზე ითვლებოდნენ. ქალებისადმი დაბალი დამოკიდებულება კვლავ გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ კულტურაში და მრავალ ოჯახში. ქალებს არ სცემენ პატივს, იყენებენ როგორც სექსუალურ ობიექტებს და ძალადობენ. მაგრამ იესოს მიერ ქალებისადმი დიდი პატივისცემა, უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი.

ქრისტესთვის, ქალები არიან იგივე ღირსებისა და ღირებულების მქონენი, როგორც მამაკაცები. იესომ თქვა: "... დასაბამიდან შემოქმედმა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" (მათეს 19: 4; დაბადების 1:27). ქალებიც ღვთის ხატად არიან შექმნილნი, ისევე როგორც კაცები. მამაკაცების მსგავსად, მათ აქვთ თვითცნობიერება, პირადი თავისუფლება, გარკვეული ხარისხის თვითგამორკვევა და პირადი პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებზე.

იესომ აღიარა ქალები, როგორც თანასწორები. იესოს მოწაფეები ორ სქესს წარმოადგენენ, მამაკაცები და ქალები. ქალები იესოს მიერ აღიქმებიან როგორც ნამდვილი პიროვნებები და არა როგორც მამაკაცების სურვილების ობიექტები. ის მათ განიხილავდა როგორც პიროვნებებს, ვისთვისაც ის მოვიდა ამქვეყნად.

ჯეიმს ბორლანდი, ჯონ პაიპერთან და უეინ გრუდემთან ერთად, გვთავაზობს ამ ნათელ მაგალითებს ქალებისადმი იესოს მაღალი შეხედულებებისა და ქალებისადმი მისი პატივისცემისა, როგორც ეს ოთხ სახარებაშია მოძიებული:

(1) იესო რეგულარულად მიმართავდა უშუალოდ ქალებს, საზოგადოებაში ყოფნისას.

ეს უჩვეულო იყო კაცისთვის იესოს დროს (იოანეს 4:27). მოწაფეები გაოცდნენ, როდესაც დაინახეს, რომ იესო სამარიელ ქალთან საუბრობს, სიქარის ჭასთან (იოანეს 4:7-26). ის ასევე თავისუფლად ელაპარაკებოდა მრუშობაში წასწრებულ ქალს (იოანეს 8:10-11). ლუკა აღნიშნავს, რომ იესო საჯაროდ ესაუბრა ქვრივს ნაინაში (ლუკას 7:12-13), სისხლდენით დატანჯულ ქალს (ლუკას 8:48; მათეს 9:22; მარკოზის 5:34), და ქალს, რომელმაც მას ბრბოდან მიმართა (ლუკას 11:27-28).

იესომ მიმართა თვრამეტი წლის განმავლობაში დაკრუნჩხულ ქალს (ლუკას 13:12) და ქალთა ჯგუფს, გოლგოთისკენ მიმავალ გზაზე (ლუკას 23:27-31).

(2) იესომ ქალებისადმი თავისი მზრუნველობა და დიდი პატივისცემა გამოავლინა მათთან საუბრის ფორმით.

ის საუბრობდა გულისხმიერად და მზრუნველად. მათე, მარკოზი და ლუკა წერენ, რომ იესომ სისხლდენის მქონე ქალს "ასული" უწოდა, ხოლო დაკრუნჩხულ ქალს "აბრაამის ასული" (ლუკას 13:16). იმით, რომ იესომ მათ "აბრაამის ასულები" უწოდა, ამით თანაბარი სულიერი მდგომარეობა მიანიჭა "აბრაამის ძეებთან."

(3) იესო აჩვენებს ქალების თანდაყოლილ ღირებულებას იმით, რომ პირადად აკისრებს მათ პასუხისმგებლობას თავიანთ ცოდვაზე.

ეს ჩანს იმ ქალთან მის ურთიერთობაში, რომელსაც შეხვდა სიქარის ჭასთან (იოანეს 4:16-18), მრუშობაში წასწრებულ ქალთან (იოანეს 8:10-11) და ცოდვილ ქალთან, რომელმაც სცხო მისი ფეხები (ლუკას 7:44-50). მათი ცოდვა იგნორირებული კი არა, არამედ დაპირისპირებული იყო. მისმა ქმედებებმა აჩვენა, რომ ყველა ქალს აქვს პირადი თავისუფლება, პასუხისმგებელია მის არჩევანზე და პირადად უნდა გადაწყვიტოს ცოდვის, მონანიებისა და პატიების საკითხები.

იესოს დამოკიდებულებამ ქალებთან, როგორ უნდა წარმართოს ეკლესია დღეს

ქალების იდეალური ბიბლიური *როლი* მსახურებაში და სახლში განიხილება დღეს ბევრ ეკლესიაში და კონფესიაში, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ქალის *ღირებულება* და *თანასწორობა*, როგორც ღვთის ხატად შექმნილი პიროვნებისა, არასოდეს დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. იესო განუწყვეტლივ აჩვენებდა ქალის, როგორც პიროვნების, ფასეულობას და ღირსებას. იესომ დაადგინა ქალები, მისი აღდგომის პირველ მაუწყებლებად (იოანეს 20:17). ის აფასებდა მათ თანაზიარებას, ლოცვებს, ქრისტიანულ მსახურებას, ფინანსურ დახმარებას, დამოწმებას და მოწმობას. იესო პატივს სცემდა ქალებს, ასწავლიდა ქალებს და გულისხმიერად ემსახურებოდა ქალებს.

ქალებისადმი პატივისცემა, რომელიც ახალ აღთქმაშია გამოვლენილი

ქალებისადმი იესოს პატივისცემის მაგალითი ვლინდება სულიწმიდის ცხოვრებაში. სულთმოფენობის დღეს სულიწმიდა გადმოიღვარა როგორც "ძეებზე და ასულებზე", ასევე "მონებსა და მხევლებზე" (საქმეების 2:17,18). სულიწმინდა არ ავლენდა მიკერძოებას.

რომაელთა მე-16 თავში, პავლე აქებს ქალს, სახელად ფებე, როგორც „ეკლესიის მსახურს“ (მუხლი 1), პრისკილას და აკვილას, როგორც „ჩემი თანამშრომელნი ქრისტე იესოში, რომელთაც თავი დასდეს ჩემი სიცოცხლისთვის“ (მუხლები 3-4),[24] მარიამს, როგორც მას, ვინც "ბევრი იშრომა თქვენთვის" (მუხლი 6),[25] იუნიას, როგორც მას, ვინც "განთქმულია მოციქულებს შორის" (მუხლი 7) და სხვა ქალებსაც.

1 თესალონიკელებში პავლე აქებს ქალების, ღვთის მიერ ჩაფიქრებულ, სინაზესა და დედობრივ სიყვარულს, როდესაც წერს: „მაგრამ მშვიდად ვიქცეოდით თქვენს შორის, როგორც მეძუძური, თავის ბალღებს რომ დაჰფოფინებს” (1 თესალონიკელთა 2:7). ეფესელებში ის ავალებს ქმრებს, უყვარდეთ თავიანთი ცოლები, "როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის" და "როგორც საკუთარი სხეულები" (ეფესელთა 5:25, 28). პეტრე მიმართავს ქმრებს: „გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უფრო სათუთ ჭურჭლებს და პატივი ეცით...“ (1 პეტრეს 3:7).

ცხადია, ადრეულ ეკლესიაში ქალები ფასეულად ითვლებოდნენ და მამაკაცებს ასწავლიდნენ ქალების პატივისცემას. დროა სულიერი ლიდერები ყველგან დაუდგნენ ქალებს და დაუპირისპირდნენ მათდამი არასათანადო მოპყრობას ყველა კულტურაში. დროა დავაფასოთ ქალები, როგორც პიროვნებები, რომლებიც შემოქმედის მიერ განუმეორებლად არიან შექმნილნი, მის ხატად. ეკლესიაში ან ოჯახში მამაკაცისა და ქალის როლის განსხვავების შესახებ ნებისმიერი სწავლება უნდა დაიწყოს ამ საფუძვლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სწავლება ბოროტად იქნება გამოყენებული.

დასკვნა

ქორწინება არის ღმერთის ქმნილება და არა ადამიანის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ღმერთს უნდა მივმართოთ მითითებების მისაღებად და არა ქვეყნიერებას, ან კულტურას. მხოლოდ მან იცის როგორ გახადოს ჩვენი ქორწინება ძლიერი, მტკიცე და ღირებული. მაგრამ ჩვენ ვერასოდეს ვიქნებით ის მეუღლეები, როგორებიც უნდა ვიყოთ, სულიწმიდის გარეშე!

ჯგუფში განხილვისთვის

► ახსენით პრინციპები, რომლებიც ეკლესიამ უნდა ასწავლოს ქორწინებების გასამტკიცებლად. უმთავრესად, რისი გაგება აკლია თქვენს გარემოცვას?

[24] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*
[25] იქვე.

► როგორი მოპყრობაა თქვენს კულტურაში ქალებისადმი, მამაკაცებისგან განსხვავებით?

► როგორი მოპყრობაა თქვენი ქვეყნის ეკლესიებში ქალებისადმი, მამაკაცებისგან განსხვავებით? არის რაიმე განსხვავება ეკლესიებსა და კულტურას შორის?

► იესოს მაგალითზე დაყრდნობით, რა წეს -ჩვეულებები უნდა შეიცვალოს?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობას გიხდით მშვენიერი საჩუქრისთვის, რასაც ქორწინება ჰქვია. დაგვეხმარე, ვიკისროთ ვალდებულებები იმისთვის, რომ განვიცადოთ ქორწინება ისე, როგორც შენ დაგეგმე.

დაგვეხმარე, გამოვავლინოთ ისეთი სიყვარული, როგორც ქრისტესა და ეკლესიას შორის არსებული სიყვარულია.

დაგვეხმარე, რომ გავცდეთ ჩვენი კულტურის დაშვებებს, ერთმანეთის პატივისცემაში.

მადლობა სულიწმიდას მოქმედებისთვის, რომელიც სიხარულის მომგვრელ და ძლიერ ურთიერთობებს, შესაძლებელს ხდის.

ამინ

გაკვეთილი 6 დავალებები

(1) წერილობით აღწერეთ განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის თქვენს კულტურაში. როგორ შეიძლება ამ განსხვავებების გამოსწორება ბიბლიური ჭეშმარიტების გულდასმით გამოყენებით?

(2) შეარჩიეთ ორი პრინციპი, რომელიც თქვენთვის ახალი იყო ამ გაკვეთილიდან. დაწერეთ აბზაცი, ახსენით თითოეული მათგანი, თქვენი სიტყვებით.

(3) მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია ქვემოთ ჩამოთვლილ თემებზე. (კლასის ლიდერმა თითოეულ სტუდენტს გადასცეს თემა.) გაუზიარეთ პრეზენტაცია მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში.

- ქორწინების კავშირის ღვთიური ჩანაფიქრი
- ქორწინების ბიბლიური მიზნები
- ქორწინების განმტკიცების გზები
- ბიბლიური შეხედულება ქალებზე
- ღმერთის მიერ ბოძებული როლები ქორწინებაში და სულით ავსების მნიშვნელობა ამ როლების შესასრულებლად

გაკვეთილი 7
ქორწინების სიწმინდე

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გააცნობიეროს ღმერთის გეგმა ქორწინებისთვის და მისი წესები, რომლებიც იცავენ პრობლემებისგან და მოაქვთ კურთხევა.
(2) ახსნას ბიბლიური მითითებები ოჯახებისთვის.

რობერტსონ მაკკილკინი, დაპირების მცველი

დოქტორი რობერტსონ მაკკილკინი იაპონიაში მისიონერად მსახურობდა, თორმეტი წლის განმავლობაში. მოგვიანებით ის კოლუმბიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზიდენტი გახდა. ის კარგად იყო ცნობილი როგორც მწერალი, სპიკერი და განმანათლებელი. მის მეუღლეს, მიურიელს ჰქონდა ალცჰეიმერის დაავადება. როდესაც დაავადება პროგრესირებდა და იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ მიურიელს მუდმივი მოვლა სჭირდებოდა, დოქტორმა მაკკილკინმა დატოვა უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანამდებობა, რათა ეზრუნა მის მეუღლეზე. მან თქვა, რომ ის ასრულებს დაპირებას, რომელიც მისცა თავის საცოლეს, როდესაც ქორწინდებოდნენ. მას სჯეროდა, რომ ცოლზე ზრუნვა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანამდებობის შენარჩუნება.

ქორწინების ღვთიური ინსტიტუტი

ქორწინება ღმერთმა დაუწესა მის მიერ შექმნილ პირველ მამაკაცსა და ქალს.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს დაბადების 2:21-24.

► რას გვეუბნება ეს მუხლები ქორწინებაზე?

ქორწინება ღმერთმა შეიმუშავა, რომ ყოფილიყო სწორედ ის, რაც ხალხს სჭირდება. ის სპეციალურად ადამიანის ბუნებისთვის შეიქმნა. ყველაფერში, რაც ღმერთს აქვს დაგეგმილი და ყველაფერში, რასაც ის მოითხოვს, მას ყოველთვის სურს საუკეთესო ჩვენთვის.[26] ღმერთმა იცის, რომ ქორწინების მისი გეგმა, თითოეულ მეუღლეს უზრუნველყოფს საუკეთესო ემოციური, ოჯახური და სულიერი კეთილდღეობით.

[26] მეორე რჯულის 6:24

ქორწინება ჩაფიქრებულია ასევე, ღვთის ხასიათისა და მისი ურთიერთობების გამოსახატად. მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა ღმერთი, ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ერთმანეთთან ურთიერთობაში. თითოეული უნიკალურია თავის როლში, მაგრამ სამების ყველა პიროვნება მუდმივად ერთია და ერთი არსია. სამების პირებს შორის ურთიერთობაში, ჩვენ ვხედავთ ერთობას, სიახლოვეს, ერთგულებას და მტკიცე სიყვარულს. ბიბლიური ქორწინება ამ საოცარი ურთიერთობის ნიმუშია. ღმერთის გეგმაა, რომ თითოეული ცოლ-ქმარი იყოს სიყვარულში წმინდა და ერთმანეთის მიმართ ერთგული, სიცოცხლის ბოლომდე.

ღმერთმა თქვა, რომ ქორწინებაში კაცი და ქალი ტოვებენ მშობლებს და ერთ ხორცად ხდებიან. ქორწინება ორ ადამიანს აყენებს მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობაში, რომელიც უფრო ძლიერი და მჭიდროა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანური ურთიერთობა.

ქორწინება არ არის მხოლოდ ორი ადამიანის შეზღუდული პარტნიორობა. მათი ცხოვრება ისეა შერწყმული ერთმანეთთან, რომ გარკვეული გაგებით, ისინი ერთ პიროვნებას წარმოადგენენ. ეს არის არა მათი ინდივიდუალური იდენტობის წაშლა, არამედ განსაკუთრებული ერთობა.

ქორწინების მუდმივობა

ღმერთმა შექმნა ქორწინება, რომ იყოს მუდმივი. ქორწინებაში, კაცი და ქალი ჰპირდებიან ერთმანეთს ერთგულებას, სიცოცხლის ბოლომდე.

ბიბლიაში ჩაწერილია იესოს სიტყვები ქორწინების შესახებ, რომლებიც მან თქვა ფარისევლებთან საუბრისას.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს მათეს 19:3-8.

იესომ თქვა, რომ ღმერთს განზრახული ჰქონდა, ქორწინება მუდმივი ყოფილიყო. მან თქვა, რომ განქორწინება დაწესდა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ღმერთს არ მიჰყვებიან.

არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც ღმერთს განზრახული ჰქონდა, რომ ქორწინება მუდმივი ყოფილიყო, რომელთაგან ზოგიერთზე ვისაუბრეთ ბოლო ნაწილში. კიდევ ერთი მიზეზი, რისთვისაც ქორწინება მუდმივი უნდა იყოს, ეს არის შვილების გამო. ქორწინების შესახებ ღვთის გეგმისადმი მორჩილება, ქმნის საუკეთესო გარემოს შვილების აღზრდისთვის. თუკი მშობლები პატივს მიაგებენ

ღმერთს ქორწინებაში და მის პრინციპებს იცავენ ოჯახში, ისინი შეძლებენ ღვთისმოსავი შვილების აღზრდას.[27]

ღმერთმა ადამიანის ცხოვრება ისე მოაწყო, რომ ბავშვებს მოწიფულობამდე რამდენიმე წელი სჭირდება. ამ დროის განმავლობაში ბავშვები მშობლებზე არიან დამოკიდებულნი და ჭირდებათ მათი დაცვა, უზრუნველყოფა და სწავლება. ეს პროცესი განსხვავებულია ცხოველთა სამყაროსგან, ისინი მოწიფულობას ერთ ან ორ წელიწადში აღწევენ. ადამიანებს მეტი დრო სჭირდებათ მომწიფებული ხასიათის გასავითარებლად. ღმერთმა შექმნა ოჯახი, როგორც შვილების აღზრდის საშუალება. საზოგადოებაში ბევრი პრობლემა წარმოიქმნება იმ ოჯახების ნაკლებობით, სადაც ერთგული მშობლები არიან.

ქორწინება მოითხოვს, რომ ადამიანები დაპირდნენ, მთელი ცხოვრების ერთმანეთისადმი მიძღვნას. ყველა კულტურას აქვს ფორმები და ცერემონია, რომელიც აჩვენებს, რომ ქორწინება სერიოზული ვალდებულებაა. ცერემონია არის გზა, რათა მამაკაცმა და ქალმა საჯაროდ განაცხადონ, რომ ისინი იღებენ ამ უწყვეტ ვალდებულებას.

მთავრობების უმეტესობა ინახავს ქორწინებების შესახებ ჩანაწერებს. ქორწინების შესახებ კანონები გავლენას ახდენს ქონების საკუთრებაზე, შვილების მეურვეობაზე და მემკვიდრეობაზე.

აქ მოცემულია საქორწინო აღთქმის მაგალითი, რომელიც ბევრ ქორწილში იყო გამოყენებული:

> მე გღებულობ ჩემს [ქმრად/ცოლად], რათა ვიყოთ დღეიდან და სამუდამოდ ერთად, კეთილდღეობასა თუ გაჭირვებაში, სიმდიდრესა თუ სიღარიბეში, ავადმყოფობასა თუ ჯანმრთელობაში, გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს ვიდრე სიკვდილი არ დაგვაშორებს, ღვთის წმიდა დადგენილებისამებრ; ამას გპირდები უფლის წინაშე.

რომანტიკული გრძნობები ყოველთვის არ იქნება უცვლელი. ქორწინება არ შეიძლება ეფუძნებოდეს პირად გრძნობებს, რომლებიც ცვალებადია. ქორწინების აღთქმა ნიშნავს, რომ მამაკაცი და ქალი პირდებიან ერთმანეთს ერთგულებას სიცოცხლის ბოლომდე და ეს დაპირება არ არის დამოკიდებული რაიმე პირობაზე.

[27] მალაქიას 2:15

ქორწინება, როგორც ქრისტიანული პარტნიორობა

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 2 კორინთელთა 6:14-18.

ეს მუხლები გვეუბნება, რომ ქრისტიანის ვალდებულება ხელშეშლილია, თუ ის ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ურწმუნოებთან. ქრისტიანს არ შეუძლია თაყვანისცემა სატანის თაყვანისმცემელთან ერთად, მას არ შეუძლია დაიცვას ურწმუნოების ცხოვრების წესი და პრიორიტეტები. გაფრთხილება შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა სახის ურთიერთობებს, მათ შორის საქმიან პარტნიორობას.

ქორწინება ყველაზე ახლო ადამიანური პარტნიორობაა. ქრისტიანმა არც უნდა განიხილოს შესაძლებლობა იქორწინოს ადამიანზე, რომელიც არ არის ერთგული ქრისტიანი (1 კორინთელთა 7:39). ურწმუნოზე დაქორწინებული ქრისტიანი განიცდის ბევრ მწუხარებას და ბევრ დაბრკოლებას შვილების აღზრდაში და ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებაში.

თუ ცოლ-ქმარი ორივე ქრისტიანია, მაგრამ სხვადასხვა ეკლესიებიდან მოდიან, უნდა დარწმუნდნენ, რომ ისინი მნიშვნელოვან სულიერ საკითხებში შეთანხმებულები არიან. მათ უნდა დაგეგმონ, რომ გახდნენ ერთი და იგივე ადგილობრივი ეკლესიის ნაწილი, დაქორწინების შემდეგ.

► რატომ იწყება ქორწინება აღთქმით და არა მხოლოდ სიყვარულის მტკიცებით?

ღვთის მორალური სტანდარტი

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ებრაელთა 13:4.

ეს მუხლი გვეუბნება, რომ ქორწინება უნდა იყოს დიდად დაფასებული. სექსუალური ცოდვა ქორწინების უპატივცემულობაა. ღმერთი განიკითხავს სექსუალურ უზნეობას.

სექსუალურ ცოდვაში იგულისხმება სიძვა, მრუშობა, ჰომოსექსუალური ურთიერთობები და პორნოგრაფიის გამოყენება. სიძვა არის სექსუალური ურთიერთობა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც არ არიან დაქორწინებულები. მრუშობა არის სექსუალური ურთიერთობა, სადაც წარმოდგენილია პირი, რომელიც ქორწინებაშია სხვასთან. ჰომოსექსუალური ურთიერთობა არის სექსუალური აქტივობა, ერთი და იგივე სქესის ადამიანებს შორის. პორნოგრაფია მოიცავს წერილებს, სურათებს და ვიდეოებს, რომლებიც შექმნილია სექსუალური რეაქციების გამოსაწვევად სიშიშვლის ან სექსუალური აქტივობის ჩვენებით. ეს ყველაფერი საქორწინო ურთიერთობების დარღვევაა.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 6:9-10.

ყველა საზოგადოებას აქვს კულტურული შეხედულებები ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობებზე. ამ კულტურულ შეხედულებებს უფრო დაბალი სტანდარტები აქვთ, ვიდრე ბიბლიური მორალის სტანდარტებია. ბევრ კულტურას აქვს მხოლოდ წესები, რომლებიც აუცილებელია მოწესრიგებული საზოგადოების შესანარჩუნებლად. ისინი მოითმენენ სექსუალურ ცოდვას, თუ მას საკმარისად ფრთხილად მართავენ, რათა თავიდან აიცილონ ცუდი შედეგები ან სკანდალი. მორალის ბიბლიური სტანდარტი განსხვავებულია.

სამწუხაროდ, ზოგი ეკლესია მიჰყვება თავისი კულტურის მორალს ბიბლიის მორალის ნაცვლად. ისინი სჯიან ადამიანებს, რომელთა ცოდვები აშკარა და დაუფარავი გახდა, მაგრამ იმავე ცოდვებს ითმენენ უფრო ფრთხილი ადამიანების მხრიდან.

ეს მუხლები გვეუბნება, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ცოდვებს სჩადიან, არ არიან ქრისტიანები და ვერ მოხვდებიან ზეცაში. ზოგიერთი კორინთოელი მორწმუნე ჩადიოდა ასეთ ცოდვებს წარსულში, მაგრამ დახსნილ იქნა მათგან.

ნებისმიერი მოძღვრება, რომელიც ამართლებს რომელიმე ამ ცოდვის ჩამდენ ადამიანს, რომელიც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს, არის მცდარი მოძღვრება. თუ ადამიანი საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს, თუმცა სექსუალურ ცოდვას სჩადის, წმიდა წერილი მოითხოვს ეკლესიისგან, რომ ის გარიცხულ იქნას და არ მიიჩნეოდეს ქრისტიანად (1 კორინთელთა 5:11-13).

ეკლესიის ლიდერები ქცევის კარგ მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ. როდესაც ეკლესია თაყვანისმცემლების ლიდერებს საშუალებას აძლევს ჩაიცვან არამოკრძალებულად ან ნებას რთავს ეკლესიაში ცეკვა წარმოადგინონ სექსუალური მოძრაობებით, ისინი გულისხმობენ, რომ ვნებიანი სურვილები ნორმალურია. ისინი გულისხმობენ, რომ სექსუალური ცოდვა არ არის სერიოზული.

საზოგადოების ჩაცმის სტილი შეიძლება გულისხმობდეს, რომ ქალი არ არის კარგად ჩაცმული, თუ ის არ არის ჩაცმული ისე, რომ გამოიყურებოდეს სექსუალურად და მიმზიდველად, მისი სხეულის დიდი ნაწილის გამოჩენით. ეკლესიის წევრები, ზოგჯერ უშვებენ ამ შეცდომას, განსაკუთრებით განსაკუთრებულ შემთხვევებში. ისინი ფიქრობენ, რომ ცუდად არიან ჩაცმულნი, თუ არ მიჰყვებიან ქვეყნიური საზოგადოების მოდას. ეკლესიამ უნდა ასწავლოს, რომ ეს ასე არ არის. ქრისტიანმა არ უნდა გამოიწვიოს სხვებში არასწორი სურვილები. 1 ტიმოთეს 2:9-10 გვეუბნება, რომ ქრისტიანებმა უნდა ჩაიცვან და მოიქცნენ ისე, რომ ყველამ, ვინც მათ ხედავს,

იცოდეს, რომ ისინი ცხოვრობენ წინდახედული, სუფთა ცხოვრებით და არ სურთ ცოდვის ჩადენა, ან სხვების ცოდვაში შეყვანა. ქრისტიანი ქალები უნდა იყვნენ „...შესაფერისი სამოსლით, მორცხვობით და თავშეკავებით შემკულნი...”[28]

დახმარება ცოდვილისთვის

გალატელთა 6:1-ში ნათქვამია, რომ ეკლესიას ეკისრება პასუხისმგებლობა, შეეცადოს აღადგინოს წევრი, რომელმაც შესცოდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა უნდა შეინარჩუნოს მსახურებაში პოზიცია, ან ცოდვის ჩადენის შემდეგ მალევე დაბრუნდეს ამ პოზიციაზე. აღდგენა ნიშნავს, უკან მიღებას ეკლესიის მოზიარეობასა და მზრუნველობაში. თუ წევრი ნამდვილად ინანიებს, მას აპატიებს ღმერთი და ეკლესია. ეკლესიამ უნდა უზრუნველყოს სულიერი პასუხისმგებლობა, რათა დაეხმაროს მას გამარჯვების შენარჩუნებაში და სულიერად გაძლიერებაში.

თუ გასათხოვარი გოგონა დაფეხმძიმდება, ეკლესიამ არ უნდა გარიცხოს ის ეკლესიის მოზიარეობისა და მზრუნველობიდან, სულიერად აღდგენის მცდელობის გარეშე. თუ ის მოინანიებს და სულიერ პასუხისმგებლობას დაემორჩილება, მას ეპატიება. მისი ცოდვა არ არის უარესი იმ კაცის ცოდვაზე, რომელიც ჩართული იყო ამ საქმეში. ზოგჯერ გოგონას სასტიკად ეპყრობიან მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ცოდვის შედეგები ასე თვალსაჩინოა.

ეკლესია რწმენის ოჯახია. ეკლესიისთვის საკმარისი არ არის ცოდვების დაგმობა. ეკლესიამ უნდა იზრუნოს მის წევრებზე. მაგალითად, თუ ქალი ფინანსურ სარგებელს ღებულობს ცოდვილი საქმიანობით, ეკლესიამ უბრალოდ კი არ უნდა უთხრას, რომ ეს საქმიანობა არასწორია, არამედ მზად უნდა იყოს დაეხმაროს მას საჭიროებებში, თუ ის მოინანიებს.

რეალური სიტუაცია...

რამდენიმე გოგონა დიდ ეკლესიაში დადიოდა და გუნდში მღეროდა. მათი ოჯახები ღარიბი იყო. გოგონები ამორალურ ურთიერთობაში იყვნენ მამაკაცებთან, რათა ოჯახების დასახმარებლად ფული ეშოვათ. რა უნდა გააკეთოს ეკლესიამ ასეთ სიტუაციაში?

► რა უნდა გააკეთოს თქვენმა ეკლესიამ, რათა დაეხმაროს ადამიანებს დატოვონ ცოდვილი ცხოვრების წესი?

[28] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*

პორნოგრაფია

პორნოგრაფია არის ნაწერი, სურათები ან ვიდეო, რომელიც შექმნილია სექსუალური რეაქციების გამოწვევისთვის სიშიშვლის ან სექსუალური აქტივობის ჩვენებით.

ინტერნეტი პორნოგრაფიას ადვილად ხელმისაწვდომს ხდის მთელ მსოფლიოში. ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება, პორნოგრაფიას ცდუნებად აქცევს ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც არ უსწავლებიათ ამ საკითხში ქრისტიანული პრინციპების გამოყენება. ბევრი ხანში შესული პასტორი და ლიდერი არასოდეს შეჯახებია ამ ცდუნებებს, რადგან ინტერნეტი არ იყო მათ ახალგაზრდობაში. მათ შეიძლება გაჭირვებით ესმოდეთ, რის წინაშე დგას ახალგაზრდა თაობა.

პორნოგრაფია ბოროტებაა, რადგან ის შექმნილია იმისთვის, რომ ადამიანმა სიამოვნება მიიღოს სიძვის, მრუშობისა და სექსუალური გარყვნილების მრავალი ფორმის წარმოდგენით. ის მიმზიდველია ადამიანისთვის, რომელსაც ცოდვილი სურვილები აქვს. პორნოგრაფია მოუწოდებს და საშუალებას აძლევს ადამიანს სიამოვნება მიიღოს უზნეო ქმედებებით, რომლებსაც ღმერთი გმობს.

პორნოგრაფია იწვევს დამოკიდებულებას. ადამიანი, რომელიც იყენებს პორნოგრაფიას, გრძნობს მასზე ძლიერ მოთხოვნილებას. მას ძნელად წარმოუდგენია მის გარეშე ცხოვრება. მას ეჩვენება, რომ ცხოვრება ცარიელი და უინტერესო იქნებოდა პორნოგრაფიისგან მიღებული წარმოსახვების გარეშე. ნებისმიერი სხვა დამოკიდებულების მსგავსად, სურვილი ხდება ყოვლისმომცველი და მომხმარებელი იწყებს მის ცხოვრებაში არსებული სიკეთეების მსხვერპლად გაღებას.

პორნოგრაფია პროგრესირებს. მომხმარებელს სჭირდება მასალები, რომლებიც უფრო დაწვრილებითი და გარყვნილი ხდება. ის დაიწყებს იმ ფანტაზიებით ტკბობას, რომლებიც მანამდე მას ეზიზღებოდა და აშინებდა.

პორნოგრაფია დამღუპველია. მომხმარებელს ნაკლებად შეუძლია ისიამოვნოს ნორმალური ურთიერთობით. მისი სურვილები იმდენად არაბუნებრივი ხდება, რომ ვერასოდეს დაკმაყოფილდება. ის ხდება უგრძნობი სხვების მხრიდან შეურაცხყოფის მიმართ.

პასტორებმა და მშობლებმა უნდა გააფრთხილონ ახალგაზრდები დამოკიდებულების საფრთხის შესახებ. მშობლებმა არ უნდა მისცენ შვილებს ინტერნეტთან შეუზღუდავი წვდომის საშუალება, როდესაც მათ არ აქვთ სიმწიფე და ცდუნებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ვინც პორნოგრაფიის გამოყენების

ცდუნებას ებრძვის, ანგარიშვალდებულ ურთიერთობაში უნდა ჩადგეს. მან რეგულარულად უნდა ჩააბაროს ანგარიში ამ ადამიანს.

► რა მეთოდებს ურჩევდით ადამიანებს, პორნოგრაფიაზე დამოკიდებულებისგან დასაცავად? რით შეუძლია დახმარება ეკლესიას?

ჰომოსექსუალური ურთიერთობა

ზოგიერთი თანამედროვე საზოგადოება, რომელიც უარყოფს ბიბლიურ ავტორიტეტს, ასევე უარყოფს ქორწინების ბიბლიურ აღწერილობას. ისინი ამბობენ, რომ ადამიანები თავისუფლები არიან აირჩიონ ერთსქესიანი ურთიერთობები.

ბიბლია გმობს ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს.

ჯგუფმა ერთად უნდა შეისწავლოს რომაელთა 1:26-27, 1 ტიმოთეს 1:10 და 1 კორინთელთა 6:9.

ბიბლიის ეს სამი მონაკვეთი, ჰომოსექსუალურ ქცევას წარმოაჩენს, ერთ-ერთ ყველაზე უარეს ცოდვად. ადამიანები, რომლებიც მიჰყვებიან ამ ცოდვებს, უარყოფენ ღვთის ძალაუფლებას.

ზოგი ამტკიცებს, რომ მათ ბუნებრივად აქვთ ჰომოსექსუალური მიდრეკილებები. ისინი ამბობენ, რომ ისინი არ უნდა დაადანაშაულონ თავიანთი საქციელის გამო, რადგან მათ არ აურჩევიათ ეს სურვილები.

ბიბლია გვასწავლის, რომ ყველა ადამიანს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება ცოდვისკენ (ესაიას 53:6). ღმერთი მოგვიწოდებს, მოვინანიოთ ჩვენი განზრახ ჩადენილი ცოდვა (ესაიას 55:7). ვინაიდან ჩვენ ცოდვილი ბუნებით დავიბადეთ, ჩვენს ბუნებრივ სურვილებს არ უნდა ვანდოთ ჩვენი მართვა. ადამიანმა შეიძლება იგრძნოს ძლიერი ბუნებრივი მიდრეკილება მრუშობის, ძალადობის ან ქურდობისკენ, მაგრამ ბუნებრივი სურვილი არ ნიშნავს, რომ სურვილი სწორია.

ქორწინებამდე მორალური სიწმინდით, ღვთის პატივისცემის პრინციპები

ახალგაზრდები დაქორწინებამდე განიცდიან ძლიერ ცდუნებებს. მათთვის მნიშვნელოვანია ახსოვდეთ, რომ მათ ცხოვრების ერთგული თანამგზავრი სჭირდებათ.[29] მათ არ უნდა განიხილონ ურთიერთობა ადამიანთან, რომელსაც სურს ქორწინების გარეშე მოკლევადიანი სიამოვნების მიღება. მათ არ უნდა განიხილონ ურთიერთობა იმ ადამიანთან, რომელიც არ არის ერთგული ქრისტიანი (1

[29] იხილეთ იგავების 31:11-12, 1 ტიმოთეს 3:12, მალაქიას 2:14-16, იგავების 2:16-17.

კორინთელთა 7:39). მათ უნდა განიხილონ მხოლოდ ის, ვინც იქნება ქორწინებაში ერთგული პარტნიორი და კარგი მშობელი.

ახალგაზრდა, რომელსაც სურს კარგი ქორწინება, უნდა იყოს ერთგული, მიძღვნილი ქრისტიანი, რათა მიიზიდოს სწორი ადამიანი.[30] პიროვნება ავლენს კარგ ხასიათს სათანადო ქცევით და მოკრძალებული ჩაცმულობით (1 ტიმოთეს 2:9-10). ადამიანები, რომლებიც მოუფრთხილებლად ექცევიან საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს, გულისხმობენ, რომ მზად არიან არასწორი სურვილების საფუძველზე ურთიერთობისთვის.[31] პიროვნება, რომელიც იცვამს ისე, რომ იწვევს არასწორ სურვილებს, იზიდავს არასწორ ადამიანს.[32]

ღმერთმა ახალგაზრდებს მისცა მშობლები, პასტორები და სხვა ქრისტიანი ლიდერები, რათა დაეხმარონ მათ ქცევის, ჩაცმულობისა და ურთიერთობების არჩევაში. როდესაც ახალგაზრდები ემორჩილებიან ამ ლიდერებს ღმერთისადმი მორჩილებით, ისინი მიიღებენ ღვთის უდიდეს კურთხევებს და დაცულნი იქნებიან მრავალი ზიანისა და განსაცდელისგან.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 პეტრეს 5:5 და ებრაელთა 13:17.

ბავშვებისა და ახალგაზრდების პასუხისმგებლობაა დაემორჩილონ მშობლებისა და სულიერი ავტორიტეტების სიბრძნესა და ხელმძღვანელობას. ამ ლიდერებს აქვთ პასუხისმგებლობა დაეხმარონ ახალგაზრდებს ცდუნების დაძლევაში.

წაიკითხეთ რომაელთა 13:14 და 1 კორინთელთა 10:13 ერთად.

ღმერთი არ უშვებს, რომ ქრისტიანები ჩავარდნენ იმაზე მეტ ცდუნებაში, ვიდრე მათ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ და თავიდან აიცილონ, **თუ** მათ ეს სურთ. ახალგაზრდები ვალდებულნი არიან გაექცნენ ცდუნებას (2 ტიმოთეს 2:22). თუმცა მშობლებმა მაქსიმალურად უნდა დაიცვან ახალგაზრდები ზედმეტი ცდუნებებისგან. მშობლებისთვის ამის გაკეთების, სულ მცირე სამი გზა არსებობს:

(1) კონკრეტული მითითებების მიცემით ბავშვებისთვის იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ და რა არ უნდა გააკეთონ, ვისთან ერთად უნდა იყვნენ და სად უნდა წავიდნენ (ეფესოელთა 6:1-4).

მშობლებმა არ უნდა მისცენ შვილებს საშუალება, მოხვდნენ ისეთ სიტუაციებში, როდესაც მათი მოწიფულობა არ იქნება საკმარისი, რომ დაიცვან თავი ცდუნებისგან.

---

[30] იგავების 3:4-8
[31] 1 თესალონიკელთა 4:1-7
[32] იგავების 7

მაგალითად, თუ ახალგაზრდა მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი მარტო დარჩნენ განცალკევებულ ადგილას, ისინი სავარაუდოდ არასწორი ქცევის ცდუნებას განიცდიან.

(2) ცდუნების სფეროებში, თავიანთი შვილების ანგარიშვალდებულების ქვეშ ყოლით.

(3) ახალგაზრდებისთვის ბიბლიური რჩევების მიცემით.

მშობლები უნდა დაეხმარონ თავიანთ შვილებს ისწავლონ სიტუაციის განხილვა ბიბლიური პრინციპების გათვალისწინებით (იგავების 4:1-9; 7:1, 4-5). მათ ახალგაზრდებთან უნდა ისაუბრონ იმ საფრთხეებზე, რასაც ხედავენ. მათ უნდა დაეხმარონ ახალგაზრდებს განიხილონ სხვადასხვგვარი არჩევანი იმისა, რაც აქვთ მათ გასაკეთებელი. მათ შეუძლიათ დაეხმარონ თავიანთ შვილებს წინასწარ იფიქრონ იმაზე, თუ როგორ აიცილონ ცდუნებები და რა გააკეთონ, როდესაც ცდუნებას უკვე განიცდიან.

ეკლესია უნდა განსხვავდებოდეს თავისი კულტურისგან, როცა იცავს ბიბლიურ მორალს. ბევრი კულტურა არ მიიჩნევს სექსუალურ ცოდვას სერიოზულად. მათ მოლოდინი აქვთ, რომ ახალგაზრდა, დაუქორწინებელი ადამიანები, ქორწინებამდე სექსუალურ ურთიერთობაში უნდა იყვნენ. ეკლესია არ უნდა წავიდეს კომპრომისზე ცოდვასთან. ეკლესიამ არ უნდა ჩათვალოს, რომ ახალგაზრდებში სექსუალური ცოდვა ნორმალურია. ღმერთი ამბობს, ისინი ვინც უზნეოები არიან, არ არიან ქრისტიანები (ეფესელთა 5:3-7, ებრაელთა 13:4).

პერიოდი, როდესაც ურთიერთობა არსებობს ქორწინებამდე, არ არის სექსუალური ურთიერთობის დაწყების დრო. პირიქით, ეს არის პერიოდი, როდესაც მამაკაცი და ქალი რწმუნდებიან, რომ მათ აქვთ იგივე სულიერი და ბიბლიური პრიორიტეტები. ეს ის დროა, როდესაც ისინი ავითარებენ ერთიმეორისადმი გაგებას, რაც საშუალებას აძლევს მათ ენდონ ერთმანეთს ისე, რომ ერთიმეორისადმი მუდმივი ვალდებულება ჰქონდეთ. თუ ერთმანეთის ხასიათში ასეთ ნდობას ვერ მიაღწევენ, ურთიერთობა უნდა გაწყვიტონ და არ დაქორწინდნენ.

ზოგიერთ საზოგადოებაში ადამიანები აყოვნებენ ქორწინებას, რადგან მათი კულტურა მოითხოვს, რომ ქორწინება დახვეწილი და ძვირადღირებული ცერემონია იყოს. ხშირად წყვილები ერთად ცხოვრობენ წლების განმავლობაში და ჰყავთ შვილები, მაგრამ ქორწინების გადადება ხდება. ზოგიერთ წყვილს, მათი ქორწილის ხარჯები მტკივნეულ ტვირთად დიდხანს აწევს, რადგან ისინი ხარჯავენ ყველაფერს, რაც აქვთ საქორწინო წვეულებისთვის და შესაძლოა სესხებაც კი დაჭირდეთ.

ეკლესია უნდა იყოს რწმენის საზოგადოება, რომელიც შესთავაზებს ქორწინების განსხვავებულ მოდელს. ქრისტიანული ქორწინება განკუთვნილია მამაკაცისა და ქალისთვის, რომლებიც ერთგულები არიან ერთმანეთისა და ღმერთისადმი და არ უნდა იყოს მოთხოვნილი დიდი ხარჯები, რომ არ გამოიწვიოს ქორწილის გადადება ან წყვილის მომავლისთვის ზიანის მიყენება.

► რით უნდა განსხვავდებოდეს ქრისტიანული ქორწინება, საზოგადოებაში მიღებული ქორწინების წეს-ჩვეულებებისგან?

ადამიანები, რომლებიც არასოდეს ქორწინდებიან

ქორწინება არის ღმერთის გეგმა ადამიანების უმეტესობისთვის. თუმცა, პავლე მოციქულმა აღწერა რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ადამიანები შეიძლება არ დაქორწინდნენ. 1 კორინთელთა 7:26-ში მან ახსენა „ახლანდელი გაჭირვებისას" — ცხოვრების რთული პირობები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დევნას. მისი თქმით, შესაძლოა ჯობია, ასეთ პირობებში არ დაქორწინდე.

იგივე მონაკვეთი (1 კორინთელთა 7:32-35) ამბობს, რომ დაუქორწინებელ ადამიანს განსაკუთრებული უპირატესობა აქვს. დაუქორწინებელ ადამიანს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს ღმერთის მსახურებაზე, მეუღლეზე ზრუნვის ნაცვლად. როდესაც ადამიანს ღმერთი მოუწოდებს, ყურადღება გაამახვილოს მსახურებაზე დაქორწინების გარეშე, ის შეიძლება იყოს საოცრად ეფექტური და კურთხეული თავის მსახურებაში.

შეიძლება არსებობდეს სხვა მიზეზებიც, რის გამოც ღმერთმა შეიძლება აირჩიოს დაუქორწინებელი ადამიანი (მათეს 19:10-11). ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არაბუნებრივი მდგომარეობაა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითოეულ დასაოჯახებელ ადამიანს სჭირდება ვინმეს შერჩევა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბედნიერება და კმაყოფილება ქორწინებაზეა დამოკიდებული.[33]

ადამიანი, რომელიც არ არის დაქორწინებული, ფრთხილად უნდა იყოს, რათა თავიდან აიცილოს არასწორი ურთიერთობები ემოციური და ფიზიკური მოთხოვნილებების გამო. ღმერთი სიხარულს და კმაყოფილებას ანიჭებს იმ ადამიანს, ვინც მისდამი სრულად მიძღვნილია.

[33] ფსალმუნის 106:9

ბიბლიური მითითებები ქორწინებისთვის

ერთად წაიკითხეთ 1 პეტრეს 3:1-7 და ეფესელთა 5:22-33. ჯგუფმა უნდა დატოვოს ეს მონაკვეთები განხილვისთვის ღიად ამ დისკუსიის დროს.

ქმარს ეთქვა, შეიყვაროს თავისი ცოლი, როგორც ქრისტეს უყვარს ეკლესია. იესომ მსხვერპლად გაიღო თავი ეკლესიისთვის. ქმარმა მსხვერპლად უნდა გაიღოს საკუთარი სარგებელი, კომფორტი და სურვილები, რათა დააკმაყოფილოს ცოლის საჭიროებები. მუხლში ნათქვამია, რომ მან უნდა „გონივრულად მოეპყარით ცოლებს", რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა გაუგოს მას. მან უნდა შეისწავლოს ის, მისი საჭიროებების გასაგებად.

ამ მონაკვეთში ქალი მოხსენიებულია, როგორც "სათუთი ჭურჭელი". ცოლს ქმრის ყურადღება სჭირდება. მან უნდა დაიცვას ის არა მხოლოდ ფიზიკური ზიანისგან, არამედ ასევე ნერვიულობისა და ემოციური სტრესისგან.

ცოლს ეთქვა, დაემორჩილოს ქმარს და პატივი სცეს მას. ცოლმა უნდა მიიღოს ქმრის ხელმძღვანელობა, თუნდაც ქმარი არ იყოს მორწმუნე. თუ ის ამას გააკეთებს, მისი ქმარი, რომელსაც გადარჩენა არ აქვს ჯერ მიღებული, დიდი ალბათობით გახდება მორწმუნე.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, თუ როგორ არის მოცემული ბრძანებები ამ მუხლებში. ქმრისთვის არ არის ნათქვამი, რომ ძალაუფლება განახორციელოს ცოლზე. ცოლისთვის არის ნათქვამი, დაემორჩილოს ქმარს, მაგრამ ქმრისთვის არ უთქვამთ, რომ დაიმორჩილოს ის. მას ეთქვა, რომ უყვარდეს ცოლი და მსხვერპლად გაიღოს თავი, მასზე ზრუნვისთვის. ასევე, ცოლისთვის არ უთქვამთ, რომ ქმრისგან ზრუნვა მოითხოვოს; მას ეთქვა რომ პატივი სცეს მას.

ქმრის პრიორიტეტი არ უნდა იყოს ავტორიტეტის შენარჩუნება, არამედ სიყვარულით ზრუნვა. ცოლის პრიორიტეტი არ უნდა იყოს საკუთარ თავზე ზრუნვის მოთხოვნა, არამედ ქმრის პატივისცემა.

მოციქული აფრთხილებს ქმრებს, რომ მათი ლოცვა დაბრკოლდება, თუ ისინი სათანადოდ არ ზრუნავენ ცოლზე. ეს გვეუბნება, რომ **ქორწინებაში ჩვენი ქცევა გავლენას ახდენს ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაზე.**

მოციქულმა იოანემ თქვა, რომ თუ ადამიანს არ უყვარს თავისი ძმა, მას არც ღმერთი უყვარს (1 იოანეს 4:20). ანალოგიურად, პავლესა და პეტრეს სიტყვებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ მამაკაცს, რომელიც არ ზრუნავს ცოლზე ისე, როგორც

უნდა ზრუნავდეს, არ უყვარს ღმერთი ისე, როგორც უნდა უყვარდეს. ქალი, რომელიც პატივს არ სცემს ქმარს, არ სცემს სათანადო პატივს ღმერთს.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 7:1-5.

ეს მუხლები გვეუბნება, რომ ქორწინების ერთ-ერთი მიზანი სექსუალური სურვილების დაკმაყოფილებაა. ცოლ-ქმარმა საკუთარი სხეულები ერთმანეთს დაუთმო და უარი თქვა მათზე საკუთრების უფლების პრეტენზიაზე. ეს ნიშნავს, რომ დაქორწინებული ადამიანი არ უნდა ელოდოს სექსს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას სურს, არამედ უნდა პასუხობდეს მეუღლის სურვილებს. ეს მუხლები არ საუბრობს, რომ ადამიანს შეუძლია მოითხოვოს დაკმაყოფილება მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ. ამის ნაცვლად, მუხლები გვეუბნება თითოეულს, რომ უნდა ვპასუხობდეთ სხვების საჭიროებებს.

ეს მონაკვეთი გვეუბნება, რომ დაქორწინებულებმა ერთმანეთს არ უნდა ჩამოართვან ეს პრივილეგია. მოკლე დროით სექსისგან თავშეკავება მარხვის დროს დასაშვებია, მაგრამ ხანგრძლივი განშორება გამოიწვევს ცდუნებას დაუკმაყოფილებელი სურვილების გამო. ზოგჯერ წყვილები ირჩევენ დაშორებას რამდენიმე თვით ან მეტხანს, რადგან ისინი მიდიან სამუშაოდ ან სასწავლებლად შორეულ ადგილას. ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე მათ უნდა განიხილონ, შეესაბამება თუ არა ასეთი გეგმა ღვთისას. მათ შეიძლება პრობლემები შეექმნათ, ხანგრძლივი განშორების გამო.

ქორწინების ერთ-ერთი მიზანია შეიქმნას ოჯახები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ წევრებს.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 5:8.

ეს მუხლი არის იმ მონაკვეთის ნაწილი, რომელიც აღწერს ეკლესიის წევრების პასუხისმგებლობას, იზრუნონ ერთმანეთზე. ადამიანის პირველი პასუხისმგებლობა მისი ოჯახია. მშობლებმა უნდა უზრუნველყონ მათი შვილების საჭიროებები, როგორიცაა თავშესაფარი, საკვები, ჩასაცმელი და განათლება. მშობლებმა უნდა გააკეთონ ის, რისი უზრუნველყოფაც შეუძლიათ, ნაცვლად იმისა, რომ ეს პასუხისმგებლობა სხვებს მიატოვოს.

ჯგუფში გაზიარებისთვის

ამ გაკვეთილის თემები ბევრ დისკუსიას გამოიწვევს.

სტუდენტები უნდა ეცადონ გამოიყენონ ამ გაკვეთილში მოყვანილი ბიბლიური პრინციპები, თავიანთ სიტუაციებში.

► რა სიმართლე ავიწყდება ბევრს, ქორწინების შესახებ?

► როგორ უნდა დაეხმაროს ეკლესია ახალგაზრდებს, რომლებიც ებრძვიან ქვეყნიერების ცდუნებებს?

► როგორ შეუძლიათ ეკლესიის ხალხს ერთად იმუშაონ (საკვირაო სკოლის მიღმა), რათა დაეხმარონ ბავშვებს ასწავლონ ქრისტეს მიყოლა?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა ქორწინების შენი შესანიშნავი ჩანაფიქრისთვის. დამეხმარე, რომ შენი ნების ერთგული ვიყო, ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპზე. დამეხმარე ვიყო ქრისტიანული ერთგულების კარგი მაგალითი. დამეხმარე, წავახალისო სხვები, დაიცვან შენი ნება.

დამეხმარე, ვიშრომო ეკლესიაში, რათა დავეხმარო ოჯახებს, ახალგაზრდებს და ბავშვებს, იყვნენ მტკიცენი რწმენაში და მორჩილებაში.

მადლობა იმ პრივილეგიისთვის, რომელსაც გვაძლევ, გვქონდეს კურთხეული ურთიერთობები.

ამინ

გაკვეთილი 7 დავალებები

(1) თუ არ ხართ დაქორწინებული, დაწერეთ ორი აბზაცი თქვენი ვალდებულების შესახებ, დაიცვათ ღვთის პრინციპები ქორწინებამდე და მომავალი ქორწინებისთვის. თუ დაქორწინებული ხართ, დაწერეთ ორი აბზაცი ქორწინებაში ღვთის პრინციპების დაცვის ვალდებულების შესახებ.

(2) აირჩიეთ ერთი ან მეტი თემა ამ გაკვეთილიდან და დაწერეთ გვერდი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ადამიანი ბიბლიურ პრინციპებს თქვენს საზოგადოებაში.

მაგალითები:

- აღწერეთ ქრისტიანული ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებიც აპირებენ დაქორწინებას თქვენს საზოგადოებაში.
- აღწერეთ მამაკაცის ან ქალის ქცევა, რომელსაც სურს გამოავლინოს ერთგულება ქორწინების მიმართ თქვენს საზოგადოებაში.

გაკვეთილი 8
ქრისტიანული ეკოლოგია

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გააცნობიეროს, თუ რატომ შექმნა ღმერთმა ყველაფერი და რით განსხვავდება ადამიანი იმ ყველაფრისგან, რაც ღმერთმა შექმნა.
(2) გააცნობიეროს, რომ ღმერთმა ადამიანს მიანიჭა სხვა დანარჩენ ქმნილებაზე ზედამხედველობა.
(3) იცოდეს რამდენიმე გზა, რომლითაც მას შეუძლია სწორად მართოს ღვთის ქმნილება.

ჯორჯ ვაშინგტონ კარვერი, მეცნიერ-აგრონომი

ჯორჯ ვაშინგტონ კარვერი 1860 წელს ამერიკაში მონობაში დაიბადა. მონობის გაუქმების შემდეგ, მას განათლების მიღება სურდა. იმ დროს შავკანიანი ბავშვებისთვის განათლების მიღება რთული იყო, მაგრამ ერთმა კეთილმა ქალმა უთხრა: „უნდა ისწავლო ყველაფერი, რასაც შეძლებ, შემდეგ დაბრუნდი და გაუზიარე შენი ცოდნა ხალხს.” ჯორჯი ლოცულობდა: "უფალო, მაჩვენე სამყაროს საიდუმლოებები" და თქვა, რომ ღმერთმა უპასუხა: "შენ ძალიან პატარა ხარ სამყაროს საიდუმლოების გასაგებად.” შემდეგ ჯორჯმა ილოცა: „მაშინ უფალო, მაჩვენე არაქისის საიდუმლოებები და თქვა, რომ ღმერთი დათანხმდა. არაქისი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის იყო მთავარი მოსავალი, რომელიც ბევრ ღარიბ ფერმერს მოყავდა. ჯორჯმა იცოდა, რომ არაქისისგან მეტი პროდუქტის გამოგონება, არაქისის მოსავლის ღირებულებას გაზრდიდა. ჯორჯმა აღმოაჩინა 300 პოტენციური პროდუქტი არაქისისგან და 100 პროდუქტი ტკბილი კარტოფილიდან. ის 47 წლის განმავლობაში ასწავლიდა სოფლის მეურნეობას ტასკიგის ინსტიტუტში და იპოვა გზები, რომ ესწავლებინა ახალი მეთოდები ფერმერებისთვის, დაეხმარა მათ მიწის გაუმჯობესებაში და უკეთესი მოსავლის მიღებაში. ჯორჯ ვაშინგტონ კარვერი დიდი კურთხევა იყო, ღმერთისადმი მისი რწმენის გამო და იმაში დარწმუნებულობის გამო, რომ ღვთის ქმნილებას, რომელიც სწორად იმართება, შეუძლია კაცობრიობისთვის დიდი სარგებლის მოტანა.

განმარტება: ეკოლოგია არის, ცოცხალი არსებების ერთმანეთთან და მათ გარემოსთან ურთიერთობის გზების შესწავლა.

ადამიანის ძალაუფლება ბუნებაზე

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს დაბადების 1:1 და 1:26-28.

ადამიანის პასუხისმგებლობა მთლიანად დედამიწაზე, ემყარება იმ ფაქტს, რომ ღმერთმა შექმნა დედამიწა თავის სადიდებლად (ფსალმუნი 148) და ადამიანები მასზე მმართველებად დაადგინა. როგორც ღვთის ხატად შექმნილი ადამიანები, ჩვენ ვართ შექმნილნი იმისთვის, რომ ვმართოთ ისე, როგორც ღმერთი ისურვებდა; „განვკარგავდეთ“ მას, ღვთიური ბუნების შესაბამისად. მეფსალმუნემ თქვა: „ბევრად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე, დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად. გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მის ფეხქვეშ მოაქციე“ (ფსალმუნის 8:5-6).[34] ადამიანებს განსაკუთრებული როლი აქვთ სამყაროში. ისინი უბრალოდ სხვა რიგითი ცხოველები არ არიან. ღმერთმა ადამიანებს მიანიჭა ბატონობის უფლება დედამიწაზე და იქ მცხოვრებ არსებებზე.

ღმერთმა უთხრა ადამს და ევას, რომ გამრავლებულიყვნენ და აევსოთ დედამიწა. მან უთხრა, რომ დაუფლებოდნენ დედამიწას. დედამიწის დაუფლების პროცესს მათი შთამომავლები გააგრძელებდნენ. დედამიწის დაუფლების პროცესი მოიცავს კვლევას, ახალ ტერიტორიებზე დასახლების სწავლას, მინერალების აღმოჩენასა და გამოყენებას, ცხოველების მოშინაურებას და ტექნოლოგიების განვითარებას.

ყველაფერი კარგი იყო, რაც ღმერთმა შექმნა. ადამიანის მუშაობა ედემის ბაღის მოვლაზე (დაბადების 2:15) სასიამოვნო სამუშაო იყო ბუნებასთან ჰარმონიაში. მას შემდეგ, რაც ცოდვა გაჩნდა, ბუნებას წყევლა შეეხო და ადამიანის საქმე დამძიმდა (დაბადების 3:17-19). დედამიწას აღარ აქვს თავისი თავდაპირველი სრულყოფილება,[35] მაგრამ ის მაინც წარმოაჩენს ღვთის დიდებას თავისი საოცარი დიზაინით.

წარღვნის შემდეგ ღმერთმა თქვა, რომ ადამიანებს შეეძლოთ ცხოველების ჭამა (დაბადების 9:3). ღმერთის მიერ მოსესადმი მიცემული რჯული უკრძალავდა ადამიანებს ზოგიერთი ცხოველის ჭამას, მაგრამ ახალი აღთქმა გვეუბნება, რომ ახლა ჩვენ გვაქვს უფლება ვჭამოთ ნებისმიერი არსება, რომელიც საჭმელად ვარგისია (მარკოზის 7:19, 1 ტიმოთეს 4:4). ცხოველებს არ აქვთ უფლებები, რაც მათ ადამიანებთან თანაზომად დონეზე დააყენებს.

---

[34] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*

[35] რომაელთა 8:18-23

ადამიანური პასუხისმგებლობა რესურსების მართვაზე

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს აქვს ძალაუფლება დედამიწის სხვა არსებებზე, ის არ არის უზენაესი ავტორიტეტი. ადამიანი პასუხისმგებელია ღმერთის წინაშე.

დედამიწა და მისი სავსება კვლავ ღმერთს ეკუთვნის.

სტუდენტებმა ჯგუფს უნდა წაუკითხონ ფსალმუნის 23:1 და ფსალმუნის 49:10-11.

ღმერთი ფლობს დედამიწას. ღმერთმა შექმნა დედამიწა, რათა გაეცხადებინა თავისი დიდება (ფსალმუნის 18:1), დაეკმაყოფილებინა ადამიანთა მოთხოვნილებები (დაბადების 1:29) და ყოფილიყო მათთვის სასიამოვნო ადგილი საცხოვრებლად. მას განზრახული აქვს, რომ დავტკბეთ მიწით და იმით, რასაც ის წარმოშობს. ჩვენ არ უნდა ვცემდეთ თაყვანს დედამიწას, რადგან ის ღვთის ხელის შემოქმედებაა (რომაელთა 1:25). არც უნდა დავაზიანოთ დედამიწა.

ზოგჯერ ადამიანები იღებენ სარგებელს მიწიდან, მაგრამ ამავე დროს ანადგურებენ მას. ადამიანებმა შეიძლება მოიპოვონ წიაღისეული, მაგრამ დატოვონ მიწა უსარგებლო და დამახინჯებული. ადამიანები ხანდახან კაფავენ ყველა ხეს ტერიტორიაზე, ამით წვიმას აძლევენ საშუალებას, რომ ჩამორეცხოს ყველა კარგი ნიადაგი. დროდადრო ადამიანები ნადირობდნენ გარეულ ცხოველებზე საკვების მოსაპოვებლად იქამდე, სანამ ამ მხარეში არ განადგურდა ყველა ცხოველი. ხალხი ნაგავს მდინარეებში ყრის იქამდე, სანამ წყალი არ დაბინძურდა და არ გახდა საფრთხის შემცველი გამოსაყენებლად.

ღმერთმა შექმნა დედამიწა ნაყოფიერად. არასწორია ხალხის მიერ მიწის გამოყენება ისე, რომ ანადგურებდეს მას. ღმერთი შეურაცხყოფილია მიწის დესტრუქციული გამოყენებით.

ღმერთმა დედამიწა შექმნა იმისთვის, რომ ემსახუროს მრავალი თაობის ადამიანებს ათასობით წლის განმავლობაში. ჩვენ უნდა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე, გარემოს მართვასა და გაუმჯობესებაში. ადამიანი, რომელიც ანადგურებს მიწას სწრაფი სარგებლის მისაღებად, არც მოყვასი უყვარს და არც მომავალი თაობა.

გსურთ იფიქროთ, რომ ოცი წლის შემდეგ ვინმე გაძარცვავს თქვენს შვილებს? რათქმაუნდა არა. მიუხედავად ამისა, ადამიანები ძარცვავენ საკუთარ შვილებს, იმ გარემოს განადგურებით, სადაც მათმა შვილებმა უნდა იცხოვრონ. თუ საკუთარი

შვილები არ გყავთ, მაინც უნდა იზრუნოთ სხვის შვილებზე, რომლებიც ოდესმე დაიმკვიდრებენ მიწას.

ბევრი ადამიანი უფრთხილდება მიწას, რომელსაც ფლობს, მაგრამ მათ არ აინტერესებთ საზოგადო მიწა. ქრისტიანებმა უნდა აჩვენონ გარემოზე ზრუნვის მაგალითი, რადგან ვიცით, რომ ის ღმერთს ეკუთვნის და ამიტომ ვზრუნავთ მოყვასზე და მომავალ თაობაზე.

ხანდახან ადამიანები ფიქრობენ: „ეს მიწა ჩემი არ არის, ამიტომ შემიძლია ნაგავი აქ დავტოვო" ან „შემიძლია ყველა ხე მოვჭრა, თუნდაც ძალიან პატარა."

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს მეორე რჯულის 22:6.

მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც დაიწერა მეორე რჯულის წიგნი, არსებობდნენ ფრინველები, რომელთა დაჭერა ადვილად შეიძლებოდა, როდესაც ისინი ბუდობდნენ. თუ ადამიანები ყოველდღიურად წაიყვანდნენ დედას და ბარტყებს, ან კვერცხებს, ეს ფრინველები მალე გადაშენდებოდნენ. ღმერთმა უთხრა, დედა გაეთავისუფლებინათ, რომ სახეობა არ გადაშენებულიყო. დღეს ჩვენი წესები სხვადასხვა ადგილას ვერ იქნება ზუსტად იგივე, მაგრამ მუხლი გვეუბნება, რომ გავუფრთხილდეთ საზოგადო მიწას, მისი რესურსების შესანარჩუნებლად.

ბუნებრივი სილამაზის დაფასება (მადლიერება)

როდესაც ღმერთი ქმნიდა მცენარეებს, მან არ შექმნა მხოლოდ ბოსტნეული და ხილი, მან შექმნა ყვავილები და ბევრი ლამაზი რამ. ეს გვეუბნება, რომ ღმერთს მიწის მხოლოდ პრაქტიკული გამოყენება არ აინტერესებს; ის ასევე ზრუნავს სილამაზეზე (ლუკას 12:27). ღმერთმა შექმნა ბუნების სილამაზე, რათა ადამიანების საცხოვრებლად მშვენიერი გარემო უზრუნველეყო.

მთებს, უდაბნოებს, მდინარეებს, დაბლობებსა და ტყეებს აქვთ ბუნებრივი სილამაზე. ზოგჯერ ადამიანები, რომლებიც დაბადებულები არიან კონკრეტულ ადგილას, სინამდვილეში ვერ აღიქვამენ იქ არსებულ სილამაზეს, რადგან მათთვის ის ჩვეულებრივია.

► წარმოიდგინე, რომ მხატვარი ხარ. წარმოიდგინე, რომ დიდი დრო მოანდომე ლამაზი ნახატის შექმნას, შემდეგ კი ის მეგობარს აჩუქე. შემდეგ ერთ დღეს, როდესაც მას ესტუმრე, ხედავ ნახატს იატაკზე, რომელიც დაზიანებულია ხალხის ნაბიჯებით. როგორ იგრძნობდი თავს?

ბევრი საზოგადოებაა, სადაც ადამიანები მთელ ნაგავს მიწაზე ყრიან. ისინი საკუთარ ეზოებს ასუფთავებენ, მაგრამ სხვაგან, ყველგან ნაგავს ტოვებენ. მათი უბნის ქუჩები სავსეა ნაგვით.

► რა უნდა შეიგნოს ამ ხალხმა?

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმ სფეროებზე, რომლებსაც ვიზიარებთ სხვებთან, მათი და საკუთარი თავის გულისთვის.

► რა შეიძლება გააკეთოს ეკლესიამ თავისი გარემოს შესაცვლელად?

ცხოველების გამოყენება

ცხოველები განსხვავდებიან ადამიანებისგან. ისინი არ არიან შექმნილნი ღვთის ხატად. ამრიგად, მათ არ აქვთ უკვდავი სულები (ეკლესიასტეს 3:21) და არ აქვთ უფლებები, რაც აქვს ადამიანს.

ღმერთმა ადამიანებს ცხოველების ჭამის ნება მისცა, რაც გულისხმობს, რომ დასაშვებია გარეულ ცხოველებზე ნადირობა და შინაური ცხოველების გამოზრდა საკვებისთვის.

კაცობრიობის ისტორიის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, ადამიანებს ყავდათ შინაური ცხოველები სახლისთვის ან სამუშაოების შესასრულებლად.

► ღმერთისთვის აქვს მნიშვნელობა როგორ ექცევიან ადამიანები ცხოველებს?

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იგავების 12:10.

ეს მუხლი გვეუბნება, რომ მართალი ადამიანი კარგად ზრუნავს თავის ცხოველებზე. სისასტიკე ბოროტი ადამიანის მახასიათებელია.

ცხოველების მფლობელი ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას ექნება მათთვის საჭირო საკვები, წყალი და თავშესაფარი. ადამიანს, რომელიც არ ზრუნავს თავისი ცხოველების საჭიროებებზე, ნამდვილად რაღაც ჭირს.

გახსოვდეთ, რომ ყველა ცხოველი ღმერთს ეკუთვნის (ფსალმუნის 49:10-11). ისინი ყველა, ღმერთის მიერაა ჩაფიქრებული და შექმნილი. მან ისინი დიდი მრავალფეროვნებით შექმნა. მას შეეძლო მხოლოდ რამდენიმე სახეობა შეექმნა, საკვებად და სამუშაოებისთვის, მაგრამ მან ცხოველთა ათასობით სახეობა, აგრეთვე მწერები და მიკროსკოპული სიცოცხლის ფორმები შექმნა. ღვთის საოცარი შემოქმედება ვლინდება ცხოველთა მრავალფეროვნებაში.

ზოგიერთ ცხოველს შეუძლია გამოხატოს ერთგულება და მადლიერება მათი პატრონების მიმართ. ისინი სარგებლობენ ადამიანების ყურადღებით და სწავლობენ რეაგირებას. ისინი საკმარისად ჭკვიანები არიან, რომ ბევრი რამ ისწავლონ. აშკარაა, რომ ღმერთმა ისინი ადამიანებთან ურთიერთობისთვის შექმნა. ღმერთმა ცხოველებში ადამიანისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ჩადო (დაბადების 9:2).

ღმერთმა შექმნა ცხოველები გონებრივი შესაძლებლობებითა და ბუნებით, რითიც რეაგირებენ ადამიანებზე. მათი შეურაცხყოფა ნიშნავს ღვთის განზრახვების უპატივცემულობას. ამ ფაქტის გარდა, არის რაღაც არასწორი და გაუკუღმართებული ადამიანში, რომელსაც სიამოვნებს ცხოველისთვის ტკივილის მიყენება.

წმინდა წერილი მრავალჯერ იყენებს მწყემსის მაგალითს. დავითი მწყემსი იყო, სანამდე ის ისრაელის მეფე გახდებოდა. დავითმა დაწერა 22-ე ფსალმუნი და მან იქ ღმერთი მწყემსს შეადარა. დავითი მიხვდა, რომ ღმერთი ზრუნავს თავის ხალხზე ისე, როგორც მწყემსი ზრუნავს თავის ცხვრებზე. ახალ აღთქმაში პასტორები მწყემსებს არიან შედარებულები (1 პეტრეს 5:2 და მრავალი სხვა). ამ შედარებას აზრი არ ექნება, ღმერთი რომ არ მოელოდეს ადამიანებისგან ცხოველებზე მზრუნველობას.

დავითის ცხვრებზე ზრუნვა, ადამიანებზე ზრუნვის სწავლის ნაწილი იყო. ანალოგიურად, ჩვენი ზრუნვა მიწაზე და ცხოველებზე, რომელიც ღმერთმა მოგვანდო, გვამზადებს ადამიანებზე ზრუნვისთვის.

სიმწვანის ფასეულობა

მწვანე ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ფერია, გარდა იმ ადგილებისა, სადაც არ არის წყალი ან კარგი ნიადაგი. ეს არის ჩვენი თვალებისთვის ყველაზე დამამშვიდებელი ფერი.

ბევრი ადამიანი, ვინც ქალაქებში ცხოვრობს, თავს ხალისიანად გრძნობს, როცა ქალაქიდან უფრო ბუნებრივ გარემოში გადიან.

ბევრ ქალაქში მცენარეები თითქმის არ არის. მიწის უმეტესი ნაწილი დაფარულია ბეტონით ან ასფალტით. ზოგიერთმა საზოგადოებამ დაიწყო ძალისხმევა ქალაქებში პარკებისა და სხვა მწვანე ზონების უზრუნველსაყოფად. ყველა საზოგადოებაში ადამიანებმა უნდა იმუშაონ ერთად, რათა უზრუნველყონ ადგილების გამოყოფა ხეებისა და სხვა მცენარეების გასაშენებლად. მათ უნდა დატოვონ მწვანე ადგილები ხალხის გასართობად და განსაკუთრებით ბავშვებისთვის სათამაშოდ. ოჯახებსაც

შეუძლიათ იქონიონ საკუთარი მწვანე სივრცეები, ეზოებსა და სახლებში მცენარეების მოშენებით.

ქრისტიანული ეკოლოგიის განმასხვავებელი ნიშნები

ამ გაკვეთილის დასაწყისში მოცემულია ეკოლოგიის განმარტება.

► რატომ უნდა ზრუნავდნენ ქრისტიანები ეკოლოგიაზე?

ზოგი ფიქრობს, რომ ჩვენ შეგვიძლია გადავარჩინოთ დედამიწა დაბინძურების თავიდან აცილებით. ჩვენ, ადამიანებს, არ შეგვიძლია მისი გადარჩენა, თუმცა ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, რაც შეიძლება დიდხანს მის შესანარჩუნებლად. ქრისტიანებმა ვიცით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საბოლოოდ სამყაროს დასასრულის შეჩერება. ღმერთი, საბოლოო ჯამში განაახლებს დედამიწას (გამოცხადების 21:1). აქედან გამომდინარე ვიცით, რომ დედამიწის გადარჩენა არ შეგვიძლია.

ზოგს მიაჩნია, რომ ადამიანები არ არიან უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე სხვა არსებები და რომ პატივი უნდა ვცეთ ცხოველებს, რადგან მათი უფლებები ჩვენის თანაბარია. ქრისტიანებმა ვიცით, რომ ღმერთმა დედამიწაზე ბატონობა ადამიანებს მოგვცა. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანები განსხვავდებიან ცხოველებისგან, რადგან ჩვენ ცალსახად ვართ შექმნილი ღვთის ხატად და გვაქვს მარადიული სულები. მაშასადამე, ცხოველებს არ აქვთ ადამიანის უფლებების თანაზომადი უფლებები.

ქრისტიანები ზრუნავენ დედამიწაზე, რადგან (1) ის ღმერთს ეკუთვნის, (2) ადამიანებს აკისრიათ ღმერთის მიერ მოცემული პასუხისმგებლობა, იზრუნონ დედამიწაზე და (3) ჩვენ ვზრუნავთ ადამიანთა მომავალ თაობაზე.

► თქვენს ერსა თუ საზოგადოებაში რა გავრცელებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადამიანებს არ აქვთ ეკოლოგიის თანმიმდევრულად ქრისტიანული გაგება?

► შესაძლო საკლასო დისკუსია: სთხოვეთ ადამიანს დახუჭოს თვალები და აღწეროს ის, რასაც ყოველთვის ხედავს, როდესაც ტოვებს ეკლესიის ეზოს. როგორ გამოიყურება ტერიტორია ეკლესიის წინ? არის ნაგავი ადგილზე? ტერიტორია ისე გამოიყურება, თითქოს ვინმე ზრუნავს მასზე? ვინ უნდა ზრუნავდეს იმ ტერიტორიაზე? აღწერეთ, როგორ შეუძლიათ ეკლესიის ხალხს ამის შეცვლა. რატომ არის საჭირო, რომ განიხილონ ტერიტორიის მოვლის აუცილებლობა? რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ ზრუნვას, სხვებზე? სტუდენტებს შეუძლიათ ანალოგიურად იფიქრონ თავიანთი სახლების მიმდებარე ტერიტორიებზეც.

ჯგუფში გაზიარებისთვის

განიხილეთ შემდეგი კითხვები.

► რა ჩვევები უნდა შეიცვალოთ?

► როგორ შეუძლია თქვენს ეკლესიას შეცვალოს თავისი საზოგადოება, მაგალითით და სწავლებით?

► როგორ შეუძლია თქვენს საზოგადოებას გარემოს გაუმჯობესება, თუ მასში შემავალი ხალხი ითანამშრომლებს?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა, რომ სამყარო რესურსებით სავსე და ლამაზი შექმენი. მადლობა, რომ გვანდობ პასუხისმგებლობას ვიზრუნოთ, შენს მიერ შექმნილ სამყაროზე.

დაგვეხმარე, ვიცხოვროთ მადლიერებით, შენი მშვენიერი შემოქმედებისთვის.

დაგვეხმარე ერთად ვიმუშაოთ, დედამიწის რესურსებისა და სილამაზის დასაცავად.

ამინ

გაკვეთილი 8 დავალებები

(1) დაწერეთ აბზაცი, სადაც აღწერთ თქვენს გეგმას, შეცვალოთ თქვენი ჩვევები ამ გაკვეთილზე მიღებული ჭეშმარიტების თანახმად.

(2) დაწერეთ გვერდი, სადაც აღწერილი იქნება თქვენი საზოგადოების არასწორი ჩვევები და ქმედებები. შემდეგ გააგრძელეთ აღწერა, თუ როგორ აუხსნით ვინმეს, რატომ უნდა იყოს ეს ყველაფერი სხვაგვარად. დააფუძნეთ თქვენი მტკიცებულებები წმინდა წერილის კონკრეტულ ადგილებზე და ბიბლიურ მსოფლმხედველობაზე.

გაკვეთილი 9
ფული

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) შეძლოს ფულისა და რესურსების სწორად გამოყენებისა და მართვის მიზნით, ღვთის პრინციპების დამორჩილების ვალდებულების აღება.
(2) გაიაზროს სულიერი საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია მცდარ წარმოდგენასთან ფულის და მისი გამოყენების შესახებ და როგორ აიცილოს ისინი თავიდან.

ჯონ უესლი, გულუხვად გამცემი

ჯონ უესლი ცხოვრობდა ინგლისში 1703-1791 წლებში. ის სახარებას ღია ცის ქვეშ უქადაგებდა ღარიბ ადამიანებს, რომლებსაც ეკლესიებში არ მიესალმებოდნენ. ის სიფრთხილით ცხოვრობდა და ცდილობდა ღვთისადმი პატივისცემას ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ფულის გამოყენებაში. ის ასწავლიდა, რომ როდესაც ქრისტიანებმა ფული გამოიმუშავეს, უნდა დაზოგონ ყველაფერი, რაც შეუძლიათ და გასცენ ყველაფერი, რაც შეუძლიათ. ის იყო დისციპლინირებული ფინანსური ჩვევების გამოყენების ერთგული მაგალითი. მან შეამცირა თავისი წლიური ხარჯები, რათა მეტი ქონოდა გასაცემად. შემდეგ, როდესაც შემოსავალი გაიზარდა, მან ხარჯები იგივე დატოვა და ზედმეტი გასცა. მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიმუშავა 30 000 ფუნტი თავისი ცხოვრების განმავლობაში, გარდაცვალების დროს მას მხოლოდ რამდენიმე მონეტა ჰქონდა. უესლიმ იცოდა, რომ ღმერთი ანდობდა ხალხს მისი ფულის მართვას და ასწავლიდა, რომ ქრისტიანები ფულთან ურთიერთობისას ღვთის პრინციპებს უნდა იცავდნენ.

შესავალი

ახალი აღთქმა ფულს უფრო მეტად ახსენებს, ვიდრე სხვა საკითხებს, არა იმიტომ, რომ ფული ძალიან მნიშვნელოვანია ღმერთისთვის, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებს ფულთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა აქვთ.

როგორც შემოქმედი, ღმერთი არის ყველა ადამიანის და იმ სიმდიდრის მფლობელი, რაც მათ აქვთ. როგორც ქრისტიანები, ჩვენ განსაკუთრებულად ვეკუთვნით ღმერთს,

რადგან მან გამოგვისყიდა. ჩვენ უნდა მივიჩნიოთ საკუთარი თავი იმ ქონების მმართველებად, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ღვთის სადიდებლად.

სიკეთით ტკბობაში ცუდი არაფერია. ღმერთი სიამოვნებით გვაკურთხებს, თუ ყველაფერს მადლიერებითა და თავმდაბლობით მივიღებთ.

მაგრამ ფული სულიერი საფრთხეა ადამიანების უმეტესობისთვის.

გაფრთხილებები და მითითებები მდიდრებისთვის

► რას ნიშნავს, იყო მდიდარი?

არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რის გამოც ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს მდიდრად.

თუ თქვენ გაქვთ იმდენი ფული, რომ შეგიძლიათ იყიდოთ იმაზე მეტი, ვიდრე გესაჭიროებათ, თქვენ მსოფლიოში მცხოვრებთა ნახევარზე უფრო მდიდარი ხართ. ბევრი ადამიანი მუშაობს ყოველდღე იმ საკვებისთვის, რომელსაც იმ დღეს მოიხმარს; თუ რამე მოხდება, რაც მათ მუშაობას შეაფერხებს, მათ საკვები არ ექნებათ.

ხალხი ჩვეულებრივ მდიდრად მიიჩნევს იმ ადამიანს, რომელსაც აქვს მეტი სიმდიდრე, ვიდრე მის ირგვლივ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას. მისი ცხოვრების წესი აჩვენებს, რომ ის უფრო მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე ადამიანების უმეტესობა. ხალხი მას უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელად თვლის. მას შეუძლია დატკბეს ფუფუნებით, რომელსაც უმეტესობა ვერ ყიდულობს. მას აქვს გავლენა ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებზე. ხალხი მზადაა ემსახუროს მას მისი რესურსების გამო.

ბიბლიას აქვს განსაკუთრებული მითითებები და გაფრთხილებები მდიდარი ადამიანებისთვის.

ძალიან სერიოზული გაფრთხილებაა იესოს განცხადება, რომ მდიდრისთვის ძალიან რთულია სამოთხეში მოხვედრა (მათეს 19:24).

ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ სიმდიდრის საშიშროების შესახებ, პავლე მოციქულის გზავნილიდან მდიდარი ადამიანებისთვის.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 6:17-19.

პავლე აფრთხილებს მდიდრებს, რომ არ მიიჩნიონ თავი სხვა ადამიანებისგან განსხვავებულ, მაღალი კლასის წარმომადგენლებად. მდიდრებს აქვთ ცდუნება, რომ

თავი სხვებზე უფრო მაღალი დონის ადამიანად მიიჩნიონ. იაკობი აფრთხილებს ეკლესიას, რომ არ დაუშვან იგივე შეცდომა და პატივს სცემდნენ ადამიანებს მათი სიმდიდრის ან სოციალური მდგომარეობის მიუხედავად (იაკობის 2:1-4).

მდიდარი ადამიანი თავისი სიმდიდრის გამო კი არ უნდა გრძნობდეს თავს დაცულად, არამედ ღმერთზე უნდა იყოს დამოკიდებული. მდიდარი ადამიანისთვის უფრო რთულია იგრძნოს ღვთის ზრუნვის საჭიროება, რადგან მას ფინანსური რეზერვები აქვს. არსებობს ცდუნება, გახდეთ სულიერად უგრძნობი, რადგან ვერ იგრძნობთ ღვთის დახმარების საჭიროებას (მეორე რჯულის 8:6-18).

მდიდარი ადამიანები უნდა იყვნენ გულუხვად გამცემნი და თავიანთი ფულით სიკეთეს აკეთებდნენ.

ამქვეყნიური მდიდარი ადამიანების ერთ-ერთი მსჯავრდადება იაკობის 5:5-ში არის ის, რომ ისინი ცხოვრობდნენ სიამოვნების მიღებით მაშინ, როცა სხვები იტანჯებოდნენ. ბევრი სიკეთის მიღწევაა შესაძლებელი, ფულის გონივრულად გაცემით. ფულით ვერ იყიდით ბედნიერებას, მაგრამ ფულს შეუძლია ბევრი ტანჯვის შემსუბუქება. არასწორია ფუფუნებაში მცხოვრები ადამიანის მიერ, სხვისი ტანჯვის იგნორირება.

წინასწარმეტყველ ამოსის მეშვეობით ღმერთი ამ სიტყვებით გამოხატავს თავის გულს ადამიანური სამართლიანობის მიმართ (წყალობა და თანაგრძნობა ღარიბებისა და ჩაგრულის მიმართ): "მაგრამ წყალივით იდინოს სამართალმა და სიმართლემ - დაუშრეტელ ნაკადულივით" (5:24). ღმერთმა განაჩენი გამოაცხადა კეთილდღეობაზე, როდესაც კეთილდღეობამ განაპირობა შვება, თავის წახალისება და გულგრილობა ღარიბების გაჭირვების მიმართ (ამოსის 6:1; 3-6; 8:4-7, 11-12).

ყოველმა ქრისტიანმა მსხვერპლიანად უნდა გაიღოს ღარიბთა და ჩაგრულთა დასახმარებლად, მისიონერული მსახურების განსავითარებლად, სახარების გავრცელებისთვის და მეათედი უნდა გაიღოს თავისი ადგილობრივი ეკლესიის მხარდასაჭერად. ჯონ უესლიმ თქვა, რომ არსებობდა სამი მიზეზი, რის გამოც მისი დროის ეკლესია ასე მცირე გავლენას ახდენდა მსოფლიოში: 1) ჯანსაღი მოძღვრების ნაკლებობა, 2) ანგარიშვალდებული დისციპლინის ნაკლებობა და 3) პირადი მსხვერპლის ნაკლებობა.

ფულის სიყვარული

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 6:8-10.

ფულის შესახებ გაფრთხილება მხოლოდ მდიდრებს არ ეხება. ბევრი ღარიბი ადამიანი გრძნობს, რომ ვერასოდეს იქნება ბედნიერი, რადგან ღარიბია. ბიბლია გვეუბნება, რომ ფულის სიყვარული ყოველგვარ ბოროტებას იწვევს. ეს გაფრთხილება ყველას ეხება.

ფულის სიყვარული ვერასოდეს დაკმაყოფილდება. ვისაც ფული უყვარს, ვერ დაკმაყოფილდება მისი ოდენობით (ეკლესიასტეს 5:10). ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა მოვერიდოთ ფულის სიყვარულს და დავკმაყოფილდეთ ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებებით (ებრაელთა 13:5).

ადამიანს, რომელსაც გამდიდრების დიდი სურვილი აქვს, ბევრი ცდუნება ექნება თავის ხასიათთან კომპრომისზე წასვლის. გამდიდრების მცდელობის პროცესში ადამიანმა შეიძლება მიატოვოს რწმენა და გაიჩინოს მრავალი მწუხარება იმ სიხარულის ნაცვლად, რასაც ელოდა.

ზოგჯერ რელიგიური ლიდერები იზიდავენ მიმდევრებს სიმდიდრის დაპირებით. ისინი ამბობენ, რომ რწმენის მქონე ადამიანს სიმდიდრეც უნდა ჰქონდეს. ღარიბ საზოგადოებებში ბევრ ადამიანს იზიდავს მსგავსი დაპირებები, რადგან მათ რთული ცხოვრება აქვთ. ეს ლიდერები მუდმივად საუბრობენ და ქადაგებენ ფულზე და ამაყობენ იმით, რომ შეუძლიათ წარმოადგინონ ფინანსური წარმატების იგივე ნიშნები, რაც ამქვეყნიურ ადამიანებს გააჩნიათ.

ბიბლია ამბობს, რომ ღვთისმოსაობა და კმაყოფილება დიდი შენაძენია. ადამიანს, რომელიც სიმდიდრისკენ რელიგიური გზით ისწრაფის, იგივე საშიშროება აქვს, როგორც ნებისმიერ ქვეყნიურ ადამიანს. ეკლესიები, რომლებიც პირდებიან სიმდიდრეს, იზიდავენ რწმენაში მოუქცეველ ადამიანებს, მათ პირად სურვილებზე აპელირებით. თუმცა, ეს ეკლესიები სავსეა დაიმედებული ხალხით, რომლებიც ვერასოდეს იღებენ დაპირებულს. ერთადერთი ხალხი, ვინც სიმდიდრის სახარებით მდიდრდება, არიან ის მქადაგებლები, რომლებიც აგროვებენ შესაწირავს იმ ადამიანებისგან, რომლებსაც მათი სწამთ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ფილიპელთა 4:10-13.

პავლე მადლობელი იყო, რომ ფილიპიელმა მორწმუნეებმა მის მხარდასაჭერად შესაწირავი გაუგზავნეს. მან უთხრა მათ, რომ ისწავლა კმაყოფილება ნებისმიერი მდგომარეობით, თუნდაც შიმშილით. ეს მოწმობა გვიჩვენებს, რომ პავლეს არ

ჰქონდა ყოველთვის ფულის სიუხვე. მან თქვა, რომ ღმერთის დახმარებით, ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ამ განცხადების კონტექსტი გვიჩვენებს, რომ ის გულისხმობდა, რომ ნებისმიერ პირობებში შეეძლო კმაყოფილი და ღვთის ერთგული ყოფილიყო.

გულწრფელობა/სიმართლე

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იგავების 11:1.

ეს მუხლი საუბრობს სასწორზე, რომელიც გამოიყენება წონით რაიმეს გასაყიდად, როგორიცაა მაგალითად ხილი, ბოსტნეული ან ხორცი. ზოგჯერ ადამიანებს აქვთ გადაკეთებული სასწორი, რომელიც არასწორ წონას აჩვენებს, რათა მათ შეეძლოთ წონაში მოტყუება და ზედმეტი ფულის აღება. ეს მუხლი ამბობს, რომ ღმერთს სძულს არაკეთილსინდისიერება.

ბევრი ადამიანი უნამუსოდ იქცევა, ფულის გამო. ამ კურსის შემდეგი გაკვეთილი ეძღვნება პატიოსნებას.

ღმერთის ნდობა

პავლე მოციქულმა მისწერა ფილიპიელ ქრისტიანებს და დაპირდა, რომ ღმერთი უზრუნველჰყოფდა მათ საჭიროებებს. ეს მშვენიერი დაპირებაა. ჩვენ უნდა შევხედოთ ამ მონაკვეთს, თუ სად ხდება ეს, რომ დავინახოთ არსებული სიტუაცია.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ფილიპელთა 4:15-19.

ეკლესიამ ფინანსური დახმარება გაუგზავნა პავლეს. მან თქვა, რომ ეს იყო მსხვერპლი ღმერთისადმი. ის დაპირდა, რომ ღმერთი დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს. ის არ დაპირებია მათ, ფულის დიდად გამრავლებას.

ეს დაპირება არ იყო მათთვის, ვინც იყო უპასუხისმგებლო ან მფლანგველი. ეს იყო მათთვის, ვინც ფულს სულიერი პრიორიტეტების მიხედვით მართავდა.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს მათეს 6:25-33.

იესომ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ კვებავს ღმერთი ჩიტებს და ლამაზად მოსავს ყვავილებს და დაგვპირდა, რომ იზრუნებდა ჩვენზეც. ის გვეუბნება, რომ არ ვიდარდოთ საჭმელ-სასმელზე და შესამოსელზე. ის გვპირდება, რომ თუ პირველ ადგილზე დავაყენებთ ღვთის სამეფოს, ჩვენი მოთხოვნილებები უზრუნველყოფილი იქნება.

ადამიანები ჩვეულებრივ ზრუნავენ არა დღევანდელზე, არამედ *მომავალზე*. ღმერთი არ დაგვპირებია ყველაფრის წინასწარ უზრუნველყოფას. დაიმახსოვრეთ, ძველ აღთქმაში, ზეციური მანანა ყოველდღე მოდიოდა (გამოსვლის მე-16 თავი). ასევე, იესომ თქვა, რომ უნდა ვილოცოთ ჩვენი „ყოველდღიური პურისთვის" (მათეს 6:11) ღმერთს სურს, რომ მას ყოველდღიურად ვენდოთ.

იაკობმა თქვა, რომ ღმერთმა ღარიბები გახადა „რწმენით მდიდრებად" (იაკობის 2:5). ღარიბ ადამიანებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ დაეყრდნონ ღმერთს, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებსაც ფინანსური უსაფრთხოება აქვთ.

ღმერთზე მინდობა არ ნიშნავს, რომ ჩვენ უპასუხისმგებლოები უნდა ვიყოთ. ღმერთი, ჩვეულებრივ უზრუნველგვყოფს, ჩვენი მუშაობის საშუალებით (ეფესელთა 4:28). თუ ადამიანს არ სურს შრომა, ის არ უნდა მოელოდეს, რომ ღმერთი იზრუნებს მასზე და სხვები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი, რაიმე მისცენ მას (2 თესალონიკელთა 3:10).

არ უნდა ველოდოთ, რომ ღვთის უზრუნველყოფა ჩვენ გაგვამდიდრებს. ღმერთი აკურთხებს რამდენიმე ადამიანს სიმდიდრით, მაგრამ ღმერთის გეგმა არ არის ყველას გამდიდრება. სიმდიდრის ძლიერი სურვილის მქონე ადამიანს სულიერი პრობლემები შეექმნება.

მოქმედი რესურსები

მოქმედი რესურსები არის ის, რაც ადამიანებს აქვთ, რაც მათ წარმოებაში ეხმარება. მაგალითებია მიწა, ხელსაწყოების ნაკრები ან კომპიუტერი. ადამიანს შეუძლია გამოიყენოს მოქმედი რესურსი მოგების მისაღებად, მაგრამ მან უნდა შეინარჩუნოს ის და არ გაყიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება შეჩერდება. ბიბლიური მითითება მოქმედ რესურსზე არის იგავების 14:4-ში, „სადაც ხარები არ არის, იქ ბაგაც ცარიელია; დიდი მოსავალი ხარის ძალით მოდის."

ღარიბ ადამიანს შეიძლება არ ესმოდეს მოქმედი რესურსების კონცეფცია. მაგალითად, მან შეიძლება იფიქროს, რომ მის მეგობარს ბევრი ფული აქვს, რადგან მას აქვს ძვირადღირებული ხელსაწყოები, კომპიუტერი ან მანქანა. ის ფიქრობს, რომ მეგობარს ან ნათესავს, რომელსაც აქვს მსგავსი რამ, უნდა შეეძლოს მისთვის ფულის მიცემა, როცა დასჭირდება. თუმცა, ამ ნივთებიდან ნებისმიერი შეიძლება იყოს მოქმედი რესურსი, რომლის განაღდება შეუძლებელია პირის შემოსავლის დაკარგვის გარეშე.

► მოქმედი რესურსების კიდევ რა მაგალითებია თქვენს გარემოში?

თუ ადამიანი ვერ იგებს, როგორ მუშაობს მოქმედი რესურსები სხვებისთვის, მას სავარაუდოთ არ ეცოდინება, რა რესურსები იმუშავებს მისთვის. მან შეიძლება ვერ თქვას, ზუსტად რა სჭირდება ყველაზე მეტად, ან რა სახის დახმარება შეცვლიდა მის მდგომარეობას. მან შეიძლება აღწეროს დახმარება, მის ყოველდღიურ მცდელობებში მყისიერი, ხანმოკლე გაძლიერების თვალსაზრისით და არა ცხოვრების რეალური ცვლილების თვალსაზრისით.

სიღარიბის ერთ-ერთი ასპექტი არის მოქმედი რესურსების ნაკლებობა. თუ სიღარიბეში მყოფი ადამიანი არ ისწავლის მოქმედი რესურსების შეძენის, შენარჩუნებისა და დარეზერვების აუცილებლობას, ის ვერ გამოვა დამოკიდებულებიდან.

ზოგიერთ კულტურაში ადამიანს უჭირს ფულის დაზოგვა და მოქმედი რესურსების განვითარება, რადგან გარშემომყოფები მისგან ყველაფრის გაზიარებას მოელიან. მათ არ ესმით, რატომ აგროვებს ის ფულს, როცა სხვას ეს ფული სჭირდება. ისინი ელიან, იმის გაიზიარებას, რაც მას აქვს, თუნდაც მათ უპასუხისმგებლობა გამოეჩინათ.

ქრისტიანმა პატივი უნდა სცეს თავისი კულტურის მოლოდინებს, მაგრამ ასევე გამოიყენოს ბიბლიური პრინციპები. წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ჩვენ არ ვართ ვალდებულნი დავეხმაროთ ადამიანს, რომელიც არ აკეთებს იმას, რაც შეუძლია (2 თესალონიკელთა 3:10). თუ პიროვნება გაიღებს თავის მოქმედ რესურსებს უპასუხისმგებლო ადამიანის დასახმარებლად, ორივე ღარიბი დარჩება.

წმინდა წერილი გულისხმობს, რომ ღმერთის მიერ მოცემული კეთილდღეობა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს ჰქონდეთ საკუთარი მოქმედი რესურსები. წინასწარმეტყველმა მიქამ თქვა, რომ კურთხეულ საზოგადოებაში თითოეული ადამიანი უსაფრთხოდ ფლობს „თავის ვაზსა და ლეღვს" (მიქას 4:4). ეს ეხება კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებას და რაღაცის წარმოების საშუალებებს. ზოგგან სოფლის მეურნეობა შეიძლება არ იყოს წარმოების საუკეთესო ფორმა, მაგრამ პრინციპი იმაშია, რომ კურთხეულ ადამიანებს ყველაფერი უნდა ჰქონდეთ, რაც სჭირდებათ რესურსების საწარმოებლად.

ხშირად, ღარიბი ადამიანები, რომლებიც ხდებიან ქრისტიანები, უფრო აყვავებულნი ხდებიან, არა მხოლოდ ღვთის პირდაპირი კურთხევის გამო, არამედ უკეთესი ცხოვრების წესის გამო. ისინი წყვეტენ ფულის ფლანგვას ისეთ რამეებზე, როგორიცაა ალკოჰოლი, აზარტული თამაშები და გართობის არასწორი ფორმები. ისინი გახდებიან უკეთესი მუშაკები და უკეთეს რეპუტაციას იძენენ. ღმერთი

აკურთხებს მათ მხარდაჭერას მსახურებაში. ხშირად ქრისტიანთა ოჯახის მეორე თაობა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე პირველი.

► რა გზებით შეუძლიათ თქვენს გარემოში მცხოვრებ ადამიანებს იმუშაონ და დაზოგონ ფული, თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

აზარტული თამაშები

აზარტული თამაშები არის ფულის გარისკვით, მისი ადვილად მოპოვების მცდელობა. ყველა, ვინც იგებს, ფულს წაგებულისგან იღებს და სანაცვლოდ არაფერს უბრუნებს. ბევრი ადამიანი დამოკიდებულია აზარტულ თამაშებზე, ისინი ფლანგავენ ფულს და ოჯახებზე არ ზრუნავენ. ბევრმა ადამიანმა, აზარტულ თამაშებში გამოიყენა ფული, რომელიც სხვას ეკუთვნოდა, იმ იმედით, რომ მოიგებდნენ და შეძლებდნენ მის დაბრუნებას. ბევრი ადამიანი ციხეში ხვდება ქურდობის გამო, ისინი იპარავენ, რათა აზარტული თამაშები ითამაშონ. სიღარიბეში მყოფი ბევრი ადამიანი თამაშობს აზარტულ თამაშებს, რადგან გრძნობენ, რომ არ აქვთ იმედი შეცვალონ თავიანთი მდგომარეობა, გარდა ერთისა, რომ გაუმართლოთ და მოიგონ ფული.

აზარტული თამაშები ეწინააღმდეგება ბევრ ქრისტიანულ პრინციპს: 1) სიმდიდრის შრომით მოპოვების პრინციპი, 2) კმაყოფილების პრინციპი და 3) თესვისა და მკის პრინციპი (გალატელთა 6:7). ამის გარდა, ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვაწვდიდეთ მომსახურებებს ან პროდუქტებს მოგების მისაღებად და არ ვართმევდეთ ფულს ვინმეს, ჩვენი იღბლიანობის გამო. აზარტული თამაშები საზიანოა, რადგან ის იწვევს დამოკიდებულებას და ზრდის დანაშაულს.

აზარტული თამაშები ეწინააღმდეგება ღმერთზე დამოკიდებულებას. ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს: „მჯერა თუ არა, რომ ღმერთი ზრუნავს ჩემზე?" „შემიძლია ვილოცო, რომ ღმერთმა უზრუნველმყოს?" "მჯერა თუ არა, რომ ღმერთს სურს უზრუნველმყოს, ფულის გარისკვით აზარტულ თამაშებში, იმის იმედით, რომ ვინმე სხვისგან აიღებს ამ ფულს?" "მგონია, რომ ღმერთი აზარტულ თამაშებში დიდი ოდენობის მოგებას მომიტანს?" ადამიანი, რომელიც აზარტულ თამაშებს თამაშობს, არ ენდობა ღმერთს თავის ფინანსურ მდგომარეობაში. როდესაც ჩვენ ნამდვილად ვენდობით ღმერთს, ჩვენ ვემორჩილებით მის მკაფიო მითითებებს, რადგან ვიცით, რომ ის ერთგულად დააკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებებს, თუკი დავემორჩილებით.

ვალი

როდესაც ადამიანი სესხულობს ფულს, ის თვლის, რომ შეძლებს მის დაბრუნებას, მომავალში მიღებული მოგებიდან. ასე რომ, სესხება ნიშნავს ფულის მომავლისგან დახარჯვას, მიუხედავად იმისა, რომ მომავალს ახალი საჭიროებებიც მოაქვს.

ბიბლია ამბობს, რომ მსესხებელი გამსესხებლის მსახურია (იგავების 22:7). მსესხებელი ქმნის ვალდებულებებს, რომლებიც ზღუდავს მის თავისუფლებას.

სესხების ზოგიერთი ტიპი სხვებზე უარესია. როდესაც ადამიანი ისესხებს ფულს ძირითადი საჭიროებისთვის, როგორიცაა საკვები, ის უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. საჭმელი მოიხმარება, ვალი კი დარჩება და ის უფრო ღარიბი იქნება, ვიდრე ადრე.

როდესაც ადამიანი სესხულობს ფულს არასაჭირო ნივთებისთვის, როგორიცაა სამკაულები, არასაჭირო ტანსაცმელი, გართობა ან სახლის დეკორაცია, ის ფლანგავს თავის მომავალ ფულს. ის ზღუდავს თავის მომავალ თავისუფლებას; მომავალში ის ვერ შეძლებს ნივთების არჩევას, რადგან ფული უკვე დახარჯულია.

ზოგიერთი ბიზნესი ასესხებს ფულს, მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ადამიანებს, რომლებიც მათგან სესხულობენ, მალევე ბევრად მეტი აქვთ დასაბრუნებელი, ვიდრე თავდაპირველად ისესხეს. ზოგიერთი მაღაზია ყიდის ნივთებს კრედიტით მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ადამიანები საბოლოოდ იხდიან ბევრად მაღალ ფასს იმ ნივთებში, რომლებსაც კრედიტით ყიდულობენ, რადგან არ სურთ დაიცადონ, სანამ ექნებათ საკმარისი ფული და შეეძლებათ ნორმალური ფასის გადახდა.

ზოგჯერ ადამიანები სესხულობენ ფულს ძვირადღირებული საქორწინო ღონისძიებისთვის, რომელსაც მათი კულტურა მოითხოვს. ისინი ქორწინებას დიდი ვალებით იწყებენ. ეკლესია, როგორც რწმენის ოჯახი, უნდა დაეხმაროს თავის წევრებს ახალი ტრადიციების დანერგვით და გზების მოძიებით, რათა ქორწილი ლამაზი, მაგრამ არც ისე ძვირი იყოს.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს რომაელთა 13:7-8.

ეს მუხლები გვეუბნება, რომ მივცეთ ყველას ვისიც რა გვმართებს. ჩვენ გვმართებს პატივისცემა და მორჩილება ხელისუფლების მიმართ. ჩვენ გვმართებს გადასახადების გადახდა მთავრობისთვის. მე-8 მუხლის პირველი წინადადება აჯამებს მე-7 მუხლის განცხადებებს. ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ ვინმესთვის იმის მიცემაზე, რაც მისაცემი გვაქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არასდროს უნდა ავიღოთ

სესხი, რადგან თუ დავაბრუნებთ ფულს ისე, როგორც შევთანხმდით გამსესხებელთან, არ ვუარყობთ იმას, რაც გვაქვს დასაბრუნებელი.

ქურდობა არის, როდესაც ადამიანმა ისესხა დაფარვის განზრახვის გარეშე, ან აიღო სესხი და მოგვიანებით გადაწყვიტა, არ დაფაროს (ფსალმუნის 36:21).

ძველი აღთქმის კანონები ძირითადად მიმართულია ისრაელის ერისთვის, როგორც პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის. ადამიანების უმეტესობა ცხოვრობდა მიწათმოქმედებით და აწარმოებდა იმას, რაც მათ შინამეურნეობაში სჭირდებოდათ. ოჯახები ერთსა და იმავე მიწას ფლობდნენ მრავალი თაობის განმავლობაში. ამიტომ იშვიათად თუ ისესხებდა ვინმე ფულს, მიწის შესაძენად ან ბიზნესის დასაწყებად. თუ ადამიანი ფულს სესხულობდა, ეს იმიტომ, რომ ცუდ მდგომარეობაში იყო და ძირითადი საჭიროებებისთვის სჭირდებოდა ეს ფული. ღმერთს სურდა, რომ ისრაელი ყოფილიყო რწმენის ოჯახი, რომელიც ზრუნავდა მის წევრებზე. ღმერთმა უბრძანა მათ, ფულის უპროცენტოდ გასესხება გაჭირვებულთათვის (გამოსვლის 22:25). მე-14 ფსალმუნში აღწერილი მართალი კაცის ერთ-ერთი მახასიათებელია, რომ ის არ ასესხებს ფულს პროცენტით.[36]

არ იქნება არასწორი ინვესტორის მხრიდან, დააკისროს პროცენტი, როდესაც ის სესხს აძლევს ვინმეს, რათა დაეხმაროს მას ბიზნესის წამოწყებაში.[37] პროცენტი არის ინვესტორის საზღაური, იმისთვის, რომ ბიზნესი შესაძლებელი გახადა.

ადამიანები, რომლებიც ღარიბებთან საქმიანობენ, მხოლოდ მოგების მიღებაზე არ უნდა იფიქრონ (იგავების 22:16ა). არასწორია დაბალი ხარისხის პროდუქციის გაყიდვა ან უსამართლო ფასების დაწესება, რადგან ღარიბებს სხვა არჩევანი არ აქვთ. არასწორია სესხის გაცემა ან ნივთების კრედიტით გაყიდვა და ამით დიდი სარგებლის ამოღება იმ ადამიანებისგან, რომლებიც სესხს იღებენ რთული სიტუაციების გამო. ბიზნესმენი უნდა ეძებდეს გზებს თავისი მომხმარებლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

წინასწარმეტყველმა ეზეკიელმა თქვა, რომ სოდომის ცოდვა არ იყო მხოლოდ სექსუალური უზნეობა, არამედ ხალხი ცხოვრობდა ფუფუნებაში „ღარიბსა და მათხოვარს კი ხელს არ აშველებდნენ" (ეზეკიელის 16:49). ღმერთი მოგვიწოდებს არა მხოლოდ დავეხმაროთ ღარიბებს, არამედ სტრატეგიულად დავეხმაროთ მათ გაძლიერებაში.

---

[36] ეზეკიელის 18:5-9 მსგავსი ადგილი მე-14 ფსალმუნი
[37] მათეს 25:27

ღვთის კანონები ძველი ისრაელისთვის, წარმოაჩენს მის პრიორიტეტებს. დღეს ჩვენი ქვეყნის კანონები არ ემთხვევა იმ კანონებს, რაც ღმერთმა მისცა ისრაელს, მაგრამ ღმერთის საზრუნავიც იგივეა და პრინციპებიც იგივე. ეკლესიამ უნდა მოძებნოს ღარიბების გაძლიერების გზები, პირველყოვლისა ზრუნავდეს რწმენის ოჯახზე, შემდეგ კი საზოგადოებაში ცვლილებების შეტანაზე.

ბიუჯეტის შედგენა

ზოგიერთი ადამიანი მთელ ფულს ხარჯავს როგორც კი იღებს. ისინი ხშირად საჭიროებას განიცდიან, სანამ ისევ გაუჩნდებათ ფული. მათ არ შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება სხვებზე.

ბიუჯეტი არის გეგმა ყოველდღიური ხარჯების სამართავად. ადამიანების უმეტესობას აქვს ხარჯები, რომლებიც მოსალოდნელია განსაზღვული დროის შემდეგ და მათ წინასწარ უნდა გადადონ ფული ამ საჭიროებისთვის. მაგალითად, ადამიანი შეიძლება ქირაობს სახლს. მას შეუძლია გადაიხადოს ყოველთვიურად ან ყოველწლიურად. მას მუდმივად სჭირდება თავისი შემოსავლის ნაწილის გადადება, რათა ქირის გადახდა შეძლოს, როცა დრო მოვა. თუ ქირა წლიურია, თანხის ნაწილს დიდი ხნით შენახავა უწევს და არის მისი დახარჯვის ცდუნება, მაგრამ მან უნდა გადადოს ეს თანხა და ჩათვალოს, რომ უკვე დახარჯულია.

პირველი გადადებული ფული უნდა იყოს მეათედი (იგავების 3:9-10). თქვენ უნდა აიღოთ ვალდებულება, რომ თქვენი შემოსავლის 10% გასცეთ მსახურების მხარდასაჭერად. ნუ დაელოდებით იმის გარკვევას, დახარჯვის შემდეგ დაგრჩათ თუ არა დამატებითი ფული მეათედისთვის. ღმერთი აკურთხებს თქვენს ერთგულებას.[38]

დარჩენილი შემოსავლით ძირითადი საჭიროებების დაფარვის შემდეგ ადამიანმა უნდა დაზოგოს თანხა გადაუდებელი შემთხვევებისთვის. მან უნდა დაზოგოს გარკვეული თანხა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორიცაა ფულის დაზოგვა საკუთარი სახლის შესაძენად. ის ასევე უნდა შეეცადოს, გარკვეული თანხის ინვესტიცია მოახდინოს შემოსავლის გაზრდაში. მცირე ინვესტიციის მაგალითი შეიძლება იყოს ისეთი ხელსაწყოების ყიდვა, რომელიც საშუალებას მისცემს მას, მეტი გადაუხადონ სამუშაოსთვის.

[38] მეათედის საჭიროების დეტალური დასაბუთება მოყვანილია Shepherds Global Classroom-ის კურსში "ეკლესიის მოძღვრება და პრაქტიკა", რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://www.shepherdsglobal.org/courses

ადამიანს, რომელსაც აქვს მოქმედი რესურსი (რაღაც, რაც მას ეხმარება წარმოებაში), როგორიცაა მანქანა ან შენობა, უნდა დახარჯოს ფული რესურსის შესანარჩუნებლად. თუ ადამიანი თავისი მანქანით იღებს შემოსავალს, მაგრამ არ ზოგავს ფულს, ვერც მანქანის კაპიტალური რემონტის გადახდას შეძლებს და ვერც სხვას იყიდის და მისი მოგება საბოლოოდ ამოიწურება.

ადამიანი, რომელიც არ ადგენს ბიუჯეტს, შეიძლება ხშირად ვერ მოახერხოს თავისი პასუხისმგებლობების შესრულება. ის შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვების დახმარებაზე და თვითონ ვერ შეძლოს სხვების დახმარება. მისი მდგომარეობა არასდროს უმჯობესდება, რადგან ის არავითარ ინვესტიციას არ ახორციელებს.

იესომ მოყვა კეთილ სამარიელზე, რომელიც დაჭრილს დაეხმარა.[39] ყურადღება მიაქციეთ, რომ სამარიელს ჰქონდა ფული და ყავდა ვირი, დაჭრილის გადასაყვანად. რა იქნებოდა, თუ სამარიელი გაყიდიდა თავის ვირს და მთელ თავის ფულს დახარჯავდა? დახმარების დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, სიტუაციაში ჩარევის საშუალება შეზღუდული იქნებოდა.

ბიუჯეტის შედგენა საშუალებას აძლევს ადამიანს მოემზადოს თავისი საჭიროებებისთვის, აიღოს პასუხისმგებლობა მათზე, ვინც მასზეა დამოკიდებული, ჩადოს ინვესტიცია თავის მომავალში, რეაგირება მოახდინოს გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე და მხარი დაუჭიროს მსახურებას.

რწმენის ოჯახი

ეკლესიის საწყის პერიოდში, სულთმოფენობის შემდეგ, მორწმუნეები ძალიან ერთგულები იყვნენ რწმენის ოჯახისადმი და ზრუნავდნენ, რომ ყველას საჭიროებები დაკმაყოფილებული ყოფილიყო. ისინი უზიარებდნენ თავიანთ ქონებას და არავინ უწოდებდა მას თავისას. ბევრმა მათგანმა გაყიდა მამულები და ფული ეკლესიას გადასცა (საქმეების 2:44-45). თუმცა ჩვენ არ გვაქვს იმის მოლოდინი, რომ ეკლესიაში ყოველთვის ასეთი ცხოვრება შეიძლება იყოს, ვხედავთ, რომ როდესაც ეკლესია საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფება, აქ არის გულუხვობა და ოჯახზე ზრუნვა.

თესალონიკელი მორწმუნეები ზრუნავდნენ, რომ ყველა წევრი გამოკვებილი ყოფილიყო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ მუშაობდა. ეს ხალხი სიზარმაცეში ცხოვრობდა, ეკლესიის ხელგაშლილობაზე დამოკიდებული. პავლეს არ უთქვამს ეკლესიისთვის, რომ ისინი არასწორად იქცეოდნენ ოჯახის წევრებზე რომ

[39] ლუკას 10:25-37

ზრუნავდნენ, მაგრამ თქვა, რომ ადამიანს არ უნდა მიეცეს საკვები, თუ მას არ სურს მუშაობა (2 თესალონიკელთა 3:10). ზოგისთვის სამუშაო შეიძლება იყოს არა ანაზღაურების მიღება, არამედ საჭიროების შემთხვევაში სხვა მორწმუნეების დახმარება. ზოგი ვერ პოულობს სამუშაოს, მაგრამ თითქმის ყველას შეუძლია რაღაცაში დახმარება.

სხვა წერილებში პავლემ მისცა მითითებები ქვრივების დასახმარებლად და პასტორების მხარდასაჭერად (1 ტიმოთეს 5:3-18, გალატელთა 6:6).

ყოველი ქრისტიანი უნდა იყოს რწმენის ადგილობრივი ოჯახის წევრი და ვალდებული იყოს დაეხმაროს მას, წევრების საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მსახურების მხარდაჭერის საკითხებში.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► როგორ უნდა შეძლონ ეკლესიის წევრებმა იმუშაონ ერთად, რათა ეკლესიის საჭიროებებზე იზრუნონ და ხალხისგან პასუხისმგებლობების აღება მოითხოვონ?

► რა შესაძლებლობები არსებობს თქვენს გარემოში, რომ ეკლესიის წევრებმა ერთად იმუშაონ, მოქმედი რესურსების გასავითარებლად?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა დაპირებისთვის, რომ დააკმაყოფილებ ჩემს საჭიროებებს. დამეხმარე, ვიყო ერთგული ჩემს მოვალეობებში, რათა უზრუნველვყო საკუთარი თავი და სხვები, ვინც ჩემზე არიან დამოკიდებულნი. დამეხმარე ვიყო ხელგაშლილი იმით, რაც მაქვს. დამეხმარე სხვათა საჭიროებების გონივრულად დაკმაყოფილებაში.

მე ვლოცულობ, რომ ფინანსური კურთხევები მომცე, მაგრამ ყველაზე მეტად მინდა შევინარჩუნო სულიერი პრიორიტეტები და კმაყოფილი ვიყო შენთან ურთიერთობით.

ამინ

გაკვეთილი 9 დავალებები

(1) ლოცვის შემდეგ, განიხილეთ ამ გაკვეთილზე მოცემული ბიბლიური პრინციპები. წერილობით უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ თითოეულ კითხვას:

- რა ცდუნებებს წავაწყდი, როცა საქმე ფულსა და რესურსებს ეხებოდა?
- ამჟამად როგორ მოვიპოვებ ფულს და/ან რესურსებს?

- როგორ გამოვიყენო და ვმართო ფული და/ან რესურსები?
- რას ნიშნავს მიანდო ღმერთს ფული და/ან რესურსები?
- რა ქმედით რესურსებს ვფლობ?
- არის თუ არა ქმედითი რესურსები, რომლებიც უნდა დავგეგმო, რომ მომავალში მივიღო? თუ კი, როგორ გავაკეთო ეს?
- რა შემთხვევაში გამოვიყენე ფული და/ან რესურსები ბოროტად?
- როგორ გამოვასწორო ზემოთ მოყვანილი, ფულის და/ან რესურსების ბოროტად გამოყენება?

(2) დაწერეთ ამ გაკვეთილზე ნასწავლი პრინციპების გამოყენებით ერთგვერდიანი პრეზენტაცია, თქვენი გარემოსთვის კონკრეტული განაცხადების შექმნის შესახებ. რა უნდა გაიგონ თქვენს გარემოში მცხოვრებმა ადამიანებმა ფულის ქრისტიანული გაგების შესახებ?

(3) დაიზეპირეთ იგავების 3:13—17 და დაწერეთ ამის შესახებ ერთ აბზაცში. შემდეგი გაკვეთილის დასაწყისში დაწერეთ ეს ნაწყვეტი მეხსიერებიდან და გადაეცით თქვენი კლასის ხელმძღვანელს.

გაკვეთილი 10
გულწრფელობა/სიმართლე

გაკვეთილის მიზანი

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა აიღოს ვალდებულება, იყოს სრულიად გულწრფელი ყველა სიტუაციაში, ნებისმიერ დროს.

აბრაამ ლინკოლნი, პატიოსანი ადამიანი

აბრაამი მაღაზიაში მუშაობდა. ერთ დღეს გააცნობიერა, რომ მომხმარებელს ხურდა არასწორად დაუბრუნა. ქალი უკვე წასული იყო. ის რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფლად ცხოვრობდა და აბრაამმა იცოდა, რომ მას მალევე ვერ ნახავდა. მიუხედავად იმისა, რომ თანხა მცირე იყო, ის წუხდა, რომ მას ის შეიძლება 21დასჭირებოდა. მას ასევე სურდა დარწმუნებულიყო, რომ ის არ იფიქრებდა, რომ მან ხურდა განზრახ დააკლო. როდესაც მაღაზია დაიკეტა, დღის ბოლოს, აბრაამმა რამდენიმე კილომეტრი გაიარა, ფულის დასაბრუნებლად. ამ სიტუაციაშიც და სხვა დროსაც, მისი გულმოდგინების გამო, მეგობრები მას ეძახდნენ „პატიოსან ეიბს." მოგვიანებით ის იურისტი გახდა, შემდეგ კი, დაიწყო მუშაობა მთავრობაში. მის პატიოსნებას პატივს სცემდნენ და საბოლოოდ ის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა.

ღმერთის ბუნება

ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთი არ იტყუება (ტიტეს 1:2, ებრაელთა 6:18). მისი ბუნება ყოველთვის თანმიმდევრული და უცვლელია (იაკობის 1:17). ღმერთი არ ამბობს სიმართლეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მას სარგებელს აძლევს. ის არ იტყუება კარგი შედეგების მისაღებად. ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ღვთის სიტყვა არის აბსოლუტურად ჭეშმარიტი და სანდო. მისი ჭეშმარიტება გვაძლევს უსაფრთხოებას (ფსალმუნის 39:11, 90:4).

► როგორ შეიძლება დაზარალდეს თქვენი ურთიერთობები ღმერთთან, თუ არ ენდობით მას იმაში, რომ ყოველთვის ჭეშმარიტებას ამბობს?

დაფიქრდით იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჭეშმარიტება, ღმერთთან ჩვენი ურთიერთობისთვის. ღმერთი მოგვიწოდებს, რომ მთლიანად მივუძღვნათ მას ჩვენი თავი. ჩვენ ამას ვერ გავაკეთებდით, თუ მას მთლიანად არ ვენდობით.

სიმართლის ღვთიური სტანდარტი

ღმერთს სურს, რომ ყოველთვის სიმართლე ვთქვათ. მატყუარა ადამიანი უმართლოა ღმერთის თვალში (იგავების 12:17).

ზოგჯერ ადამიანები ტყუილს იყენებენ სასამართლოში საქმეების მოსაგებად. ფულის მქონე ადამიანებს შეუძლიათ გადაუხადონ მოსამართლეს, რომ მან გამოიყენოს ტყუილი, რათა სხვებს ქონება წაართვან (იაკობის 2:6). მდიდარი ადამიანები გაურბიან სამართალს და მსჯავრს უდანაშაულო ადამიანებს დებენ, ქრთამის გადახდით, სიცრუის დასამტკიცებლად (იაკობის 5:1, 6).

ცოდვაა ცრუ მოწმეობა, მაშინაც კი, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი მოტივი გამართლებულია. ბიბლია გმობს ცრუ მოწმეებს და არ უშვებს გამონაკლისებს.[40] ბევრი ფიქრობს, რომ შეუძლია მოიტყუოს, თუ ტყუილი სასარგებლოა და არა მავნე, მაგრამ ბიბლია არ იძლევა ასეთ შესაძლებლობას. ჩვენ არასოდეს გვეუბნება წმინდა წერილი, რომ არის დრო, როდესაც უნდა მოვიტყუოთ.

ქრისტიანებმა უნდა თქვან სიმართლე გამონაკლისის გარეშე. სიმართლე აუცილებელია ჩვენი ურთიერთობებისთვის.

ეფესელთა 4:15 გვეუბნება, რომ სიმართლის თქმა აუცილებელია სულიერი სიმწიფის მისაღწევად.

კოლასელთა 3:9-ში ნათქვამია, რომ ტყუილი არის ცოდვილი ცხოვრების ნაწილი, რომელიც მოვიშორეთ.

ღმერთი გაასამართლებს და დასჯის მატყუარებს. მატყუარები შედიან ღვთის რჯულით გასამართლებულ, საშინელი ცოდვილთა სიაში (1 ტიმოთეს 1:10, გამოცხადების 22:15). ყველა მატყუარა ჩაგდებულ იქნება ცეცხლის ტბაში (გამოცხადების 21:8). მატყუარები ვერ შევლენ ღვთის ქალაქში (გამოცხადების 21:27).

სიმართლის გამოყენება ბიზნესსა და ურთიერთობებში

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იგავების 11:1.

ეს მუხლი საუბრობს სასწორზე, რომელიც გამოიყენება წონით რაიმეს გასაყიდად, როგორიცაა მაგალითად ხილი, ბოსტნეული ან ხორცი. ზოგჯერ ადამიანებს აქვთ გადაკეთებული სასწორი, რომელიც არასწორ წონას აჩვენებს, რათა მათ შეეძლოთ

[40] გამოსვლის 20:16, იგავების 6:16-19, 14:25, 19:5, 9

წონაში მოტყუება და ზედმეტი ფულის აღება. ეს მუხლი ამბობს, რომ ღმერთს სძულს არაკეთილსინდისიერება.

არასწორია რაიმეს გაყიდვა, მისი მდგომარეობის შესახებ მოტყუებით ან ხარვეზების დამალვით. არასწორია, როდესაც ვინმეს ეუბნები ტყუილს იმის შესახებ, თუ რამდენი გადაიხადე, რათა უფრო ძვირად გაყიდო.

არასწორია, როდესაც პიროვნება ხელს აწერს იმას, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, რათა თავიდან აიცილოს ფულის გადახდა. არასწორია, როდესაც ადამიანი ეხმარება დამსაქმებელს ხალხი მოტყუებაში, მოგების მისაღებად.

► რა სახის არაკეთილსინდისიერება გაქვთ დაფიქსირებული?

ბიბლია ამბობს, რომ ბოროტი კაცი ისესხებს და არ დააბრუნებს (ფსალმუნის 36:21, იგავების 3:28). ზოგიერთი ადამიანი სესხულობს და შემდეგ ვერ გრძნობს ვალდებულებას გადაიხადოს თავისი დავალიანება. ბიბლია ამბობს, რომ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა არ გავუშვათ ხელიდან შესაძლებლობა, მივცეთ სხვებს ის, რაც გვმართებს (რომაელთა 13:7-8).

პატიოსნება ნიშნავს, რომ შეასრულოთ თქვენი დაპირებები და ვალდებულებები. მე-14 ფსალმუნში აღწერილია პიროვნება, რომელსაც ღმერთთან კარგი ურთიერთობა აქვს. ერთი მახასიათებელია ის, რომ ის დებს დაპირებას და ასრულებს მას, თუნდაც საზიანო იყოს მისთვის (ფსალმუნის 14:4).

არაკეთილსინდისიერებაა, როდესაც ადამიანი ისე არ მუშაობს, როგორც საჭიროა იმ ადამიანზე, რომელმაც ის დაასაქმა (ეფესელთა 6:5-6).

არასწორია, როდესაც მუშაკი პარავს თავის დამსაქმებელს (ტიტეს 2:9-10).

არასწორია ყალბი ქვითრების მიცემა იმის დასტურად, რომ რაღაც უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. არასწორია, თანამშრომელმა ან აგენტმა მოიტყუოს რაიმეს ფასის შესახებ, რომ შეძლოს გარკვეული თანხის თავისთვის დატოვება.

არასწორია დამსაქმებლის მიერ მუშებისთვის დაპირებული ხელფასის დაკავება (იაკობის 5:4).

არასწორია იმის მითვისება, რაც ვიღაცამ შემთხვევით დაკარგა. თუ შეგიძლია, უნდა დაუბრუნო მფლობელს (მეორე რჯულის 22:1).

თუ თქვენ მართავთ სხვის რესურსებს (როგორიცაა დამსაქმებელი ან მსახურება), არასწორია ფულის ან ნივთების საკუთარი თავისთვის გამოყენება, თუ ნებართვა არ მიგიღიათ.

პატიოსნებისადმი კულტურული გამოწვევების ილუსტრაცია

ზოგიერთ თემში ადამიანები ცხოვრობენ ბელადის მეთვალყურეობის ქვეშ. ხალხი ლოიალურია ბელადისადმი და აქვთ მოლოდინი, რომ ის დაეხმარება მათ ყველა საჭიროებაში. ამ თემებში ადამიანების უმეტესობას არ აქვს ბევრი პირადი ქონება. ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსები, როგორიცაა მიწა, ეკუთვნის თემს. ლიდერებმა უნდა მართონ რესურსები ყველას საკეთილდღეოდ. როდესაც ადამიანს აქვს საჭიროება, ის გრძნობს, რომ აქვს უფლება მიიღოს ის, რაც მას სჭირდება, თემის რესურსებიდან.

ჯერალდი ჯუნგლების სოფელში დაიბადა. მის ოჯახს და მათ გარშემო მყოფ ოჯახებს მოყავდათ საკვები სოფლის კუთვნილ მიწაზე. მათ ნახეს რესურსები ჯუნგლებში. არცერთ მათგანს არ ჰქონდა პირადი მიწა, თუნდაც იქ, სადაც მათი სახლები იდგა. პრობლემების დროს ოჯახები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ბელადი სოფლისთვის მამასავით იყო. ხალხი მოელოდა მისგან, რომ ის იზრუნებდა მათ საჭიროებებზე.

როდესაც ჯერალდი წამოიზარდა, მან მუშაობა დაიწყო კომპანიაში, რომელიც ჭრიდა ხის მორებს მასალად. ის წავიდა სოფლიდან, რომ სამუშაო ტერიტორიასთან ახლოს ეცხოვრა. მას ყოველთვიურად უხდიდნენ ხელფასს. ზოგჯერ მას არ ჰქონდა საკმარისი საკვები, რადგან არ იყო მიჩვეული ხელფასის ხარჯვის დაგეგმვას. მას ჰქონდა მოლოდინი, რომ უფროსი უზრუნველყოფდა მას საკვებით და გაუკვირდა, როდესაც მან თქვა, რომ ჯერალდის პასუხისმგებლობა იყო ყველაფრის ყიდვა თავისი ხელფასით. როდესაც ჯერალდის დას ექიმი დასჭირდა, ჯერალდმა უფროსს სთხოვა მისთვის საჭირო ფული. ჯერალდი გაბრაზდა, როდესაც უფროსი არ დაეხმარა. ჯერალდი ფიქრობდა, რომ უფროსი მას პრობლემების მოგვარებაში უნდა დახმარებოდა, მაგრამ მან უთხრა, რომ ხელფასის გადახდა იყო მისი ერთადერთი პასუხისმგებლობა ჯერალდის მიმართ. როდესაც ჯერალდმა სამსახური დატოვა, მან მოიპარა რამდენიმე ინსტრუმენტი სოფელში წასაღებად, რადგან ჰქონდა განცდა, რომ უფროსი საკმარისად არ დაეხმარა მას.

მოგვიანებით ჯერალდი ცოლ-შვილთან ერთად ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და მუშაობა დაიწყო დიდ სასურსათო მაღაზიაში. ჯერალდმა სთხოვა თავის უფროსს გადაეხადა მისი შვილის სკოლის გადასახადი, მაგრამ მან უარი უთხრა. ზოგჯერ

ჯერალდს არ ჰქონდა საკმარისი ფული იმისათვის, რომ ეყიდა ყველაფერი, რაც მის ოჯახს სჭირდებოდა. იმის გამო, რომ ის მუშაობდა მაღაზიაში, რომელიც ყიდდა საკვებ პროდუქტებს, ფიქრობდა, რომ მას უფლება უნდა ჰქონოდა მაღაზიიდან წაეღო საჭმელი ოჯახისთვის. იცოდა, რომ უფროსი არ დათანხმდებოდა, ამიტომ ფარულად იღებდა საჭმელს.

ზოგიერთ მუშაკს არ ესმის დამსაქმებლის ვალდებულების საზღვრები. ისინი ფიქრობენ, რომ დამსაქმებელია პასუხისმგებელი მათი ყველა საჭიროების დაკმაყოფილებაზე. შრომის ანაზღაურების გარდა, მას სხვადასხვა დახმარებას სთხოვენ. თუ ის არ აძლევს მათ იმას, რაც მათ სჭირდებათ, ისინი თავს იმართლებენ, რომ იძულებულები არიან მოიპარონ, რადგან თვლიან, რომ ის ვალდებულია მისცეს მათ ყველაფერი, რაც მათ სჭირდებათ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ტიტეს 2:9-14.

ეს მუხლები გვეუბნება, რომ მუშაკმა არ უნდა მოპაროს თავის დამსაქმებელს. მე-10 მუხლი ამბობს, რომ პატიოსნება ამკობს ქრისტეს მოძღვრებას. შემდგომი მუხლები აღწერს იმ ცხოვრებას, რომლითაც ადამიანი ცხოვრობს, თუ ის გარდაიქმნება მადლით.

საიმედოობა

პატიოსნება არ გამოიხატება მხოლოდ ფულსა და ქონებაში.

კარლოსი პარტნიორს დაჰპირდა, რომ დილის 8:00 საათზე შეხვდებოდა. თუმცა გვიანობამდე ეძინა, საუზმესაც დრო დაუთმო და საათზე მეტით დააგვიანდა. მან თავის პარტნიორს უთხრა, რომ მძღოლი მივიდა გვიან მის წამოსაყვანად. პარტნიორს არ გაკვირვებია. კარლოსის ყველა მეგობარმა იცის, რომ ის არასოდეს ასრულებს თავის ვალდებულებებს.

კარლოსი ორმხრივ იყო არაკეთილსინდისიერი:

1. მან პირობა არ შეასრულა.
2. მან მოიტყუა მიზეზი, რის გამოც დააგვიანა.

შეუძლია ხალხს გენდონ, როცა ამბობ, რომ სამუშაოს შეასრულებ ან იქნები ადგილზე? გჯერა საკუთარი თავის, როცა ამას ამბობ? როდესაც პირდებით რამეს, თქვენ პირდებით ასევე, რომ მის შესასრულებლად საჭირო ძალისხმევას გაიღებთ. არასწორია დაპირდე რაიმე, შემდეგ კი არ გაიღო ძალისხმევა პირობის შეასასრულებლად.

თუ დაპირებას ვერ შეასრულებთ, ბოდიში უნდა მოიხადოთ. არ უნდა მოიტყუო და მოიფიქრო მიზეზი, რის გამოც ვერ შეძელი პირობის დაცვა.

არასწორია, თქვენს ორგანიზაციაში, თქვენს შეცდომებში სხვების დადანაშაულება. თქვენი გუნდი არ გენდობა, თუ ეცოდინება, რომ შეცდომების თაობაზე იტყუებით.

სანდო ლიდერი არ აიძულებს ხალხს მის აზრს მიჰყვეს იმაში, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. სტივენ კოვიმ დაწერა, რომ „ლიდერობა იღებს შედეგებს ისე, რომ შთააგონებს ნდობას."[41]

ურთიერთობის ფაქტორი

ბევრს მიაჩნია, რომ არასწორია მეგობრების ან ნათესავების მოტყუება, მაგრამ ნორმალურია სხვა კატეგორიის ადამიანების მოტყუება. ზოგიერთი ადამიანი პარავს ფულს ან მასალებს დამსაქმებლებს, რადგან ფიქრობს, რომ იმსახურებს მეტ ანაზღაურებას. ზოგიერთი ადამიანი პარავს მდიდრებს, განსაკუთრებით მდიდარ უცხოელებს. ზოგიერთი ადამიანი დებს უსამართლო გარიგებებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ან სოციალური კლასის ადამიანებთან.

იესომ თქვა, რომ უნდა გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. გახსოვთ კითხვა, რომელიც რჯულის მცოდნემ დაუსვა იესოს? „ვინ არის ჩემი მოყვასი?"[42] რჯულის მცოდნეს სურდა, რომ იესოს დაეკონკრეტებინა ადამიანების ის კატეგორია, რომელიც უნდა გვიყვარდეს. იესომ მოუთხრო ამბავი „კეთილ სამარიელზე." ამბავი სხვადასხვა ეროვნების ორ ადამიანზეა, რომლებიც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მათ არ ჰქონიათ მანამდე ურთიერთობა და არსებობდა კონფლიქტი მათ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. სამარიელი დაეხმარა გაჭირვებულ კაცს, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი ურთიერთობა არ ევალებოდა. ერთ-ერთი პუნქტი, რომელსაც იესომ ხაზი გაუსვა ამ ისტორიაში, არის ის, რომ არც ერთი ადამიანი არ უნდა იყოს უკუგდებული ჩვენი სიყვარულისგან.

ჩვენ არ უნდა გადავწყვიტოთ ვინ იმსახურებს ჩვენი მხრიდან პატიოსნად მოპყრობას. ჩვენ კეთილსინდისიერნი მხოლოდ შერჩეულ ადამიანებთან არ უნდა ვიყოთ. მაშინაც კი, თუ მიგვაჩნია, რომ ადამიანს ჩვენი არაკეთილსინდისიერება არ დააზარალებს, ჩვენ უნდა გვინდოდეს ვასიამოვნოთ ღმერთს პატიოსნებით (საქმეების 24:16).[43]

---

[41] სტივენ კოვი. ნდობის სიჩქარე: ერთადერთი რამ, რაც ყველაფერს ცვლის. (ნიუ-იორკი: თავისუფალი პრესა, 2006 წ).
[42] ლუკას 10:29
[43] ასევე ფილიპელთა 1:10, 2 კორინთელთა 5:9

როგორი ადამიანი გინდათ, რომ იყოთ? ღმერთს როგორი ადამიანი უნდა, რომ იყოთ?

შეიძლება ვიღაც არ იმსახურებს თქვენს თავაზიანობას, მაგრამ ღმერთს სურს, რომ თავაზიანი ადამიანი იყოთ.

შეიძლება ვიღაც არ იმსახურებს თქვენს პატიოსან დამოკიდებულებას, მაგრამ ღმერთს სურს, რომ პატიოსანი ადამიანი იყოთ.

ვიღაც შეიძლება არ იმსახურებდეს თქვენს სიყვარულს, მაგრამ ღმერთს უყვარდით მაშინ, როცა არ იმსახურებდით ამას და მას სურს, რომ იყოთ მოსიყვარულე ადამიანი.

სტუდენტებმა ჯგუფს უნდა წაუკითხონ 1 პეტრეს 2:21-23 და 3:8-12.

არ მისცეთ უფლება სხვის ხასიათს განსაზღვროს თქვენი ხასიათი. შეიძლება ადამიანმა მოგატყუოს, მაგრამ თქვენ არ უნდა გახდეთ მატყუარა. შეიძლება ადამიანმა მოგპაროთ, მაგრამ ქურდი არ უნდა გახდეთ. შეიძლება ადამიანი თქვენს მიმართ უხეში იყოს, მაგრამ თქვენ მას პატივისცემით უნდა მოეპყროთ.

ცხოვრებისეული მაგალითები

ამ განყოფილების ილუსტრაციები ყველა რეალური შემთხვევაა, მაგრამ სახელები და დეტალები შეცვლილია. ეს არის მაგალითები ქურდობის ან ტყუილის ან ორივესი ერთად.

დარწმუნდით, რომ სტუდენტები მიხვდნენ რა მოხდა, თითოეულ მაგალითში. სთხოვეთ სტუდენტებს ახსნან, რატომ არის არასწორი მაგალითში მოყვანილი ქმედება.

(1) ჯორჯი ქარხანაში მუშაობდა. მას ხშირად მიჰქონდა სახლში დასუფთავების საშუალებები, ხელსაწყოები და სხვა წვრილმანები, რადგან იცოდა, რომ ქარხანას შეეძლო მათი ჩანაცვლება.

(2) პედრო იყო სატვირთო მანქანის მძღოლი დიდ კომპანიაში. ხანდახან, როცა კომპანიის სატვირთო მანქანას მართავდა, გზის პირას ხედავდა აბრას, სადაც ეწერა: „შევისყიდით დიზელს.” ის ხანდახან ჩერდებოდა და აყიდდა მათ მცირე რაოდენობით დიზელის საწვავს სატვირთოდან, რადგან იცოდა, რომ კომპანია ვერ გაიგებდა, რომ ავზიდან მცირე ოდენობა იყო ამოღებული.

(3) თამარას ანდეს კომპიუტერული ტექნიკის შეძენა იმ ოფისისთვის, რომელშიც ის მუშაობდა. მან მოისყიდა მაღაზიის გამყიდველი, რომ დაეწერა ქვითრები, რომლებშიც მითითებული იქნებოდა უფრო მაღალი ფასები, რათა ფულის ნაწილი მიეთვისებინა.

(4) დიდი ქალაქის პარკში არის მამაკაცი, რომელიც ყიდის გადამწვარ ნათურებს. ადამიანებმა, ვინც მათ ყიდულობს, იციან, რომ ისინი არ მუშაობენ. ისინი ყიდულობენ მათ ოფისებში წასაღებად, სადაც მოიპარავენ კარგ ნათურებს და ჩაანაცვლებენ გადამწვარებით.

(5) ალექსი სკოლის დირექტორი იყო. ერთ დღეს მასთან მოსწავლის მამა მივიდა და შვილისთვის ალგებრაში კარგი შეფასება მოსთხოვა. მან ალექსს ფული მისცა. ალექსმა ალგებრის მასწავლებელს უბრძანა, მოსწავლესთვის კარგი შეფასება მიეცა.

(6) ანჯელო უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მას მცირე ხელფასი ჰქონდა. მან თავის კლასს განუცხადა, რომ გამოცდა ძალიან რთული იქნებოდა და ვერცერთი სტუდენტი ვერ ჩააბარებდა გამოცდას, თუ მისგან პასუხების ფურცელს არ იყიდიდა.

(7) ალექსი იყო საჯარო სკოლის დირექტორი. ერთ დღეს ვანიამ, მეგობარმა, რომელიც მუშაობდა მისიონერულ ორგანიზაციაში, ჰკითხა, შეეძლო თუ არა მისიას სკოლის შენობაში რამდენიმე ოთახის დაქირავება. ალექსმა დაასახელა ფასი და ვანია ალექსს ყოველთვიურად აძლევდა ფულს. ალექსი იღებდა ფულს და არასდროს გაუცხადებია შემოსავლის შესახებ.

(8) ვანია მუშაობდა მისიაზე, რომელიც საჭიროებდა საკლასო ოთახებისთვის ფართის დაქირავებას. ვანია მივიდა მეგობარ ალექსთან, სკოლის დირექტორთან. ისინი შეთანხმდნენ ქირავნობის ფასზე, შემდეგ ვანიამ მისიას მეტი თანხა უთხრა. ყოველთვიურად ვანია ფულს ალექსს აწვდიდა, მაგრამ ზედმეტ თანხას თვითონ ითვისებდა.

(9) სერგეი მუშაობდა სამინისტროში, რომელსაც ახალი შენობა სჭირდებოდა. სამინისტრომ სერგეის უთხრა, რომ მათთვის სამშენებლო კომპანია მოეძებნა. სერგეი რამდენიმე სამშენებლო კომპანიას ესაუბრა. იმის ნაცვლად, რომ შეერჩია კომპანია, რომელიც შესთავაზებდა საუკეთესო ფასს, მან აირჩია კომპანია, რომელიც დაჰპირდა, რომ მისცემდა მას სამინისტროსგან მიღებული თანხის ნაწილს.

(10) ალბერტოს სჭირდებოდა მანქანის ლიცენზიის აღება, მაგრამ მან იცოდა, რომ ის შემოწმებას ვერ გაივლიდა, რადგან ზოგიერთი მაშუქი არ მუშაობდა. მან თავისი მანქანა ლიცენზირების განყოფილებაში წაიყვანა და დაინახა ხალხის გრძელი რიგი,

რომლებიც ელოდნენ თავიანთი მანქანების შემოწმებას და ლიცენზირებას. ჭიშკართან მყოფმა მამაკაცმა უთხრა, რომ გარკვეულ ფასად შეეძლო მისთვის ლიცენზიის სწრაფად მიცემა, შემოწმების გარეშე. ალბერტომ გადაიხადა ფასი და მალევე სახლში წავიდა ლიცენზიით.

(11) საიმონი თავისი მანქანის ავტოსადგომიდან წასაყვანად მივიდა. ავტოსადგომზე მომსახურემ უთხრა მას პარკირების ფასი. საიმონმა მომსახურეს ნაკლები გადაუხადა, მაგრამ უფლება მისცა დაეტოვებინა პარკინგის ბილეთი, რომ მიეცა სხვა მომხმარებლისთვის, ამით მომსახურეს შეეძლებოდა საიმონის გადახდილი ფულის თავისთვის დატოვება.

(12) ანა სათანადოდ არ მოემზადა ტესტისთვის. როცა კლასში მივიდა, მეგობრის გვერდით დაჯდა, რომელიც კარგი მოსწავლე იყო, რათა მისგან ტესტის პასუხები გადაეწერა.

(13) იგორი დიდ სამთავრობო მეურნეობაში, გუთანშებმული ტრაქტორით მინდრორს ხნავდა. მას უნდოდა ადრე დაესრულებინა. მან გუთანი ოდნავ მაღლა ასწია, რომ ღრმად არ ამოეთხარა, ამით ტრაქტორს საშუალება ჰქონდა უფრო სწრაფად ემოძრავა. მინდორი მომზადებულად გამოიყურებოდა, მაგრამ კარგი მოსავალი არ მოვიდა, რადგან სათანადოდ არ იყო მოხნული.

(14) პასტორი პიერი, მისიის მიერ გაგზავნილი იყო ეკლესიის პასტორად. მისია მას ყოველთვიურად ხელფასს უგზავნიდა. იმის გამო, რომ პასტორ პიერს სურდა, რომ ეკლესიასაც გადაეხადა მისთვის, მან უთხრა თავისი ეკლესიის მრევლს, რომ მისია არ ეხმარებოდა მას.

(15) ელას სახლში ქურდი შევიდა და ფული მოიპარა. როდესაც მან ამის შესახებ მეგობრებს უამბო, მან ასევე დაამატა, რომ ქურდმა სხვა ნივთებიც წაიღო, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს არ გაუკეთებია. მისმა მეგობრებმა თანაუგრძნეს და ფული მისცეს მას, რათა ჩაენაცვლებინა ის, რაც მათ ეგონათ, რომ მოპარული იყო.

(16) გულოვო იყო პატარა სოფლის ბელადი. ის, ასევე წინამძღვარი იყო სოფლის ეკლესიაში. მისი ხალხი პრიმიტიული, გაუნათლებელი და ღარიბი იყო, მაგრამ სოფელს საკუთრებაში ბევრი მიწა ჰქონდა. ქალაქელი ბიზნესმენები ფერმერული პროექტებისთვის მიწის ყიდვას ითხოვდნენ. გულოვომ მთელი სოფლის მიწა გაყიდა და ამ ფულით ქალაქში სახლი აიშენა.

(17) ყოველწლიურად ფეირფილდის თემის ეკლესია ირჩევს დედას, რომელიც დასახელდება, როგორც „წლის დედა.” მათ შეარჩიეს ვილმა არა იმიტომ, რომ ის

დედის კარგი მაგალითი იყო, არამედ იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ ეკლესიას შემოწირულობას გაუწევდა. მას შემდეგ, რაც მათ აირჩიეს ის, ვილმამ ფული შესწირა ეკლესიას, მათი საკუთრებისთვის ახალი ჭიშკრის შესაძენად. შემდეგ წელს ეკლესიამ გადაწყვიტა, კვლავ აერჩია ვილმა "წლის დედად", მიუხედავად იმისა, რომ ის სხვა ქალაქში გადავიდა.

(18) ბარნი მსახურების მძღოლი იყო. ყოველ საღამოს მას მიჰყავდა მსახურების მანქანა უსაფრთხო ადგილზე გასაჩერებლად. ზოგჯერ მანქანის გაჩერებამდე მას იყენებდა მგზავრების გადასაყვანად, ან მათი ტვირთის გადასაზიდად.

უპატიოსნობის ეროვნული ტრაგედია

ეს ამბავი გამოგონილია, მაგრამ აღწერს იმას, რაც შეიძლება მომხდარიყო ბევრგან.

ქალაქ ბოროლში მცხოვრებმა ქრისტიანებმა გაარკვიეს, რომ მეზობელ ოლქში იყო ხალხის დიდი თემი, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ამ ოლქში მაცხოვრებლები იყვნენ ეთნიკური ჯგუფი, რომლებსაც იბანელებს ეძახდნენ. თაობების განმავლობაში იბანელი ხალხი ცხოვრობდა პრიმიტიულ სახლებში, სამედიცინო დახმარებისა და განათლების ხელმისაწვდომობის გარეშე. ბევრს არ ჰქონდა საკმარისი საკვები, ზოგი კი შიმშილს განიცდიდა.

ბოროლის ქრისტიანებმა დაიწყეს ფულის შეწირვა იბანელთა დასახმარებლად. მათ გაგზავნეს წარმომადგენლები სხვა ოლქების ეკლესიებში, რათა ეთხოვათ მათგან წვლილის შეტანა.

ბოროლის ქრისტიანებმა დაიწყეს სატვირთო მანქანებით საკვების გაგზავნა იბანელებისთვის. ისინი საკვების განაწილებაში, იბანელი ეკლესიის ლიდერებზე იყვნენ დამოკიდებული.

იბანელმა ლიდერებმა გახსნეს ბაზრები თავიანთი ხალხისთვის საკვების მისაყიდად. მისი ყიდვა მხოლოდ ფულის მქონე ადამიანებს შეეძლოთ, ამიტომ არაფერი აღწევდა მოშიმშილე ადამიანებამდე. ეკლესიის ლიდერები და მათი მეგობრები იღებდნენ მოგებას. საკვების ნაწილი იგზავნებოდა სხვა ოლქებში გასაყიდად, სადაც ხალხს შეეძლო მეტი გადაეხადა.

ბოროლის ქრისტიანები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ საკვები უფასოდ გადასცემოდათ იმ ადამიანებს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. იბანის ეკლესიის ლიდერებმა შეიმუშავეს ბიუჯეტი განაწილებისთვის, რომელიც მოიცავდა მძღოლებით სატვირთო მანქანების დაქირავებას და ხალხის დახმარებას. მათ ჩვეულებრივზე მაღალი ფასები დააწესეს და თანხის სხვაობას თვითონ იღებდნენ.

როდესაც ბოროლის ქრისტიანებმა მოითხოვეს ანგარიშები ხარჯვის შესახებ, იბანელებმა ყალბი ანგარიშები წარუდგინეს.

ყოველთვის, როცა ბოროლის ქრისტიანები აღმოაჩენდნენ არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, ისინი იმედგაცრუებულნი და დათრგუნულნი რჩებოდნენ. ისინი ცდილობდნენ ეპოვათ სხვა იბანელი ლიდერები მათ დასახმარებლად, მაგრამ იგივე პრობლემებს აწყდებოდნენ. ბოროლში ბევრმა ქრისტიანმა შეწყვიტა შესაწირავის მიცემა. ზოგი აგრძელებდა გაცემას. ბოროლის მხარდაჭერის გამო, რამდენიმე იბანელ პასტორს, მალევე მანქანები და კარგი სახლები გაუჩნდა. სხვა პასტორებს შურდათ მათი და სურდათ კავშირები ბოროლის დონორებთან. შორეულ რაიონებში მოშიმშილე ადამიანების უმეტესობას დახმარება არასოდეს მიუღია.

დასკვნითი სურათი

უორენ ბაფეტი იყო კომპანია Berkshire Hathaway (ბერკშირ ჰეთეევეის) აღმასრულებელი დირექტორი. მას სურდა ეყიდა კომპანია McLane Distribution (მაკლეინ დისტრიბიუშენი), რომელიც Walmart (უოლმარტს) ეკუთვნოდა. შესყიდვამ 23 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჩვეულებრივ, ამ შესყიდვას დასჭირდებოდა თვეების შემოწმება, რათა მყიდველმა ყველაფრის შემოწმება შეძლოს. ბაფეტი უოლმარტის ლიდერებს შეხვდა და პირველივე შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას. მას არავინ გაუგზავნია, რომ დარწმუნებულიყო იმაში, რომ ქონება და სხვა აქტივები წესრიგში იყო. მოგვიანებით მან თქვა: „ვიცოდით, რომ ყველაფერი ზუსტად ისე იქნებოდა, როგორც უოლმარტმა თქვა, რომ იქნებოდა და ასეც იყო.” ეს უზარმაზარი გარიგება სწრაფად შესრულდა, რადგან ლიდერები ენდობოდნენ ერთმანეთს.[44]

ახლა დაფიქრდით წინა მაგალითებში აღწერილ ადამიანებზე. ვერცერთი მათგანი ვერ შეძლებდა მსგავსი შეთანხმების მიღწევას, რადგან არ იმსახურებენ ნდობას. ყველაფერი უნდა შემოწმდეს, რაც დიდ დროს და ხარჯს მოითხოვს.

ჯგუფში გაზიარებისთვის

► რომელი არაკეთილსინდისიერი ქმედებების თავიდან აცილებაა რთული თქვენს კულტურაში?

► რა მოქმედებების შეცვლა გესაჭიროებათ?

[44] სტივენ კოვი. ნდობის სიჩქარე: ერთადერთი რამ, რაც ყველაფერს ცვლის. (ნიუ-იორკი: თავისუფალი პრესა, 2006 წ), 15

ლოცვა

ზეციერო მამა,

გადიდებთ შენ, რადგან სიმართლისა და ჭეშმარიტების ღმერთი ხარ. გმადლობთ შენ, რადგან ყოველთვის მართალი ხარ ჩვენთან ურთიერთობაში.

დაგვეხმარე, დავიცვათ პატიოსნების სტანდარტი, რომელსაც ჩვენგან ითხოვ. დაგვეხმარე, გამოვიყენოთ პატიოსნების პრინციპები ყველაფერში, რასაც ვამბობთ და ვაკეთებთ.

გმადლობთ, რომ ხარ მამა, რომელიც უზრუნველგვყოფ და მეგზურობას გვიწევ. გვინდა მოგენდოთ, რომ იზრუნო ჩვენზე.

ამინ

გაკვეთილი 10 დავალებები

(1) დაწერეთ აბზაცი, თითოეული მომდევნო საკითხის შესახებ:

- განმარტეთ კავშირი ღვთის ბუნებასა (ჭეშმარიტებას) და ჩვენთვის ღმერთის მიერ დადგენილ სტანდარტს (პატიოსნებას) შორის. ახსენით, რატომ მოითხოვს ღმერთი ჩვენგან, რომ ვიყოთ პატიოსნები, ჩვენს ნათქვამში და ყველა ჩვენს საქმეში.
- შეაჯამეთ რას ამბობს ბიბლია პატიოსნებაზე. გამოიყენეთ თქვენს შეჯამებაში მინიმუმ სამი ადგილი წმინდა წერილიდან.
- განმარტეთ მინიმუმ ოთხი გზა, როგორ მოქმედებს უსინდისობა, ან პატიოსნება ჩვენს ურთიერთობებზე სხვებთან.

(2) მოამზადეთ ბიბლიური პრეზენტაცია პატიოსნების შესახებ, რომელიც შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი კულტურის ადამიანთა ჯგუფს. მოიყვანეთ ღვთის სტანდარტის ბიბლიური საფუძველი და შემდეგ გამოიყენეთ ის კონკრეტულ სიტუაციებში.

გაკვეთილი 11
ადამიანის ფასეულობა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) სჯეროდეს, რომ ყოველი ადამიანი ღირებულია და იმსახურებს პატივისცემას, რადგან ღვთის ხატად არის შექმნილი.
(2) აიღოს პასუხისმგებლობა სამართლიანობისა და მოწყალების ქმედებებზე მათ მიმართ, ვისაც არასათანადოდ ეპყრობიან გარშემომყოფები.
(3) აიღოს ვალდებულება, მოეპყროს ყველა ადამიანს ღირსეულად, რა სიტუაციაც არ უნდა იყოს.

დეილ კარნეგი, ადამიანი, რომელიც აფასებდა ხალხს

დეილ კარნეგი ცნობილი იყო თავისი წიგნით: *როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე*. მას სჯეროდა, რომ ყველა ადამიანი იმსახურებს ყურადღებას და პატივისცემას, რადგან ისინი არსებითად ღირებული არიან როგორც ადამიანები. დეილ კარნეგის ინსტიტუტი შეიქმნა მისი პრინციპების სწავლებისთვის.

ერთხელ, დეილ კარნეგის ინსტიტუტმა გამართა საღამოს კურსი ბიზნეს პროფესიონალებისთვის სწავლებით, როგორ იყვნენ მეგობრულები და დაამყარონ კავშირები ადამიანებთან. როდესაც სტუდენტებმა ტესტები აიღეს, მათ ერთი კითხვა გაუკვირდათ. ეს მოულოდნელი კითხვა იყო: „რა ჰქვია ქალს, რომელიც ყოველთვის ასუფთავებს ფოიეში, როცა აუდიტორიიდან გამოდიხართ?" სტუდენტებმა მას არაერთხელ ჩაუარეს გვერდი, როდესაც აუდიტორიას ტოვებდნენ სახლში მიმავალნი, მაგრამ ყურადღების მისაქცევად საკმარისად მნიშვნელოვნად არ თვლიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გამოდიოდნენ გაკვეთილიდან, თუ როგორ უნდა ყოფილიყვნენ მეგობრულები და დაემყარებინათ კავშირები. ისინი თვლიდნენ, რომ ახალი უნარები უნდა გამოეყენებინათ მხოლოდ მნიშვნელოვან ადამიანებთან კავშირების დასამყარებლად.

კაცობრიობის ქრისტიანული ღირებულება

ყველა ადამიანი, ვინც ირწმუნებს იესო ქრისტეს, არის ერთი სხეულის - ქრისტეს სხეულის წევრი: „და აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და

არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში" (გალატელთა 3:28).[45]

ლუკას სახარება მოგვითხრობს საუბრის შესახებ, როდესაც იესო ციტირებდა მცნებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი." რჯულის მცოდნემ ჰკითხა მას: "ვინ არის ჩემი მოყვასი?" (ლუკას 10:29). კითხვა მნიშვნელოვანი იყო, რადგან რჯულის მცოდნეს მიაჩნდა, რომ მას ყველა არ უნდა ყვარებოდა. ის ფიქრობდა, რომ მცნება მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის ადამიანების სიყვარულს მოითხოვდა.

ადამიანებს ყველა კულტურაში, ძალიან მსგავსი მორალი აქვთ. მათ იციან, რომ ქურდობა, მკვლელობა და ჩაგვრა ცუდია. თუმცა, ისინი არ თვლიან, რომ სამართლიან მოპყრობას ყველა იმსახურებს. შეიძლება მეგობარს არ მოპარონ, მაგრამ უცხოს მოპარავენ. შეიძლება არ მოკლან საკუთარი თანამემამულე, მაგრამ უცხოელი მოკლან. შეიძლება მათ არ დაჩაგრონ თავისი ნათესავები, მაგრამ დაჩაგრონ იმ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც სძულთ.

ქრისტიანებს სწამთ, რომ ყოველი ადამიანი ღმერთის ხატად და უსაზღვრო ღირებულებითაა შექმნილი.

როდესაც ანგელოზი ეცხადებოდა ხალხს, როგორც ეს წმინდა წერილშია დაწერილი, მისი პირველი სიტყვები იყო: „ნუ გეშინია", რადგან მისი თანდასწრება უზარმაზარი და გასაოცარი იყო. ზოგჯერ ადამიანები ანგელოზების წინაშე ძირს ეცემოდნენ, თაყვანისცემის სურვილით.[46] მაგრამ ადამიანები უფრო მნიშვნელოვანნი არიან ვიდრე ანგელოზები.[47]

შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელიც არის დაბალი ფენიდან, მათხოვარი, გაუნათლებელი, უცოდინარი, ცუდი ხასიათის, უნარს მოკლებული, არავითარი გავლენის მქონე, ამაზრზენი გარეგნობისა და საზიზღარი განწყობის, მაგრამ ის იღებს გადაწყვეტილებებს მარადიული შედეგებით. თუ ის ღვთის მიერ იქნება გამოსყიდული, ის გახდება იმაზე დიდი, ვიდრე ყველაფერი, რაც დედამიწაზე გვინახავს.[48] აქედან გამომდინარე, ის პატივისცემას იმსახურებს.

---

[45] *ინგლისური სტანდარტული ვერსია*

[46] ამის ერთ-ერთი მაგალითია გამოცხადების 22:8-9, „და მე, იოანემ, მოვისმინე და ვიხილე ეს. როცა მოვისმინე და ვიხილე, დავემხე იმ ანგელოზის ფერხთით, ყოველივე ეს რომ მაჩვენა, რათა თაყვანი მეცა. მითხრა: "ნუ იზამ ამას, ვინაიდან მე, თანამსახური ვარ შენი და შენი წინასწარმეტყველი ძმებისა; და იმათი, ვინც იცავს ამ წიგნის სიტყვებს. ღმერთს ეცი თაყვანი" (*ინგლისური სტანდარტული ვერსია*).

[47] 1 კორინთელთა 6:3

[48] 1 კორინთელთა მე-15 თავი ხსნის ქრისტიანთა სხეულების მშვენიერ ტრანსფორმაციას, რომელიც მოხდება აღდგომის დროს.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს გალატელთა 3:28.

ეს მუხლი აღნიშნავს სამ გზას, რომლებითაც ადამიანები ხშირად არიან კლასიფიცირებულნი - ეთნიკურად, სოციალურად და სქესის მიხედვით. სოციალური დაყოფა მოიცავს ეკონომიკურ დონეს. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ სხვა კლასიფიკაციები, როგორიცაა ასაკი, განათლების დონე და უნარები. არცერთი ეს კლასიფიკაცია არ ახდენს გავლენას ღვთის ღირებულებაზე პიროვნების შესახებ.

► შეიძლება ვინმე ერთი ადამიანი, სხვაზე უფრო ღირებული იყოს? ახსენით.

მაღალი ინტელექტის, განათლების, უნარების, ფიზიკური ძალის, ლიდერობის გამოცდილების ან ფულის მქონე ადამიანი უფრო ღირებულია *გარკვეული მიზნების მისაღწევად*. თუმცა, არასწორია ამ მახასიათებლების გამო, პიროვნება უფრო ღირებულ ადამიანად მივიჩნიოთ. ამ მახასიათებლებს აქვთ პრაქტიკული ღირებულება, მაგრამ ღვთის ხატად შექმნილ კაცობრიობის არსებით ბუნებას აქვს უსაზღვრო და მარადიული ღირებულება.

ცრურწმენა

ადამიანები მიდრეკილნი არიან იფიქრონ, რომ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ყველა ადამიანს აქვს გარკვეული მახასიათებლები. ზოგჯერ ეს განცხადებები კეთდება კანის ფერზე მითითებით, როგორიცაა "თეთრები ყოველთვის _____" ან "შავები არიან ყველა _____."

ზოგჯერ განცხადება ეხება ეროვნებას, როგორიცაა ჰაიტელები, გერმანელები ან იაპონელები. ზოგჯერ ეს უფრო სპეციფიკურია, როგორც ტომის სახელი ან ეთნიკური ჯგუფი ერში.

განცხადებები, რომლებსაც ადამიანები აკეთებენ ადამიანების კატეგორიების შესახებ, ზოგჯერ კომპლიმენტურია, მაგრამ ხშირად ისინი კრიტიკულია. განცხადებაში შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯგუფში ყველას აქვს გარკვეული ნაკლი.

აქ მოცემულია ადამიანების კრიტიკული განცხადებების მაგალითები ეთნიკური ჯგუფების ან ეროვნების შესახებ. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სახელები ცარიელი იქნება.

- _____ ზარმაცები არიან.
- _____ ხშირად ბევრს სვამენ.
- _____ მოიპარავენ თუ შესაძლებლობა მიეცემათ.
- _____ ხშირად ჩხუბობენ.

- _____ არასოდეს ასრულებენ სამუშაოს კარგად.
- _____ არ არიან საკმარისად ჭკვიანები, რომ სკოლაში კარგად ისწავლონ.
- _____ სწრაფად ბრაზდებიან.
- _____ ყოველთვის იტყუებიან.

აშკარაა, რომ ეთნიკური განსხვავებები არსებობს და ეს განსხვავებები უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკური გარეგნობა. ეთნიკური ჯგუფი შეიძლება გამოირჩეოდეს სპორტის გარკვეულ სახეობებში ან სამუშაოებში, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამო.

ადამიანთა ჯგუფს აქვს კულტურული მახასიათებლები. კულტურა ასწავლის ადამიანებს გარკვეულ სიტუაციებზე რეაგირებას განსაზღვული გზებით, ასე რომ, ჩვენ ვსწავლობთ განსაზღვული ქმედებების მოლოდინს, გარკვეული კულტურის წარმომადგენელი ადამიანებისგან.

ცუდი არაფერია ჯგუფის ფიზიკური და კულტურული მახასიათებლების შემჩნევაში. თუმცა, არასწორია ადამიანის ხასიათის შეფასება მისი ეთნიკურობის ან კულტურის გამო. ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ღვთისმოსავი, პატიოსანი და კეთილი. არასწორი იქნება, მოეპყრო მას, თითქოს მას ცუდი ხასიათი აქვს, როცა მას როგორც ინდივიდს არ იცნობ.

ჩვენი პირადი გამოცდილება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვხედავთ სხვა ადამიანებს. თუ ადამიანს სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ცუდად ეპყრობიან, მან შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ ამ ეთნიკური ჯგუფის ყველა ადამიანი ერთნაირია. ეს შთაბეჭდილება მყარდება, თუ ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი არაერთხელ მოექცევა ცუდად, ან თუ ეს ცუდი გამოცდილება ხდება ახალგაზრდა ასაკში.

ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის ხანგრძლივმა კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების თაობები, რომლებსაც აქვთ წინასწარ შექმნილი ცუდი აზრები ერთმანეთის მიმართ.

როდესაც ბავშვი ისმენს მშობლებისა და სხვა უფროსების ლაპარაკს ეთნიკური ჯგუფის ადამიანებზე, ყალიბდება მისი აზრი ამ ეთნიკური ჯგუფის შესახებ.

ქრისტიანმა უნდა გამოიკვლიოს საკუთარი დამოკიდებულება ეთნიკური ჯგუფების მიმართ და ილოცოს, რომ ღმერთი დაეხმაროს მას სამართლიანობისა და სიყვარულის გამოვლენაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ისევე ზრუნავს სხვებზე, როგორც ჩვენზე და არ სიამოვნებს, თუ მათ უსამართლოდ ვექცევით.

წინასწარ შექმნილი ცუდი აზრები მსახურებაში

ძველი აღთქმიდან, იონას შესახებ ამბავი დამრიგებლობითია. იონა გვეუბნება, რატომ გაურბოდა ღმერთს:

> შეღაღადა უფალს და უთხრა: "გემუდარები, უფალო, განა ამას არ ვამბობდი ჯერ კიდევ ჩემს ქვეყანაში ყოფნისას? ამის გამო გავიქეცი თარშიშს, რადგან ვიცოდი, რომ შემწყნარებელი ღმერთი ხარ და მიმტევებელი, სულგრძელი და დიდმოწყალე, და თავს არიდებ დასჯას. ახლა კი, უფალო, გემუდარები, წაიღე ჩემი სიცოცხლე, რადგან სიკვდილი მიჯობს სიცოცხლეს!" (იონას 4:2-3).

იონა გაურბოდა ღმერთს ასურელებისადმი ღრმად ჩანერგილი სიძულვილის გამო და იმის გამო, რომ მან იცოდა, რომ ღმერთის მოწოდება, მას ემუშავა ნინევიელებს შორის, ნიშნავდა იმას, რომ არსებობდა დიდი შესაძლებლობა, ღმერთი მათთვის კეთილი ყოფილიყო.

რასის სოციალური კონცეფცია არ არის ბიბლიური კონცეფცია. ბიბლია გვასწავლის, რომ ყველა ადამიანი არის ერთი რასა - ადამიანთა რასა: „ერთიდან შექმნა ადამიანთა ყოველი ხალხი, რათა დედამიწის ზურგზე დასახლებულიყვნენ; წინასწარ დააწესა მათ დასასახლებლად დრონი და საზღვრები" (საქმეების 17:26).

ღმერთი მოუწოდებს ეკლესიას, რომ სახარება მიუტანოს ყველა ეთნიკურ ჯგუფს დედამიწაზე (საქმეების 1:8). ადამიანის სულის ფასეულობა ეროვნებაზე არ არის დამოკიდებული.

ადამიანთა გარკვეული კატეგორიებისადმი უპატივცემულობა

იმის გამო, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან მიიღონ მიწიერი, ამქვეყნიური პრიორიტეტები, ისინი მიდრეკილნი არიან გამოიყენონ ადამიანების ღირებულობის განსაზღვრების არასწორი გზა. ბევრი საზოგადოება ზოგიერთ ადამიანს აფასებს, როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანს და ექცევა მათ ისე, თითქოს ისინი ადამიანზე ნაკლებნი არიან.

ქვემოთ მოცემულია მაგალითების ჩამონათვალი, თუ როგორ ეპყრობოდა სხვადასხვა საზოგადოება ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას უპატივცემულოდ. ზოგიერთი ეს ქმედება ისტორიულია; სხვები ჯერ კიდევ გამოიყენება.

ადამიანთა გარკვეული კატეგორიებისადმი უპატივცემულობის რეალური მაგალითები:

- მოხუცები აღარ არიან სასარგებლონი, ამიტომ მათ იზოლირებულ ადგილას ტოვებენ, რომ გარდაიცვალონ.
- ადამიანები ფლობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ადამიანებს, როგორც მონებს და შეუძლიათ გაყიდონ ისინი, ან მოექცნენ ისე, როგორც ჩათვლიან მიზანშეწონილად.
- კომპანიები აქვეყნებენ განცხადებებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ არ დაასაქმებენ კონკრეტული ეროვნების ადამიანებს.
- ქალები ქმრის საკუთრებად ითვლებიან და ისე ექცევიან, როგორც ქმრები ჩათვიან საჭიროდ.
- ჩვილ გოგონებს სასიკვდილოდ იმეტებენ, რადგან ოჯახებს ვაჟები სურთ.
- ქვეყნის მთავრობა აგზავნის ჯარისკაცებს კონკრეტულ რეგიონში, რათა მოკლან კონკრეტული ეროვნების ყველა წარმომადგენელი.
- ბავშვები მიტოვებულნი არიან, რადგან მათ აქვთ გონებრივი ან ფიზიკური ნაკლი.
- ქვეყნებში არსებობს კანონები, რომლებიც უკრძალავენ ქალებს მანქანის მართვას ან უნივერსიტეტის დიპლომის მიღებას.
- ადამიანებს, რომლებიც საუბრობენ საერთო ეროვნულ ენაზე, მაგრამ არა იმ ენაზე, რომელსაც სკოლაში ასწავლიან, არ აქვთ უფლება ისაუბრონ სამთავრობო შენობებში.
- ადამიანებს იმიტომ ასაქმებენ, რომ ინგლისური სახელები აქვთ და არა აფრიკული.
- გოგონები მამებმა შეიძლება მონებად ან საპროსტიტუციოდ გაყიდონ.
- ბავშვებს დაბადებამდე კლავენ, რადგან დედები მზად არ არიან შვილებისთვის.

ზოგიერთი ფილოსოფია და რელიგია მხარს უჭერს ადამიანების სხვადასხვა კატეგორიებისადმი არასათანადო მოპყრობას.

ათეისტ, ევოლუციონისტებს არ სჯერათ, რომ ადამიანები საგანგებოდ არიან შექმნილნი ღვთის ხატად. მათ მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ადამიანები განვითარდნენ კონკურენციითა და კაცობრიობის სუსტი და ნაკლებად ინტელექტუალური ვარიაციების განადგურების გზით. მათ მიაჩნიათ, რომ

„ყველაზე ძლიერის გადარჩენამ" შეგვქმნა. ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, ადამიანებისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა გაეგრძელებინათ კაცობრიობის სუსტი ფორმების განადგურება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად და, შესაბამისად, განსაკუთრებულია ღმერთისთვის.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ექიმებს ნებას რთავს მოკლან ბავშვები მათ დაბადებამდე. ზოგიერთმა მთავრობამ მოითხოვა კიდეც ჩვილების მოკვლა, ჭარბი მოსახლეობის გამო. ბევრ ქვეყანაში დედები სთხოვენ ექიმებს დაბადებამდე მოკლან ბავშვები, რადგან ისინი არ არიან მზად ბავშვის გაჩენისთვის. ეს არის უგულებელყოფა ადამიანის ფასეულობების და პიროვნების უფლებების, რომელსაც არ შეუძლია თავის სახელით საუბარი.

რელიგიები, როგორიცაა ინდუიზმი და ბუდიზმი, თვლიან, რომ ადამიანები იტანჯებიან წინა ცხოვრებაში საკუთარი არასწორი ქმედებების გამო. მათ მიაჩნიათ, რომ ჩაგრული ადამიანები იმსახურებენ იმ სტატუსს, რაც აქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ადამიანმა კარგად გაუძლო ტანჯვასა და ჩაგვრას, შეიძლება შემდეგ ჯერზე უკეთესი ცხოვრება ჰქონდეს. ეს რელიგიები იძლევა მცირე საფუძველს, დაჩაგრული ადამიანის დასახმარებლად, რადგან იქ ფიქრობენ, რომ ადამიანი გადის აუცილებელ პროცესს.

არასწორი ფილოსოფია და რელიგია აიძულებს ხალხს აიტანონ ადამიანთა ფენების საშინელი, არასათანადო მოპყრობა. საზოგადოებები ნორმალურ მოვლენად მიიჩნევენ უკიდურესი სოციალური უსამართლობის პირობებს. ქრისტიანები განსხვავებულები არიან. ქრისტიანული მოძღვრება, ღვთის ხატად საგანგებოდ შექმნის შესახებ, ადამიანური ფასეუულობების ერთადერთ ადეკვატურ საფუძველს იძლევა.

► კონკრეტული კატეგორიის ადამიანების მიმართ, რა სახის უპატივცემულობაა მიღებული თქვენს საზოგადოებაში?

კეთილი მოყვასი

იესოს მრავალი იგავის მსგავსად, ამბავი კეთილ სამარიელის შესახებ (ლუკას 10:29-37) შოკისმომგვრელი იყო მისი მსმენელებისთვის. როდესაც მან თქვა, როგორ ჩაუარეს გვერდი მღვდელმა და ლევიანმა დაშავებულს ისე, რომ არ დაეხმარნენ, არავის გაკვირვებია. მღვდლები და ლევიანები რელიგიური დაწესებულების ნაწილი იყვნენ, მაგრამ ხალხი ფიქრობდა, რომ ისინი გარყვნილები იყვნენ ფულითა და ძალაუფლებით.

მსმენელები ელოდნენ, რომ მესამე პირი იქნებოდა სიუჟეტის გმირი, მაგრამ ისინი შოკირებულნი და იმედგაცრუებულნი დარჩნენ იმის გამო, რომ ეს გმირი სამარიელი იყო. სამარიელები ეთნიკურად შერეულები და თავიანთ რელიგიაში დაბნეულნი იყვნენ. ებრაელები ზიზღით ექცეოდნენ მათ ორივე თვისების გამო.

გახსოვთ, ებრაელმა რჯულის მცოდნემ დაუსვა იესოს კითხვა: „ვინ არის ჩემი მოყვასი?" მას სურდა, რომ იესოს განესაზღვრა ხალხის ის ვიწრო კატეგორია, რომელიც მას უნდა ყვარებოდა. ისევე როგორც ქვეყნიერებაზე ადამიანთა უმეტესობა, ისიც ფიქრობდა, რომ მისი მორალური ვალდებულებები მხოლოდ შერჩეული კატეგორიის ადამიანებისთვის იყო და რომ არ უნდა ეზრუნა სხვებზე.

იესომ უპასუხა კითხვას და აჩვენა, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ნებისმიერ ადამიანზე, რომელსაც შევხვდებით. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შევხვდებით, ჩვენი მოყვასია. მაგრამ იესომ ასევე უპასუხა კითხვას, რომელიც არავის დაუსვამს, ვინ არის კეთილი მოყვასი? ან როგორი ადამიანი ავლენს ამ სიყვარულს? მან აჩვენა, რომ ადამიანი, რომელსაც საზოგადოება არ სცემს პატივს, შეიძლება იყოს ის, ვინც ახარებს ღმერთს და ავლენს იმ სიყვარულს, რომლის დანახვაც ღმერთს სურს.

მოციქული იაკობი აფრთხილებს ეკლესიას, არ სცეს პატივი ადამიანებს ქვეყნიერული სტანდარტებით.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს იაკობის 2:1–9.

► ამის მსგავსი რა გამოვლინება გინახავთ ეკლესიებში?

ბევრი ადამიანი, ვინც დედამიწაზე მნიშვნელოვანად არის მიჩნეული, ღმერთის მიერ არ არის პატივდებული. ბევრი ადამიანი, ვინც ღმერთს მოსწონს, დედამიწაზე არ არის პატივდებული. იესომ თქვა, რომ მარადისობაში ბევრი ადამიანის სტატუსი შეიცვლება (მათეს 19:30).

როდესაც ქრისტიანი ძმები ერთად იკრიბებიან, ღარიბი იძენს სტატუსს, რომელიც მას არ აქვს ამქვეყნად, რადგან მას პატივს სცემენ როგორც ქრისტიან ძმას. მდიდარი ადამიანი კარგავს სტატუსს, რომელიც მას აქვს ქვეყანაზე, რადგან მისი ფული არ აყენებს მას ეკლესიაში სხვებზე მაღლა (იაკობის 1:9-10).

მონობა

მონობა არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი იმყოფება სხვა პირის საკუთრებაში. უმეტეს ქვეყნებში, რომლებშიც ნებადართულია მონობა, მას არ აქვს უფლება, როგორც პიროვნებას. ბატონს შეუძლია მონას გაუკეთოს ის, რასაც მოისურვებს,

თითქოს მონა იყოს ცხოველი ან მანქანა. მონის საკუთარი სურვილები და ამბიციები ბატონის ნებას ექვემდებარება. ბატონის ნება-სურვილის მიხედვით ცოლ-ქმარი შეიძლება დაშორებულ იქნან და შვილები შეიძლება წაართვან მშობლებს.

ძველ აღთქმაში ღმერთი ზღუდავდა მონობას და იცავდა მონის გარკვეულ უფლებებს. იმ დროს მონის უფლებებისადმი ზრუნვა ძალიან უჩვეულო იყო. ახალ აღთქმაში ღმერთმა თქვა, რომ ის არის ყველა ადამიანის ბატონი, არავის ანიჭებს უპირატესობას სტატუსის გამო და რომ მონების ბატონი კეთილი და სამართლიანი უნდა იყოს (ეფესელთა 6:9). პრინციპმა, რომ მონას ისე უნდა მოეპყრო, როგორც ყველა ადამიანი იმსახურებს, საბოლოოდ განაპირობა მონობის გაუქმება იმ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიდნენ ბიბლიის ზეგავლენას.

მონობა ჯერ კიდევ ბევრგან არსებობს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ზოგიერთ ადგილას მშობლები ყიდიან შვილებს სამუშაოდ ან სექსუალური სარგებლობისთვის. ზოგჯერ ბავშვებს წარმართულ ტაძრებში აბარებენ, როგორც გადასახადს, დაავადებებისა და წყევლისგან გასათავისუფლებლად. ზოგჯერ ქალებს აიძულებენ პროსტიტუციაში ჩაბმას, მათი ნების საწინააღმდეგოდ. ხანდახან ადამიანები სხვა ქვეყანაში კონტრაბანდულად გადაჰყავთ დამონების მიზნით.

ეკონომიკური ჩაგვრა

ქვეყანაში, სადაც არ არის ეკონომიკური თავისუფლება, პირობები შეიძლება ნაწილობრივ მონობას დაემსგავსოს. ადამიანებს არ აქვთ თავისუფლება აწარმოონ საკუთარი ბიზნესი. მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანმა შეცვალოს სამსახური რაიმე უკეთესზე. ზოგიერთი მამაკაცი მუშაობს ხელფასზე, რომელიც ძლივს ყოფნით მათ ოჯახებს გამოსაკვებად. ისინი იშვიათად ყიდულობენ რაიმეს, გარდა ძირითადი საკვებისა. მათ არ შეუძლიათ სამედიცინო დახმარების მიღება. რაც არ უნდა იშრომონ, უკეთეს სახლში ვერასოდეს იცხოვრებენ, რადგან ფული არასოდეს არის საკმარისი მათი საჭიროებისთვის. მათი დამსაქმებლები არ იხდიან მეტს, რადგან მათ ყოველთვის შეუძლიათ იპოვონ ადამიანები დაბალ ანაზღაურებაზე სამუშაოდ.

ეკონომიკური ჩაგვრა კომპლექსურია და მხოლოდ დამსაქმებლების ბრალი არ არის. ზოგიერთ ქვეყანაში ბევრი ხელმისაწვდომი მუშაა, მაგრამ ცოტა ქარხანა და მსხვილი საწარმო. თუ მთავრობა კორუმპირებულია, მას შეუძლია ხელი შეუშალოს მსხვილი ბიზნესის წამოწყებას მაღალი გადასახადების დაწესებით და ქრთამის მოთხოვნით. თუკი ქვეყანაში ბევრ საწარმოს ექნებოდა მუშაობის საშუალება, მუშების ხელფასი უფრო მაღალი იქნებოდა, რადგან მათ შეეძლებოდათ არჩევა სად იმუშაონ, ხოლო

საწარმოებს მოუწევდათ მათი მოზიდვა უფრო მაღალი ხელფასითა და პირობებით. იმის გამო, რომ სულ რამდენიმე საწარმოს აქვს მუშაობის ნებართვა, მუშებს დასაქმების შეზღუდული ვარიანტები აქვთ და დამსაქმებლებს შეუძლიათ თავიანთ მუშაკებს დაბალი ხელფასები გადაუხადონ. მუშაკები ვერ იღებენ საკმარის შემოსავალს თავიანთი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მთავრობის დანიშნულებაა ემსახუროს ხალხს თავდასხმებისგან დასაცავად და მათი თავისუფლებების დაცვით. ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლებებია: საკუთარი აზრის გამოხატვის, რელიგიური აღმსარებლობის, მოგების მიზნით მუშაობისა და ქონების ფლობის უფლება. პიროვნებას, რომელსაც არ ეძლევა ამ საქმიანობის განხორციელების უფლება, ექცევიან როგორც არასრულფასოვან ადამიანს.

ზოგჯერ ადგილობრივი ქრისტიანები ნორმალურად მიიჩნევენ ასეთ პირობებს და არ ცდილობენ დაეხმარონ რთულ ეკონომიკურ სიტუაციებში მყოფ ადამიანებს.

ჯამილა ცხოვრობდა პატარა სოფელში, სადაც სამუშაო არ იყო. მან დატოვა სამი შვილი ბებიასთან და წავიდა ქალაქში, პასტორის ოჯახში მოსამსახურედ, თვეში 50 დოლარზე სამუშაოდ. ის იშვიათად ხედავდა შვილებს. ხალხის უმეტესობა არ თვლის, რომ დედისთვის, შვილებს ასე დაშორება კარგია, მაგრამ ქრისტიანებიც კი ქირაობენ ჯამილას მსგავს სიტუაციაში მყოფ ადამიანებს. მათ უკვირთ, რატომ უნდა გადაიხადონ მეტი, როდესაც ვიღაც თანახმაა იმუშაოს ამ თანხაზეც? რატომ უნდა აწუხებდეთ მათი შვილებთან განშორება, თუკი ისინი თვითონ ირჩევენ, დატოვონ ისინი და იმუშაონ?

► აქვთ თუ არა ქრისტიანებს ვალდებულება ჩაერიონ ჯამილას სიტუაციაში? როგორ?

ამოსის წიგნში რამდენჯერმეა საუბარი ეკონომიკურ ჩაგვრაზე. ამოსის 5:11-12-ში წინასწარმეტყველი საუბრობს ქრთამებზე, რომლებიც აიძულებენ მოსამართლეებს მიემხრონ ფულის მქონე პირს, რაც ღარიბებისთვის მიუწვდომელს ხდის სამართლიანობას. ამოსის 8:4-6-ში წინასწარმეტყველი გმობს ადამიანებს, რომლებიც ცრუ საზომებს იყენებენ ღარიბი ხალხის მოსატყუებლად. ამოსის 4:1-ში მან თქვა, რომ ქალები ასევე არიან დამნაშავენი, თუ ისინი ცხოვრობენ ფუფუნებაში, რაც მათმა ქმრებმა მოიპოვეს ღარიბების ჩაგვრის შედეგად. წინასწარმეტყველმა თქვა, რომ სამართლიანობა დაუშრეტელი ნაკადულივით უნდა იღვრებოდეს (ამოსის 5:24), რაც იმას ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს უხვი და ხელმისაწვდომი ყველასთვის.

ადამიანის ღირებულება და ავტორიტეტის როლი

ის, რომ ყველა ადამიანი უსაზღვროდ ღირებულია, არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანებში არ უნდა იყოს ავტორიტეტული სტრუქტურა. თანაბარი ღირებულება არ ნიშნავს თანაბარ უფლებამოსილებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სამების ყოველი პირი არის სრულად და თანაბრად ღმერთი, ძე ემორჩილება მამას (იოანეს 6:38). ღმერთმა უბრძანა ცოლს დაემორჩილოს ქმარს; ეს არ ნიშნავს რომ ის მისი ხელქვეითია (ეფესელთა 5:22). ღმერთმა უთხრა ბავშვებს, დაემორჩილონ მშობლებს; ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მშობლებს რამით ჩამორჩებიან, გარდა განვითარებისა (ეფესელთა 6:1).

ღმერთმა დააწესა მთავრობა (რომაელთა 13:1-5). მან ასევე დაადგინა ძალაუფლება ეკლესიაში (ებრაელთა 13:17).

ყველა ლიდერს უნდა ახსოვდეს, რომ ისინი მსახურები არიან (მათეს 20:25-28). ლიდერად მსახურება ნიშნავს, წარუძღვე სიკეთეებისკენ მათ, ვინც მოგყვება. ლიდერი ხელმძღვანელობს არა საკუთარი მოგებისთვის, არამედ სწირავს საკუთარ სარგებელს, რათა ემსახუროს მათ, ვინც მას მიჰყვება.

► როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ გარკვეული გაგებით ზოგიერთი ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები, ხოლო მეორე გაგებით ყველა ადამიანი თანაბარი მნიშვნელობისაა?

განაცხადები ქრისტიანებისთვის

დარწმუნდით, რომ ეკლესიის ოჯახი ზრუნავს ყველა ადამიანზე.

- ხანდაზმულები ახსოვთ და ეხმარებიან ისე, როგორც საჭიროა?
- არიან თუ არა დაფასებულნი ბავშვები და ეძლევათ თუ არა ის საჭირო სწავლება და წახალისება, რომელიც შექმნილია მათი განვითარების დონისთვის?
- არიან თუ არა ღარიბები მიღებულნი თქვენს ეკლესიაში?
- არიდებთ თუ არა თავს, ეკლესიაში ხალხის პატივისცემას, მათი სიმდიდრის ან საზოგადოებაში სტატუსის გამო?
- მიღებულია თუ არა, ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან მეგობრობა და მათი მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში და მსახურებაში?

- არის თუ არა თქვენს მხარეში ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც ევანგელიზაცია სჭირდება?
- არიან თუ არა თქვენს მხარეში შევიწროებული ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ ვინმე, ვინც მათ დაიცავს?

ქრისტიანულმა ოჯახმა უნდა წარმოაჩინოს ყველა ადამიანის ფასეულება. ქმარიც და ცოლიც პატივდებულნი უნდა იყვნენ. გასათვალისწინებელია მათი საჭიროებები. ბავშვები არ უნდა იყვნენ უგულებელყოფილნი ან უმნიშვნელოდ მიჩნეულნი. ბავშვებს სჭირდებათ სათანადო დისციპლინა. თქვენ არ გაქვთ უფლება ბავშვზე ან ცოლზე განახორციელოთ ძალადობა სწორედ, ისევე როგორც არ გაქვთ უფლება მოექცეთ მეზობელს ასე.

ღარიბებს იმგვარად უნდა დავეხმაროთ, რომ მათი ღირსება არ შეილახოს, არამედ განმტკიცდეს. არ მისცეთ საკუთარ თავს იმის უფლება, რომ ღარიბესის დამცირებით თავი წარმოაჩინოთ. თუ ღარიბ ადამიანს შესთავაზებთ სამართლიან გზას, რომ მოიპოვოს ის, რაც მას სჭირდება, მისი ღირსება დაცულია, რადგან მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი და შეუძლია იმუშაოს მოგების სანაცვლოდ. საუკეთესო დახმარება ღარიბებს აძლევს შესაძლებლობას შეცვალონ თავიანთი მდგომარეობა.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები ხაზს უსვამდნენ, რომ ღმერთს სურს, რომ მისმა ხალხმა გაათავისუფლოს ჩაგრული ადამიანები (ესაიას 58:6).

ახალი აღთქმა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იესო მოვიდა ღარიბთა შორის. ის დაიბადა იქ, სადაც ცხოველებს ათავსებდნენ. მისი მეგობრებისა და მიმდევრების უმეტესობა მშრომელი და ღარიბი ხალხი იყო. იესო ზრუნავდა მის საზოგადოებაში უმნიშვნელოდ მიჩნეულ ადამიანებზე: ღარიბებზე, კეთროვნებზე, ქვრივებზე, ხიზნებზე და ბავშვებზე. მან თქვა, რომ მოვიდა ღარიბებისთვის კეთილი უწყების მოსატანად. მან თქვა, რომ სახარება გაათავისუფლებს ჩაგრულებს.

ეკლესიის პირველი დღეებიდან ქრისტიანები აქტიურობდნენ თავიანთ საზოგადოებებში. მიტოვებული ბავშვები სახლებში მიჰყავდათ, მონები გადასცეს და ავადმყოფებს ეხმარებოდნენ. ისინი ზრუნავდნენ ადამიანებზე, რომლებსაც მათი საზოგადოებები უსარგებლოდ თვლიდნენ.

იესომ თქვა, რომ უნდა ვილოცოთ, რომ მოვიდეს ღვთის სამეფო და მისი ნება აღსრულდეს დედამიწაზე, ისევე როგორც ზეცაში (მათეს 6:10). ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი ჩაგვრა დასრულდება, როცა ღვთის სამეფო სრულად მოვა დედამიწაზე.

მანამდე ჩვენ უნდა ვილოცოთ, ღმერთის ჩარევისთვის ყველგან, ჩაგრული ადამიანების დასახმარებლად.

საშობაო სიმღერა

საშობაო სიმღერა „O Holy Night" (ო წმიდა ღამეს)[49] საუბრობს იმაზე, თუ როგორ აფასებს სახარება კაცობრიობას, გათავისუფლების მიცემით. ქვემოთ მოცემულია სიმღერის ორი სტროფი.

> წმინდა ღამეს, ვარსკვლავები ანათებენ,
>
> ეს არის ჩვენი ძვირფასი მხსნელის დაბადების ღამე.
> დიდხანს იყო სამყარო ცოდვაში და შეცდომებში,
>
> შემდეგ ის გამოჩნდა და სულმა **იგრძნო თავისი ფასეულება**.
> იმედიანად თრთოლა, დაღლილი სამყარო ხარობს,
>
> რადგან დგება ახალი დიდებული დილა.
>
> ჭეშმარიტად მან გვასწავლა ერთმანეთის სიყვარული
>
> მისი კანონი სიყვარულია, მისი სახარება კი მშვიდობა.
> ***ჯაჭვებს ის დაამსხვრევს, რადგან მონა ჩვენი ძმაა,***
>
> ***და მისი სახელით შეწყდება ყოველგვარი ჩაგვრა.***
> მადლიერ გუნდში ჩვენ აღვავლენთ სიხარულის ტკბილ საგალობლებს,
>
> დაე ყველა ჩვენგანი ადიდებდეს მის წმიდა სახელს!

ჯგუფში გაზიარებისთვის

ჯგუფების უმეტესობისთვის ეს თემა ბევრ დისკუსიას გამოიწვევს. ზოგიერთ სტუდენტს შეიძლება ჰქონდეს ძლიერი განცდები იმის მიმართ, რაც განიცადა ან რასაც დააკვირდა.

► როგორ შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ, თუ გაიხსენებთ, რა ფასეელობა აქვს თითოეულ ადამიანს ღმერთის წინაშე?

► რის გამოსწორებას ისურვებდით, იმის გათვალისწინებით, რაც ახლა იცით ადამიანის ფასეულობის შესახებ? წაახალისეთ სტუდენტები, უფრო მეტად

[49] "O Holy Night" (ოჰ წმიდა ღამეს) ტექსტი თავდაპირველად ფრანგულად დაიწერა პლასიდ კაპეუს მიერ 1843 წელს.

გაუზიარონ თავიანთი ვალდებულებები, ვიდრე გამოხატონ აღშფოთება იმაზე, რაც სხვებმა გააკეთეს.

► როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანის ფასეულობამ ეკლესიის მსახურებაზე?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა, რომ შენი ხატების მსგავს, განსაკუთრებულ ქმნილებებად გვაქცევ. დამეხმარე, პატივი ვცე ყველა ადამიანს. დამეხმარე, მოვინანიო ნებისმიერი წინასწარი ცუდი განწყობა და წყენა, რაც მაქვს ადამიანების მიმართ.

ვლოცულობ, რომ დამყარდეს სამართლიანობა იმ ადამიანების მიმართ მთელ მსოფლიოში, რომლებსაც არასწორად ეპყრობიან მათი ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ასაკის ან სხვა მახასიათებლების გამო.

დამეხმარე, დავიცვა ჩაგრული ხალხი და ვიშრომო, რომ ჩემი საზოგადოება იყოს სამართლიანი ყველასთვის. დაეხმარე ჩვენს ეკლესიას და თითოეულ ცალკეულ ქრისტიანს, გამოავლინონ შენი სიყვარული სამყაროსადმი კონკრეტული გზებით.

ამინ

გაკვეთილი 11 დავალებები

(1) დაწერეთ ეკლესიის, ღვთის მიერ მინიჭებული პასუხისმგებლობის შესახებ, შეცვალოს ხალხის დამოკიდებულება მის საზოგადოებაში.

- რა უნდა გააკეთოს შენმა ეკლესიამ?
- რა უნდა გააკეთონ ცალკეულმა ქრისტიანებმა?
- რა უნდა გააკეთო შენ?

(2) შეისწავლეთ მეორე რჯულის 24:10-22. ჩამოთვალეთ ბრძანებები, რომლებიც გამოხატავს ადამიანების ფასეულობას. ახსენით თითოეული ბრძანების მიზანი.

გაკვეთილი 12
მთავრობა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გაიაზროს პასუხისმგებლობები და შეზღუდვები, რომლებიც ღმერთმა დააკისრა მთავრობას.
(2) დაემორჩილოს ბიბლიურ მითითებებს და პრინციპებს მთავრობასთან მიმართებაში.
(3) აიღოს ვალდებულება, სამართლიანობით საზოგადოებაში გავლენის მოხდენაზე.

უილიამ უილბერფორსი, კაცობრიობის დამცველი

უილიამ უილბერფორსი (1759-1833) იყო ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, რომელიც გახდა ქრისტიანი და დაიწყო გამოსვლა მონობის, ბავშვთა შრომისა და ღარიბების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ის 20 წლის განმავლობაში მუშაობდა კანონის მიღებაზე, რომელიც დაასრულებდა მონებით ვაჭრობას, როგორიც იყო აფრიკიდან ტყვეების ჩამოყვანას ბრიტანეთის იმპერიაში, გასაყიდად. ის ხშირად იმედგაცრუებული იყო, რომ სხვებს არ აინტერესებდათ ეს საკითხი. ერთხელ მან მოიპოვა პარლამენტის წევრების უმრავლესობის თანხმობა კანონის მხარდასაჭერად, მაგრამ ოპონენტებმა აიძულეს, რომ ზოგიერთ წევრს გამოეტოვებინა პარლამენტის სხდომა, რადგან მათ თეატრის ბილეთები გადასცეს და კანონი ჩავარდა. კანონმა დაასრულა მონებით ვაჭრობა 1807 წელს, მაგრამ თავად მონობა ჯერ კიდევ არ იყო უკანონო. უილბერფორსი აგრძელებდა კამპანიას მონობის სრული გაუქმებისთვის. მონობა დასრულდა ბრიტანეთის იმპერიის უმეტეს ტერიტორიაზე 1833 წელს. უილბერფორსი გარდაიცვალა სულ სამი დღის შემდეგ, რაც შიტყო სიახლე, რომ კანონი მიღებულ იქნებოდა.

შესავალი

ქრისტიანთა ურთიერთობა მათ მთავრობებთან ძალიან მრავალფეროვანი იყო. ისტორიის ზოგიერთ დროსა და ადგილას არსებობდა ეროვნული ეკლესია, რომელიც მთავრობასთან მოკავშირე იყო. სხვა დროსა და ადგილას ხელისუფლებამ ეკლესია უკანონოდ აქცია და დევნიდა. არსებობენ ერები, რომლებიც ადამიანებს ნებას

რთავენ თავისუფლად აღიარონ ნებისმიერი რელიგია და მათი მთავრობები აცხადებენ, რომ არ ემხრობიან რომელიმე კონკრეტულ რელიგიას.

ქრისტიანებსა და მთავრობას შორის ურთიერთობა ბევრ რთულ კითხვას იწვევს. ზოგჯერ ადგილობრივი ეკლესია ავითარებს ურთიერთობას მთავრობასთან, რომელიც ვერ იარსებებს მსოფლიოს სხვა ნაწილებში, სადაც მთავრობა ძალიან განსხვავებულია.

ეს გაკვეთილი არ უპასუხებს ყველა კითხვას და არ განმარტავს, თუ რა უნდა გააკეთოს ქრისტიანმა ყველა შემთხვევაში, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ ბიბლიურ პრინციპს ქრისტიანის მთავრობასთან ურთიერთობის შესახებ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს რომაელთა 13:1-7.

► რა განცხადებებს ხედავთ ამ მონაკვეთში ხელისუფლების შესახებ?

ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთმა დაადგინა ადამიანური მმართველობა. ღმერთს სურს, რომ მთავრობა არსებობდეს, ხოლო ადამიანი, რომელიც უარს ამბობს დაემორჩილოს ადამიანურ მთავრობას, ეწინააღმდეგება ღმერთს (რომაელთა 13:2).

► რა დანიშნულება აქვს ხელისუფლებას, ამ მუხლების თანახმად?

მთავრობის ერთ-ერთი მიზანია დასაჯოს ცუდი საქციელი კანონების აღსრულებით (რომაელთა 13:3).

მმართველი ემსახურება ღმერთს და ასრულებს ღვთის განზრახვებს, როდესაც ის სჯის კანონდამრღვევებს (რომაელთა 13:4).

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 2:1-2.

ჩვენ უნდა ვილოცოთ მთავრობაში მყოფი ადამიანებისთვის, რათა მშვიდად და მშვიდობიანად ვიცხოვროთ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ როდესაც მთავრობა ფუნქციონირებს ისე, როგორც საჭიროა, ის იცავს საზოგადოების სიმშვიდეს.

ქრისტიანული გავლენა

► იესომ გვითხრა, რომ ვიყოთ მარილი და ნათელი (მათეს 5:13-16). რას გულისხმობდა?

ზოგს მიაჩნია, რომ ქრისტიანებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა აეჩევნებში ან დაიკავონ სამთავრობო თანამდებობები, რადგან ქვეყნიერების მთავრობები არ მართავენ ქრისტიანული პრინციპებით. ზოგიერთი ქრისტიანი თვლის, რომ ეკლესია

უნდა იყოს ცალკე გაერთიანება, რომელიც არ ჩაერთვება საზოგადოებაში, რადგან საზოგადოება მეტისმეტად გარყვნილია.

წინასწარმეტყველმა იერემიამ მისწერა ებრაელებს, რომლებიც წაიყვანეს თავიანთი ქვეყნიდან წარმართულ საზოგადოებაში საცხოვრებლად. ისინი იქ არ იყვნენ ნებაყოფლობით. თუ ღმერთის რომელიმე მორწმუნეს ოდესმე ჰქონდა მიზეზი, თავი შეეკავებინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისგან, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ ებრაელებმა გააკეთეს ეს. ისინი იქ იყვნენ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ, საზოგადოების რელიგია წარმართული იყო, მთავრობა დესპოტური და ანადგურებდა მათ ერს, ებრაელები კი ელოდნენ იმ დღეს, როდესაც მათ შეეძლებოდათ აქედან წასვლა.

მაგრამ მოუსმინეთ გზავნილს, რომელიც ღმერთმა წინასწარმეტყველის მეშვეობით გაუგზავნა ამ ხალხს:

> მშვიდობა და სიკეთე ეძიეთ იმ ქალაქისთვის, რომელშიც გადაგასახლეთ, ევედრეთ მისთვის უფალს, რადგან მისი სიკეთით თქვენც გექნებათ სიკეთე (იერემიას 29:7).

შალომი, ებრაული სიტყვაა, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც მშვიდობა, ეხება არა მხოლოდ თავად მშვიდობას, არამედ იმ კურთხევებს, რომლებიც ახლავს მშვიდობას. ეს ეხება ღვთის კურთხევებს. ღვთის ეს თაყვანისმცემლები მოიპოვებდნენ ღვთის კურთხევებს, როდესაც შეეცდებობდნენ ამ კურთხევების მოტანას ცოდვილ საზოგადოებაში, რომელმაც არაფერი იცოდა მის შესახებ და დევნიდა მის ხალხს!

ადამიანები, რომლებიც ღმერთს ემსახურებიან, უნდა ახდენდნენ გავლენას მათ საზოგადოებაზე, რათა პატივი სცენ ღვთის ნებას და მათი საზოგადოება იყოს დალოცვილი. მათ არა მხოლოდ უნდა გაუზიარონ სახარება, არამედ უნდა გამოიყენონ ღვთის პრინციპები ყველა მდგომარეობასა და გადაწყვეტილებაში.

მთავრობა და საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს ღვთის სიტყვით. ღმერთის გამოცხადებული ჭეშმარიტებიდან უნდა გამომდინარეობდეს ეთიკა (სწორი მოქმედებების წესები), ეთიკიდან - პოლიტიკა (მთავრობა სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის) და შემდეგ ეკონომიკა (რესურსების მართვა). ასე რომ, სწორი წესრიგი არის ჭეშმარიტება, შემდეგ ეთიკა, შემდეგ პოლიტიკა, შემდეგ ეკონომიკა.

1. წმინდა წერილი
2. ეთიკა

3. პოლიტიკა
4. ეკონომიკა

ადამიანთა საზოგადოების ბუნებრივი ტენდენცია ამ წესრიგის შეცვლაა. ადამიანები პრიორიტეტად აქცევენ თავიანთ პირად ეკონომიკას, შემდეგ მხარს უჭერენ ლიდერებს და კანონებს, რომლებიც მისცემს მათ იმას, რაც მათ სურთ, მაშინაც კი, თუ მათ უნდა დაკარგონ სამართლიანობა და თავისუფლება, შემდეგ აყალიბებენ თავიანთ ეთიკას, რათა შეესაბამებოდეს იმას, რასაც აკეთებენ, შემდეგ შეიმუშავებენ რელიგიას, რათა გაამართლოს მათი ქცევა. ასე რომ, ჩვეულებრივი წესრიგი არის ეკონომიკა, შემდეგ პოლიტიკა, შემდეგ ეთიკა, შემდეგ რელიგია.

1. ეკონომიკა
2. პოლიტიკა
3. ეთიკა
4. რელიგია

ასეთი რელიგია იმდენად არასწორი პრინციპებითაა ჩამოყალიბებული, რომ მას ბევრი სიმართლე აკლია.

ეკლესია უნდა დადგეს ბიბლიურ ჭეშმარიტებაზე, არა მხოლოდ საზოგადოების ცოდვების უარყოფით, არამედ იმის ახსნით და დემონსტრირებით, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოება. თუ ქრისტიანებს არ შეუძლიათ ახსნან და აჩვენონ, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, უნდა ველოდოთ, რომ ადამიანები, რომლებმაც არ იციან ბიბლიური ჭეშმარიტება, ვერ გამოიყენებენ მას.

ქრისტიანებმა არა მხოლოდ უნდა აკრიტიკონ თავიანთი საზოგადოება. ისინი მათი საზოგადოების ნაწილი უნდა იყვნენ. ქრისტიანები აქტიურად უნდა ჩაერთონ თავიანთ საზოგადოებაში და იყვნენ სამართლიანობის დამცველები. ისინი ყოველთვის უნდა იყვნენ ეთიკურები ყველა თავიანთ საქმეში და ამით გავლენა მოახდინონ სხვებზე სამართლიანობისთვის. მათ უნდა მიიღონ მონაწილეობა მთავრობასა და ორგანიზაციებში, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, რამდენადაც მათ შეუძლიათ ამის გაკეთება ქრისტიანული პრინციპების დარღვევის გარეშე. თუ ნებადართულია, მათ უნდა მისცენ ხმა და მხარი დაუჭირონ კანდიდატებს, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან ქრისტიანულ ბუნებასთან.

► როგორია ეკლესიაზე საზოგადოების ზეწოლის მაგალითი, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება ეკონომიკური კეთილდღეობის მიღებისთვის და არა ბიბლიური ჭეშმარიტების საფუძველზე?

ქრისტიანები და ადამიანთა მმართველობის კანონები

ქრისტიანები მთელი ისტორიის მანძილზე ცდილობდნენ გაეგოთ, როგორ დაეცვათ ქრისტიანული პრინციპები, როდესაც მათი მთავრობა მიჰყვება სულ სხვა პრინციპებს. ზოგჯერ კონფლიქტი მწვავეა და ქრისტიანები იტანჯებიან თავიანთი რწმენის გამო, რადგან მათ არ შეუძლიათ გააკეთონ ის, რასაც მთავრობა მოითხოვს.

ბიბლია გვეუბნება, რომ გადავიხადოთ გადასახადები, რომლებსაც მთავრობა მოითხოვს (რომაელთა 13:7, მათეს 22:21).

ბიბლია გვეუბნება, რომ დავემორჩილოთ ჩვენი ქვეყნის კანონებს (ტიტეს 3:1). თუმცა, ბიბლია ასევე გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ღმერთს, როდესაც ღვთის მცნებები ეწინააღმდეგება ადამიანის კანონებს (საქმეების 5:29).

მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს ხალხისგან, რომ ჯარისკაცებივით იბრძოლონ უსამართლო საქმისთვის. მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს ჩვილების სიკვდილი, მოსახლეობის ჭარბი რაოდენობის შესამცირებლად. მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს მოსახლეობისგან თანამშრომლობა რომელიმე ეთნიკური ჯგუფის დამონებაზე.

ზოგჯერ პრობლემები მსახურების და თაყვანისცემის საკითხებში იქმნება. ქრისტიანების დევნა შეიძლება მოხდეს, თუ ისინი არ სცემენ თაყვანს მათი ოჯახის ან ტომის ღმერთებს. ქრისტიანების დევნა შეიძლება მოხდეს, როდესაც მათი მთავრობა მხარს უჭერს სხვა რელიგიას.

ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს კანონები ევანგელიზმისა და ბიბლიის სწავლების წინააღმდეგ. ქრისტიანებს დევნიან, როდესაც ისინი სახარებას ავრცელებენ. ზოგიერთ ქვეყანაში ისჯებიან მშობლები, რომლებიც ასწავლიან შვილებს ღმერთის შესახებ.

ჩვენ გვაქვს მორწმუნე ადამიანების ბიბლიური მაგალითები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ მმართველების უსამართლო ბრძანებებს. დანიელი აგრძელებდა ლოცვას მაშინაც კი, როდესაც ის აკრძალეს. დანიელის სამმა მეგობარმა უარი თქვა მეფის კერპის თაყვანისცემაზე. ებრაელი ბებიაქალები არ დაემორჩილნენ ფარაონის ბრძანებას, დაეხოცათ ებრაელი ჩვილები.

ისტორიის მანძილზე ქრისტიანები მახარებლობდნენ მაშინაც კი, როდესაც ეს აკრძალული იყო. ქრისტიანებს არალეგალურად გადაჰქონდათ ბიბლია, სხვადასხვა ქვეყნების საზღვრებზე. ქრისტიანები საიდუმლოდ იკრიბებოდნენ ღვთისადმი

თაყვანისსაცემად. ქრისტიანები არაძალადობრივად ბლოკავენ კლინიკებს, რომლებიც აბორტს აკეთებენ. ქრისტიანები ეხმარებოდნენ გაქცეულ მონებს.

ქრისტიანთა უმეტესობას ურჩევნია მშვიდად იცხოვროს და არ დადგეს ასეთი გადაწყვეტილებების წინაშე. თუმცა, თუ ქრისტიანი ეთიკური დილემის წინაშე დგას, მან უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი, თუნდაც ეს მსხვერპლს მოითხოვდეს. თუ მას აქვს შესაძლებლობა, თავიდან აიცილოს უსამართლობა ან გაუზიაროს სახარება, ის იღებს სერიოზულ გადაწყვეტილებას, როდესაც წყვეტს იმოქმედოს თუ არა.

► შეგიძლიათ აღწეროთ სამართლებრივი დილემა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ქრისტიანისთვის თქვენს ქვეყანაში?

მექრთამეობა

პასტორი უცხო ქვეყანაში მოგზაურობდა. მას ჰქონდა შესაბამისი საბუთები, მაგრამ რამდენჯერმე პოლიციელებმა გააჩერეს და მცირეოდენი თანხა მოსთხოვეს. თუ ის მათ ფულს არ მისცემდა, ისინი შეაფერხებდნენ მოგზაურობას და უსიამოვნებას შეუქმნიდნენ.

► რა უნდა გააკეთოს პასტორმა ამ სიტუაციაში?

ქრთამი არის ფული, რომელიც გადაეცემა უფლებამოსილ პირს, რათა გავლენა მოახდინოს მასზე, რომ რაიმე დაუშვას. არასწორია ადამიანის მოსყიდვა იმისთვის, რომ ჩაიდინოს ის, რაც არ უნდა ჩაიდინოს. მაგალითად, თუ შენობა ან ავტომობილი არ აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნებს, არასწორია ინსპექტორის მოსყიდვა, რომ მოაწეროს ხელი რაღაცას, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არასწორია მოსამართლის ან პოლიციელის მოსყიდვა, რათა უსამართლოდ განსაჯოს.

ზოგჯერ უფლებამოსილი პირი ითხოვს ქრთამს იმის გაკეთებაში, რაც ეველება რომ გააკეთოს. ამ შემთხვევაში ის, ვინც იხდის, არ უხდის მას რაიმეს არასწორად ჩადენისთვის. თანამდებობის პირის მიერ ამის მოთხოვნა არასწორია (ლუკას 3:4), მაგრამ მას, ვინც იხდის, შეიძლება არჩევანი არ ჰქონდეს. ამის მაგალითები შეიძლება იყოს, ნებართვის მიღება რაიმეზე, რაც უნდა იყოს დაშვებული, ან უდანაშაულო ადამიანის თავისუფლების მიღება. ზოგჯერ ქრთამი ძარცვას ჰგავს. ძარცვა არასწორია, მაგრამ ჩვენ მსხვერპლს არ ვადანაშაულებთ.

წმინდა წერილის გულდასმით გამოკვლევა გვაჩვენებს, რომ ღმერთი გმობს მათ, ვინც ქრთამს იღებს, მაგრამ გულმოწყალეა მათ მიმართ, ვინც აიძულეს,რომ გადაეხადა (გამოსვლის 18:21; 23:8; მეორე რჯულის 10:17; 16:19; 27:25).

ქრისტიანებმა არასოდეს უნდა გადაიხადონ ქრთამი კომფორტისთვის, მაგრამ ისინი არ არიან დამნაშავეები, თუკი მათ კორუმპირებული ჩინოვნიკები აიძულებენ ამის გაკეთებას.

► როგორია არასწორი ქრთამის მაგალითი?

სამხედრო სამსახური

ბევრი ქრისტიანი თვლის, რომ არასწორია ჯარისკაცად მსახურება თავიანთი ქვეყნისთვის. ისინი თავიანთ რწმენას აფუძნებენ გარკვეულ ბიბლიურ განცხადებებზე. იესომ თქვა, რომ მეორე ლოყაც უნდა მივუშვიროთ თუ ვინმე მარჯვენაში გაგვაწნავს (მათეს 5:39). იესომ თქვა, რომ მისი მსახურები არ იბრძვიან, რადგან მისი სამეფო ამქვეყნიური არ არის (იოანეს 18:36). პავლე მოციქულმა თქვა, რომ ჩვენი იარაღი არ არის ფიზიკური (2 კორინთელთა 10:4). ამ ქრისტიანებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი ძალადობა სხვა ადამიანებზე არასწორია. ამ ქრისტიანებიდან ბევრი ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, სადაც მთავრობა არ აძლევს თავისუფლებას და დევნის ქრისტიანებს.

სხვა ქრისტიანებს მიაჩნიათ, რომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, როგორც ჯარისკაცებმა. წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ღმერთმა დააარსა მთავრობა და რომ მთავრობას შეუძლია გამოიყენოს იარაღი დამნაშავეების დასასჯელად (რომაელთა 13:4). აშკარაა, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი თავისი ოჯახის დასაცავად და, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ კაცები უნდა იყვნენ ორგანიზებულნი, რათა დაიცვან თავიანთი ოჯახები თავდასხმისგან ჯარის სახით. როდესაც ჯარისკაცმა იოანე ნათლისმცემელს ჰკითხა, როგორ მოენანიებინა, იოანემ უთხრა, რომ არ აეღო ქრთამი და არავინ შეევიწროვებინა, მაგრამ არ უთქვამს, დაეტოვებინა ჯარი (ლუკას 3:14). როდესაც იესომ თქვა, რომ მეორე ლოყაც უნდა მივუშვიროთ, ის არ გულისხმობდა, რომ არ უნდა დავიცვათ თავი თავდასხმისგან, არამედ შური არ უნდა ვიძიოთ შეურაცხმყოფელ ქმედებებზე, როგორიცაა სახეში დარტყმა. მან თქვა, რომ მისი მსახურები არ იბრძვიან მისთვის მიწიერი სამეფოს დასამყარებლად, რადგან ის სამეფოს ასე არ დაამყარებს. თუ მთავრობა ღმერთის იდეაა და თუ მთავრობამ უნდა დაიცვას თავისი ხალხი, მაშინ სწორია ქრისტიანები ემსახურონ თავიანთ მთავრობას და დაეხმარონ მას თავისი პასუხისმგებლობის შესრულებაში.

ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მრავალი ქრისტიანი ბევრ ქვეყანაში, მსახურობდა ჯარში და იბრძოდა კიდეც, რადგან მათ სჯეროდათ, რომ

მათ თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ ქვეყნის დაცვის საქმეში, ბოროტი თავდასხმისგან.

ქრისტიანები მთელს მსოფლიოში არ ეთანხმებიან სამხედრო სამსახურის გავლის საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ლოცვით გამოიკვლიოს წმინდა წერილები და მსჯელობა, შემდეგ კი ერთგულად დაიცვას თავისი რწმენა.

► როგორ პასუხობენ თქვენს ქვეყანაში ეკლესიები, სამხედრო სამსახურის საკითხებს?

ჯგუფში გაზიარებისთვის

ქრისტიანთა უმეტესობას ამ საკითხებზე მტკიცე მოსაზრება აქვს. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ქრისტიანები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში, ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხზე. ჩვენ უნდა მოვერიდოთ სხვისი მოტივების განსჯას მათი მოსაზრებების გამო.

► როგორ უნდა შევაფასოთ ჩვენს ქვეყანაში ეკლესიასა და მთავრობას შორის არსებული ურთიერთობები? უნდა შეიცვალოს რამე?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა, რომ შექმენი მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს დაცვასა და თავისუფლებას. დამეხმარე, ვიყო შენი ერთგული, ადამიანური მმართველობის არასრულყოფილების მიუხედავად.

დამეხმარე, შევასრულო ჩემი პასუხისმგებლობა, დავიცვა სხვები და გავლენა მოვახდინო ჩემს საზოგადოებაზე.

ჩვენ ველოდებით შენი სამეფოს მოსვლას მის სისრულეში.

ამინ

გაკვეთილი 12 დავალებები

(1) ბიბლია შეიცავს ბევრ ცნობას ღმერთის შესახებ, რომელიც მუშაობდა ხელისუფლების წარმომადგენლების მეშვეობით თავისი ხალხის ცხოვრებაში თავისი მიზნების შესასრულებლად. იგავების 21:1-ში ნათქვამია: „მეფის გული წყლის

ნაკადია უფლის ხელში, საითაც მოისურვებს, იქით მიუშვებს." აირჩიეთ ამ ანგარიშებიდან ერთ-ერთი შესასწავლად:

- დაბადების 41:14-49, 42:1-3, 45:4-7
- ესთერის 4,7-8
- ნეემიას 1-2

დაწერეთ თქვენი დაკვირვებების შესახებ:

- რა უნდა მომხდარიყო ღვთის ხალხის ცხოვრებაში?
- როგორ გამოიყენა ღმერთმა ბოროტი მმართველი თავისი მიზნის მისაღწევად?
- როგორ გამოიყენა ღმერთმა ღვთისმოსავი ადამიანი თავისი მიზნის მისაღწევად?

(2) აირჩიეთ ამ თემებიდან ერთ-ერთი:

- ქრისტიანული გავლენა
- ქრისტიანები და ადამიანური კანონები
- მექრთამეობა
- სამხედრო სამსახური

დააკვირდით წმინდა წერილის მონაკვეთებს, რაც ამ გაკვეთილში შეგხვდათ, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს თემასთან. დაწერეთ გვერდი, სადაც ახსნით, რას ფიქრობთ, როგორია ამ თემისადმი ბიბლიური მიდგომა.

გაკვეთილი 13
ქრისტიანის სხეული

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:
(1) გაიაზროს, როგორ მოქმედებს ფიზიკური პრობლემები სულიერ ჯანმრთელობაზე.
(2) მიუძღვნას თავისი სხეული ღმერთს და ისწავლოს ახალი ჩვევები, რომლებითაც პატივს მიაგებს უფალს.

მარტინ ლუთერი, ღვთის მსახური

მარტინ ლუთერი ბერი გახდა, რადგან თვლიდა, რომ ეს იყო საუკეთესო გზა ღმერთისადმი მსახურებისთვის. ბერის ცხოვრების წესის დისციპლინები მოიცავდა კვებაში შეზღუდვას, მარხვას, უბრალო ტანსაცმელს, შეზღუდულ ქონებას და დაუქორწინებლობას. მარტინის სურვილმა, დაემორჩილებინა თავისი სხეული ღმერთს, აიძულა ის დაესაჯა მისი სხეული ასევე მათრახით. მას შემდეგ, რაც მარტინმა გაიგო მადლით ხსნის სახარება რწმენის მეშვეობით, მან გააცნობიერა, რომ მას არ შეეძლო მადლის მოპოვება მისი სხეულის ტანჯვით. მან უარყო თავისი სამონასტრო აღთქმა, როგორც არაბიბლიური. მან იქორწინა კატერინაზე, ყოფილ მონაზონზე და შეეძინა ექვსი შვილი.

შესავალი: დაბნეულობა კორინთოში

ზოგიერთ ადამიანს კორინთოში არ სჯეროდა, რომ ქრისტიანები მკვდრეთით აღდგებოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სხეული უკუგდებული იქნება სიკვდილის შემდეგ და მხოლოდ ქრისტიანის სული წავა სამოთხეში.

ზოგიერთმა თქვა: „რადგან სხეული მოკვდება და უკუგდებული იქნება, არ აქვს მნიშვნელობა რას ვუზამთ მას ახლა. სხეულის ცოდვილ გამოყენებას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან მას არ აქვს საბოლოო ღირებულება.”

სხვებმა, ვინც უარყვეს აღდგომა, თქვეს: „სხეული განადგურდება, რადგან მისი სურვილები ბოროტია. ზეცაში ჩვენ არ გვექნება ფიზიკური სურვილები. იმის გამო, რომ ფიზიკური სურვილები ცუდია, ახლა მათ არ უნდა მივყვეთ. ჩვენ არ უნდა ვჭამოთ კარგი საჭმელი, ჩავიცვათ კომფორტული ტანსაცმელი ან თუნდაც გვქონდეს

სექსი ქორწინებაში. ჩვენ უნდა დავთრგუნოთ სხეული ყველანაირად, სანამ არ დავტოვებთ მას.”

ორივე ეს შეხედულება მცდარი იყო. ორივე შეცდომაზე იყო დაფუძნებული. 1 კორინთელთა მე-15 თავში პავლემ განმარტა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აღდგომის მოძღვრება.

მართალია, ჩვენთვის მართებულია სულიერ ცხოვრებაზე უფრო მეტად ვისაუბროთ, ვიდრე ფიზიკურ საკითხებზე, მაგრამ ჩვენი სხეული გავლენას ახდენს სულიერ საკითხებზე. ღმერთმა შეგვქმნა არა მხოლოდ სულებად, არამედ სულებად ფიზიკური სხეულებით. ჩვენ არ ვართ უბრალო ცხოველები, მაგრამ ჩვენ არ ვართ მხოლოდ სულები, რომლებიც დროებით ცხოვრობენ სხეულებში.

ღვთისადმი მიძღვნა

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 6:19-20.

ეს მუხლები გვეუბნება, რომ ჩვენი სხეულები ღმერთს ეკუთვნის, რადგან მან გამოგვისყიდა. ჩვენი სხეულები სულიწმიდის ტაძრებია და არ უნდა გამოვიყენოთ ცოდვისთვის.

ბიბლია გვეუბნება, რომ ფიზიკური სხეული მთლიანად ღმერთს უნდა დავუმორჩილოთ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს რომაელთა 12:1.

ეს მუხლი გვეუბნება, რომ ჩვენი სხეულები უნდა იყოს წმინდა და რომ ისინი ღმერთს ეკუთვნის. თაყვანისცემა, რომელიც ღმერთს ჩვენგან სურს, არის სრული მორჩილება.

ჩვენ ვერ შევძლებთ ვემსახუროთ ღმერთს თანმიმდევრულად, თუ ჩვენ გვაკონტროლებს ჩვენი სხეულის სურვილები. ცოდვის ნებისმიერი ჩვევა დამოკიდებულებას ჰგავს.

წარმოიდგინეთ ცხოველი, რომელსაც ორი პატრონი ჰყავს. ერთი პატრონი გასცემს ბრძანებას, მაგრამ ცხოველი ვერ ემორჩილება, რადგან მეორე პატრონს ცხოველი ჯაჭვზე ყავს. პატრონი ჯაჭვით ატარებს ცხოველს საითაც თვითონ მოისურვებს. ცხოველს შეიძლება სხვა პატრონი უფრო მეტად უყვარს, მაგრამ არ შეუძლია დაემორჩილოს მას. აი, როგორია დამოკიდებულება. ადამიანს შეიძლება სურდეს ემსახუროს ღმერთს, მაგრამ დამოკიდებულება არის ჯაჭვი, რომელსაც მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს.

დამოკიდებულება და ცოდვის უმეტესი ფორმები აზიანებს ადამიანის სხეულს და გონებას. იმის გამო, რომ ჩვენი სხეულები ღმერთს ეკუთვნის და მას ემსახურება, მათი დაზიანება არასწორია. რომაელების წერილში წაკითხული მუხლი გვეუბნება, რომ ჩვენი სხეული ღმერთს მსხვერპლად მიუძღვნათ, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებთ, თუ საკუთარ თავს ვერ ვაკონტროლებთ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 9:24-27.

შენი სხეული შენი მსახურია, მაგრამ შენ უნდა გააკონტროლო ის. ის ძალიან კარგია როგორც მსახური. თუ ის კონტროლიდან გამოდის, ის ხდება თქვენი ბატონი, სხეული კი საშინელი ბატონია. პავლემ განაცხადა, რომ წინ აღუდგა ნებისმიერი სურვილის მასზე გაბატონებას (1 კორინთელთა 6:12).

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს რომაელთა 6:13.

სხეული ჰგავს ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომელიც თქვენ გეკუთვნით. ინსტრუმენტები თქვენი კონტროლის ქვეშაა. აღარ უნდა გამოიყენოთ ისინი ცოდვისთვის, არამედ ღვთისთვის.

ბუნებრივი სურვილები

ზოგი ფიქრობს, რომ ცოდვას ვერ ავიცილებთ ჩვენი ბუნებრივი სურვილების გამო. მართალია, ჩვენ დავიბადეთ ცოდვილი ბუნებით, რომელსაც შევყავართ ცოდვაში. ეს ბუნება მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ სურვილებს, არამედ გონების სურვილებს და ცოდვისკენ მიდრეკილ ნებას. ადამიანი, რომელიც არ არის განახლებული ღვთის სულით, არ შეუძლია თავი შეიკავოს ცოდვისგან, თუმცა ზოგიერთ ცოდვას შეუძლია წარმატებით შეეწინააღმდეგოს. ცოდვილს, რომელსაც არ განუცდია ღვთის მადლი, შეიძლება არ დაიჯეროს, რომ ოდესმე გამარჯვებით იცხოვრებს.

ბუნებრივი სურვილები არ არის პრობლემა. ღმერთმა შექმნა ბუნებრივი სურვილები. ადამს ჰქონდა ბუნებრივი სურვილები, მაგრამ არ იყო ცოდვილი, სანამ არ გააკეთა არჩევანი არ დამორჩილებოდა ღმერთს. ეს სურვილები არის ნაწილი იმისა, რაც ღმერთმა კაცობრიობისთვის განიზრახა. ისინი თავისთავად არ არიან ცოდვილები, მაგრამ შესაძლებელს ხდიან ცდუნებას.

► როგორია ბუნებრივი სურვილების რამდენიმე მაგალითი?

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა არ არის სრულყოფილი, მაგრამ მოცემულია ბუნებრივი სურვილების რამდენიმე მაგალითი, ამ სურვილების ზოგიერთი

ჩვეულებრივი და სათანადო გამოხატვა და რამდენიმე გზაა, რომლითაც ისინი შესაძლებელს ხდიან ცდუნებას.

გაითვალისწინეთ, რომ ბუნებრივი სურვილები სულაც არ არის სხეულის სურვილები. ისინი ბუნებრივია, რადგან მომდინარეობენ ადამიანის ბუნებიდან, მაგრამ ისინი არ არიან ყველა ფიზიკური სურვილები.

ბუნებრივი სურვილების კატეგორიები	ბუნებრივი სურვილების სწორად გამოხატვის მაგალითები	პოტენციური ცოდვები
თვითგადარჩენა	უსაფრთხოების ზომების მიღება	სიმხდალე
ადამიანების მხრიდან მოწონება	აკურატულად ჩაცმა, თავაზიანობის გამოვლენა	სიამაყე, შური
ფიზიკური კმაყოფილება	ჭამა, ძილი და სექსი ქორწინებაში	ცოდვილი გატაცება
სოციალური სიამოვნებები	სხვებთან ურთიერთობა	ჭორაობა, სნობიზმი
ფიზიკური კომფორტი	სიმარტივისადმი უპირატესობის მინიჭება	სიზარმაცე, მატერიალიზმი
ფინანსური უსაფრთხოება	იყო ეკონომიური, ინვესტიციების განხორციელება	სიხარბე, უსინდისობა

► არის თუ არა რაიმე ბუნებრივი სურვილი, რომელსაც ყოველთვის შეიძლება დანებდე?

არც ერთ ბუნებრივ სურვილს არ შეუძლია გმართოს, კითხვების გაჩენის გარეშე. არ არსებობს ბუნებრივი სურვილი, რომელსაც ყოველთვის უსაფრთხოდ მიჰყვები, რადგან სურვილი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რაც შენთვისაა მისაღები.

მაგალითად, შიმშილის სურვილი არ განასხვავებს საკუთარ საკვებს, სხვის საკვებს ან საკვებს, რომლის შეძენაც ადამიანს არ შეუძლია.

არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ჩაახშო სურვილის სწორად გამოხატვაც. ის, რომ ადამიანი შიმშილს განიცდის, არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია სხვისი საკვების აღება. დასვენების სურვილი ბუნებრივია, მაგრამ ზოგჯერ ადამიანს მოუწევს მუშაობა მაშინაც კი, როცა დაღლილია. ჩვენთვის ბუნებრივია საფრთხის თავიდან აცილების სურვილი, მაგრამ ადამიანმა უნდა გაუძლოს საფრთხისგან გაქცევის სურვილს, როდესაც ის არის პასუხისმგებელი სხვის დაცვაზე.

ბუნებრივი სურვილები შეიძლება გახდეს იმდენად დამახინჯებული და არასწორად მიმართული, რომ არაბუნებრივი და არაადამიანური ფორმები მიიღოს. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი ადამიანი უკიდურესად გარყვნილ ან სასტიკ ქმედებებს ჩადის. ბუნებრივი სურვილები დამახინჯებულია ან მიმართულია არასწორი მიმართულებით 1) არასწორი სწავლების, 2) არასწორად აზროვნების სტერეოტიპების ჩამოყალიბების, 3) ცოდვილ გარემოში ყოფნის ან 4) ჩვენი ცოდვილი ქმედებების გამო.

ყოველი მორწმუნე უნდა ელოდეს ცდუნებას ბუნებრივი სურვილებიდან გამომდინარე. მადლი, როგორც წესი, არ გამორიცხავს ბუნებრივ სურვილებს, მაგრამ აძლევს ადამიანს შესაძლებლობას გააკონტროლოს თავისი ქმედებები და მიმართოს თავისი სურვილები კანონიერი ობიექტებისკენ.

ბუნებრივი სურვილები სულიერ დისციპლინებს აუცილებელს ხდის სულიერი გამარჯვების შესანარჩუნებლად. მადლი არ ათავისუფლებს ადამიანს წმინდა წერილის მითითებების შესრულების, ღვთისმსახურებაზე დასწრების, სხეულის დამორჩილების, ლოცვისა და ბიბლიის შესწავლის აუცილებლობისგან. მორწმუნე, რომელიც სერიოზულად ესწრაფვის სულიერი გამარჯვების შენარჩუნებას, შეიძლება ასევე დაიწესოს პირადი შეზღუდვები, თავისი სუსტი წერტილების დასაცავად.

ცდუნება მომხიბვლელად გამოიყურება, მაგრამ თუ გულში დევს ღვთის ნების აღსრულების სურვილი, ადამიანს ნამდვილად შეუძლია უარყოს ცდუნება მთელი გულით (1 იოანეს 5:3). ის არ იფიქრებს, რომ უარს ამბობს იმაზე, რაც მას ნამდვილად გააბედნიერებს. რწმენით მან იცის, რომ ღმერთი არ კრძალავს არაფერს უწყინარს, მაშინაც კი, თუ აკრძალულში ზიანს ვერ ხედავს (მეორე რჯულის 6:24). რწმენით მან იცის, რომ ღვთის ნების საწინააღმდეგო არაფერი არ დააკმაყოფილებს მას, რადგან მისი კმაყოფილება ღმერთშია (ფსალმუნის 15:2, ფსალმუნის 83:11).

დიეტა და ვარჯიში

► რას ამბობს ბიბლია საკვებზე?

ბიბლია კონკრეტულად არაფერს კრძალავს საკვების მხრივ. ახალი აღთქმის ქრისტიანებს არ მოეთხოვებოდათ კვების საკითხებში შეზღუდვები, რაც ძველ აღთქმაში იყო (1 ტიმოთეს 4:4, მარკოზის 7:19). იყო პრობლემა კერპთშენაწირი საკვების შესახებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავად საკვები იყო არასწორი, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთი ადამიანი ჭამდა საკვებს, როგორც კერპისადმი თაყვანისცემის ნაწილი (1 კორინთელთა მე-8 თავი).

სწორი კვება მნიშვნელოვანია ფიზიკური ჯანმრთელობისა და ძალისთვის. რადგან ჩვენ ღვთის მსახურები ვართ, უნდა გვინდოდეს ვიყოთ კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში. ჩვენ უნდა ვეცადოთ არ დავაზიანოთ ჩვენი სხეული და არ შევამოკლოთ სიცოცხლე კვების ცუდი წესით. ბევრ ადამიანს არ აქვს კვებაში დიდი არჩევანი, რადგან მათ უნდა ჭამონ ის, რაც ხელმისაწვდომია და რისი საშუალებაც აქვთ, მაგრამ მათ უნდა გააკეთონ საუკეთესო არჩევანი, რაც შეუძლიათ. მათ ასევე უნდა ასწავლონ შვილებს კვებაში კარგი არჩევანის გაკეთება.

ადამიანები, რომლებსაც აქვთ ფული საჭმელის შესაძენად, ხანდახან იღებენ ზედმეტად ბევრ ისეთ საჭმელს, რაც მათ მოსწონთ, იმის ნაცვლად, რომ აირჩიონ ისეთი საკვები, რომელიც მათ სარგებელს მოუტანს. ადამიანებს ასევე უჩნდებათ ცდუნება დახარჯონ ზედმეტი ფული არაჯანსაღ საკვებზე. ზოგი ვერ ყიდულობს მსახურებისთვის სასწავლო წიგნს, მაგრამ ყოველ კვირას იგივე თანხას ხარჯავს კანფეტებსა და კოლაზე.

ვარჯიში აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი კარგ ფიზიკურ ფორმაში იყოს. ადამიანმა არ უნდა დაუშვას, რომ ვარჯიშის ნაკლებობამ მას ძალის უკმარისობა ან ჭარბი წონა გამოიწვიოს, რაც ხელს შეუშლის მას, რომ ღმერთისთვის გამოსადეგი იყოს. თუ ადამიანის სამუშაო ფიზიკურ შრომას მოითხოვს, მას შეიძლება არ დასჭირდეს დამატებითი ფიზიკური ვარჯიში; წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა მოაწესრიგოს თავისი სხეული, რათა ის კარგ ფორმაში იყოს.

ქრისტიანმა ყურადღება უნდა მიაქციოს სწორ კვებას და ვარჯიშს, რადგან მისი სხეული ღმერთს ეკუთვნის. თუმცა, დიეტისა და ვარჯიშის შესახებ კონკრეტული მითითებები ბიბლიაში არ არის. ადამიანებმა უნდა იპოვონ გზები, რათა გამოიყენონ ღმერთისადმი მიძღვნის პრინციპი საკუთარ სიტუაციაში. ჩვენ უნდა მოვერიდოთ სხვების განსჯას და კრიტიკას. ეს დეტალები არ უნდა იქცეს სულიერი ცხოვრების

წესად, ოღონდ თუკი ადამიანთა შერჩეული ჯგუფი არ არის მიდრეკილი გარკვეული დისციპლინების მიმართ.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს რომაელთა 14:4.

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გამოვიყენოთ ბიბლიური პრინციპები კონკრეტული გზებით, მაგრამ არ უნდა განვსაჯოთ ადამიანები, რომლებიც მათ განსხვავებულად იყენებენ, როდესაც ამის შესახებ კონკრეტული მითითებები წმინდა წერილში არ არის მოცემული.

სასწაულებრივი ფიზიკური განკურნება

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს რომაელთა 8:18-23.

ავადმყოფობა არის შედეგი იმ წყევლისა, რომელიც მოვიდა მთელს ქმნილებაზე, როდესაც პირველმა ადამიანებმა შესცოდეს. ღვთის ხსნის გეგმა საბოლოოდ აღადგენს ქმნილებას და დაასრულებს ყველა ტანჯვას. თუმცა, ეს მუხლები გვეუბნება, რომ ეს აღდგენა არ არის მყისიერი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე დახსნილნი ვართ, ჩვენი სხეულები განაგრძობს ტანჯვას სიბერისა და დაავადებებისგან, სანამ ღვთის გადარჩენის გეგმა არ აღსრულდება.

ღმერთი სასწაულებს უკვე ახდენს მსოფლიოში. განკურნების მრავალი სასწაულია აღწერილი ბიბლიაში. ღმერთი გვპირდება განკურნებას ეკლესიის მიერ რწმენის ლოცვების საპასუხოდ (იაკობის 5:14-15). არ არის აუცილებელი, რომ ავადმყოფს ჰქონდეს საკუთარი განკურნების რწმენა; ეკლესიას შეუძლია ჰქონდეს რწმენა მისთვის. აქედან გამომდინარე, ავადმყოფი რწმენის ნაკლებობაში არ უნდა დადანაშაულდეს.[50]

არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ რწმენის მქონე ადამიანი არასოდეს დაავადდება. ღმერთმა დაუშვა იობზე, რომ ფიზიკურად დატანჯულიყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუმცა იობი ღმერთის ერთგული დარჩა (იობის 2:8).

პავლემ თქვა, რომ ღმერთმა დაუშვა „სხეულში ეკალი", რათა ის თავმდაბალი და ღმერთზე დამოკიდებული ყოფილიყო. პავლემ სამჯერ ილოცა გათავისუფლებისთვის, მაგრამ საბოლოოდ მიხვდა, რომ ღმერთს სურდა მისთვის ძალა მოთმინებისთვის მიეცა, ვიდრე განკურნებისთვის (2 კორინთელთა 12:7-9). როგორც ჩანს, „სხეულში ეკალი" ფიზიკური ტანჯვა იყო, თუმცა ეს დანამდვილებით არ ვიცით.

[50] იესომ განკურნა პარალიზებული კაცი მისი მეგობრების რწმენის გამო (მარკოზის 2:5).

პავლემ ფიზიკური ავადმყოფობა განიცადა გალატელებისადმი ქადაგების დროს (გალატელთა 4:13-15). როგორც ჩანს, მას თვალების პრობლემა ჰქონდა, რადგან თქვა, რომ გალატელებს ისე უყვარდათ, რომ მზად იყვნენ მისთვის თავისი თვალები მიეცათ. ჩვენ არ ვიცით, მოგვიანებით განიკურნა თუ არა პავლე ამ პრობლემისგან, მაგრამ ცხადია, ის მაშინვე არ განკურნებულა. აშკარაა, რომ პავლე არ ასწავლიდა, რომ ყოველი მორწმუნე ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს სნეულებისგან და გალატელები არ ფიქრობდნენ, რომ მისი ავადმყოფობა ეწინააღმდეგებოდა მის მიერ ნაქადაგებ სახარებას.

სტუდენტმა ჯგუფს უნდა წაუკითხოს ფილიპელთა 2:25-30.

ეპაფროდიტე ავად იყო და სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა. ის ავად გახდა, რადგან ძალიან ბევრს მუშაობდა პავლეს დასახმარებლად. პავლემ თქვა, რომ ეპაფროდიტე იმსახურებდა პატივისცემას, რადგან მან სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო ქრისტეს საქმისთვის.

იობის, პავლესა და ეპაფროდიტეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ არ უნდა დავადანაშაულოთ ადამიანები რწმენის ნაკლებობაში, როდესაც ისინი ავად არიან. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ისინი ცოდვის გამო ისჯებიან. მხოლოდ ღმერთმა იცის, არის თუ არა ვინმეს ტანჯვის სულიერი მიზეზი. ისტორიის ზოგიერთი უდიდესი ქრისტიანი, დიდი მორწმუნე ადამიანები, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განიცდიდნენ ავადმყოფობას.

ბიბლია არ კრძალავს ექიმებისა და მედიკამენტების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვლოცულობთ ჯანმრთელობისა და განკურნებისთვის, არაფერია ცუდი იმაში, რომ ვისარგებლოთ არსებული დახმარებით.

არასწორია განკურნების ძიება იმ ადამიანებთან, რომლებიც ემსახურებიან მაგიას და სულებს, რომლებიც არ არიან ღვთისგან. ჩვენ არ ვემსახურებით სატანას და არ უნდა ვეძიოთ მისგან სარგებელი. ჩვენი ერთგულება ღმერთისადმია და კმაყოფილები უნდა ვიყოთ მისი კურთხევებით. თუ ის აირჩევს არ განკურნოს, უნდა ვილოცოთ მადლისთვის და ძალისთვის, რომ ვიყოთ ერთგულები.

მავნე ნივთიერებები

ზოგიერთი ადამიანი იყენებს ნივთიერებებს, რომლებიც ანიჭებს მათ სხეულს სიამოვნებას, მაგრამ აქვს ცუდი შედეგი.

ნარკოტიკები აზიანებს სხეულს, ანადგურებს გონებას, იწვევს დამოკიდებულებას და არალეგალურია ბევრგან.

ძალიან მცირე რაოდენობით მიღების შემთხვევის გარდა, ალკოჰოლი გავლენას ახდენს ადამიანის აღქმაზე და აიძულებს მას იმოქმედოს ისე, როგორც არ მოიქცეოდა, რომ არა მისი ზემოქმედება. ალკოჰოლი ასევე იწვევს დამოკიდებულებას. დიდი რაოდენობით მიღება ზიანს აყენებს ჯანმრთელობას. ის ჭარბად გამოიყენება ამქვეყნიური, ამორალური გართობის ადგილებში. ბიბლია პირდაპირ არ კრძალავს ალკოჰოლს, მაგრამ ბევრი ეკლესია კრძალავს მას, რადგან ის გავლენას ახდენს ქცევაზე და განსჯაზე, იწვევს დამოკიდებულებას და ხშირად თან ახლავს ამორალურ ქცევას. ბევრი ქრისტიანი ფიქრობს, რომ თუ ადამიანი ფრთხილად იყენებს ალკოჰოლს და თავიდან იცილებს საფრთხეებს, მან შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

სტუდენტმა კლასს უნდა წაუკითხოს იგავების 20:1 და 31:4–5.

თამბაქო, რეგულარულად მოწეული ან დაღეჭილი, იწვევს დამოკიდებულებას და ამცირებს სიცოცხლეს რამდენიმე წლით. მომხმარებელს აქვს კიბოს მაღალი რისკი.

ბიბლია არ კრძალავს კონკრეტულად ნარკოტიკებს, ალკოჰოლს ან თამბაქოს. თუმცა, ადამიანების უმრავლესობას, ვისაც ესმის მათი მავნებლობა, თვლის, რომ ქრისტიანმა არ უნდა გამოიყენოს ისინი. ეს ყოველთვის და ყველგან ასე არ ყოფილა, იმ დრომდე, სანამ ადამიანებმა გაიგეს ამ ნივთიერებების სრული ეფექტი.

ამ ნივთიერებების ყველაზე დიდი საშიშროებაა, მათი მიდრეკილება, გახადონ მომხმარებელი მათზე დამოკიდებული. დამოკიდებულებები აკონტროლებს ადამიანის ცხოვრებას. ისინი მოიხმარენ მის რესურსებს. ისინი გავლენას ახდენენ მის აღქმებზე, აიძულებენ მას არარაციონალურად გაამართლოს ისინი. ის იღებს მსხვერპლს, რომელიც ზიანს აყენებს მის ოჯახს და სამსახურს. დამოკიდებულება მოითხოვს ერთგულებას, რომელიც მსგავსია რელიგიისა და ეწინააღმდეგება ღმერთის ერთგულებას.

სისუფთავე და გარეგნობა

ქრისტიანს უნდა ჰქონდეს ფიზიკური სისუფთავის ჩვევები, რომლებიც მინიმუმ ისეთივე კარგია, როგორც მის კულტურაში გავრცელებული ჩვევები. მან გარშემომყოფების ყურადღება არ უნდა მიიქციოს უსიამოვნო სუნის, მოუვლელი თმის, ჭუჭყიანი ან ცუდი ტანსაცმლის გამო. სიღარიბეში მყოფ ადამიანს შეიძლება გაუჭირდეს კარგი გარეგნობის შენარჩუნება, მაგრამ მან უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია.

უნდა შეისმინოთ, თუ მეგობრები შენიშვნას გაძლევენ თქვენი გარეგნობის ან ჰიგიენის შესახებ. მშობლებმა შვილებს კარგი ჩვევები უნდა ასწავლონ.

ქრისტიანები არ უნდა მიჰყვნენ ქვეყნიერების მაგალითს, გამოიყენონ ჩაცმულობა და მორთულობა, რათა აჩვენონ, რომ სხვებზე აღმატებულები არიან. თუმცა, უყურადღებო გარეგნობა შეიძლება გულისხმობდეს, რომ ადამიანი ნაკლებად სცემს პატივს ადამიანებს, რომლებსაც ხვდება. მაგალითად, თუ შეხვედრაზე მიდიხართ მოუწესრიგებელი გარეგნობით, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მიგაჩნიათ, რომ შეხვედრა და ხალხი პატივისცემას არ იმსახურებს. ქრისტიანებმა უნდა აჩვენონ, თუ როგორ უნდა მიაგონ პატივი ღმერთს და პატივი სცენ სხვებს კარგი გარეგნობით.

ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ სულიერი და მარადიული პრიორიტეტები, ხშირად ხაზს უსვამენ სხეულს, გამომწვევი ჩაცმულობით. კაცს შეიძლება სურდეს კუნთების ჩვენება. ქალს შეიძლება სურდეს, რომ იყოს ფიზიკურად მიმზიდველი მამაკაცებისთვის. ქრისტიანს არ უნდა სურდეს სიამაყის გამოხატვა ან არასწორი ყურადღების მიქცევა სამოსით.

ჯგუფში გაზიარებისთვის

მოუწოდეთ სტუდენტებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოახდინოს ღვთისადმი მიძღვნამ, ცვლილებები მათ ცხოვრების წესში.

► როგორ გამოხატავენ თქვენი ჩვევები, რომ თქვენი სხეული ღმერთს ეკუთვნის?

მოერიდეთ ხანგრძლივ კამათს, რომელიც მიზნად ისახავს ქრისტიანებისთვის დიეტის წესების ან მსგავსი შეზღუდვების დაწესებას.

► როგორ აუხსნიდით ადამიანს, რატომ არ იყენებთ გარკვეულ ნივთიერებებს?

ლოცვა

ზეციერო მამა,

მადლობა მშვენიერი ჩანაფიქრისთვის, რომელიც მოგვეცი, რომ გვეცხოვრა ჯერ დედამიწაზე და შემდეგ ზეცაში.

დამეხმარე ვიცხოვრო შენდამი სრული მიძღვნით, იმის ცოდნით, რომ შენ შემქმენი და გამომისყიდე.

დამეხმარე, ვიცხოვრო თავისუფლად ყველაფრისგან, რაც ხელს შეუშლის ჩემს მსახურებას და შენდამი თაყვანისცემას.

მადლობა იმ დიდი პრივილეგიისთვის, რაც მაქვს, რომ ვარ შენი სულიწმიდის ტაძარი. მინდა ვიცხოვრო ისე, რომ პატივი მოგაგო.

ამინ

გაკვეთილი 13 დავალებები

(1) ჩაწერეთ თქვენი პასუხი ქვემოთ მოყვანილ თითოეულ კითხვაზე, პირადი ჟურნალის ჩანაწერში. (ის კლასის ლიდერს არ უნდა გადასცეთ.)

- სრულად მიუძღვენი თავი ღმერთს? რას ნიშნავს ეს შენთვის?
- ბუნებრივი სურვილებიდან ყველაზე ხშირად რომელი იწვევს თქვენს ცხოვრებაში ცდუნებას?
- წმინდა წერილის რომელი ორი ან სამი ადგილი უნდა დაიმახსოვროთ, რათა დაგეხმაროთ მუდმივად დაძლიოთ ეს ცდუნებები?
- რა ცვლილებების შესახებ დაგელაპარაკათ ღმერთი ამ გაკვეთილის შესწავლისას?

(2) შეისწავლეთ 1 კორინთელთა მე-15 თავი. თავდაპირველად დაყავით ის ნაწილებად, რომელშიც თითოეული ეძღვნება პატარა თემას. დაწერეთ აბზაცი თითოეული ნაწილისთვის, რომელიც ხსნის ამ ნაწილის არსს. რა პრაქტიკულ მიმართულებებს უნდა ეყრდნობოდეს ეს თავი?

რეკომენდებული რესურსები

ამ კურსში შესწავლილი საგნების შესახებ მეტის გასაგებად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი რესურსები.

გაკვეთილი 1 - ქრისტიანული სიწმინდე, ანუ სიმართლე

ჯოშ მაკდაუელი და ბობ ჰოსტელერი. "სწორი არასწორიდან". Nashville: W Publishing Group, 1994.

რონ საიდერი. "ევანგელური სინდისის სკანდალი". Grand Rapids: Baker Books, 2005.

გაკვეთილი 2 - ღვთისადმი მორჩილების პრაქტიკაში გატარება

ტიმი და ბეკი კიპი. "ეს ყველაფერი მორჩილებაზეა". Shoals: Whispering Pines Publishing, 2016.

სულიერი ფორმირება (კურსი Shepherds Global Classroom-დან). ხელმისაწვდომია ონლაინ ან ბეჭდვით, მისამართზე: https://www.shepherdsglobal.org/courses

გაკვეთილი 3 - მუშაობა

რობერტსონ მაკქუილკინი. "ბიბლიური ეთიკის შესავალი". (მეორე გამოცემა). Wheaton: Tyndale House Publishers, Inc., 1995.

გაკვეთილი 4 - ურთიერთობები

გარი ჩეპმენი. "სიყვარულის ხუთი ენა". Chicago: Northfield Publishing, 2015.

დეილ კარნეგი. *როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე*. New York: Pocket Books, 1936.

გაკვეთილი 5 - ღმერთის წინამძღოლობა

ვესლი დუვალი. *"მიეცი ღმერთს ნება მიგიძღვოდეს ყოველდღიურად"*. Greenwood, IN: One Mission Society, 1988.

გაკვეთილიs **6-7 - Marriage**

ჯონ დრეშერი. "უკეთესობისკენ, უარესობისკენ". Morgantown, PA: Masthof Press, 2012.

ემერსონ ეგერიჩი. "სიყვარული და პატივისცემა". Nashville: Thomas Nelson, 2004.

გარი თომასი. "წმინდა ქორწინება". Grand Rapids: Zondervan, 2000.

გაკვეთილი 8 - ქრისტიანული ეკოლოგია

ფრენსის შიფერი, უდო მიდელმანი, ლინ უაიტ უმცროსი და რიჩარდ მინსი. "ადამიანის წაბილწვა და სიკვდილი". Wheaton: Tyndale House, 1970.

გაკვეთილი 9 - ფული

დეივ რემსი. "ფინანსური მშვიდობის დამგეგმავი". New York: Penguin Books, 1998.

ჯონ უესლი. "ფულის გამოყენება" (ქადაგება). ხელმისაწვდომია ონლაინ მისამართზე: https://www.whdl.org/use-money-sermon-50 (14 იანვრის მდგომარეობით, 2021).

გაკვეთილი 10 - გულწრფელობა/სიმართლე

სტივენ კოვი მ.რ. "ნდობის სისწრაფე: ის, რაც ცვლის ყველაფერს". New York: Free Press, 2006.

გაკვეთილი 11 - ადამიანის ფასეულობა

ქეი სი ლუისი "ადამიანის მოსპობა".

ჩარლზ კოლსონი და ნენსი პირსი. როგორ ვიცხოვროთ ახლა? Wheaton: Tyndale House Publishers, 1999.

გაკვეთილი 12 - მთავრობა

ფრენსის შიფერი. *„ქრისტიანული მანიფესტი“*. Wheaton: Crossway Books, 1981.

გაკვეთილი 13 - ქრისტიანის სხეული

რიჩარდ ფოსტერი. "დისციპლინის ზეიმი". New York: HarperCollins Publishers, 1978.

პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება
დავალებების ჩაწერა
სტუდენტის სახელი და გვარი _____

თავდაპირველად დააწერეთ სახელი გვარი და როდის შესრულდა თითოეული დავალება. Shepherds Global Classroom–ისგან სერთიფიკატის მისაღებად, ყველა დავალება წარმატებით უნდა იყოს შესრულებული.

გაკვეთილი	დავალება 1	დავალება 2	დავალება 3
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			

შეპერდს გლობალ კლასრუმისგან სერთიფიკატის მოთხოვნა

Shepherds Global Classroom-ის (SGC) დასრულების სერტიფიკატის მისაღებად განაცხადი შესაძლებელია შეავსოთ ჩვენს ვებ – გვერდზე: www.shepherdsglobal.org. SGC- ს პრეზიდენტი, გადასცემს სერთიფიკატებს, ციფრული სახით,

ინსტრუქტორებსა და კურატორებს, რომლებიც შეავსებენ განაცხადს მათი სტუდენტის(ების) სახელით.

შეფერდს გლობალ ქლასრუმ კურსების აღწერა

<u>დოქტრინალური საფუძვლების კურსები</u>

ქრისტიანული მრწამსი

ეს არის სისტემატიზებული თეოლოგიის კურსი, რომელშიც აღწერილია ქრისტიანული მოძღვრებები ბიბლიის, ღმერთის, ადამიანის, ცოდვის, ქრისტეს, ხსნის, სულიწმინდის, ეკლესიისა და უკანასკნელ მოვლენების შესახებ.

რომაელები

ეს კურსი ასწავლის ხსნის თეოლოგიას და მისიებს, როგორც განმარტებულია რომაელთა წიგნში, განიხილავს რამდენიმე საკითხს, რომლებიც სადავო იყო ეკლესიაში.

ესქატოლოგია

ეს კურსი ასწავლის დანიელისა და გამოცხადების ბიბლიურ წიგნებს, წინასწარმეტყველური წერილების სხვა მონაკვეთებთან ერთად და ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან მოძღვრებებს, როგორიცაა ქრისტეს დაბრუნება, უკანასკნელი სამსჯავრო

წმიდა ცხოვრების დოქტრინა და პრაქტიკა

ამ კურსში მოცემულია წმინდა ცხოვრების ბიბლიური აღწერა, რომელსაც ღმერთი ელის და ძალასაც აძლევს ქრისტიანს.

ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა

ეს კურსი განმარტავს ღმერთის ჩანაფიქრსა და გეგმას ეკლესიისა და ბიბლიური თემების შესახებ, როგორიცაა ეკლესიის წევრობა, ნათლობა, ზიარება, მეათედი და სულიერი ლიდერობა.

<u>ბიბლიის შესასწავლი კურსები</u>

ძველი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ძველი აღთქმის 39 წიგნის არსებით შინაარსს და სწავლებებს.

ახალი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ახალი აღთქმის 27 წიგნის არსებით შინაარსსა და სწავლებებს.

ბიბლიური განმარტებების პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ბიბლიის სწორად განმარტების პრინციპებსა და მეთოდებს, რათა ამან განსაზღვროს ჩვენი ცხოვრება და ღმერთთან ურთიერთობა.

<u>მახარებლობისა (ევანგელიზაციის) და მოწაფეობის კურსები</u>

აპოლოგეტიკის შესავალი

ეს კურსი ასწავლის ქრისტიანული მსოფლმხედველობის სამეცნიერო, ისტორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს და აჩვენებს თუ რამდენად შეესაბამება ქრისტიანული სარწმუნოება გონიერებას და რეალობას.

მსოფლიო რელიგიები და კულტები (ცრუ რელიგიები)

ეს კურსი უზრუნველყოფს სახარებისეულად მორწმუნეს მოძღრებების სწორი გაგებით და სათანადო პასუხებით, თვრამეტი რელიგიური ჯგუფისათვის.

ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

ამ კურსში მოცემულია ბიბლიური პრინციპები, რომლით ხელმძღვანელობაც შესაძლებელია მახარბელობის (ანუ ევანგელიზაციის) მეთოდებში. ის აღწერს მახარებლობის ფორმებს და გთავაზობთ გაკვეთილებს, რომლებიც უნდა გამოიყენოთ ახალმოქცეულთა მომოწაფებისთვის.

სულიერი ფორმირება

ამ კურსში სტუდენტები სწავლობენ: როგორ იქონიონ იესოს ზრახვანი, ღმერთთან ისეთივე კავშირი და ერთობა, როგორც იესოს აქვს მამასთან; თავის დამდაბლებას იესოს მსგავსად; იესოს სულიერი და პირადი დისციპლინების დაცვას, რათა იესოს მსგავსად გაუძლონ ტანჯვას და ჩაერთონ იესოს მიერ ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ ერთობაში (ეკლესიაში).

პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება

ამ კურსში ხდება ბიბლიური პრინციპების მისადაგება ფულის, ურთიერთობების, გარემოს, მთავრობასთან ურთიერთობის, ადამიანის უფლებებისა და პრაქტიკული ცხოვრების სხვა სფეროების გამოყენებასთან.

<u>ქრისტიანული ლიდერობის კურსები</u>

მსახურების ლიდერობა

ეს კურსი ხაზს უსვამს ქრისტიანულ ხასიათს, ხოლო ლიდერებს ასწავლის ორგანიზაციებს გაძღოლას, ფასეულობების აღმოჩენის, მიზნის რეალიზების, ხედვის გაზიარების, ამოცანების დასახვის, სტრატეგიის დაგეგმვის, მოქმედების და მიღწევების განცდის საშუალებით.

იესოს ცხოვრება და მსახურება

ეს კურსი შეისწავლის იესოს ცხოვრებას, როგორც ნიმუშს 21–ე საუკუნის მსახურებისა და ხელმძღვანელობისთვის.
და ღვთის მარადიული სამეფო.

კომუნიკაციის პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ურთიერთობების თეოლოგიას, ეფექტური მეტყველების მეთოდებს და ბიბლიური ქადაგების მომზადების და წარდგენის მეთოდებს.

ქრისტიანული თაყვანისმცემლობის შესავალი

ამ კურსში განმარტებულია, თუ როგორ მოქმედებს თაყვანისცემა მორწმუნის ცხოვრების ყველა ასპექტზე და მოცემულია პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ ინდივიდუალური და კრებულში ერთობლივი თაყვანისცემის დროს.

<u>ეკლესიის ისტორიის კურსები</u>

ეკლესიის ისტორია I

ეს კურსში აღწერს, თუ როგორ შეასრულა ეკლესიამ თავისი მისია და დაიცვა ძირითადი დოქტრინა ადრეული ეკლესიის დროიდან რეფორმაციამდე.

ეკლესიის ისტორია II

ამ კურსში აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა ეკლესია და როგორ ხვდებოდა სირთულეები რეფორმაციის დროიდან დღემდე.